ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიო ისტორია

ნიკოლოზ სილაგაძე

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ჯემალ შარაშენიძე**

ისტორიისიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გურამ კუტალია**

თბილისი

2015

ავტორის სტილი დაცულია

სარჩევი

შესავალი————————————————————————————————————2

თავი I. ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემის პრეისტორიული ფონი ————————————————————————————25

თავი II. ანტიკური ხანის კელტების ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვანი ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები ————————————————————————————————————52

თავი III. ძველი გერმანელების ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვანი ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები ————————————————————————————————————105

თავი IV.ვინ იყვნენ ძველი გერმანები და კელტები? რას წარმოადგენდა ანტიკური ხანის გერმანია და კელტიკა?————————————————————138

დასკვნა ————————————————————————————————————184

ბიბლიოგრაფია————————————————————————————————194

ავტორის სტილი დაცულია

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. კვლევის მიზნები და ამოცანები. საკვლევი თემის აქტუალობა

ძველი გერმანელებისა და კელტების სამყარო იდუმალებით მოცული ისტორიული რეალობაა. მის შესახებ პირველ ცნობებს ანტიკური ხანის ავტორებთან ვხვდებით. თუმცა,მათი სიღრმისეულ შესწავლა ჰუმანიზმის, განმანათლებლობისა და რომანტიზმის ხანაში იწყება.

თანამედროვე გერმანისტიკასა და კელტოლოგიაში ბევრი სადისკუსიო საკითხი იკვეთება. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა.წინამდებარე ნაშრომი მიზნად სწორედ ამ თემის გაშუქებასა და გაანალიზებას ისახავს.

კვლევის ამ ობიექტს ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები დღეს ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული თეორიული მიდგომების საფუძველზე სწავლობენ, რაც არცთუ იშვიათად საკითხის არსის გაბუნდოვნებას იწვევს. ეს გარემოება გვაიძულებს, ნაშრომის მიზნები თავიდანვე მკაფიოდ განვსაზღვროთ.

კერძოდ, ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ თუ:

ა) რა ობიექტური რეალობა იმალება ანტიკური ხანის ავტორების მიერ „კელტიკად“ და „გერმანიად“ სახელდებული ისტორიული სინამდვილეების მიღმა;

ბ) როდის და როგორ მოხდა მათი (ე.ი. ანტიკური ხანის გერმანიისა და კელტიკის) ფორმირება;

გ) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ძველი გერმანელებისა და კელტების სახელებთან გაიგივებული ლინგვისტური სქემები, არქეოლოგიური არტეფაქტების სერიადა ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების თხზულებებში დაცული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები.

გარდა ამისა, წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ:

- *როგორ ხდებოდა ბერძნული და რომაული ეთნიკური კონსტრუქციების (მაგალითად, კელტიკა, გერმანია, ილირია, თრაკია და სხვა) ფორმირება;*
- *რა თავისებურებები ახასიათებდა "ბარბარიკუმში" მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს; რა გავლენას ახდენდა მათზე*

ავტორის სტილი დაცულია

ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციები;

- *რატომ და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეთნოგენეტიკური კვლევისას ინტერდისციპლინარული მიდგომები.*

ნაშრომი მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ისტორიოგრაფიულ დისკურსში, რომელიც მიზნად იმ სამეცნიერო პარადიგმის გადასინჯვას ისახავს, რომლის საფუძველზეც XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში ანტიკური ხანის ე.წ. "ბარბაროსი" ხალხების ეთნიკური და სოციალური ისტორიის საკითხები შეისწავლებოდა.

ვფიქრობთ, აქვე მოითხოვსგანმარტებას, თუ რატომ ვიღებთ კვლევის ობიექტად ორ საკმაოდ მსხვილ ისტორიულ-კულტურულ ერთობას (ანუ გერმანიასა და კელტიკას) და რატომ ვუწოდებთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეთნოგენეზის პრობლემას. საქმე ისაა, რომ ანტიკური ხანის ლიტერატურის მიხედვითძველი გერმანელები და კელტები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენდნენ. მათ აღსანიშნავად ძვ. წ. II-I საუკუნეებამდე ბერძნები და რომაელები მხოლოდ ერთ ტერმინს - Keltoi იყენებდნენ. შემდგომ პერიოდებში კი ხშირადმერყეობდნენ ამა თუ იმ ტომის კელტური თუ გერმანული სინამდვილისადმი მიკუთვნებისას. თავის მხრივ, თანამედროვე ისტორიკოსები ბევრს საუბრობენ ანტიკური ეთნიკური კონსტრუქციების არადამჯერებლობაზე. არქეოლოგიური თვალსაზრისითაც დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ მდინარე რაინი, რომელსაც რომაელები (იულიუს კეისრის გავლენით) კელტური და გერმანული სამყაროს წყალგამყოფად აღიქვამდნენ, ეთნიკური თვალსაზრისით საზღვარს სულაც არ წარმოადგენდა (46, 98). აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ძველი გერმანული და კელტური ისტორიული სინამდვილეების რაობისა და ფორმირების საკითხები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა შევისწავლოთ[1]. ასეთი მიდგომით, ვფიქრობთ, უფრო ნაკლებად მოვექცევით ანტიკური

---

[1] *უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც XX საუკუნის II ნახევარში ჩატარებული გამოკვლევებიდან გაირკვა, ევროპის ცენტრალური, ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (ანუ ის ტერიტორია, რომელსაც ანტიკური ხანის ავტორები ტრადიციულად ძველი გერმანელებისა და კელტების ადგილსამყოფლად განიხილავდნენ) რკინის ხანაში არა მხოლოდ გერმანელებისა და კელტების, არამედ სხვა ეთნო-ლინგვისტური სინამდვილეების (მაგალითად, ბელგების, ე.წ. „ალტერნატიული გერმანელების", "ჩრდილო-დასავლეთის ბლოკის ხალხების" და სხვა) გავრცელების არეალსაც წარმოადგენდა.*

ავტორის სტილი დაცულია

სტერეოტიპების გავლენის ქვეშ და უფრო ადვილად გავყვებით კვლევის თანამედროვე ტენდენციებს.

ტერმინ „ეთნოგენეზი“ კი ნაშრომში პირობითი[2] მნიშვნელობით გამოიყენება იმ მრავალფეროვანი სამეცნიერო დისკურსების გასაერთიანებლად, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო თემას უკავშირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძველ გერმანელებსა და კელტებს ანტიკური ხანის ავტორები ეთნიკურ ჯგუფებად თვლიდნენ. ასეთივე მიდგომა იყო პრიორიტეტული XX საუკუნის II ნახევრამდე. მართალია, ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნათელია, რომ ამგვარი ხედვა გადასინჯვას საჭიროებს, მაგრამ, ვფიქრობთ, როდესაც მიზნად ანტიკური ხანის „ბარბაროსულ სამყაროში” არსებული სინამდვილეების (გერმანია, კელტიკა, თრაკია, სარმატია და სხვა) რაობისა და ფორმირების საკითხების კვლევას ვისახავთ, ნაშრომს მაინც ***ეთნოგენეზის პრობლემა*** უნდა ვუწოდოთ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის საბოლოო შედეგებმა, შესაძლოა, სულაც არ დაგვანახოს რეალური ეთნოგენეზის პროცესი. ვფიქრობთ, განსახილველი ობიექტის დაკონკრეტება და საკითხის ისტორიოგრაფიაში არსებული კვლევის მიმართულებების შეჯერება მხოლოდ ამგვარი სათაურის ქვეშ შეიძლება.

დაზუსტებას მოითხოვს ნაშრომის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჩარჩოებიც. ნაშრომის ქვემო ქრონოლოგიური ზღვარი საკმაოდ დაბალია. ვინაიდან ძველი გერმანელებისა და კელტების ისტორიის ადრეულ ეტაპს ინდოევროპულ სიძველეებს უკავშირებენ. შესაბამისად, ნაშრომის I თავში ევროპის „ინდოევროპიზაციასა” და გერმანიკულ-კელტური ენობრივი ოჯახის „პროტოინდოევროპულთან” მიმართებაზე მსჯელობას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ (ანუ წერილობითი წყაროების საშუალებით ცნობილ) გერმანელებთან და კელტებთან მისი (ე.ი. „პროტოინდოევროპული” სიძველეების) კავშირი არცთუ ცალსახაა. ნაშრომში ინდოევროპეისტიკის საკითხების ჩართვა რამდენიმე გარემოებამ განაპირობა:

1) ძველი გერმანელებისა და კელტების (ისევე, როგორც ინდოევროპული ენობრივი ოჯახის სხვა წარმომადგენლების) ადრეული ისტორია ისტორიოგრაფიაში, ტრადიციულად, ინდოევროპეისტიკის პრობლემების ჭრილში განიხილება;

---

[2] *ამ ტერმინს პირობითს იმიტომ ვუწოდებთ, რომ დღევანდელი გადასახედიდან სულაც არ არის ცალსახა, რომ ძველი გერმანელები და კელტები ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენდნენ.*

ავტორის სტილი დაცულია

2) ეს (ანუ ინდოევროპეისტიკის) საკითხები იმ საწყისი ეთნო-ლინგვისტური „უჯრედების" შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა, რომლების საფუძველზეც ძველი გერმანული და კელტური ისტორიული სინამდვილე ჩამოყალიბდა;

3) ეთნოგენეზის საკითხებისთვის მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების ანალიზისას მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

მაშასადამე ინდოევროპეისტიკის საკითხები ნაშრომში, პირველ რიგში, ისტორიოგრაფიული დისკურსებისა და კონსტრუქციების ანალიზის მიზნით არის ჩართული. მისი წყალობით ის თეორიული ბაზისიც განიხილება, რომელსაც "ეთნოგენეზოლოგია"[3] უნდა დაეფუძნოს. გამოგმდინარე იქიდან, რომ ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ეთნოგენეტიკური კვლევების XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი სამეცნიერო პარადიგმის რევიზიაა, მისი "ინდოევროპული სიძველეებისგან" მოწყვეტა შეუძლებლადგვეჩვენება.

ნაშრომის ზემო ქრონოლოგიურ ზღვარს კელტების შემთხვევაში - ძვ. წ. III, გერმანელების შემთხვევაში კი ახ. წ. II საუკუნე წარმოადგენს. ძვ. წ. III-II საუკუნეებში კელტურ სამყაროში ინტენსიურ სოციალურ ძვრებსებს აქვს ადგილი; ძველი გერმანელების სინამდვილეში კი ახ. წ. III საუკუნიდან უმნიშვნელოვანეს ეთნიკურ ძვრებს აქვს ადგილი: ყალიბდება ახალი მსხვილი გაერთიანებები (მაგალითად, ალემანები და ფრანკები), წყაროებში თითქმის ორჯერ იზრდება გერმანული ეთნონიმების რიცხვი. შესაბამისად, ვფიქრობთ, ძველ გერმანულ სინამდვილეში ამ და მის შემდგომ პერიოდში მიმდინარე ეთნიკური პროცესები დამოუკიდებელ კვლევის ობიექტად უნდა განვიხილოთ.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩვენს ინტერესს ძირითადად ევროპის ცენტრალური, ჩრდილოეთი და დასავლეთ ნაწილი, ანუ ძველი გერმანელებისა და კელტების ისტორიული განსახლების არეალი იმსახურებს, თუმცა ნაშრომში, ინდოევროპელი „ხალხების" მიგრაციების განხილვისას, უფრო ფართო სივრცეზეც მოგვიწევს მსჯელობა.

ვფიქრობთ, ნაშრომის ამ ნაწილშივე უნდა აღვნიშნოთ საკვლევი თემის აქტუალობის შესახებ. ანტიკური ხანის ევროპის ე.წ. „ბარბაროსი" ხალხების

---

[3] *ტერმინს "ეთნოგენეზოლოგია" რუსი მკვლევრის ვ. ალექსეევის გავლენით ვიყენებთ. ამ ტერმინის გამოყენებით ავტორი ცდილობს ეთნოგენეზის საკითხების შესწავლას დამოუკიდებელი დისციპლინის სახე მისცეს (228, 13).*

ავტორის სტილი დაცულია

შესწავლა დღემდე ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ ისინი დღემდე ბერძნულ-რომაული სამყაროს ჩრდილში არიან მოქცეული. მათ შესახებ შექმნილი ნაშრომების დიდი ნაწილი სქემატური ხასიათისაა და დღემდე ანტიკური სტერეოტიპების მნიშვნელოვან გავლენას განიცდის(ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით შესავლის მეოთხე პარაგრაფში ვიმსჯელებთ). XX საუკუნის II ნახევარში ეს ხარვეზები ყველასათვის ნათელი შეიქმნა. შესაბამისად, ამ კუთხით ჩატარებული კვლევები თემატურად და მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა.მნიშვნელოვნად შეიცვალა სამეცნიერო პარადიგმა, რომლის საფუძველზეც მანამდე ანტიკური ხანის "ბარბაროს" ხალხებს სწავლობდნენ.ვფიქრობთ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, „ბარბარიკუმის" ორი ისტორიული სინამდვილის(ანუ გერმანიისა და კელტიკის) რაობისა და გენეზისის შესახებ მსჯელობა სრულად ეხმიანება კვლევის თანამედროვე ტენდენციებს. მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც „ბარბარიკუმის" შესასწავლად, ისე ძველი პერიოდის ეთნიკური ისტორიის კვლევის მეთოდების დასახვეწად.

ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შედარებით-ისტორიული მეთოდის საფუძველზე ჩატარებული ეთნოგენეტიკური გამოკვლევები მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს (ერთგვარ „ნაღმს") წარმოადგენენ, რასაც ცალსახად ადასტურებს ის როლი, რომელიც მათ (ე. ი. ამ ტიპის კვლევებს) ბასკონიის, ბალკანეთის, აფრიკის, შრი-ლანკის და სხვა რეგიონის ხალხების სეპარატისტულ მოძრაობაში უჭირავს.

ამ მხრივ გამონაკლისს არც გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა წარმოადგენს. მათი წარმომავლობის საკითხმა ნაციონალისტური ელფერი ჯერ კიდევ ჰუმანიზმისა და რომანტიზმის ეპოქაში შეიძინა. ეს ელფერი მას არც შემდგომ პერიოდებში დაუკარგავს. გერმანელების შემთხვევაში ამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, XIX საუკუნის II ნახევრისა და ნაციონალ-სოციალისტური ისტორიოგრაფიის ხსენებაც საკმარისი იქნება. კელტების შემთხვევაში კი უნდა ითქვას, რომ ის იდეოლოგიური როლი, რომელიც ბრიტანეთის კელტი ხალხების ეროვნულ მოძრაობას მათი საერთო წარმომავლობის იდეამ მისცა, მას დღემდე არ დაუკარგავს. შესაბამისად, თანამედროვე კელტოლოგიისთვის აქტუალური ბევრი პრობლემა (მაგალითად „პროტოკელტური" სინამდვილის ეთნიკური თვალსაზრისით რაობის საკითხი) ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დღემდე მნიშვნელოვან გავლენას

ავტორის სტილი დაცულია

ახდენს.

პოლიტიკური და იდეოლოგიურიმიზნებით ეთნოგენეზის საკითხების ასე ფართოდ გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობთ, ის ხარვეზებია, რომლებიც პრობლემების შესახებ მეცნიერულ მსჯელობას ახასიათებს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის თანამედროვე ტენდენციების საფუძველზე ჩატარებულ ეთნოგენეტიკურ კვლევას ერთგვარი ზოგადსაკაციბრიო სამშვიდობო მისიაც აკისრია.

§ 2. წყაროების მიმოხილვა

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტია. შესაბამისად, მის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა მეცნიერებისა და მეცნიერული დისციპლინის საშუალებით ვღებულობთ. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიული, ეთნოლოგიური, ლინგვისტური (მასთან ერთად ჰიდრო-ტოპონიმიკის, ონომასტიკის, ლინგვოგეოგრაფიის, სოციოლინგვისტიკის) და არქეოლოგიური მონაცემები იმსახურებს. საკამათოა ფიზიკური ანთროპოლოგიისადა ფოლკლორისტიკის მნიშვნელობა. მათ (ე.ი. სხვადასხვა ტიპის წყაროების) შესახებ მსჯელობა გამოკვლევის I და II თავებში ეთნოგენეზის საკითხების კვლევისთვის მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების ანალიზისას გვექნება. აქ კი მხოლოდ წერილობითი წყაროების აღნუსხვით შემოვიფარგლებით.

ვინაიდან, ძველი გერმანელებისა და კელტების ისტორიის ადრეული ეტაპი წერილობითი წყაროების ყურადღების ცენტრში მოექცა, მათ წარმომავლობაზე მსჯელობისას ანტიკური ხანის ავტორების თხზულებებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა[4].

წერილობითი წყაროების საშუალებით ხდება ეთნიკური ჯგუფების სახელწოდებების ფიქსაცია და მათი საცხოვრისის გეოგრაფიული ლოკალიზაცია. მათ გარშემო არსებული სტერეოტიპებისა და ისტორიული რეალობის აღდგენა. ეს კი ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას ფასდაუდებელ ინფორმაციას წარმოადგენს.

---

[4] *წინამდებარე ნაშრომი, ძირითადად, ანტიკური ხანის წყაროების ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ თარგმანებს ეყრდნობა, თუმცა წყაროების იმ ნაწილების განხილვისას, რომლებსაც ჩვენი კვლევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს მასალა ლათინურ და ბერძნულ ტექსტებთანაა შედარებული.*

ავტორის სტილი დაცულია

თუმცა, წერილობითი წყაროების მონაცემების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა მხოლოდ მათი კრიტიკული ანალიზის შემდეგ შეიძლება. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები ცალკეული გარემოებები, რომლებიც, ერთი მხრივ, კონკრეტული წყაროს, მეორე მხრივ კი - პერიოდის მთელი ისტორიოგრაფიის ტენდენციურობას განაპირობებს. პირველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, თუ როდის, ვის მიერ და რა მიზნით არის შექმნილი ესა თუ ის თხზულება; მეორე შემთხვევაში კი – ის სტერეოტიპული მიდგომები, რომლებიც ზოგადად ანტიკურ ისტორიოგრაფიას ახასიათებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში ძლიერ შეიცვალა დამოკიდებულება ანტიკური ხანის ავტორების მიმართ. თუკი მანამდე მათ ეთნიკურ კონსტრუქციებს მეტ-ნაკლებად ყველა იზიარებდა დღეს, ზოგჯერ, მათ სრულ არაადექვატურობაზეც კი მიუთითებენ (საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით მე-3 პარაგრაფში იქნება მსჯელობა).

წერილობითი ტრადიციის მქონე ძველი მსოფლიოს ხალხებიდან იმ გეოგრაფიულ არეალთან, რომელშიც, სავარაუდოდ, ძველი გერმანელები და კელტები (ან მათი წინაპრები) ცხოვრობდნენ,სხვადასხვა სახის ინტერესიფინიკიელებს, კართაგენელებს, ეტრუსკებს, ბერძნებსა და რომაელებს აკავშირებდათ, თუმცა პირველი ორი მათგანის ჩანაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია[5], მესამესი (ეტრუსკების) დღემდე არ არის გაშიფრული, ამიტომ ამ „ხალხების" (ე.ი. კელტებისა და გერმანელების) შესახებ ჩვენი წარმოდგენა ძირითადად ბერძენი და რომაელი ავტორების ჩანაწერებს ემყარება.

თავდაპირველად ბერძნებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ევროპის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ხალხების შესახებ. ქვეყნის ამ ნაწილს უკავშირდება მითები (მაგ.: ჰიპერბორეებზე), რომლების წიაღშიც რაიმე სახის ისტორიული რეალობის ამოცნობა ყოვლად შეუძლებელია[6].

ამ რეგიონის ეთნიკური ჯგუფების შესახებ მეტ-ნაკლებად დამაჯერებლი

---

[5] *თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ზოგიერთი ბერძენი ავტორის თხზულება, სხვა წყაროებთან ერთად, კართაგენულ პერიპლებსაც ეყრდნობა.*

[6] *აქვე უნდა ითქვას, რომ ძალიან ლოგიკურად გვეჩვენება კელტების ეთნიკურ ისტორიასთან კიმერიელების დაკავშირება (ამ საკითხს IV თავში დეტალურად შევეხებით). აქედან გამომდინარე კიმერიელების შესახებ ელინ ავტორებთან დაცული კანტი-კუნტი ცნობები ჩვენთვის დიდ მნიშვნელობას იძენს. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად კელტოლოგიაში ისინი ნაკლებად ფიგურირებენ.*

ავტორის სტილი დაცულია

ცნობები ბერძნებმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში საფრანგეთისა და ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროების კოლონიზაცია დაიწყეს. კელტებზე პირველი ცნობებიც ამ დროიდან მომდინარეობს. დაახლოებით ძვ.წ. 530 წლით თარიღდება ანონიმური ბერძნული წყარო, რომელიც (რამდენიმე რედაქციის შემდეგ) ახ.წ. IV საუკუნეში აფრიკის პროკონსულ ფესტუს ავიენუსის თხზულებას - „Ora maritima"- უდევს საფუძვლად. ამ პოემაში საკმაოდ დამაჯერებლად არის აღწერილი ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომების განლაგება. ადრეული პერიოდის ავტორებიდან ასევე ყურადღებას იმსახურებენ ჰეკატეოს მილეტელი და ჰეროდოტე[7], თუმცა კელტების შესახებ მათი ცნობები ძალზე მწირია, მათი მნიშვნელობა კი არაერთგვაროვნადაა შეფასებული.

შედარებით უფრო ფართო ხასიათი აქვს ძვ. წ. IV-III საუკუნეების ბერძენი ავტორების: პითეას მასალიელის, ეფორეს, თეოპომპეს, ქსენოფონტეს, იერონიმე კარდიელის, პლატონის, არისტოტელესა და სხვათა ცნობებს, რის მიზეზიც ამ პერიოდში კელტების ექსპანსიის გაძლიერებაა. განსაკუთრებული ყურადღება ქსენოფონტეს ცნობებს ექცევა, რომელშიც სიცილიელების მოკავშირე კელტი მოქირავნეებია ნახსენები, თუმცა მისი მონაცემებიც (ავიენუსის, ჰეკატეოსისა და ჰეროდოტეს მსგავსად) ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. საბედნიეროდ, იმავეს ვერ ვიტყვით ძვ.წ. II-I საუკუნეების ავტორების პოლიბიოსისა და განსაკუთრებით,პოსიდონიოსის შესახებ.

პოლიბიოსი ძირითად ყურადღებას კელტების ისტორიასა და გეოგრაფიას უთმობს, თუმცა მას ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებიც მოეპოვება. პოსიდონიოსი კი (რომლის თხზულებაც პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორიის" გაგრძელებას წარმოადგენს) მათი სამყაროს თითქმის ყველა ასპექტს ეხება. თანამედროვე ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ პოსიდონიოსის ისტორიის 23-ე წიგნში კელტების (განსაკუთრებით კი მათი ყოფა-ცხოვრების) შესახებ უზარმაზარი ინფორმაცია იყო თავმოყრილი, რომლითაც შემდგომში ე.წ.

---

[7] *საჭიროდ არ მიგვაჩნია გამოკვლევის შესავალი ნაწილის „დამძიმება“ ანტიკური ხანის ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების ბიოგრაფიისა და შემოქმედების განხილვით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ თხზულებებს კელტებისა და ძველი გერმანელების ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესასწავლად (კელტების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების ცნობები დეტალურად II თავის მესამე პარაგრაფშია განხილული).*

ავტორის სტილი დაცულია

„პოსიდონიოსის ტრადიციის" მიმდევარი ავტორები[8]: დიოდორე სიცილიელი, სტრაბონი, იულიუს კეისარი, ციცერონი, პომპენიუს მელა, ლუკიანე სამოსელი, პლინიუს უფროსი, სვეტონიუსი, ტაციტუსი, იუსტინე და ამიანე მარცელინე სარგებლობდნენ (201, 177). მათ შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია იულიუს კეისარი, რადგან მის თხზულებაში კელტებზე დასკვნები ავტორისეულ დაკვირვებებსაც ემყარება; ასევე ახ. წ. II საუკუნის ავტორი იუსტინე, რომელიც, სავარაუდოდ, ოქტავიუს ავგუსტუსის ხანის გალი ისტორიკოსის,პომპეუს ტროგუსის, ცნობებს ეყრდნობა.

პოსიდონიოსის – გარდა „ანტიკურ კელტოლოგიაში" ვხვდებით მეორე, ე.წ. „ალექსანდრიულ ტრადიციას", რომელსაც შედარებით გვიანდელი პერიოდის ავტორები: დიონ ქრიზოსტომი, იპოლიტე, დიოგენ ლაერტიელი და პოლისტაგორე წარმოადგენენ. კელტების შესახებ მათი ცნობები საფუძვლად უდევს ადრეული პერიოდის ეკლესიის მამების: კლემენტ ალექსანდრიელის, კირილესა და ორიგენეს თხზულებებს[9] (201, 180). ამ ტრადიციის ისტორიკოსები შედარებით გვიანდელ წყაროებს ეყრდნობიან და მათ ცნობებს კელტების გენეზისზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.

აქვე უნდა ვთქვათ პლუტარქესა და ტიტუს ლივიუსის შესახებ, რომლებიც, როგორც ჩანს, კელტების შესახებ ინფორმაციას ზემოთხსენებული ისტორიკოსებისგან განსხვავებული წყაროებიდან იღებდნენ. პლუტარქე მათზე გაიუს მარიუსისა და იულიუს კეისრის ბიოგრაფიებში საუბრობს, ტიტუს ლივიუსი კი - თავისი „ისტორიის“ მეხუთე წიგნში. მას მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება გალების წარმოშობისა და ძვ. წ. IV-III საუკუნეებში მათ მიერ ჩატარებულილაშქრობების შესახებ[10].

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ნაშრომი კელტების შესახებ ანტიკური ეთნიკური კონსტრუქციების ანალიზს ისახავს და არა მათი მთელი ისტორიის რეკონსტრუქციას ჩვენი ყურადღების ცენტრში უმთავრესად ის

---

[8] *ანუ ისტორიკოსები, რომლების თხზულებებში კელტების შესახებ დაცული ცნობები, ძირითადად, პოსიდონიოსის თხზულებიდანაა „კოპირებული".*

[9] *უნდა ვახსენოთ წმინდა იერონიმეც, რომელიც ცნობას გვაწვდის IV საუკუნეში გალებისა და მცირე აზიის გალატების სალაპარაკო ენის მსგავსების შესახებ. ეს ცნობა ისტორიოგრაფიაში არაერთხელ გამხდარა ფართო განხილვის ობიექტი.*

[10] *კელტებს, ანტიკური პერიოდის ბევრი სხვა მწერალიც ახსენებს, თუმცა მათი თხზულებებისთვის წყაროს ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები წარმოადგენენ.შესაბამისად, კელტოლოგიაში მათი სახელები ნაკლებად ფიგურირებს.*

ავტორის სტილი დაცულია

წყაროები ექცევა, რომლებსაც კელტური სინამდვილის ფორმირებაზე მსჯელობისას აქვს დიდი მნიშვნელობა. ასეთთა რიცხვში უნდა, ერთი მხრივ უნდა მოვიხსენიოთ ავტორები, რომელთა სახელსაც კელტების პირველი მოხსენიება უკავშირდება, მეორე მხრივ კი ისტორიკოსები, რომლებიც კელტურ სამყაროში ძვ.წ. IV – III საუკუნეში მიმდინარე მიგრაციებს ასახავენ.დიდი მნიშვნელობა აქვს იულიუს კეისარსაც, რომელსაც თავად მოახდინა ძირეული გარდატეხა კელტურ სამყაროს სურათის შექმნაში.

წერილობით წყაროების განხილვისას ასევე შეგვეძლო გვეხსენებინა შუა საუკუნეების ირლანდიური ქრონიკები (მაგალითად ე. წ. „მიგრაციათა წიგნი", სადაც ძველი პერიოდის ირლანდიაში მიმდინარე მიგრაციული პროცესებია აღწერილი) და სამართლის ძეგლები (როგორც წყარო კელტური საზოგადოებების სტრუქტურის შესახებ), თუმცა მიგვაჩნია, რომ კვლევის ობიექტისგან ქრონოლოგიურად ასე დაშორებულ მეორად წყაროებზე დაყრდნობა ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას ბევრს ვერაფერს მოგვცემს.

* * * * *

ძველი გერმანელების არსებობის შესახებ ანტიკური ხანის ავტორებმა შედარებით გვიან შეიტყვეს. მათ მხოლოდ ძვ.წ. II საუკუნის მიწურულს შენიშნეს, რომ ისინი კელტებისგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ პირველი მიგნებები პოსიდონიოსთან, გაიუს კრისპუს სალუსტიუსთან და ლუციუს ანეუს ფრონტინთან გვხვდება. უფრო სისტემურ მსჯელობას კი იულიუს კეისარი გვთავაზობს, რომლის თხზულებაც გერმანელების შესახებ არსებულ წყაროებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა[11].

უფრო ადრეული პერიოდის ავტორებიგერმანელებს არ ახსენებენ, მაგრამ ფრაგმენტულ ცნობებს გვაწვდიან ჩრდილოეთ ევროპის შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, ძველი გერმანელების ეთნიკურ ტერიტორიას წარმოადგენდა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ძვ.წ. IV საუკუნის მოგზაური პითეას მასალიელი იმსახურებს. მისმა თხზულებამ ჩვენამდე პოლიბიოსთან, სტრაბონთან, დიოდორე სიცილიელთან და სხვებთან დაცული ექსცეპტების სახით მოაღწია.

ძველი გერმანელების მიმართ ანტიკური ხანის ავტორების ყურადღება

---

[11] *ძველი გერმანელების შესახებ ანტიკური ხანის წყაროების უფრო დეტალური განხილვა იხ. III თავის მესამე პარაგრაფში.*

ავტორის სტილი დაცულია

განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც მათ რომაელებთან ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტებში მოუხდათ ჩაბმა. ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ავტორები, რომლებმაც ძველი გერმანელების ყოფის საკმაოდ სრულყოფილი აღწერილობა დაგვიტოვეს. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას უკვე ხსენებულ იულიუს კეისართან ერთად სტრაბონი, პლინიუს უფროსი და ტაციტუსი იმსახურებენ. მათმა თხზულებებმა მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გერმანელების შესახებ რომაელთა წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. მათ ნაშრომებს გარკვეულწილად ავსებს ახ. წ. II საუკუნის ავტორების: კლაუდიუს პტოლემაიოსის, ფლორუსის, აპიანეს, ელიას ჰეროდიანეს, ამპელიუსის, დიონისიუს პერიაგეტის, არიანეს, ავლუს გელიუსის და სხვების თხზულებები (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძველი გერმანელების შესახებ მეტად ფრაგმენტულ ცნობებს შეიცავენ).

ახ. წ. III საუკუნიდან გერმანელების ყოფაში მეტად მნიშვნელოვან ეთნიკურ ძვრებს აქვს ადგილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ და მისი შემდგომი ხანის ეთნიკური პროცესები წინამდებარე გამოკვლევის ინტერესის სფეროში არ შედის.

აქვე შეიძლებოდა გვეხსენებინა ახ. წ. III-VI საუკუნეების ზოგიერთი ავტორის თხზულება, რომლებიც ძვ. წ. I და ახ. წ. I-II საუკუნეების გერმანიის შესახებ შეიცავს ინფორმაციას. მაგალითად, იორდანეს „გეტიკა", პავლე დიაკვანის „ლანგობარდების ისტორია" და სხვა. თუმცა, ვფიქრობთ, სავსებით შეგვიძლია დავეთანხმოთ ვ. გოფარტს იმის შესახებ, რომ ისინი წყაროს "ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქისთვის წარმოადგენენ"და არა უფრო ძველი პერიოდისთვის (102, 42).

იმავე მიზეზით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს ძველი გერმანული ეპოსის (მაგალითად, „ბოევულფისა" და „უფროსი ედის" და ე.წ. „ბარბაროსული სამართლის" ძეგლების (მაგალითად, ისეთების, როგორიცაა სალიკური სამართალი, ალემანური სამართალი, რიპუარული სამართალი და ა.შ) მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ გარშემო არსებული სამეცნიერო დისკურსი ადვილად შეიძლება განვაზოგადოთ მთლიანად ანტიკურ ისტორიოგრაფიაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომი მიზნად ძველი გერმანელების შესახებ ანტიკური ეთნიკური კონსტრუქციების ანალიზს ისახავს და არა მათი მთელი

ავტორის სტილი დაცულია

ისტორიის რეკონსტრუქციას ჩვენი ყურადღების ცენტრში უმთავრესად ის წყაროები ექცევა, რომლებსაც გერმანული სინამდვილის ფორმირებაზე მსჯელობისას აქვს დიდი მნიშვნელობა. ასეთთა რიცხვში, პირველ რიგში უნდა, მოვიხსენიოთ იულიუს კეისარი და კორნელიუს ტაციტუსი, რომლის ცნობებიც სტაბონისა, გაიუს ველეიუს პატერკულუსისა და პლინიუს უფროსის თხზულებების ფონზე უნდა განვაზოგადოთ.

§ 3. საკითხის ისტორიოგრაფია

ძველი გერმანელებისა და კელტების წარმომავლობის პრობლემას საკმაოდ ფართო ისტორიოგრაფია აქვს, რომელიც სხვადასხვა ისტორიული ეპოქის კუთვნილებას წარმოადგენს. იგი მრავალწახნაგოვანი კვლევის ობიექტია. თანამედროვე მეცნიერები მას არაერთგვაროვნად უყურებენ. ყოველივე ამის გამო ძალზე ჭირს იმის განსაზღვრა, თუ რა შეიძლება ჩავთვალოთ საკითხის ისტორიოგრაფიად.

წინამდებარე პარაგრაფში დახასიათებულია კელტებისა და გერმანელების სიძველეების შესწავლის ეტაპები; განხილულია პარადიგმული ცვლილებები, რომლებიც საკითხის ისტორიოგრაფიაში პერიოდულად ხდებოდა; დასახელებულია შესაბამისი ეპოქისათვის აქტუალური თემები და კვლევის ტენდენციები. ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემისათვის მნიშვნელოვანი ცალკეული საკითხების (მაგალითად, კელტური ენების შესწავლის ისტორია, გერმანული არქეოლოგიის განვითარება და სხვა) ისტორიოგრაფიას კი უფრო ფართოდ გამოკვლევის იმ ნაწილში განვიხილავთ, სადაცამის თემატური აუცილებლობა იქნება.

ანტიკურ და ადრეული შუასაუკუნეების ევროპაში ეთნოგენეზის საკითხები თანამედროვეობისგან განსხვავებულად ესმოდათ, თუმცა გერმანულ და კელტ ტომებზე მსჯელობისას ბერძენი და რომაელი ავტორები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მათ ზეპირ გადმოცემებს, მიგრაციებს, ერთმანეთთან მიმართებას, გეოგრაფიულ ლოკალიზებას და სხვა საკითხებს, რაც მათ გერმანელებისა და კელტების გენეზისით დაინტერესებაში შეგვიძლია ჩამოვართვათ.

გენეზისის საკუთარი ვერსიები თავად ანტიკური ხანის გერმანულ და კელტურ ტომებსაც ჰქონდათ, მაგრამ მათ ჩვენამდე იმდენად სახეცვლილი ფორმით მოაღწიეს, რომ ხშირად ძნელი გასარჩევია ანტიკური პერიოდის ავტორების თხზულებებში დაფიქსირებული ჰიპოთეზები ჩვენთვის საინტერესო

ავტორის სტილი დაცულია

ხალხის სინამდვილიდან მომდინარეობს, თუ ბერძენ-რომაელი ავტორების ლოგიკურ დასკვნებს ემყარება.

კელტების შემთხვევაში ორი ასეთი ვერსია მოგვეპოვება. პირველი მათგანი ტიტუს ლივიუსის, მეორე კიამიანე მარცელინეს თხზულებაშია დაცული. ლივიუსის მიხედვით, კელტები საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილიდან მომდინარეობენ (10, 109), მარცელინეს მიხედვით კი – ჩრდილოეთი ზღვის კუნძულებიდან (48, 298). გვაქვს, ასევე, უფრო მითოლოგიური შინაარსის ვერსიები, რომლებსაც ანტიკური ავტორები (მაგალითად, დიოდორე სიცილიელი) და შუა საუკუნეების ირლანდიური თხზულებები (მაგალითად, ე.წ. „მიგრაციათა წიგნი") გვთავაზობენ (ამ ვერსიების უფრო დეტალური განხილვა იხ. II თავის მესამე პარაგრაფში).

ძველი გერმანელების წარმოშობის შესახებ ანტიკურ სამყაროში აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობდა. ამ მხრივ, ჩამოყალიბებულ ვერსიას ტაციტუსი გვაწვდის. იგი ხაზს უსვამს გერმანიის კლიმატური პირობების სიმკაცრეს და ამ ხალხს ავტოქტონ მოსახლეობად თვლის (8, 39). იმავე ტაციტუსს დაცული აქვს, სავარაუდოდ, თავად გერმანული სინამდვილიდან მომდინარე ცნობა ღმერთ ტუისტონის, მის შვილ მანისა და მისგან მომავალი ეპონიმების შესახებ, რომლებმაც სათავე მსხვილ გერმანულ გაერთიანებებს: ერმიონებს, ინგვეონებსა და ისტვეონებს დაუდეს (8, 40). მათი ისტორიის ადრეული ეტაპის შესახებ შედარებით მეტი ინფორმაცია მოიპოვება გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის იმ ავტორების თხზულებებში, რომლებიც კონკრეტულ ტომებს, მაგალითად, გოთებს (იორდანე), ლანგობარდებს (პავლე დიაკვანი) და სხვა. შეეხება, თუმცა აქ ცალკეული გერმანიკული ეთნიკური ჯგუფების გენეზისზე ვხვდებით მსჯელობას და არა მთლიანად ძველგერმანულ სინამდვილეზე.

ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებში გერმანელებისა და კელტებისსიძველეებისადმი ინტერესი საგრძნობლად შენელდა[12]. ძველი გერმანელების სახელი შეიძლება ითქვას, რომ დავიწყებასაც კი მიეცა. ჩრდილოეთ ევროპაში არსებულ არქოლოგიურ არტეფაქტებს (მაგალითად,

[12] *თუმცა, ამ მხრივ გალდფრიდ მონმაუთელი და ჯერალდ კამბრეელი რიგ შემთხვევებში საკმაოდ საინტერესო დასკვნებს გვთავაზობენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ძირითადად სწორედ შუა საუკუნეებში იქმნება ირლანდიური ლიტერატურა, რომელსაც კელტური სინამდვილის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.*

ავტორის სტილი დაცულია

მეგალითურ სამარხებს), ამ პერიოდის ისტორიკოსებიც კი (მაგალითად საქსონ გრამატიკოსი) დემონების შემოქმედებად განიხილავდნენ და არა ისტორიის ნაწილად (205, 199). თუმცა, ჰუმანიზმისა და რომანტიზმის ეპოქაში, ამ მხრივ, მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა. ამ პერიოდიდან თანდათან ეყრება საფუძველი გერმანელებისა და კელტების გენეზისის საკითხის მეცნიერულ შესწავლას. ამ პერიოდიდან საკითხის ისტორიოგრაფია, ვფიქრობთ, შეგვიძლია შემდეგ ძირითად ეტაპებად დავყოთ:

1) XV საუკუნიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე პერიოდი;

2) XIX საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 70-80-იან წლებამდე პერიოდი;

3) XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდი;

4) პერიოდი, რომელიც XX საუკუნის 60-70 - იანი წლებიდან იწყება და დრემდე გრძელდება.

<u>პირველი ეტაპი</u> ჰუმანიზმის, რეფორმაციის, განმანათლებლობისა და რომანტიზმის ეპოქებს უკავშირდება. ამ პერიოდში გერმანელებისა და კელტების წარმომავლობის შესწავლა ნაციონალისტურ მოსაზრებებთან იყო დაკავშირებული.

ამ პროცესს სათავე 1451 წელს ჰერსფილდის მონასტერში ტაციტუსის თხზულება "გერმანიის" აღმოჩენამ დაუდო. მისი წყალობით, მანამდე პრაქტიკულად დავიწყებული ძველი გერმანელები ფართო შესწავლის ობიექტად იქცნენ. ამავე პერიოდში შეიქმნა თხზულებები, რომლებიც შეგვიძლია ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემის შესწავლის სათავეებთან დავაყენოთ. მაგალითად, ლუთერის თანამებრძოლმა ფილიპე მელანქტონმა შეისწავლა ტაციტუსთან მოხსენიებული გერმანული ტომების განლაგება, ფილიპე კლიუვერმა კი 1616 წელს სცადა შეეკრიბა ძველი გერმანელების შესახებ ანტიკური ხანის ავტორებთან დაცული ყველა ცნობისთვის (205, 202).

გერმანელების თემის წინ წამოწევამ ანტიკური ხანის სხვა ბარბაროსი ხალხების (კელტების, სკვითების, დაკო-გეტების და სხვა) თემის აქტუალიზებაც გამოიწვია. შესაბამისად, ამავე პერიოდიდან იღებს სათავეს დისკუსია ანტიკურ წყაროებში დაფიქსირებული ცალკეული ტომების ეთნიკური კუთვნილების შესახებ.ამის საილუსტრაციოდ ფრანკების წარმომავლობის გარშემო არსებული დისკუსია გამოდგება.

XV-XVI საუკუნეებში საეკლესიო დოკუმენტებში მოხსენიებული

ავტორის სტილი დაცულია

ადმინისტრაციული ერთეულების: გალიისა და გერმანიის გვიანშუასაუკუნეების საფრანგეთთან და გერმანიასთან გაიგივების ტენდენცია არსებობდა. ამ ფონზე კი ფრანკების გალური, გერმანული, თუ რომაული სინამდვილისადმი მიკუთვნება პრინციპული მნიშვნელობის საკითხიიყო. ფრანკების გალებთან გაიგივების თეორიას იცავდნენ: ეტიენ პასკვიერი, ოდიჟიერი და სხვა ჰუმანისტები. მაშინ, როცა ჟან დანიელი, ჟან დე ტილე და სხვები მათი გერმანელებად მიჩნევისაკენ მიისწრაფოდნენ (212, 79).

კელტური სიძველეებით დაინტერესებამ საყოველთაო ხასიათი XVIII საუკუნეში მიიღო. ამ პროცესს სათავე, შეიძლება ითქვას, რომ ალან რამსეიმ და ჯეიმს მაკფერსონმა დაუდეს.განსაკუთრებით დიდია ამ უკანასკნელის წვლილი. ისმიერ 1761-1763 წლებში გამოქვეყნებულმა კელტი ბარდის ოსიანის პოემებმა და მათ გარშემო გაჩენილმა დისკურსმა კელტურ სამყაროს საყოველთაო აღიარება მოუტანა (54, 124). ამავე პერიოდიდან ვხვდებითანტიკური ხანის კელტების თანამედროვე ირლანდიელებთან, უელსელებთან, ბრეტონელებთან და სხვა კელტური ენობრივი ოჯახის თანამედროვე წარმომადგენლებთან დაკავშირების მცდელობებს. ეს იდეა განსაკუთრებულად პოპულარული XVIII საუკუნის II ნახევარში შეიქმნა. იგი ინგლისელების წინააღმდეგ მებრძოლი ბრიტანეთის კელტი ხალხების ხელში მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად იქცა.

რეფორმაციის, ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის ეპოქაში ძველი გერმანელებისა და კელტების შესწავლა სხვა მიმართულებითაც წარიმართა. კერძოდ, XVI საუკუნიდან დაიწყო არქეოლოგიური არტეფაქტების მოგროვება, XVII საუკუნის მეორე ნახევარში, კი თანდათან ჩამოყალიბდა ენობრივი ნათესაობის კონცეფცია და ამ კუთხით რიგი ევროპელი ხალხების სიძველეები ერთმანეთს დაუკავშირდა. თანდათან გამოიკვეთა გერმანიკული და კელტური ენობრივი ოჯახის არსებობის იდეა (კელტური და გერმანიკული ენების შესწავლის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. II თავის პირველ და III თავის პირველ პარაგრაფებში).

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ I პერიოდში კელტებისა და ძველი გერმანელების სიძველეების შესწავლის კუთხით გამოკვეთილი ყველა ტენდენცია XIX საუკუნეში კვლევის მიმართულებად იქცა.

<u>II პერიოდი</u> ინდოევროპეისტიკისადა წერილობითი წყაროების კრიტიკულად შესწავლის პრინციპების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

ავტორის სტილი დაცულია

1786 წელს ინდოეთში მოღვაწე ინგლისელმა მოსამართლემ უ. ჯონსმა ევროპის ხალხების ენებსა და ვედურ სანსკრითს შორის ბევრი მსგავსება შენიშნა, რომელთა ახსნაც მან ამ ენებზე მოსაუბრე ხალხების საერთო წარმომავლობით სცადა (173, 20). ამ აღმოჩენამ ევროპული საზოგადოება დიდად დააინტერესა და მთელ რიგ ნოვაციებს დაუდო სათავე. თავად უ. ჯონსი თავის მოსაზრებებს მეცნიერული დასკვნებით არ ამყარებდა, ამიტომ იგი შედარებით-–ისტორიული მეთოდის ფუძემდებლად ვერ ჩაითვლება, თუმცა მისმა იდეებმა ენათმეცნიერების განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. კომპარატივისტიკა მკაცრ სამეცნიერო დისციპლინად XIX საუკუნის 10-იან წლებში ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში კვლევის ლინგვისტური მეთოდების დახვეწა, ძირითადად, სწორედ გერმანიკული ენების შესწავლის საფუძველზე ხდებოდა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ფ. ბოპის, რ. რასკის, ი. და ვ. გრიმების ნაშრომებს ენიჭება.

კომპარატივისტიკის კუთხით კელტური ენების კომპლექსური შესწავლა მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კ. ცეისის ნაშრომს - “კელტური გრამატიკა” და ფ. ბოპის წიგნს - „კულტურული ენები შედარებითი ლინგვისტიკის თვალსაზრისით" (251, 16).

II პერიოდიდან, ასევე, ფართო ხასიათი მიეცა ანტიკური (და არა მხოლოდ ანტიკური) პერიოდიდან მომდინარე წერილობითი წყაროების კრიტიკულ შესწავლას. ამ კუთხით პირველი ნაბიჯები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ჰუმანიზმის ეპოქაში გადაიდგა, თუმცა, ისტორიული კვლევის მეთოდები ლეოპოლდ ფონ რანკეს ძალისხმევით მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება თ. მომზენს, ბ. ნიბურს, კ. მიულერს, გ. ვაიცს და სხვა ისტორიკოსებს მიუძღვით. მათ კელტებისა და გერმანელების წარსულის ამსახველი არაერთი ნაწარმოები გამოსცეს, რითაც, ფაქტობრივად, წყაროთმცოდნეობითი ბაზა შეიქმნა, რომელსაც ამ ხალხის წარმომავლობაზე მსჯელობისას ისტორიული მეცნიერება დღემდე ეყრდნობა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ნაციონალიზმის განვითარებამ, II პერიოდში, ძალზე პოზიტიური გავლენა მოახდინა ძველი გერმანელებისა და კელტების სიძველეების შესწავლაზე. მათი წარმომავლების შესახებ ამ პერიოდში დაგროვილი ენობრივი, არქეოლოგიური და ისტორიული

ავტორის სტილი დაცულია

მასალა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში დღემდე პოპულარული სამეცნიერო კონსტრუქტების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა.

<u>III პერიოდის</u> დასაწყისი XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ნოვაციებთანაა დაკავშირებული. ამ დროიდან გერმანული და კელტური სიძველეები კომპლექსური შესწავლის ობიეტად იქცა. ჩამოყალიბდა კვლევის ინტერდისციპლინური ტრადიცია, რომლის ფარგლებშიც ინდოევროპეისტიკა და ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

პოპულარული გახდა ა. შლაიხერის ლინგვისტური თეორია, რომლის ფარგლებშიც ინდოევროპული ენების დივერგაციის მოდელი "გენეალოგიური ხის" სახით იყო წარმოდგენილი. მის ფარგლებში გამოიყოფოდა "პროტოგერმანიკული", "პროტოკელტური", "პროტოიტალიურ-კელტური" და სხვა მსგავსი ლინგვისტური კონსტრუქტები; შემდეგ კი იწყებოდა მათი შესაბამისი არქეოლოგიური და ფიზიკურ-ანთროპოლოგიური მონაცემების ძიება.

კვლევის ამგვარი მოდელის წარმატებულობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სწორედ ამ პერიოდის არქეოლოგიაში დამკვიდრდა "არქეოლოგიური კულტურის" ცნება და "მიგრაციულ-დიფუზიონისტური მოდელი", რომლის ფარგლებშიც ევროპული პრეისტორია სხვადასხვა წარმოშობის "ხალხების" (ტომების) პერმანენტული მიგრაციების ასპარეზად წარმოჩნდა.

არქეოლოგიაში ამგვარი მიდგომის დამკვიდრება გერმანელი მკვლევრის გ. კოსინას სახელს უკავშირდება. მის განვითარებაში კი მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გორდონ ჩაილდს. სწორედ ამიტომ არქეოლოგები ზემოთ აღწერილ ფორმალურ-ტიპოლოგიურ მიდგომებს, ზოგჯერ "კოსინა-ჩაილდის" მოდელის სახელით იხსენიებენ.

"დიფუზიონისტურ-მიგრაციული" მიდგომების წარმატებულობას ამ პერიოდის ეთნოლოგიაში დამკვიდრებული ხედვაც უწყობდა ხელს. კერძოდ, ლ. მორგანისა და ე. ტაილორის თხზულებათა გავლენით ამ პერიოდის ანთროპოლოგიაში ფართოდ დამკვიდრდა ტომის ცნება, რომელიც პრეისტორიული ეპოქის უმთავრეს სოციალურ უჯრედად გამოცხადდა. ვფიქრობთ არ არის გადაჭარბებული ვ. პ ოლის მოსაზრება, რომელიც აცხადებს, რომ ამ პერიოდში "ტომები"ერთგვარ "მინინაციებად" განიხილებოდა

ავტორის სტილი დაცულია

(169, 19).

საინტერესოა, რომ უკვე XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარშივე არსებობდა კონცეფციები, რომლებიც კვლევის ზემოთ აღწერილ მოდელს ნაკლებად შეესაბამებოდა. მაგალითად, ლინგვისტიკაში ფიგურირებდა ი. შმიდტის "ტალღების თეორია", რომელიც "პროტოენების" ფორმირების პროცესს ა. შლაიხერის გენეალოგიური ხის თეორიისგან განსხვავებულად წარმოაჩენდა; ამავე პერიოდში გამოითქმოდა სკეფსისები ძველ გერმანელებსა და კელტებს შორის არსებული რეალური განსხვავებების შესახებ (205, 102) და სხვა. თუმცა, ეთნოგენეტიკურ კვლევებში მათ პრაქტიკულად არ ითვალისწინებდნენ.

ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ზემოთ აღწერილი კვლევის მოდელი კარგად ეწერებოდა XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სტრუქტურაში. მაგალითად, ძალიან კომფორტული ჩანდა მდინარე რაინის ეთნიკურ წყალგამყოფად გამოცხადება; ფიზიკურ-ანთროპოლიგიური და არქეოლოგიური მონაცემებით რასისტული შეხედულებების არგუმენტირება და სხვა.

ამ პერიოდში ძველი გერმანელების შესახებ ყველაზე უფრო ფართომასშტაბიანი გამოკვლევების ავტორები ფ. დანი, ჰ. ზიბელი და ლ. შმიდტი არიან. მათ თხზულებებში თითქმის ყველა ანტიკური წყაროს მონაცემია გაანალიზებული. კელტების ადრეული ისტორია კი ფ. დე კულანჟის, დ. დე ჟუბენვილის, კ. ჟულიანის, ა. უბერის მონოგრაფიებშია ასახული. მათმა გამოკვლევებმა გერმანისტიკასა და კელტოლოგიაში კვლევის თავისებური ტრადიცია შექმნეს, რომლის გათვალისწინების გარეშე გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის საკითხების კვლევა ყოვლად შეუძლებელია.

აქვე უნდა ვთქვათ მედიევისტი მკვლევრების შესახებ, რომლებიც კეისრისა და ტაციტუსის ეპოქის „ბარბარიკუმში" არსებული სოციალური ინსტიტუტების შესწავლით იყვნენ დაკავებული, მაგალითად: პ. როტი, ვ. ვიტიხი, გ. მაურერი, რ. ზომი და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის ისტორიოგრაფიაში ახალი, <u>IV პერიოდი,</u> დაიწყო. ამ ეტაპზე თანდათან იცვლება სამეცნიერო პარადიგმა, რომელსაც XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორები ეყრდნობოდნენ. არქეოლოგიასა და ანთროპოლოგიაში ჰიპერკრიტიკოსებისა (გ. დანიელი, ს. პიგო) და ნეოარქეოლოგების (ლ.

ავტორის სტილი დაცულია

ბინდორფი, ა. სპოულდინგი, ჯ. ვუდოლი და სხვა) ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად გაიზარდა უნდობლობა კვლევის ტრადიციული პოსტულატების (მაგალითად არქეოლოგიური კულტურის ცნებისა და მიგრაციული სქემების მიმართ); თითქმის საერთოდ გაქრა ფიზიკურ-ანთროპოლოგიური არგუმენტაცია, თუმცა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საგრძნობლად გაიზარდა მოლეკულარული ბიოლოგიის მნიშვნელობა. ლინგვისტიკის შემდგომი განვითარების გამო, გაიზარდა სკეფსისი ტრადიციული ენათმეცნიერული პოსტულატების, მაგალითად, ა. შლეიხერის „გენეალოგიური ხის" თეორიისა და „პროტოენის" ცნების მიმართ. ისტორიულ მეცნიერებაში კი უფრო შესამჩნევი გახდა ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ავტორების ეთნიკური კონსტრუქციების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება. თანამედროვეობაში სულ უფრო იშვიათად გვხვდება მათი თვალთახედვის მეცნიერულ გამოკვლევებში ტრანსლაცია, რაც ადრე საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საკმაოდ გაიზარდა ეთნოლოგიის მნიშვნელობა.

ყოველივე ამის ფონზე სადისკუსიო გახდა ისეთი პრობლემები, რომლებიც ადრე თითქმის ცალსახად გადაწყვეტილად ითვლებოდა. მაგალითად: დასავლეთ ევროპაში კელტურ ენებზე მოსაუბრე ხალხების არაავტოქტონობა; ანტიკური ხანის კელტური საზოგადოების წიაღში თვითიდენტიფიცირების საერთო საშუალებების არსებობა; ძვ. წ. II-I საუკუნეებში გერმანიკულ ენებზე მოსაუბრე ხალხების განსახლების არეალის ლოკალიზება და სხვა. მნიშვნელოვნად შეიცვალა საკვლევი კითხვების ბუნებაც, რასაც, როგორც მართებულად შენიშნავს კ. რენფრიუ, ბოლო დროს გამოცემული წიგნების სათაურებიც ადასტურებს. ინგლისელი მკვლევრის დაკვირვებით, უკანასკნელ წლებში სულ უფრო ნაკლებად გამოდის წიგნები ისეთი სათაურებით, როგორიცაა „ბერძნების მოსვლა ბალკანეთზე", „პრეისტორიული მიგრაციები ევროპაში" და ა.შ (173, 3).სამაგიეროდ, სულ უფრო ხშირად იწერება თხზულებები, რომლის სათაურია "ვინ იყვნენ კელტები?"

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე დისკუსიის ობიექტი გახდა ეთნოგენეტიკური კვლევის მეთოდები. კერძოდ, გადაისინჯა ზემოთ აღწერილი სამეცნიერო პარადიგმა, რომლის ფარგლებშიც ანტიკურ ეთნიკურ კონსტრუქციებს, არქეოლოგიურ კულტურებსა და ლინგვისტურ ცნებებს შორის

ავტორის სტილი დაცულია

ხდებოდა შესატყვისობების ძიება. თანამედროვე მკვლევრები სულ უფრო მეტად გაურბიან ინტერდისციპლინურ მიდგომებს და ცდილობენ ერთი მეცნიერების ფარგლებში ჩაღრმავებული კვლევით შემოიფარგლონ.

კელტოლოგიაში ეს ცვლილებები განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა შესამჩნევი, რაც ერთი მხრივ ა. ტოვარისა და მ. ლეჟენის ძალისხმევით ლეპონტური და კელტ-იბერული წარწერების კელტური ბუნება დადგინდა, მეორე მხრივ კი, პოსტმოდერნულ სტილში (ძირითადად ინგლისელი ავტორების მიერ), კელტურ სიძვლეებთან დაკაშირებული ცნებების დეკონსტრუქცია დაიწყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კ. რენფრიუს, მ. ჩეპმენის, ბ. კანლიფის და სხვათა შემოქმედებას, რომლებმაც კელტური სიძველეების კვლევის ახლებური ტრადიცია დაამკვიდრეს, რომლის გარშემო დღემდე მიმდინარეობს დისკუსიები.

ძველი გერმანელების ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხების შესწავლის თვალსაზრისით გარდატეხა რამდენიმე ნაშრომთანაა დაკავშირებული. კერძოდ, 1961 წელს გამოიცა რ. ვენსკუსის ნაშრომი "ტომობრივი ფორმაცია და კონსტრუქცია, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ ახალ დისკურსს დაუდო სათავე, რომლიც ფარგლებშიც ძველი გერმანელების ეთნო-სოციალური ისტორიის შესწავლა დღემდე მიმდინარეობს. XX საუკუნის 60-80 იან წლებში მისი ნაშრომები არაერთხელ გააკრიტიკეს და ახალი დებულებებით შეავსეს ჰ. ვოლფრამმა, ვ. გოფარტმა, ვ. პოლმა, პ. ემორიმ და სხვა ავტორებმა. ფართო რეზონანსი ჰქონდა ასევე რ. ჰახმანის, გ. კოსაკისა და გ. კუნის თხზულებას "გერმანელებსა და კელტებს შორის მცხოვრები ხალხები".

თანამედროვე მკვლევრები, XX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორებისგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას უთმობენ ცალკეული ტომების შესახებ წერილობითი ტრადიციის შესწავლას, ეთნოგენეზის საკითხისათვის მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური კატეგორიების დამუშავებას, ეს კი ეთნოგენეტიკურ კვლევებს უფრო დამაჯერებელს ხდის და თანამედროვე ისტორიოგრაფიის ანტიკური სტერეოტიპებისგან გათავისუფლებას უწყობს ხელს.ვფიქრობთ, სიახლეები, რომლებიც ჰ. ვოლფრამის და მისი წინამორბედების გამოკვლევებმა გოთების პრობლემის კვლევაში შეიტანა იმის სიმბოლურ მაგალითად შეიძლება გამოდგეს, თუ რა სახით ტრანსფორმირდება ეთნოგენეტიკური კვლევები მასში კვლევის თანამედროვე ტენდენციების

ავტორის სტილი დაცულია

გათვალისწინების შემთხვევაში. ჰ. ვოლფრამის თხზულებებში წარმოდგენილი გოთების ეთნიკური ისტორია აღარაფრით მოგვაგონებსიორდანეს ნარატივს, რომელიც ისტორიოგრაფიაში ლ. შმიდტის გავლენით სამეცნიერო კონსტრუქტუს სახით დამკვიდრდა. შეიძლება ითქვას, რომ აქ ტერმინმა "ეთნოგენეზმაც" ახლებური კონოტაცია შეიძინა (საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. III თავის მესამე პარაგრაფში).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ისტორიკოსებისა და არქეოლოგების ყურადღების ცენტრში ძირითადად გვიანანტიკური ხანა მოექცა.ძვ.წ. I და ახ.წ. I-II საუკუნეები კი (რომელიც XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველი ნახევრის მკვლევრების საყვარელ თემას წარმოადგენდა) შედარებით ჩრდილში მოექცა. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ "ხალხთა დიდი გადასახლების" ეპოქის "ბარბარიკუმის" შესახებ შედარებით მეტი წერილობითი წყარო მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, ზემოთ ხსენებული ნაშრომები თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიოგრაფიას. ვინაიდან, "ბარბაროსული" ევროპის ეთნოსოციალური ისტორიის შესწავლის განვითარება სწორედ მათი წყალობით მოხდა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად სწორედ კვლევის თანამედროვე ტენდენციების ძვ.წ. VI – III (კელტების შემთხვევაში) და ძვ.წ. I – ახ.წ. I-II (ძველი გერმანელების შემთხვევაში) საუკუნეებზე განზოგადებას ისახავს.

§ 4. კვლევის მეთოდები

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემის ისტორიოგრაფიის ანალიზისას, ვფიქრობთ, კარგად გამოჩნდა საკითხის კომპლექსურობა და მრავალწახნაგოვნება. მისი შესწავლა მრავალი მეცნიერებისა და მეცნიერული დისციპლინის ამოცანაა, რომლების მონაცემებიც იშვიათად იძლევა სინქრონული დასკვნების გაკეთების საშუალებას. ეს კი ეთნოგენეზის საკითხების კვლევის მეთოდებს დისციპლინათშორისი დისკუსიის ობიექტად აქცევს. მართალია, საკითხის კომპლექსურად შესწავლის აუცილებლობას თითქმის ყველა აღიარებს, მაგრამ, რეალურად, ეთნოგენეზის საკითხების ამსახველი ნაშრომების უმრავლესობა აქცენტს მხოლოდ ისტორიის (რომელიც, ძირითადად, წერილობითი წყაროების მონაცემების ანალიზთან იგივდება), არქეოლოგიის ან ლიგვისტიკის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებზე აკეთებს, დანარჩენი დისციპლინების

ავტორის სტილი დაცულია

მონაცემებს კი - ცალსახად მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ეს, ბუნებრივია, ისტორიული სინამდვილის გამოვლენას ხელს უშლის. ყოველივე ამას მივყავართ კვლევის ე.წ. „შერეული მეთოდამდე", რომლის ჩარჩოებშიც ავტორი თავისი ჰიპოთეზის სხვადასხვა ნაწილის გასაშუქებლად რიგრიგობით ეყრდნობა სხვადასხვა მეცნიერების მონაცემებს. თუკი მისი თეორიისათვის საკმარისი არგუმენტები ლინგვისტაკას არ მოეპოვება, მიმართავს არქეოლოგიას; სადაც არქეოლოგია უძლურია – წერილობით წყაროებს და ა.შ. ასეთ დროს კი ნებსით თუ უნებლიეთ ხდება იმ არგუმენტების მიჩუმათება, რომლებიც ავტორისეული ჰიპოთეზის სასარგებლოდ არ მეტყველებს.

კვლევის ასეთი მეთოდი არ გაიზიარა XX საუკუნის ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა რ. ჰახმანმა, რომელმაც საკითხის შესწავლის ორიგინალური ხერხიც შემოგვთავაზა. მისი აზრით, ეთნოგენეტიკური კვლევისას მკვლევარი ვალდებულია იზოლირებულად განიხილოს მისთვის საინტერესო საკითხის ამსახველი ენათმეცნიერული, არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემები და მხოლოდ ამის შემდეგ სცადოს მათი განზოგადება (109, 22).

ვფიქრობთ, კვლევის ასეთ მეთოდს დიდი უპირატესობა გააჩნია. მისი წყალობით ნამდვილად შეიძლება განხორციელდეს დამაჯერებელი დისციპლინათშორისი სინთეზი, რომელიც „ეთნოგენეზოლოგიას" ასე სჭირდება. წინამდებარე ნაშრომი ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემის შესახებ კვლევის სწორედ ასეთ ჭრილში ჩატარების მცდელობას წარმოადგენს[13].

აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, თუ რომელ სამეცნიერო პარადიგმას ანიჭებს უპირატესობას ავტორი, რომელიც ძველი გერმანელებისა და კელტების სიძველეების შესწავლას ისახავს მიზნად. თუკი იგი დეკლარირებულად არ ენდობა XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში სამეცნიერო კონსტრუქტს, რომელიც საკითხის

---

[13] *მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ასევე რთულად გვეჩვენება საკვლევი პრობლემისათვის მნიშვნელოვანი ქვესაკითხების სელექცია. ვინაიდან დღეს უკვე ძალიან ჭირს საკითხის შესწავლის ჰომოგენურ ტრადიციაზე მსჯელობა, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ სხვადასხვა ეპოქისთვის აქტუალურ გარკვეული ისტორიოგრაფიის მქონე ყველა საკითხს შევხებოდით.იმ კონტექსტში მაინც, რომ აღგვენიშნა, თუ რატომ უგულებელვყოფთ ზოგიერთ მათგანს.*

ავტორის სტილი დაცულია

ლინგვისტური, არქეოლოგიური, ისტორიული და ფიზიკურ-ანთროპოლოგიური მონაცემების სინთეზის საფუძველზე შესწავლას გულისხობს, ბუნებრივია, კელტებისა და გერმანელების ეთნოგენეზსა, თუ ეთნიკურ ისტორიაზე მსჯელობისას მისი საკვლევი კითხვები და აქცენტები განსხვავებული იქნება. კერძოდ, მის თხზულებაში ნაკლებად იქნება ადგილი ისეთი ცნებითი კატეგორიებისთვის როგორიცაა არქეოლოგიური კულტურა, "პროტოენა" და თუნდაც თავად ძველი გერმანელები ან კელტები. ასე ხდება კიდეც ბევრი თანამედროვე მკვლევრის (მაგალითად, ვ. გოფარტის, ჰ. ვოლფრამის, ი. ვუდის, ვ. პოლისა და სხვათა) შემოქმედებაში.

წინამდებარე ნაშრომი XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებული პარადიგმების ერთმანეთთან დაკავშირების მცდელობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე ჩვენთვის ორივე ტიპის საკვლევი კითხვებია მნიშვნელოვანი. კერძოდ საინტერესოა ისიც თუ:

1) რა ობიექტური რეალობა იმალება ანტიკური ხანის ავტორების მიერ „კელტიკად“ და „გერმანიად“ სახელდებული ისტორიული სინამდვილეების მიღმა;

2) როდის და როგორ მოხდა მათი (ე.ი. ამ ისტორიული სინამდვილეების) ფორმირება;

3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამ „ხალხების" სახელებთან გაიგივებული ლინგვისტური სქემები, არქეოლოგიური არტეფაქტების სერია, ეთნონიმები და ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების თხზულებებში დაცული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები.

ასევე საინტერესოა, თუ:

1) როგორ ხდებოდა ბერძნული და რომაული ეთნიკური კონსტრუქციების ფორმირება;

2) რა როლი ჰქონდა საზღვრებს ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში;

3) როგორი იყო თავად "ბარბარიკუმში" არსებული იდენტობის საშუალებები;

4) რა გავლენას ახდენდა "ბარბარიკუმის" მოსახლეობაზე ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციები და სხვა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ ჩვენი მიზანია ერთი მხრივ ვაჩვენოთ თუ როგორ ჩამოყალიბდა და როგორი იყო ანტიკური ხანის კელტური და გერმანული სამყაროს ჰაბიტუსი,მეორე მხრივ კი - რა კანონზომიერებების

ავტორის სტილი დაცულია

საფუძველზე განიცდიდა იგი ცვალებადობას. ეს ცვალებადობა ნაშრომში, კელტების შემთხვევაში IV-III საუკუნეების კატაკლიზმების, გერმანელების შემთხვევაში კი კეისრისა და ტაციტუსის ეპოქებს შორის მომხდარი ტრანსფორმაციების ფონზე იქნება წარმოჩენილი.

ავტორის სტილი დაცულია

I თავი

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემის პრეისტორიული ფონი

§ 1. ნაშრომის კონსტრუქცია

ძველი გერმანელებისა და კელტების (ისევე, როგორც ანტიკური ხანის სხვა „ბარბაროსი" ხალხების) ეთნიკური ისტორიისსაკითხებზე მსჯელობა ბევრ სირთულესთანაადაკავშირებული. ამ მხრივ არსებული პრობლემები, ვფიქრობთ, შეგვიძლია ორ ჯგუფად გავყოთ:

1. პირველ შემთხვევაში პრობლემაა შესასწავლი საკითხის არსის მკაფიოდ განსაზღვრა. საქმე ისაა, რომ არც ანტიკური ხანის და არც თანამედროვე ისტორიოგრაფია ზუსტ პასუხს არ გვაძლევს კითხვაზე, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ძველი გერმანელებისა და კელტების ცნების ქვეშ. მათი სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს:

ა) ეთნიკურ ჯგუფებთან;

ბ) ტერმინებთან, რომლებიც თავიანთი შინაარსით უფრო ტოპონიმებს წარმოადგენდნენ;

გ) ანტიკური ხანის ავტორების, ან სულაც თანამედროვე მკვლევრების მიერ პოსტულირებულ ცნებებთან, რომლებსაც რეალური ისტორიული შესატყვისობა არასოდეს გააჩნდათ;

დ) ისტორიულ-კულტურულ რეალობასთან, რომელსაც თავისი ორიგინალური ჰაბიტუსი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემქნელი ადამიანები თავიანთ ერთობას ვერ აცნობიერებდნენ.

ამ „გაურკვევლობამ" კი, შესაძლებელია, მასალის განზოგადებისას მკვლევარი მცდარი მიმართულებით წაიყვანოს. მაგალითად, შესაძლოა, დისკუსიის ობიექტადიქცეს საკითხი, თუ რამდენად გვაქვს ნაშრომში ინდოევროპეისტიკის საკითხების ჩართვის საჭიროება; რამდენად მიზანშეწონილია მსჯელობა ზოგადად გერმანიკულ და კელტურ სინამდვილეზე და არა რომელიმე კონკრეტულ ტომზე და სხვა.

ავტორის სტილი დაცულია

2. არსებობს მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემებიც. ისინი ძირითადად ლინგვისტიკის, არქეოლოგიის, ისტორიის, ფიზიკური ანთროპოლოგიისა და სხვა მეცნიერებების მონაცემების ურთიერთდაკავშირებისას და მათი ისტორიული ინტერპრეტაციისას იქმნება. ამის გამო, დღის წესრიგში დგება მთელი რიგი თეორიული პრობლემების განხილვა, რომელთა მიმართ სამეცნიერო წრეებში ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს. ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, ძალზე პრობლემატურია შემდეგ თეორიულ საკითხებზე მსჯელობა:

ა) რა არის „პროტოენა"? რა ისტორიული რეალობა უნდა დავინახოთ მის წიაღში?

ბ) რა არის არქეოლოგიური კულტურა? რამდენად მიზანშეწონილია ამ ცნების ეთნიკურიისტორიის კვლევისას გამოყენება?

გ) რა შეიძლება იყოს არქეოლოგიური კულტურის წიაღში მიმდინარე ცვლილებების მიზეზი?

დ) რა თავისებურებები ახასიათდებდა ჩვენთვის საინტერესო ისტორიული პერიოდის ეთნო-სოციალურ პროცესებს?

ე) რამდენად არის შესაძლებელი ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას ლინგვისტიკის, არქეოლოგიისა და ისტორია-ეთნოლოგიის მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირება?

ვ) რა მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ ისტორიაზე მსჯელობისას ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებს?

ზ) რა ისტორიული რეალობა მოიაზრება ანტიკური ეთნიკური კონსტრუქციების (მაგალითად, გერმანია, კელტიკა და სხვა) ქვეშ?

ამ საკითხების მიმართ, ვფიქრობთ, საკითხის მკვლევარს მკაფიო პოზიცია უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეთნოგენეტიკური კვლევა შესაძლოა არათანმიმდევრული გამოდგეს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკვლევი ობიექტების მრავალწახნაგოვნება ნაშრომის კონსტრუქციულად აწყობასაც ართულებს. წინამდებარე კვლევა შემდეგ ფორმატშია წარმოდგენილი.

გამოკვლევის I თავში მსჯელობა ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში კელტური და გერმანიკული ენების ადგილსა და ევროპის „ინდოევროპიზაციის" პროცესზე გვექნება. II და III თავები მათი (ე.ი. ძველი გერმანელებისა და კელტების) ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვანი ლინგვისტური,

ავტორის სტილი დაცულია

არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების იზოლირებულ განხილვას დაეთმობა.აქვე (ე.ი. II და III თავებში), თემატური პრინციპის გათვალისწინებით „ეთნოგენეზოლოგიის" საკითხებისთვის აქტუალურ ზემოთჩამოთვლილ თეორიულ პრობლემებსაც შევეხებით. IV თავში კი ზემოთგანხილულ მასალებსა და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს ძველი გერმანული და კელტური სინამდვილეების რაობისა და გენეზისის შესახებ მწყობრი ვერსიების ჩამოსაყალიბებლად გამოვიყენებთ.

§2. ინდოევროპეისტიკა და ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნიკური ისტორიის ადრეული ეტაპები ე. წ. „პროტოინდოევროპულ" სიძველეებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ისტორიოგრაფიაში კელტებისა და გერმანელების გენეზისზე მსჯელობას ფონად ხშირად ევროპის „ინდოევროპეიზაციის" პროცესზე საუბარი გასდევს. ზოგჯერ ამ სახელწოდებითგაერთიანებული კვლევები ამგვარი მსჯელობით შემოიფარგლება კიდეც. კვლევის ასეთ ტრადიციას საფუძველი XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა. ინდოეთში მოღვაწე ინგლისელი მოსამართლე უ. ჯონსი პირველი იყო, ვინც ინდოევროპული ენობრივი ოჯახის არსებობის შესახებ ჰიპოთეზა გამოთქვა (173, 12). მისი ჰიპოთეზები კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფ. ბოპის, რ. რასკისა და სხვა მკვლევართა მეცნიერული დასკვნებით გამყარდა. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად წაიწია წინ ევროპის არქეოლოგიურმა შესაწავლამ. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ეთნოგენეზის საკითხების კვლევის საკმაოდ მყარი ტრადიცია. კერძოდ: შედარებითი ლინგვისტიკის საფუძველზე ხდებოდა, მაგალითად, „პროტოინდოევროპულის", „პროტოიტალიურ-კელტურის" და სხვა მსგავსი რეალობების პოსტულირება, რომლებიც თითქმის წყაროებში ფიქსირებული ეთნიკური ჯგუფების ტოლფარდ ცნებებად განიხილებოდა. ძალზე ხშირად მათთან ფიზიკური ანთროპოლოგიური ნიშნებისა და არქეოლოგიური არტეფაქტების გაიგივებაც ხდებოდა.

XX საუკუნის II ნახევარში მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ფართო ხასიათი მიეცა ლინგვისტური და არქეოლოგიური მონაცემების ახლებურ ისტორიულ

ავტორის სტილი დაცულია

ინტერპრეტაციას. სერიოზული განხილვის საგნადიქცა ლინგვისტური პოსტულატებითა და არქეოლოგიის მონაცემებით ეთნიკური ისტორიის კვლევის მეთოდები[14]. ყოველივე ამან კი გვიჩვენა, რომ XX საუკუნის I ნახევარში დამკვიდრებული კვლევის ტრადიცია საკმაოდ სქემატურ ხასიათს ატარებდა და მისი ისტორიული ინტერპრეტაცია ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ასეთ ფონზე ბევრმა მკვლევარმა საერთოდ უარი განაცხადა ინდოევროპეისტიკის პრობლემების კვლევაზე. სამეცნიერო პარადიგმების აღრევით გამოწვეული სირთულეები დღეს ე. წ. „ბარბაროსული" სინამდვილეების მკვლევარებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.

ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ჩვენს წინაშეც აჩენს კითხვას. რამდენად არის თანამედროვე ეტაპზე ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზზე საუბრისას აუცილებელი ინდოევროპეისტიკის პრობლემებზე მსჯელობა? ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი შუალედური ხასიათის იქნება. ვფიქრობთ, რომ ინდოვროპიეისტიკის საკითხების განხილვაზე ჩვენ უარი რამდენიმე მიზეზის გამო არ უნდა ვთქვათ:

1. ეს (ანუ ინდოევროპეისტიკის) საკითხები თითქმის ერთადერთია, რომელიც იმ ეთნო-ლინგვისტური უჯრედების შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა, რომლის საფუძველზეც ძველი გერმანული და კელტური ისტორიული სინამდვილე ჩამოყალიბდა;

2. ისტორიოგრაფიაში, ტრადიციულად, ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას (თუკი საუბარია გერმანიის, კელტიკის, და არა რომელიმე ტომის ეთნიკური ისტორიის რომელიმე ეპიზოდზე) ინდოევროპეისტიკის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. შესაბამისად, ეთნოგენეზის საკითხებთანდაკავშირებული თეორიული პრობლემების ანალიზისას მას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ინდოევროპეისტიკის საკითხებზე საუბრისას ყოველთვის ცალკე უნდა გამოვყოთ საკითხი მის უკან არსებული ისტორიული რეალობის შესახებ.

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემაზე მსჯელობისას დიდ მნიშვნელობას იძენს ინდოევროპეისტიკული პროფილის შემდეგი საკითხები:

---

[14] *ბევრი მკვლევარი ასეთი სქემატიზმის თავიდან აცილებას ჯერ კიდევ XX საუკუნის I ნახევარში ცდილობდა.*

ავტორის სტილი დაცულია

ა) რა ადგილი უჭირავთ გერმანიკულ და კელტურ ენებს ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში;

ბ) სად მდებარეობდა და რას წარმოადგენდა ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო;

გ) როგორ მიმდინარეობდა ევროპის „ინდოევროპიზაციის" პროცესი (რა ისტორიული ფონი სდევდა მას) და რა ასახვა ჰპოვა მან ქვეყნის ამ ნაწილის არქეოლოგიურ სინამდვილეზე.

* * * * *

ა) რა ადგილი უჭირავთ გერმანიკულ და კელტურ ენებს ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში – სადღეისოდაღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით, ინდოევროპულ ენობრივ ერთობაში გერმანიკულისა და კელტურის გარდა ანატოლიური (ანუხეთურ–ლუვიური)[15], ინდო–არიული, ბერძნული[16], იტალიური, ბალტიური და სლავური ჯგუფები ერთიანდება. გარდა ასეთი მსხვილი ენობრივი ოჯახებისა(რომელთა შემადგენელი ენების უფრო დეტალური აღნუსხვის საჭიროებაც წინამდებარე ნაშრომში არ არსებობს), აქვე შედიან ცალკეული ენები, რომლებიც შედარებით იზოლირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.მაგალითად სომხური, ფრიგიული, თოხარული; ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში შემავალი ზოგიერთი ენის ძალზე ფრაგმენტული ცნობები მოგვეპოვება. ასეთთა რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ: ვენეტური, ილირიული, მესაპური, სამხრეთ პიცენური, ჩრდილო-დასავლეთის ბლოკი[17] (150, 22) და რიგი მცირეაზიული დიალექტები, რომელთა ინდოევროპული ბუნებაც სადღეისოდ დასაბუთებულად ითვლება (240, 133-189).

გერმანიკული და კელტური ენების ინდოევროპული ბუნება ინდოევროპეისტიკის ჩამოყალიბებისთანავე გახდა ნათელი. ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში მათი პოზიცია ყოველთვის ნათელი არ იყო. მაგალითად, XIX საუკუნისთვის ტიპური იყო კამათი იმის შესახებ, გერმანიკული უფრო ახლო ნათესაობას ბალტო–სლავურთან ამჟღავნებდა თუ არიულთან (240, 38-41).

---

[15] *ზოგჯერ, მასთან ახლოს აყენებენ პელასგურს, კარიულს, ლიკიურს, ეტრუსკულს და სხვა პალეობალკანურ ენებს, რომელთა ინდოევროპულობასაც ბევრი მკვლევარი არ აღიარებს.*

[16] *როგორცჩანს, მასთან ახლოს იდგა მაკედონური, თრაკიული, ალბანური და სხვა ისტორიულად ბალკანეთის ჩრდილოეთ ნაწილში ლოკალიზებული ენები, რომლებმაც მოგვიანებით „ძველევროპულის" მნიშვნელოვანი გავლენა განიცადეს.*

[17] *ზოგიერთი მკვლევარი პიქტურსაც ინდოევროპული ენების რიცხვს მიაკუთვნებს.*

ავტორის სტილი დაცულია

თანამედროვე ეტაპზე ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში ხშირად გერმანიკულ, კელტურ, იტალიურ, ილირიულ, მესაპურ, სამხრეთ პიცენურ, ვენეტურ, რიგ შემთხვევებში კი ბალტიურ და სლავურ ენებსაც ცალკე ე.წ. „ძველევროპული" ჯგუფის სახით გამოყოფენ (122, 65). ეს ტერმინი ხმარებაში 1954 წელს გერმანელმა ლინგვისტმა ჰ. კრაემ შემოიტანა ევროპული ტოპონიმიკის ცალკეული ფენების აღსანიშნავად (122, 67). სადღეისოდ მისი საშუალებით ზემოთჩამოთვლილ ენებსა და ენობრივ ოჯახებს შორის არსებული არეალური ენობრივი კავშირები აღინიშნება,თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში მისი დამოუკიდებელი მასივის სახით განხილვის ტენდენციაც იგრძნობა.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოევროპული ენობრივი მასივის დივერგაციის პრობლემასაც. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში ფართო დისკუსიის ობიექტს წარმოადგენს, რადგან ინდოევროპული ენების შესახებ ფრაგმენტული ინფორმაციაა შემორჩენილი, რაც ამ მხრივ თამამი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში ამ კუთხით დადგენილ ფაქტად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ:

ა) ანატოლიური ენები სხვებზე ადრე გამოეყო ერთიან ინდოევროპულ სივრცეს;

ბ)ინდო-ირანული, ბერძნული და სომხური ენობრივი მასივი გარკვეულ პერიოდში ერთმანეთთან სხვა ენობრივ ჯგუფებზე დაახლოებული უნდა ყოფილიყო;

გ) ცალკე ერთობას ქმნიდა გერმანიკული, ბალტიური და სლავური ენებიც; კელტური და იტალიური კი მეტ სიახლოვეს ჩრდილოეთის ჯგუფებთან ამჟღავნებდა;

დ) თოხარული ენის პოზიცია ბოლომდე ნათელი არ არის, მაგრამ იგი ინდო-ირანულთან ახლოს მდგომად არ უნდა ჩავთვალოთ (81, 98).

ისტორიოგრაფიაში ინდოევროპული ენების დივერგაციის არაერთ მოდელს ვხვდებით. ხშირად ისინი გარეგნულად დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის გარკვეული წინაღობები არსებობს. წინამდებარე ნაშრომი უმთავრესად თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის გეგმას ეყრდნობა,ვინაიდან აქ ინდოევროპული ენების დაშლის პროცესი ისტორიულ კონტექსტშია განხილული. თანაც იგი გარეგნულად დიდად არ განსხვავდება

ავტორის სტილი დაცულია

დ. რანგის სქემისგან, რომელიც თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში ყველაზე მეტად გაზიარებულ მოდელად ითვლება (84, 206).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის სქემაში ინდოევროპული ენობრივი მასივის დაშლა შვიდი ქრონოლოგიური ეტაპის სახითაა წარმოდგენილი. დაშლის პროცესი სქემატური სახით ასე გამოიყურება (იხ.: სურათი №1) (239, 279).

ავტორის სტილი დაცულია



ბ) სად მდებარეობდა და რას წარმოადგენდა ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო - ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის საკითხზე საუბარისას, პირველ რიგში, ევროპის არქეოლოგიურ რუკაზე იმ ეთნო-ლინგვისტური ჯგუფების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური იდენტიფიცირებაა საჭირო, რომელთა საფუძველზეც მოგვიანებით გერმანული

ავტორის სტილი დაცულია

და კელტური სინამდვილეები ჩამოყალიბდნენ. შესაბამისად, ჩვენი შემდგომი ამოცანა ზემოთ შემოთავაზებული ლინგვისტური სქემის ევროპის არქეოლოგიურ რუკასთან შეფარდებაა, თუმცა ვიდრე ამ პრობლემის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა განვსაზღვროთ, თუ სად მდებარეობდა მათი განსახლების საწყისი წერტილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა განვსაზღვროთ, თუ სად მდებარეობდა ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო.

ინდოევროპული ენებისhttp://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/2/16 - _ftn1 ნათესაობის აღიარება წარსულში მათი ან მათი წინაპარი ენების ერთიანი ენობრივი სისტემის პირობებში თანაარსებობის აღიარებასაც გულისხმობს. ასეთ ენობრივ სისტემას ლინგვისტები „პროტოინდოევროპულს" უწოდებენ, მისი (ე.ი. ამ ჰიპოთეტური ენობრივი რეალობის) თავდაპირველი გავრცელების არეალს კი - წინარესამშობლოს (Urheimat, Homeland). ამ უკანასკნელში ტრადიციულად იგულისხმება ტერიტორია[18], რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა და გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა „პროტოინდოევროპული" ენობრივი ერთობა. მის დაკავშირებას, როგორც წესი, რომელიმე არქეოლოგიურ კულტურასთან ცდილობენ[19]. ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრას არაერთი თაობის ლინგვისტი, არქეოლოგი, ისტორიკოსი და ანთროპოლოგიცდილობდა. მიუხედავად ამისა, საკითხზე მსჯელობა დღემდე მეტად ჰიპოთეტურ ხასიათს ატარებს.

ინდოევროპელების წინარესამშობლოს პრობლემის კვლევა, ვფიქრობთ, ორ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველ რიგში, მისი (ე. ი. წინარესამშობლოს) გეოგრაფიული და ქრონოლოგიური კოორდინატები უნდა განვსაზღვროთ, შემდეგ კი - რა ისტორიული რეალობა იმალება „პროტოინდოევროპულის" ლინგვისტური ცნების ქვეშ და რა პროცესები მოსდევდა ინდოევროპული

---

[18] *სპეციალურ ლიტერატურაში წინარესამშობლოს შესაძლო ფართობის განსაზღვრის მცდელობასაც ვხვდებით (81, 290-291].*

[19] *ინდოევროპეისტიკაში ფიგურირებს ცალკეული მოსაზრებები, რომლებიც საკითხის არსის სხვაგვარად წარმოჩენას ისახავს მიზნად. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ინდოევროპული ენების გენეტიკური ნათესაობის (71, 169-202), მეორე მხრივ კი -„პროტოინდოევროპული" ენის გავრცელების არეალის მეტ-ნაკლებად ლოკალურ არეალში მოთავსების წინააღმდეგ მიმართული კონცეფციები (29, 21-50). სგავსი მიდგომების გაზიარების შემთხვევაში, ვფიქრობთ, შეიძლება, ჩვენთვის საინტერესო საკითხის ავთენტურობის პრობლემის განხილვის აუცილებლობის წინაშეც აღმოვჩნდეთ. თუმცა მათი (ე.ი. მსგავსი კონცეფციების) მომხრეების რიცხვი და მათი არგუმენტების დამაჯერებლობა ჯერჯერობით ამის საფუძველს არ იძლევა.*

ავტორის სტილი დაცულია

„კილოკავების" ევრაზიის კონტინენტზე გავრცელებას. წინამდებარე პარაგრაფი პირველ მათგანზე იქნება ორიენტირებული, მეორე საკითხს კი მომდევნო, მეოთხე თავშიშევეხებით.

ინდოევროპული ენების თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ მსჯელობა იმ კრიტერიუმების აღნუსხვით უნდა დავიწყოთ, რომელთა გათვალისწინებაც საკითხის კვლევისას უპირობოდ აუცილებელია. ამ მხრივ, ვფიქრობთ, დამაჯერებელ მსჯელობას ჯ. მელორი და დ. ადამსი გვთავაზობენ ნაშრომში: „ინდოევროპელების კულტურის ენციკლოპედია". თუმცა, მიგვაჩნია, რომ აქ მოყვანილი ცალკეული დებულებები გარკვეულ დაზუსტებასა და შევსებას საჭიროებენ. ჯ. მელორი და დ. ადამსი 6 ასეთ კრიტერიუმს გამოყოფენ (81, 295-297). მათი აზრით, ინდოევროპელების წინარესამშობლოს ძიებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

1) წინარესამშობლოს არსებობა ნაკლებად სავარაუდოა ისტორიულად a priori არაინდოევროპელი ხალხების განსახლების არეალში, მაგ.: ბასკების, ტარტესების, დრავიდების, მუნდელების, ელამელების, შუმერების, პროტოხეთებისა და ა. შ.

2) უნდა გავითვალისწინოთ, რომ „პროტოინდოევროპულის" არსებობა ნეოლითის ხანაზე ადრეულ პერიოდში ნაკლებად სავარაუდოა, რადგან „პროტოინდოევროპულ" ენობრივ სისტემაში კარგად არის ასახული „ნეოლითური რევოლუციის" მიღწევები;

ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში „პროტოინდოევროპულის" ქრონოლოგია ფართო დისკუსიის ობიექტია. ყველასათვის ცხადია, რომ შედარებითი და გლოტოქრონოლოგიური მეთოდის საფუძველზე ამ მიმართულებით გაკეთებული დასკვნები, რომლებიც ინდოევროპული ერთობის ძვ. წ. V-IV ათასწლეულებით დათარიღებისკენ გვიბიძგებს, მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება. ინდოევროპეისტიკაში ამ თვალსაზრისით მეთოდოლოგიური ნოვაციების დანერგვის მცდელობაც აღინიშნა (105, 435-438). მიუხედავად ამისა, რ. დიქსონის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „პროტოინდოევროპულის" არსებობის პერიოდად ძვ. წ. 4000-დან 40 000 წლამდე ნებისმიერი თარიღი შეიძლება გამოდგეს, დღემდე ძალაში რჩება [Gray...2003: 436]. ამდენად, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქრონოლოგიური ხასიათის არგუმენტებს ინდოევროპელების წინარესამშობლოს

ავტორის სტილი დაცულია

შესახებ მსჯელობისას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. დაზუსტებით იმის მტკიცებაც კი არ შეიძლება, რომ „პროტოინდოევროპული" რეალობა ნეოლითის ხანაზე ადრეულ პერიოდში არ ჩამოყალიბებულა, ვინაიდან თეორიულად სავსებით შესაძლებელია, ინდოევროპულ ენობრივ მასივს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სახე ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში ჰქონოდა, ხოლო „ნეოლითური რევოლუციის" მიღწევები მასში მხოლოდ შემდგომ ეტაპზე გავრცელებულიყო.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „ლინგვისტური პალეონტოლოგიის" (ანუ იმ დარგის, რომელსაც ამ შემთხვევაში დ. ადამსი და ჯ. მელორი ეყრდნობიან) მნიშვნელობა სადღეისოდ არაერთგვაროვნად არის შეფასებული. (ამ დარგის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ). მეცნიერთა ერთი ნაწილი მას დღემდე ენდობა, მეორე კი მთლიანად უარყოფს და მასზე საუბრისას სარკაზმსაც არ ერიდება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ერთგვარი „ოქროს შუალედის" პოვნაა საჭირო, ვინაიდან „ლინგვისტური პალეონტოლოგიის" სრული უარყოფა ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობის საკითხის შესწავლაზე უარის თქმასაც ნიშნავს. ინდოევროპეისტიკა, პირველ რიგში, ენათმეცნიერების დარგია. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ლინგვისტების აღდგენილ „პროტოინდოევროპულ" ენობრივ სისტემას ზოგადად მაინც არ შეუძლია თავისი გარემომცველი გეოგრაფიული და ისტორიული გარემოს შესახებ მოგვითხროს, მაშინ საერთოდაც რა აზრი აქვს მის ისტორიულ კონტექსტში განხილვას? ამგვარი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, ვფიქრობთ, საჭიროა სამეცნიერო წრებრუნვაში სხვა მსგავსი ტიპის (ე.ი. „ლინგვისტური პალეონტოლოგიის" საშუალებით მიღებული) არგუმენტებიც შემოვიტანოთ. კერძოდ,არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ნაშრომს: „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები", რომელიც ამ (ე.ი. „პროტოინდოევროპულის" გარემომცველი გარემოს რეკონსტრუქციის) თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილიგამოკვლევაა. მასში, ვფიქრობთ, განსაკუთრებით ნიშანდობლივია დასკვნა ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის წინააზიურ კულტურულ წრეში შესაძლო მდებარეობისა და ქართველური ენების მასთან დიდი სიახლოვის შესახებ (239, 869-891). ისეთი არგუმენტების მნიშვნელობა კი, რომ წინარესამშობლო თითქოსდა უნდა ყოფილიყო მხარე მთიანი ლანდშაფტით (239, 865-866), არცთუ დიდია, რადგან ამა თუ იმ „პროტოენაში" ცალკეული

ავტორის სტილი დაცულია

სიტყვების არსებობა იშვიათად თუ ნიშნავს იმას, რომ ეს ცნებები მხოლოდ აღნიშნული „პროტოენისთვის" იყო დამახასიათებელი. იგივე შეიძლება ითქვას ცხოველებისა და მცენარეების ცალკეული სახეობების აღმნიშვნელი სიტყვების შესახებ, რომლებზე მსჯელობასაც ავტორები ასევე დიდ ადგილს უთმობენ (239, 465-686).

3) წინარესამშობლოს შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია ასევე ინდოევროპული ენობრივი ჯგუფების ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ:

ა) ანატოლიური ენები სხვებზე ადრე გამოეყო ერთიან ინდოევროპულ სივრცეს;

ბ) ინდო-ირანული, ბერძნული და სომხური ენობრივი მასივი გარკვეულ პერიოდში ერთმანეთთან სხვა ენობრივ ჯგუფებზე დაახლოებული უნდა ყოფილიყო;

გ) ცალკე ერთობას ქმნიდნენ გერმანიკული, ბალტიური და სლავური ენებიც, კელტური და იტალიური კი მეტ სიახლოვეს ჩრდილოეთის ჯგუფებთან ამჟღავნებდა; დ) თოხარული ენის პოზიცია მთლად ნათელი არ არის, მაგრამ იგი ინდო-ირანულთან ახლოს მდგომად არ უნდა ჩავთვალოთ;

4) ინდოევროპული ენების გავრცელების არეალი უნდა დავუკავშიროთ ცხენის დომესტიკაციის არეალს;

5) ინდოევროპული ენების გავრცელების ლინგვისტური სქემა უნდა შეესაბამებოდეს არქეოლოგიურ რეალობას;

6) ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის თეორიამ უნდა ახსნას ყველა ინდოევროპული ენობრივი ჯგუფის თავის ისტორიული განსახლების არეალში გავრცელების საკითხი.

ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემის შესწავლას საფუძველი ინდოევროპული ენათმეცნიერების ჩამოყალიბებისთანავე ჩაეყარა და უამრავი ჰიპოთეზაც გამოითქვა. ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. თანამედროვე ეტაპზე სერიოზულად მხოლოდ რამდენიმე მათგანი განიხილება. მათ რიცხვში შეგვიძლია დავასახელოთ პალეოლითური უწყვეტობის თეორია (მ. ალინეი); მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც წინარესამშობლო ჩრდილოეთ ევროპის ტერიტორიაზეა ლოკალიზებული (ლ. კილიანი, ა. ჰაუსლერი, მ. ზველებილი); თავისი მომხრეები ჰყავს ინდურ ჰიპოთეზასაც (მ. ვიტზელი, კ. ელსტი). ეს

ავტორის სტილი დაცულია

კონცეფციები თანამედროვე ეტაპზე დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ, თუმცა არც მთლიანად უარყოფილნიარიან. გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს წინარესამშობლოს ბალკანეთ-კარპატებსა (ვ. საფრონოვი, ბ. გორნუნგი, ი. დიაკონოვი, ლ. მაკკაი, გ. დევოტო) და წინა აზიაში ლოკალიზების მხარდამჭერებს. წინააზიურ ჰიპოთეზებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით კ. რენფრიუს ანატოლიური თეორია სარგებლობს, რომელიც ინდოევროპელების სახელს ნეოლითური მეურნეობის გავრცელებას უკავშირებს (კ. რენფრიუ, ა. დოლგოპოლსკი). შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ინდო-ხეთურ (ჰ. სტურტევანი, ბ. დარდენი) და გამყრელიძე-ივანოვის კონცეფციებს. მიუხედავად ერთგვარი მსგავსებისა, ეს ჰიპოთეზები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეულ ნიუანსებში რენფრიუს თეორია ბალკანურ-კარპატულ ჰიპოთეზებთან ერთად უპირისპირდება პონტიურ-კასპიურ თეორიას. ამ უკანასკნელის მიხედვით, ინდოევროპელების წინარესამშობლოდ ვოლგა-ურალის სტეპები განიხილება, ხოლო ინდოევროპელების დასავლეთით გავრცელება ბრინჯაოს ხანის მოვლენად არის აღქმული. წინააზიურსა და ბალკანეთ-კარპატულ ბანაკებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ე. შერა თავისი ე. წ. „მეორადი ნეოლითური რევოლუციის" კონცეფციით. იგი ადრე ბრინჯაოს ხანაში ინდოევროპელების ვოლგა-ურალის სტეპებიდან დასავლეთით გადანაცვლების კონცეფციას ანაქრონიზმად თვლის (188-234). პონტიურ-კასპიური თეორიის მთავარ მომხრეებად მ. გიმბუტასი, დ. ენტონი, ჯ. მელორი და დ. ადამსი გვევლინებიან. მათთან ახლოს შეიძლება დავაყენოთ ჯ. ნიკოლსიც, რომელიც თავისი ე. წ. სოგდიანური ჰიპოთეზით ინდოევროპელების აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიგრაციის თეორიის სასარგებლოდ მნიშვნელოვან ლინგვისტურ არგუმენტებს გვთავაზობს. ყველა ამ თეორიას გარკვეული ხარვეზი ახასიათებს. მათ შესახებ მსჯელობას ინდოევროპეისტიკაში (ძირითადად საწინააღმდეგო თეორიის მომხრეების მიერ), ტრადიციულად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ამიტომ ვფიქრობთ, ამ კუთხით მსჯელობის გაგრძელება აუცილებელი არ არის. ზემოთ ჩამოთვლილი თეორიების ცალკეული სუსტი მხარეები საკითხის შესახებ ჩვენეული მსჯელობისათვის სასარგებლო არგუმენტად ვერ ჩაითვლება.

„პროტოინდოევროპული" ენისა და მისი თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ მსჯელობისას, ვფიქრობთ, პირველ რიგში, ყურადღება ე. წ.

ავტორის სტილი დაცულია

ნოსტრატულ თეორიას უნდა მივაპყროთ. მ უკანასკნელის მიხედვით, ევრაზიის კონტინენტის ბევრი ენობრივი ოჯახი სათავეს კიდევ უფრო მსხვილი ნოსტრატული „პროტოენიდან" იღებს. ნოსტრატული ენების კლასიფიკაციის შესახებ ლიტერატურაში ერთმნიშვნელოვან მსჯელობას ვერ ვხვდებით. თუმცა, „პროტოინდოევროპული" ყოველთვის მის უცვლელ წევრად განიხილება. Iგივე შეიძლება ითქვას ქართველურ და ურალურ ენებზეც, მაშინ, როცა სემიტური, ზაგროსულ-ელამური, დრავიდული, ალთაური, აფრაზიული და სხვა ენობრივი ჯგუფების პოზიცია ამ მხრივ მთლად ნათელი არ არის. თანამედროვე ლინგვისტიკაში ნოსტრატული თეორიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ინდოევროპეისტიკაში მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ მსჯელობისას მისი მნიშვნელობა ფრიად დიდია. საქმე ისაა, რომ ინდოევროპული, ქართველური და ურალური ჯგუფებისგან საკუთრებული სიახლოვე[20] http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/2/16 - _ftn6ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, იმაზე მაინც მიგვანიშნებს[21], რომ ამ ოჯახების ენებზე მოსაუბრეთა წინაპრების ენების გავრცელების არეალი გარკვეულ პერიოდში, რომელიც, ალბათ, წინ უსწრებდა მათ დამოუკიდებელ ენობრივ ოჯახებად ჩამოყალიბებას, ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდა. ეს, ალბათ, უფლებას გვაძლევს, „პროტოინდოევროპელების" თავდაპირველი გავრცელების არეალად ქართველურ და ურალურ ენობრივ სივრცეებს შორის არსებული ტერიტორია ჩავთვალოთ[22].

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ საკითხზე ყურადღებას არანოსტრატიკოსი ლინგვისტებიც ამახვილებენ. იმავე მოცემულობის შესახებ მათი არგუმენტები დაახლოებით ასე გამოიყურება:უკვე ფუძეენის დონეზე ინდოევროპულ ენაში გვხვდება მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც შუმერული, პროტოხეთური, ელამური, ხური–ურარტული, ქართველური და სხვა (239, 456-462) უძველესი

[20] *საინტერესოა, რომ შედარებით იშვიათად ვხვდებით მოსაზრებას ქართველურისა და ურალურის სიახლოვის შესახებ.*

[21] *რომ არაფერი ვთქვათ მათ შესაძლო შორეულ გენეტიკურ ნათესაობაზე.*

[22] *სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით უფრო თამამ ჰიპოთეზებსაც გამოთქვამენ. (241, 29-54). ქართულ ლინგვისტიკაში, ასევე, პოპულარობით სარგებლობს „პროტოქართველური" და „პროტოინდოევროპული" ენების ერთმანეთთან დაახლოვების ტენდენცია. რიგ შემთხვევაში „პროტოქართველური" ინდოევროპულ ენადაც განიხილება.*

ავტორის სტილი დაცულია

წინააზიური ენების ლექსიკიდან არის ნასესხები (ან პირიქით). პროტოინდოევროპული რიგ საერთო ელემენტებს სემიტური ჯგუფის ენებთანაც ამჟღავნებს. აქვე უნდა ითქვას, რომ „პროტოქართული“ ენა ფუძეინდოევროპულთან იმდენად დიდ სტრუქტურულ მსგავსებებს ავლენს, რომ ზოგი მკვლევარი მათი ჩამოყალიბების საერთო არეალზეც საუბრობს. მეორე მხრივ, როგორც ცალკეული ენების, ისე „პროტო ერთობის“ დონეზე ინდოევროპულ ენებში ვხვდებით ისეთ ლექსიკურ და მორფოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ინდოევროპელების უნგრო–ფინურ და ურალურ–ალთაურ ენებზე მოსაუბრე ხალხებთან ხანგრძლივ ისტორიულ კონტაქტებზე მეტყველებს. ყოველივე ზემოთქმული ლინგვისტების ნაწილს ინდოევროპული ტიპის ენების გენეზისთან დაკავშირებით საკმაოდ თამამი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას აძლევს. ასეთ მკვლევართა რიცხვში შეგვიძლია მოვიხსენიოთ: ე. ფორერი, ნ. ტრუბეცკოი, კ. ულენბეკი და სხვები. მათი კონცეფციები ერთმანეთისგან მთელ რიგ ნიუანსებში განსხვავდება, მაგრამ ბევრ საერთოსაც ამჟღავნებს იმის გამო, რომ „პროტოინდოევროპულს“ ყველა მათგანიუგრო–ფინურ–ურალურ–ალთაური და კავკასიურ–ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის ენების სინთეზის შედეგად წარმოქმნილად მიიჩნევს.

ყველაზე მკაფიოდ ეს თეორია კ. ულენბეკს აქვს ჩამოყალიბებული. იგი ინდოევროპულს (ჩრდილოეთ ევრაზიული) და (კავკასიურ–ხმელთა-შუაზღვისპირული) ტიპის ენების სინთეზის შედეგად წარმოქმნილად თვლის. თავის ადრეულ ნაშრომებში მას განხილული აქვს ინდოევროპული და ესკიმოიდური საერთო ენობრივი ელემენტები, რის საფუძვლზეც მიიჩნევს, რომ უნგრო–ფინური ენები ამ (ე.ი. ესკიმოსური) ტიპის საფუძველზე ვითარდებოდნენ, მაგრამ მოგვიანებით თავიანთი სახე ურალურ–ალთაურ ოჯახთან ურთიერთობისას დაკარგეს. სამაგიეროდ, ეს სახე არ დაუკარგავს უნგრო–ფინურთან ახლო მდგომ იმ ეთნიკურ ჯგუფს, რომელმაც ე.წ. A კომპონენტის სახით ინდოევროპული ტიპის ენების ფორმირებაში მიიღო მონაწილეობა. ულენბეკის აზრით, მეორე მხრივ, ამ პროცესში, ანუ ხმელთაშუაზღვისპირულ–კავკასიური ტიპის ენებთან ახლო მდგომი ენობრივი ჯგუფი მონაწილეობა (241, 35-36).

მსგავს მოსაზრებებს მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს, მაგრამ პროტოინდოევროპულის ზემოთხსენებულ ენებთან შეხვედრის ფაქტების

ავტორის სტილი დაცულია

ლოგიკური ახსნის აუცილებლობაზე ყველა საუბრობს. რიგი ზემოთჩამოყალიბებული დებულებებისა შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, სავსებით ცალსახაა, რომ ინდოევროპელებს თავიანთი „პროტო ერთობის“ არსებობის ხანაში უძველეს წინააზიელ და ჩრდილოევრაზიელ ხალხებთან ჰქონდათ კავშირი. თანამედროვე ინდოევროპისტიკაშიც ეს აზრია გავრცელებული, კერძოდ, ყველა აღიარებს „პროტოინდოევროპულ“ – წინააზიურ ენობრივ შეხვედრებს. ურალურ–ალთაურ ენებთან მისი კავშირისადმი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ კი ა. ანდრეევის გამოკვლევა გამოდგება. მან დაადგინა, რომ 203 ძველი ინდოევროპული ფუძიდან 198 ურალურ–ალთაურ და უგრო–ფინურ ენებშიც გვხვდება, 5 კი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში (276, 154).

სად შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი სივრცე? ქართველური ენების ფორმირებისა და გენეტიკური კავშირების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებული აზრი არ არსებობს, თუმცა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათი თავდაპირველი გავრცელების არეალი კავკასიის ტერიტორიას დიდად არ უნდა გასცილდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ ირანი და ინდოეთი ნოსტრატული ჯგუფის სხვა წევრებით (ზაგროს-ელამელებითა და დრავიდებით) იყო დასახლებული, ურალისპირეთი და ცენტრალური აზია კი, სავარაუდოდ, ურალელებისა და ალთაელების წინაპრებით, ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება, თუ ამგვარ შუალედურ ტერიტორიად სამხრეთ შუა აზიასა და ჩრდილოეთ ირანს ჩავთვლით. მეზოლითის ხანაში[23] ქვეყნის ეს ნაწილი ჩანს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ერთი მხრივ, ურალისპირეთთან (147, 368-372), მეორე მხრივ კი – წინა აზიასთან. ეს კავშირები არც ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში შესუსტებულა. ამ პერიოდში აქ სამი კულტურული წრე - ჯეითუნი, ჰისარი და კელტიმინარი – ჩამოყალიბდა (291, 13-24). ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას ჯეითუნის კულტურა იმსახურებს. მასში კარგად არის წარმოდგენილი „ნეოლითური რევოლუციის" ყველა მიღწევა. წინა აზიურ სინამდვილესთან მისი კავშირებიც ინტენსიურ ხასიათს ატარებს, ამავდროულად იგი ადგილობრივ, მეზოლითურ ტრადიციებსაც აგრძელებს. ეს გარემოებები, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ სამხრეთ შუაააზიურ

[23] მხედველობაშიგვაქვსისპერიოდი, რომელშიცევრაზიაშინოსტრატულიენებისგავრცელებაივარაუდება.

ავტორის სტილი დაცულია

თეორიას კარგად ესადაგება „ლინგვისტური პალეონტოლოგიის" საფუძველზე გაკეთებული ზემოთ ჩამოყალიბებული დასკვნები ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის წინა აზიური სამყაროს სიახლოვეს მდებარეობის შესახებ. იგივე შეიძლება ითქვას „ნეოლითური რევოლუციის" მიღწევებზეც. წინააღმდეგობაში იგი (ე.ი. სამხრეთ შუა აზიური თეორია) არც „პროტოინდოევროპულის" ქრონოლოგიის საკითხებთან მოდის.

ინდოევროპეისტიკისათვის ინდოევროპელების წინა აზიურ ნეოლითურ სინამდვილესთან დაკავშირების იდეა ახალი არ არის. თუმცა, ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით სამხრეთ შუა აზიურ ჰიპოთეზას მეტი არგუმენტი მოეპოვება, ვინაიდან:

ა) იგი არ გადაკვეთს წინა აზიის a priori არაინდოევროპელი მოსახლეობის გავრცელების ისტორიულ არეალს;

ბ) მის ფარგლებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შინაური ცხენის წინა აზიაში გავრცელების შესახებ საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება;

გ) მისი საშუალებით სადღეისოდ ცნობილი ინდოევროპული ენობრივი ჯგუფების თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში გავრცელების ლოგიკური გზების დასახვა ხერხდება.

ნეოლითის ხანის შუა აზიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შემდეგ არქეოლოგიურ რეალობას ვხვდებით: თურქმენეთის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში ჯეიოუნელი მიწათმოქმედები მეან–ჩააჩას რაიონამდე ვრცელდებოდნენ. დასავლეთით კი იმავე (ან მასთან ახლო მდგომი) კულტურის ძეგლები, შესაძლოა, სუმბარას ხეობაშიც (კარაკალას რაიონი) მდებარეობდნენ. რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილი ნეოლითელ მეთევზეთა ტომებს ეკავათ. მათი კვალი აღმოჩენილია კასპიისპირეთში, ხორეზმში, სამხრეთ–აღმოსავლეთ თურქმენეთში, ზერავშანას ხეობაში, ცენტრალურ ფერგანაში. ამ ძეგლების დიდი უმრავლესობა კელტემერანულ კულტურაში ერთიანდება. ირანის ჩრდილოეთით სიალკის, ტაჯიკეთის მთიან რაიონებში კი ჰისარის არქეოლოგიური კულტურები იყვნენ გავრცელებულნი. მკვლევართა ნაწილი მათ მიწათმოქმედებად და მესაქონლეებად თვლის,მეორენი - მონადირეებად და შემგროვებლებად, მესამენი კი - მეტწილად მესაქონლეებად (230, 366-367).

ენეოლითის ხანაში აქ კულტურის ევოლუციის ახალ საფეხურებს ვხვდებით. შუა აზიის ენეოლითის ადრეულ პერიოდს ანაუ I და ნამაზგა I–ის ტიპის ძეგლები განეკუთვნება. ანაუს ძეგლები ტერიტორიულად ორ,

ავტორის სტილი დაცულია

ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ, აღმოსავლეთ და დასავლეთ არეალად იყოფა. მისი გენეზისის საკითხი ძალიან რთულია, მაგრამ თითქოს ყველა თანხმდება, რომ მისი ჩამოყალიბება ჩრდილოეთ ირანიდან მომავალ იმპულსებს უნდა უკავშირდებოდეს. სამწუხაროდ, ირანული არქეოლოგიური ძეგლები ჯერჯერობით კარგად არ არის შესწავლილი. ის კი, რაც ვიცით მისი ყველაზე უფრო ცნობილი კულტურის - სიალკას - შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ იგი ნეოლით–ენეოლითის ხანაში სამხრეთ შუა აზიურ კულტურებთან ახლო კონტაქტში უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, რომ ამ არქეოლოგიური კულტურების წრეშია საძებნი ის ეთნო-ლინგვისტური ბაზისი, რომლის საფუძველზეც „პროტოინდოევროპული სინამდვილე“ ჩამოყალიბდა.

მაშასადამე, ვფიქრობთ, რომ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო სამხრეთ შუა აზიისა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქ ჯერ კიდევ მეზოლითის ხანაში უნდა დაწყებულიყო „პროტოინდოევროპული" ენობრივი თავისებურებების ჩამოყალიბების პროცესი. ეს პროცესი დიდად უნდა დაეჩქარებინა ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში ქვეყნის ამ ნაწილში (ე.ი. სამხრეთ შუა აზიასა და ჩრდილოეთ ირანში) მწარმოებლური მეურნეობის გავრცელებასა და ჰისარისა და ჯეითუნის მსგავსი არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბებას. ინდოევროპული ენობრივი სივრცის დაშლა, სავარაუდოდ, ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში უნდა დაწყებულიყო. მისი ევრაზიის კონტინენტზე განფენა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. დასავლეთით ანატოლიური ენების გავრცელება მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირებასთან, შემდეგ კი ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში მის დაშლასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თოხარულ ენებს განსაკუთრებული გადაადგილება არ განუცდია. ვოლგა-ურალისპირეთში ინდოევროპელების გავრცელების მარკერად აქ მწარმოებლური მეურნეობის გავრცელება უნდა ჩავთვალოთ. პონტიურ-კასპიური თეორიის მიხედვით, აქვე მდებარეობდა ინდოევროპელების წინარესამშობლო, რომელიც, ჩვენი აზრით, წინარესამშობლოს მხოლოდ ინდოევროპული ოჯახის არიულ-ბერძნულ-სომხურ-,,ძველევროპული" ფრთისთვის წარმოადგენდა. ამგვარი მსჯელობის შემთხვევაში, ვფიქრობთ, დ. ადამსისა და ჯ. მელორის ზემოთ განხილული არც ერთი კრიტერიუმი არ ირღვევა. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ შემოთავაზებული ყველა ლინგვისტური

ავტორის სტილი დაცულია

არგუმენტიც ძალაში რჩება. ვფიქრობთ, რომ ისტორიული და თეორიული საკითხების (რა ისტორიული რეალობა იმალება „პროტოინდოევროპულის" ლინგვისტური ცნების ქვეშ; რა ფორმებით ვრცელდებოდნენ სხვადასხვა მიმართულებით ინდოევროპული ენობრივი ჯგუფები და როგორ აისახებოდა ყოველივე ეს არქეოლოგიურ მასალაზე) შესახებ მსჯელობა შემოთავაზებულ ჰიპოთეზას სამომავლოდ მეტ დამაჯერებლობას შესძენს.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, ინდოევროპელების წინარესამშობლოს გეოგრაფიული ლოკალიზაციის შესახებ მსგავსი ჰიპოთეზები ინდოევროპისტიკაში ადრეც იყო გამოთქმული[24], მაგრამ ზემოთჩამოყალიბებული ჰიპოთეზა მათ სამართალმემკვიდრედ ვერ ჩაითვლება, რადგან XIX საუკუნეში პოპულარული თეორიები ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ, ძირითადად, ლინგვისტურ დასკვნებს ეყრდნობოდა, რომლების არაავთენტურობაც XIX საუკუნის II ნახევარში, ლინგვისტიკური მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ცალსახად გამოჩნდა (ერთ-ერთი მათგანი იყო, მაგალითად, ვედური სანსკრიტის პროტოინდოევროპულთან იდენტურობის თეორია), რის შემდეგაც თანამედროვე ინდოევროპისტიკაში მათ სერიოზულად აღარავინ უყურებს.

<u>გ) როგორ მიმდინარეობდა ევროპის „ინდოევროპიზაციის" პროცესი (რა ისტორიული ფონი სდევდა მას) და რა ასახვა ჰპოვა მან ქვეყნის ამ ნაწილის არქეოლოგიურ სინამდვილეზე?</u> - როგორც არ უნდა მივუდგეთ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემას, ცხადია, რომ მის გარშემო არსებული თეორიების ავთენტურობა-არაავთენტურობის მთავარი ინდიკატორი მიგრაციების იმ გზების ბუნებრივობაა, რომელთამეშვეობითაც წერილობითი წყაროების საშუალებით ცნობილმა ეთნო-ლინგვისტურმა ჯგუფებმა (ხეთებმა, კელტებმა, არიელებმა, გერმანელებმა და სხვა) თავიანთ ისტორიულ საცხოვრისს მიაღწიეს. ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების ევროპაში განსახლება და მათი ადგილობრივ არქეოლოგიურ კულტურებთან დაკავშირება თანამედროვე ინდოევროპეისტიკის ერთ-ერთი ურთულესი

[24] *მაგალითად, ინდოეთს წინარესამშობლოდ თვლიდნენ ფ. შლეგელი და ა. შლეიხერი; სოგდიანას და ცენტრალურ აზიას - კ. პესტი და ა. პიქტე; მესოპოტამიას - თ. მომზენი; ჰიმალაის მისადგომებს - ი. შერი.*

ავტორის სტილი დაცულია

პრობლემაა. ამ კუთხით შექმნილ ლიტერატურაში არაერთ სტატიას თუ მონოგრაფიას შევხვდებით, რომლებშიც ცალკეული ეთნო–ლინგვისტური ჯგუფების მიგრაციებზეა საუბარი, თუმცა ამ საკითხის კომპლექსური (ანუ ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ყველა წარმომადგენლის ევროპულ არქეოლოგიურ მასალასთან დაკავშირების) გაშუქების მცდელობა არცთუ ბევრია. როგორც წესი ისინი დამაჯერებლობით არ გამოირჩევიან. საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანი შეგვიძლია გამოვყოთ. მათი ავტოტორები არიან კ. რენფრიუ (რომელიც ინდოევროპელების სახელს ევროპაში ნეოლითური ხანის კულტურების გავრცელებას უკავშირებს), მ. გიმბუტა (რომელიც ინდოევროპელების განსახლების საწყის წერტილად ადრებრინჯაოს ხანის ურალისპირეთს ხედავს), ვ. საფრონოვი (და სხვა ბალკანეთ-კარპატებში წინარესამსშობლოს ლოკალიზების მოსურნე მკვლევარები) და თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (რომლებიც ინდოევროპელთა წინარესამშობლოდ მცირე აზიას მიიჩნევენ). მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.მათი ხარვეზები, ვფიქორბთ, კარგად წარმოაჩენს იმ სისუსტეებს, რომლებიც ინდოევროპელთა წინარესამშობლოს შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ თეორიებს ახასიათებს.

<u>ვ. საფრონოვის თეორია</u> (რომელიც შედარებით უფრო კომპლექსური თანმიმდევრულია იმ ჰიპოთეზებს შორის, რომლებიც ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის ბალკანეთ-კარპატების რაიონში ლოკალიზებას ცდილობენ) დაახლოებით ასე გამოიყურება: ავტორი ლინგვისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ინდოევროპულმა ენებმა განვითარების სამი დიდი ეტაპი გაიარეს და თითოეული მათგანისთვის არქეოლოგიური შესატყვისობების პოვნას ცდილობს. მისი აზრით, პირველ ეტაპს (ანუ ინდოევროპელების ადრეულ წინარესამშობლოს) ჩატალ - ჰუიუკის კულტურა შეესატყვისება, რომელიც მცირე აზიაში ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებში იყო გავრცელებული. ინდოევროპელების საშუალო წინარესამშობლოს (რომელშიც ინდოევროპული ენების განვითარების მეორე ეტაპი მიმდინარეობდა) ლოკალიზაციას ავტორი ბალკანეთ–კარპატების რაიონში (ძვ.წ. V-IV ათასწლეულიების ვინჩის არქეოლოგიური კულტურის წიაღში) ცდილობს. მესამე ეტაპს კი ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ლენდენისა და ძაბრისებრი კერამიკის კულტურება უკავშირებს (276, 203-209).

ცალკეული ინდოევროპული ეთნო–ლინგვისტური ჯგუფების მიგრაციის საწყის წერტილებად სწორედ ამ არქეოლოგიური კულტურების გავრცელების

ავტორის სტილი დაცულია

არეალი ივარაუდება. ვ. საფრონოვი ერთადერთი ავტორი არ არის, რომელიც ინდოევროპელების წინარესამშობლოს „დუნაის ცივილიზაციის“ ჩარჩოებში ეძებს, მაგრამ ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს თეორია მას ყველაზე უფრო თანმიმდევრულად აქვს ჩამოყალიბებული.

ამ თეორიის მთავარი სისუსტე ისაა, რომ არ ჩანს ბალკანეთ–კარპატების რაიონიდან არქეოლოგიური კულტურების აღმოსავლეთით გავრცელების დამადასტურებელი არგუმენტები (ის, რასაც ვ. საფრონოვი გვთავაზობს, ძალზე არადამაჯერებელია). ასევე, ევროპის არქეოლოგიურ სივრცეში არ ჩანს ზაბრისებრი თასების და ლენდენის არქეოლოგიური კულტურების უწყვეტი კავშირი.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ რეალურად ბალკანეთ-დუნაისპირეთი მხოლოდ ინდოევროპული ენების ოჯახის ერთ-ერთი (ალბათ კონსერვირებული) ფრთის საცხოვრისი შეიძლებოდა ყოფილიყო. მისთვის წინარესამშობლოს სტატუსის მინიჭება კი არაფრით შეიძლება.

არქეოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო დამაჯერებელია <u>მ. გიმბუტას თეორია</u>. იგი ყველაზე უფრო თანმიმდევრულად აგრძელებს ევროპული ინდოევროპისტიკის ტრადიციებს. გ. ჩაილდის მსგავსად, მას საწყის ინდოევროპულ კულტურად ძველი ორმოსამარხების ტიპის ძეგლები მიაჩნია. შესაბამისად, მათი წინარესამშობლოს ლოკალიზებას იგი ვოლგისპირეთში ახდენს. მისი აზრით, აქედან ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში[25] მომავალი იმპულსების კვალდაკვალ ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები იწყებენ გავრცელებას (ყორღანული, ზონრიანი კერამიკის და სხვა კულტურები აქ ძველი ორმოსამარხების კონტინიუმად განიხილება). მათ „სავიზიტო ბარათად“ გიმბუტა ორმოებში მოკრუნჩხულ მდგომარეობაში ზურგზე დამარხვის ტრადიციას მიიჩნევს. ავტორი ევროპის ინდოევროპიზაციის პროცესს ცენტრალულ ევროპაში არსებული „სუფსტრატული ცივილიზაციების“ (ტრიპოლიე, გუმელნიცა, ვინჩი) დეგრადაციას უკავშირებს. მათ წიაღში ინდოევროპელების ინფილტრაციის საბოლოო თარიღად იგი ძვ.წ. 2500–2200 წლებს თვლის. ეს პროცესი ავტორს ერთგვარი დრამის სახით აქვს წარმოდგენილი. კერძოდ, იგი ავითარებს მოსაზრებას, რომპატრიარქალური

[25] *ძველი ორმოსამარხების კულტურის არსებობის თარიღს გიმბუტა მთელი ათასწლეულით აძველებს. ტრადიციულად მისი ფორმირება და გავრცელება არა ძვ. წ. V–IV, არამედ IV - III ათასწლეულებით თარიღდება.*

ავტორის სტილი დაცულია

საზოგადოების პირობებში მცხოვრებმა აგრესიულმა ინდოევროპელმა ტომებმა გაანადგურეს ე.წ. "ძველი ევროპის" მატრიარქატის პრინციპებზე ორგანიზებული სამყარო, რომლის მსოფლმხედველობაც დღევანდელი ცივილიზაციებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა (98, 198-209).

არქეოლოგიური თვალსაზრისით, მ. გიმბუტას თეორია (რიგი ქრონოლოგიური ხასიათის დებულებების არადამაჯერებლობის მიუხედავად) ყველაზე უფრო გამართულია, მაგრამ იგი ბევრ ხარვეზსაც შეიცავს. კერძოდ, მის მიერ წინარესამშობლოდ გამოცხადებული ტერიტორია ძნელად ეთავსება „ლინგვისტიკური პალეონტოლოგიის" მონაცემებს. ყველაფერი ის, რაც ამ (ე.ი. ლინგვისტური პალეონტოლოგიის თვალსაზრისით) ვიცით ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ იგი ვოლგისპირეთში (ძველაღმოსავლური ცივილიზაციებისგან ასე შორს) არ მდებარეობდა.

<u>თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თეორიის</u> მიხედვით, ინდოევროპელების პირველსაცხოვრისად კავკასიის სამხრეთი, მცირე აზიის აღმოსავლეთი და მესოპოტამიის ჩრდილოეთი ნაწილი ითვლება. მის არქეოლოგიურ ეკვივალენტად კი ჰალაფის, შულავერ–შომუთეფეს და მტკვარ–არაქსის კულტურები განიხილება. გამყრელიძისა და ივანოვის თეორიის თანახმად ინდოევროპულ ერთობას თავდაპირველად ანატოლიური ჯგუფი გამოეყო, შემდგომ კი - ბერძნული და არიული, რომლის წარმომადგენლების მიგრაცია ევროპისკენ ძვ.წ. III ათასწლეულში ნაწილობრივ მცირე აზიის, ნაწილობრივ კი კავკასიის გზით განხორციელდა. ინდოევროპული ოჯახის დანარჩენმა წარმომადგენლებმა ამ სქემის მიხედვით თავიანთ ისტორიულ საცხოვრისს შუა აზიის, ვოლგისპირეთის და სამხრეთ რუსეთის სტეპების გავლით მიაღწიეს, სადაც მათი მეორადი ენობრივი კონვერგაცია მოხდა.

ამ თეორიის ძლიერი მხარე ლინგვისტური მონაცემებია. მართალია, ბევრი მოსაზრება აქაც საკამათოა, მაგრამ ძალზე დამაჯერებლად გამოიყურება დასკვნა: ენათმეცნიერული მონაცემების კვალობაზე ინდოევროპელების წინარესამშობლო სადღაც სამხრეთ ბალკანეთიდან თურქმენეთამდე ტერიტორიაზე უნდა მოვიაზროთ (239, 479-490). თუმცა არქეოლოგიური თვალსაზრისით იგი კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც ო. ჯაფარიძე შენიშნავს, აქ ნავარაუდები ინდოირანელი ტომების კავკასიის გავლით ევროპისკენ მიგრაციის და ჰალაფური კულტურის შუა აზიისკენ გავრცელების თეორიას არქეოლოგიური საფუძველი არ გააჩნია (27, 122). იგივე შეიძლება ითქვას

ავტორის სტილი დაცულია

ბერძნების მცირე აზიიდან მიგრაციის ჰიპოთეზის შესახებაც. ამ მხრივ მისი გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ აქ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების მიგრაცია არა ხალხების მასობრივი მოძრაობის, არამედ მცირე ჯგუფების მშვიდობიანი გადაადგილების სახით არის წარმოდგენილი, რაც თითქოს საფუძველს გვაძლევს მათ მოძრაობაზე საუბრისას არქეოლოგიურ მონაცემებს მეორეხარისოვანი მნიშვნელობა მივანიჭოთ.

ზემოთხსენებული ავტორებისგან განსხვავებული პოზიცია უჭირავს კ. რენფრიუს, რომელიც ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების ევროპაში გავრცელებას ნეოლითურ მიგრაციებს უკავშირებს (173, 280-289). ამ თეორიის ჩარჩოებში ცალკეული ინდოევროპული ენობრივი მასივების თავგადასავალზე საუბარი ძნელია, რადგან ავტორის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს საკითხის ასე ფორმულირებას ნიჰილისტურად უცქერის.

ამდენად, ევროპის ინდოევროპიზაციის ყველა ზემოთხსენებული სქემა მნიშვნელოვანი სისუსტით ხასიათდება. მათი გაუმართავობა, რა თქმა უნდა, სამხრეთ შუააზიური თეორიისათვის არგუმენტი არ არის, მაგრამ მას გარკვეული მნიშვნელობა მაინც აქვს. მისი ავთენტურობა–არაავთენტურობის მთავარი ინდიკატორად კი მხოლოდ ინდოევროპული ენობის ევროპაში გავრცელების მისეული სქემა შეიძლება გამოდგეს.

ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოდ სამხრეთ შუა აზიის გამოცხადების შემთხვევაში საშუალება გვეძლევა მათი პრეისტორიული მიგრაციები განსხვავებულ კონტექსტში განვიხილოთ, რაც, ვფიქრობთ, მთელი რიგი არქეოლოგიური და ლინგვისტური ლაფსუსებისგან თავის არიდების საშუალებას მოგვცემს. იმისათვის, რომ მსჯელობას მეტად ჰიპოთეტური ხასიათი არ მიეცეს, საჭიროა, ყოველთვის თვალწინ გვქონდეს ინდოევროპელების „პროტოერთობის“ დაშლის ამსახველი ზემოთმოყვანილი ლინგვისტიკური სქემა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ იმ არქეოლოგიური დებულებების დასაბუთებას, რომლებსაც ჩვენი თეორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

სამხრეთ შუა აზიური თეორიის მიხედვით გამოდის, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით თოხარული ენები მხოლოდ უმნიშვნელოდ გადაადგილდნენ. ანატოლიელების წინა აზიაში გავრცელება კი, ვფიქრობთ, მტკვარ-არაქსის არქეოლოგიურ კულტურას უკავშირდება. ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისში სამხრეთ შუა აზიიდან და ჩრდილოეთ

ავტორის სტილი დაცულია

ირანიდან მოსული ელემენტის მონაწილეობა დადასტურებულ ფაქტად ვერ ჩაითვლება[26], თუმცა, ვფიქრობთ, რამდენიმე გარემოებაზე ყურადღების გამახვილებამ, შესაძლოა, კვლევის საინტერესო პერსპექტივები გვიჩვენოს. კერძოდ:

1) მტკვარ-არაქსის კულტურით კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანა იწყება, რასაც წინა აზიაში მნიშვნელოვანი კულტურული, სამეურნეო და, შესაძლოა, ეთნო-ლინგვისტური ცვლილებები მოსდევს. მათი კვალი აშკარად ეტყობა ძვ. წ. IV ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალას. კერძოდ, ხალხთა მნიშვნელოვანი ტალღა ინაცვლებს სამხრეთ შუა აზიიდან ურალისპირეთის მიმართულებით. თავის მხრივ, სამხრეთელი მიგრანტები ითვისებენ სამხრეთ შუა აზიის ტერიტორიას, რაც აქ ანაუს კულტურის ფორმირების საფუძველი ხდება (291, 24-26). ამავე პერიოდში კავკასიაში გავრცელდა ლეილათეფეს ტიპის ძეგლები და სამხრეთიდან ჩრდილო კავკასიისკენ ხალხთა მნიშვნელოვანი ნაკადი გადავიდა, რამაც მაიკოპის კულტურის ფორმირება გამოიწვია (27, 277-278). აგრეთე, მტკვარ-არაქსელი ტომები სწრაფად გავრცელდნენ კავკასიაში და ა.შ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩნდებიან შუმერები სამხრეთ შუამდინარეთში. რ არის გამორიცხული, რომ მათი გადაადგილებაც რაიმე ფორმით ზემოთ ხსენებულ მოვლენებს უკავშირდებოდეს. ინდოევროპული (ანატოლიური) „კილოკავების" დასავლეთით გავრცელებაც, ვფიქრობთ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ (ხაზს ვუსვამთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ, რომელი ლოგიკური კულტურულ-ისტორიულ პროცესების დევდათან ინდოევროპული კილოკავების დასავლეთით გავრცელებას);

2) ხეთების მცირე აზიის ტერიტორიაზე არსებობა მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან დასტურდება. ამავე პერიოდს ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემა. ჩანს, რომ მისი მოსახლეობა ნაწილობრივ ჩრდილოელი მეზობლებისა და ნაწილობრივ კლიმატური პირობების გაუარესების გამო მასობრივად ტოვებს ძველი განსახლების ადგილებს (27, 170-174). სწორედ ეს ხდება სირიაში კირბეთ-კერაკის კულტურის გენეზისის

---

[26] *ჩრდილოეთირანისტერიტორიაარქეოლოგიურითვალსაზრისითბოლომდე შესწავლილიარ არის.. იგივეშეიძლებაითქვასქვეყნისამნაწილისარქეოლოგიურიძეგლებისკავკასიურიმასალების კონტექსტშიგანხილვის შესახებ.*

ავტორის სტილი დაცულია

მიზეზი. გარკვეული მასების გადაადგილებას ბალკანეთის მიმართულებითაც ვარაუდობენ. ხომ არ უნდა ვეძებოთ ანატოლიელების მცირე აზიაში გავრცელების ისტორიული საფუძველია მოვლენების კონტექსტში?

3) ყურადღება უნდა მივაქციოთ წინა აზიაში შინაური ცხენის გავრცელების პრობლემასაც. ბევრი არქეოლოგი თვლის, რომ მტკვარ-არაქსის მოსახლეობა ცხენს იცნობდა (27, 108-109) ჯერ კიდევ მაშინ, როცა მას არ ჰქონდა საშუალება, რომ კულტურის ეს ელემენტი სტეპებთანკავშირისშედეგადაეთვისებინა. ახალი მონაცემებით (145, 129-139) ასევე იკვეთება, რომ ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე შინაური ცხენი, შესაძლოა, ძვ. წ. IV ათასწლეულში ან უფრო ადრეულ პერიოდშიც ვრცელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა აზიის სხვა მხარეებში ამ მხრივ განსაკუთრებულ მასალას ვერ ვხვდებით. გავიხსენოთ ზემოთ უკვე აღნიშნული შუა აზიის ტრადიციული კავშირები.ამ კავშირებს ევროპის ინდოევროპეიზაციის პროცესში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. აგრეთვე, გავიხსენოთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ცხენის მოშინაურება იმ ზოლში უნდა მომხდარიყო, რომელშიც შინაური ვირი იყო გავრცელებული (81, 441-442).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველაზე მეტი პოპულარობით ცხენის აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში მოშინაურების კონცეფცია სარგებლობს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ძვ.წ. IV ათასწლეულში შინაური ცხენის გავრცელების საინტერესო არეალი იკვეთება, რომელიც ძალზე უახლოვდება ჩვენ მიერ ინდოევროპულ სივრცედ აღქმულ ტერიტორიას;

4) ვფიქრობთ, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა წინა აზიასთან სუსტ კავშირებს ამჟღავნებს (განსხვავებით რეგიონში მისი წინამორბედი არქეოლოგიური კულტურებისგან) მაშინ, როცა მისი ჩრდილოელ იმეზობელი მაიკოპის კულტურა ამ მხრივ საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. ხომ არ არის ეს მტკვარ-არაქსის კულტურის შექმნაში არაადგილობრივი ელემენტის მონაწილეობის არგუმენტი? იდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ზემოთმოყვანილ მსჯელობას (ინდოევროპული ენების დასავლეთით გავრცელების შესახებ) ჯერჯერობით მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის სახე შეიძლება ჰქონდეს.

ავტორის სტილი დაცულია

სამხრეთ შუააზიური ჰიპოთეზის გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივია, ევროპაში ინდოევროპული ენების გავრცელების საკითხიც საჭიროებს ალტერნატიულ ახსნას. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, ყურადღება ურალის სტეპების „ნეოლითიზების" პროცესზე (ვგულისხმობთ მწარმოებლური მეურნეობის გავრცელების პროცესს) გავამახვილოთ. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ქვეყნის ამ ნაწილში მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება და განვითარება მხოლოდ სამი შესაძლო ცენტრიდან: დუნაისპირეთ-ბალკანეთიდან, კავკასიიდან და სამხრეთ შუა აზიიდან შეიძლებოდა მომხდარიყო (135, 203).

ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში კავკასიის სტეპებთან კონტაქტები არ დასტურდება,თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით სამხრეთ შუა აზიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინდოევროპეისტიკის საკითხებზე მსჯელობისას ამ პროცესს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ როგორც მეზოლითის, ისე ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდში ეს რეგიონები (ე.ი. ურალისპირეთი და სამხრეთ შუა აზია) ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული[27]. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სტეპების ათვისებასა და იქ ნომადური მეურნეობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მეცხვარეობის კულტურამ შეასრულა. ცხვარი, ისევე როგორც თხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ურალის სტეპებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ბინადრობდა (147, 375). ძალზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ იგი აქ სამხრეთ კასპიისპირეთიდან გავრცელდა, სადაც მისი დომესტიკაციის ერთ-ერთი უძველესი კერა არსებობდა. დასასრულ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „პროტოინდოევროპულ“ ენაში, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი მეცხვარეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ვოლგა-ურალის სტეპების ათვისებაზე მსჯელობისას დუნაი-ბალკანეთის კერის მნიშვნელობის დაკნინება. უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება ურალისპირეთსა და მის აღმოსავლეთნაწილში ძირითადად მაინც სამხრეთ შუააზიური გავლენის შედეგად მოხდა[28]. ინდოევროპული კილოკავების, უფრო სწორად, მისი არაანატოლიური და არათოხარული ნაწილის ევროპაში გავრცელება

[27] *ამ საკითხის შესახებ იხ: 289, 327-328.*

[28] *განსხვავებული პოზიცია შეიძლება ვიქონიოთ ვოლგისპირეთთან მიმართებით.* .

ავტორის სტილი დაცულია

ხსენებული მიმართულებით ეთნიკური და კულტურული დიფუზიის შედეგად მიგვაჩნია. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია განსხვავდება პონტიურ-კასპიური თეორიების მომხრეებისგან, რომლებიც ქვეყნის ამ ნაწილის ინდოევროპეიზაციის პროცესს უფრო დასავლეთიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირებენ. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომა ნ. დანილენკოს მიერ შემოთავაზებული არქეოლოგიური არგუმენტებისა (289, 327-328) და ჯ. ნიკოლსის ლინგვისტური დასკვნების (159, 245-277) ურთიერთდაკავშირების საინტერესო საშუალებას იძლევა.

მაშასადამე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ სამხრეთ შუა აზიიდან, რომლიც, ჩვენი აზრით, ინდოევროპელების წინარესამშობლოს წარმოადგენდა, ძვ.წ. IV ათასწლეულში მომთაბარე–მესაქონლე ტომების მცირე ჯგუფების მიგრაცია დაიწყო, რის შედეგადაც ვოლგა–ურალისპირეთის ინდოევროპიზაცია მოხდა. ძალზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ახალმოსულებმა აქ "სუპერსტრატის" როლი შეასრულეს, რის შედეგადაც სრედნესტოგის, დნეპრო–დონეცკის და სხვა კულტურები ჩამოყალიბდა. ძველი ორმოსამარხების კულტურა კი, სავარაუდოდ, სრედენსტოგის კულტურის საფუძველზე განვითარდა (98, 78).

ვფიქრობთ, რომ ძველი ორმოების კულტურა წინარესამშობლოს წარმოადგენდა ყველა იმ ინდოევროპული ენისთვის, რომლებიც მოგვიანებით ევროპაში იყო გავრცელებული (ვგულისხმონთ ყველა ინდოევროპულ ენას[29] ანატოლიურისა და თოხარულის გამოკლებით, რომლების ისტორიაც ზემოთ წინა და ცენტრალურ აზიას დავუკავშირეთ).

ძვ.წ. III ათასწლეულში ძველი ორმოების კულტურის საფუძველზე სამი მსხვილი კულტურულ-ისტორიული ერთობა ჩამოყალიბდა (უფრო სწორად განვითარდა):

ა) ამ პერიოდის ვოლგა-ურალის სტეპებში გავრცელებული ჩანს პოლტავინოს კულტურა;

ბ) შავიზღვისპირეთში – კატაკომბური;

გ) ჩრდილოეთ ევროპაში კი საბრძოლო ცულების კულტურა ვრცელდება.

ვფიქრობთ, რომ ამ არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბება ინდოევროპული ენების დივერგაციის მეხუთე ეტაპს შეესაბამება, როდესაც

[29] *მათ შორის ვგულისხმობთ ინდო-ირანულ და ინდო-არიულ ენებსაც.*

ავტორის სტილი დაცულია

მსხვილ ინდოევროპულ ჯგუფებად იტალიურ-კელტური, ბერძნულ-სომხურ-არიული და ბალტიურ-სლავურ გერმანიკული გამოიყოფა.

მიგვაჩნია, რომ ბალტიურ-სლავურ-გერმანიკული საბრძოლო ცულების კულტურას შეესაბამება; კატაკომბური კულტურა ბერძნულ-სომხურ-არიულს წარმოადგენს, პოლტავინოსი კი - იტალიურ-კელტურს (ამ საკითხების შესახებ უფრო დეტალურად II თავის მეორე და III თავის მეორე პარაგრაფში გაგრძელდება მსჯელობა).

ავტორის სტილი დაცულია

თავი II

ანტიკური ხანის კელტების ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვანი ენათმეცნიერული, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები

კელტური სამყარო ძველთაგანვე დიდ ინტერესს იწვევდა. ანტიკური ხანის ავტორები და შუა საუკუნეების (ძირითადად, ირლანდიური და ინგლისური) ქრონიკები მრავალფეროვან ინფორმაციას გვაწვდიან ამ „ხალხის" ისტორიაზე, რელიგიაზე, მითოლოგიაზე, სოციალურ ინსტიტუტებსა და ყოფით თავისებურებებზე. თანამედროვე მეცნიერებიც კელტურ სინამდვილეს სხვადასხვა კუთხით სწავლობენ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მათ არ გააჩნიათ ამომწურავი პასუხი მთავარ კითხვაზე: „ვინ იყვნენ კელტები?". ანტიკური ხანის კელტური სინამდვილის ისტორიული თვალსაზრისით რაობის პრობლემა კელტოლოგიაში დღემდე ერთ-ერთ უმთავრეს სადისკუსიო საკითხად რჩება.

წინამდებარე თავი კელტების ეთნოგენეზთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. აქ ერთმანეთისგან იზოლირებულად განვიხილავთ ენათმეცნიერულ, არქეოლოგიურ და ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებს, რომლების მიმართ მკვლევარის პოზიციას, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსანტიკური ხანის კელტების ეთნოგენეზის საკითხზე მსჯელობისას. კერძოდ, ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ სადისკუსო თემებზე:

<u>ენათმეცნიერულ ნაწილში (§ 1):</u>

ა) რას წარმოადგენდა ე.წ. „პროტოკელტური" ენა? რა შეიძლება ითქვას მასთან ისტორიულად ცნობილი კელტური ენების მიმართების შესახებ?

ბ) რა სახის კონტაქტები ჰქონდა კელტურ ენებს („პროტო" და ცალკეული ენების დონეზე) სხვა ინდოევროპულ და არაინდოევროპულ ენებთან?

<u>არქოლოგიურ ნაწილში (§ 2):</u>

ა) რომელი არქეოლოგიური კულტურები უნდა ჩავთვალოთ კელტების, უფრო სწორად "პროტოკელტურ ენაზე (ენებზე)" მოსაუბრე ხალხების შემოქმედებად?

ბ) რა ეთნო-სოციალურმა პროცესებმა გამოიწვია ლატენის არქეოლოგიური კულტურის ფორმირება?

ავტორის სტილი დაცულია

<u>ისტორიულ ნაწილში (§ 3):</u>

ა) როგორ მოხდა კელტების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებების ფორმირება?

ბ) რა ვერსიებია დაცული წერილობით წყაროებში კელტების გენეზისის შესახებ?

გ) რა მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინს - „კელტი“ ანტიკური ხანის ავტორები?

აქვე ვიმსჯელებთ ეთნოგენეტიკური კვლევებისთვის ლინგვისტიკის, არქეოლოგიისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის მნიშვნელობაზე.

<u>§1. კელტების ეთნოგენეზისის საკითხისათვის მნიშვნელოვანი ენათმეცნიერული პრობლემები</u>

პირველ რიგში, ყურადღება ლინგვისტიკის მონაცემებს უნდა მივაპყროთ. კელტურ ენებს სხვადასხვა ავტორები XVI საუკუნიდან აღწერდნენ (ჯ. ბუკენენი, ე. ლიდი ...),თუმცა, მათ მიმართ ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც 1786 წელს უილიამ ჯონსის ძალისხმევით გაირკვა, რომ კელტური ახლად “აღმოჩენილი” ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ნაწილს წარმოადგენდა. კომპარატივისტიკის კუთხით მათი კომპლექსური შესწავლა მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კ. ცეისის ნაშრომს - “კელტური გრამატიკა” და ფ. ბოპის წიგნს - „კულტურული ენები შედარებითი ლინგვისტიკის თვალსაზრისით" (251, 34). კელტურმა, როგორც პერიფერიულმა ინდოევროპულმა ენამ, ლინგვისტების ფართო დაინტერესება გამოიწვია. XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში მას არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს: ი. პოკორნიმ, ჰ. ციმერმა, კ. მეიერმა, რ. ტურნეიზენმა, კ. ჯექსონმა, ჟ. ლომ, ჟ. ვანდრიესმა, ჰ. პედერსენმა, გ. ლუისმა და სხვა ცნობილმა ლინგვისტებმა. ამავე პერიოდში გამოიკვეთა სადისკუსიო პრობლემები, რომლებსაც კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: არსებობდა თუ არა „პროტოიტალიურ-კელტური” ერთობა; გვხვდება თუ არა “სუბსტრატული” ელემენტები ირლანდიურ ენაში და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კელტოლოგიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რის მიზეზსაც,ძირითადად, ამ პერიოდში გაკეთებული

ავტორის სტილი დაცულია

აღმოჩენები წარმოადგენს. კერძოდ, დადასტურდა ლეპონტური და კელტ-იბერული ენების კელტური ბუნება. კელტ-იბერული წარწერები ჯერ კიდევ 1921-22 წლებში გაშიფრა ესპანელმა არქეოლოგმა მ. გარსია-მორენომ, მაგრამ მისი კონცეფცია სასტიკად გააკრიტიკა ჰ. შუჰარდტმა, რომელიც ამ ძეგლებში იბერიული ენობრივი ელემენტების ამოცნობას ცდილობდა.მათი (ე.ი. კელტ-იბერულიწარწერების)კელტურიბუნებისდამტკიცებამხოლოდ 1946 წელსშეძლოა. ტოვარმა. ლეპონტური წარწერების გაშიფრვა კი (XX საუკუნის 70-იან წლებში) მ. ლეჟენის სახელს უკავშირდება (251, 89).

ამასთან, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა სამეცნიერო პარადიგმა, რომლის საფუძველზეც მანამდე ენობრივი მონაცემების ინტერპრეტაცია ხდებოდა (საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი). ამის გამო სადისკუსიო გახდა ბევრი მანამდეთითქმის ცალსახად გაზიარებული დებულება. მაგალითად, ეჭვქვეშ დადგა „პროტოკელტურის" ჰომოგენური ბუნება, კელტური ენების კლასიფიცირების სისტემის დამაჯერებლობა, ცალკეული ენობრივი პროცესების (მაგალითად,P* - ს დისიმილაციის) რეალური არსი და სხვა. ეს საკითხები კელტოლოგიაში დღემდე ინტენსიურად განიხილება.

ანტიკური ხანის კელტების ეთნოგენეზის პრობლემაზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, ყურადღება შემდეგი ლინგვისტური შინაარსის საკვლევ კითხვებზე უნდა გავამახვილო:

ა) რას წარმოადგენდა ე.წ. „პროტოკელტური“ ენა? რა შეიძლება ითქვას მასთან ისტორიულად ცნობილი კელტური ენების მიმართების შესახებ?

ბ) რა სახის კონტაქტები ჰქონდა კელტურ ენებს („პროტო“ და ცალკეული ენების დონეზე) სხვა ინდოევროპულ და არაინდოევროპულ ენებთან?

ამ საკითხებზე მსჯელობისას ჩვენი მსჯელობა თანამედროვე მკვლევრების ჟ. იეშკას, რ. ვუდარდის, ე. ევანსის, რ. ვოლასის, ჯ. ფაიფის, ვ. კალიგინისა და ა. კოროლიოვის ნაშრომებს ემყარება.

ვიდრე უშუალოდ ამ საკვლევი კითხვების შესწავლაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობთ, საჭიროა განვიხილოთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ლინგვისტიკას ეთნოგენეტიკური კვლევებისთვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, იმ თეორიული პრობლემების შესახებ, რომლებიც მის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების

ავტორის სტილი დაცულია

სხვა სამეცნიერო დისციპლინების მონაცემებთან დაკავშირებისა და ისტორიული ინტერპრეტაციისას წარმოიქმნება[30].

<u>ლინგვისტიკა</u> - ამა თუ იმ ენის, ან ენათა ჯგუფის ლინგვისტური შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა საქმე პრეისტორიულ, ან წერილობითი წყაროების მიერ ნაკლებად გაშუქებულ გეოგრაფიულ არეალში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს ეხება. ბევრი მეცნიერი ენას უმთავრეს ეთნიკურ მახასიათებლად თვლის და შესაბამისად, ამა თუ იმ ხალხის გენეზისზე მსჯელობისას ლინგვისტიკურ მონაცემებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მათი არგუმენტები, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს. თანამედროვე ლინგვისტიკა ერთ-ერთი უმკაცრესი მეცნიერებაა. მის განკარგულებაშია კველევის შედარებით - ისტორიული და სტრუქტურული მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება მსოფლიოს ენების და გენეტიკური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა პირველ მათგანს ენიჭება, რადგან იგი მონათესავე ენების ამოსავალი არქეტიპის რეკონსტრუქტირების და ამ აღდგენილი ერთობის თანდათანობითი დაშლის ისტორიული თანმიმდევრობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა .ბრუნვაში შემოდის ცალკეული ცნებები და ტერმინები (მაგალითად, სუპერსტრატი, სუბსტრატი, კონვერგაცია, დივერგაცია და ა. შ.), რომლების ეთნიკური ისტორიის კონტექსტში განზოგადებაც კვლევის საინტერესო პერსპექტივებს გვისახავს.

ამასთან, კვლევის ლინგვისტიკურ მეთოდებს ეყრდნობა: ტოპონიმიკა, ჰიდრონიმიკა, ონომასტიკა, ლინგვოგეოგრაფია და სხვა დისციპლინები, რომლებსაც, ასევე, მრავლისმეტყველი ინფორმაციის მოცემა შეუძლია (მათ შესახებ საუბარი ოდნავ ქვემოთ იქნება).

ერთი შეხედვით ასეთი შთამბეჭდავი შესაძლებლობების მიუხედავად არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც ზემოთჩამოთვლილი

---

[30] *ნაშრომის ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ ეთნოგენეტიკური კვლევებისთვის აქტუალური თეორიული საკითხების განხილვას ეძღვნება დახრილი შრიფტითაა დაწერილი.*

ავტორის სტილი დაცულია

მონაცემების ავთენტურობას ეჭვქვშ აყენებს. ისინი, ძირითადად, ლინგვისტური მასალის ისტორიულ კონტექსტში ინტერპრეტირებისას წარმოიქმნება[31].

ამ შემთხვევაში, ყურადღებას პირველ რიგში „პროტოენის“ ცნება იმსახურებს. გასათვალისწინებელია, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ენათმეცნიერული კატეგორიაა. მის უმთავრეს ფუნქციას ენობრივი მონაცემების კლასიფიცირება და სისტემატიზირება წარმოადგენს. ისტორიულ სინამდვილეზე ასეთი კატეგორიების ბრმად მორგება ყოვლად დაუშვებელია. ამის უმთავრესი მიზეზი რეკონსტრუქტირებული “პროტოენების” მეტისმეტად ჰიპოთეტური ბუნებაა.იმის თქმა გვსურს, რომ ლინგვისტების მიერ აღდგენილი ენობრივი ელემენტები, რომელსაც ისინი: „პროტოინდოევროპულის", „პროტობალტო–სლავური", „იტალო-კელტურის" და სხვა მსგავსი ტერმინების ქვეშ ათავსებენ, ძნელად თუ შეგვიძლია რეალურად, ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე არსებულად განვიხილოთ. მოგროვილი მრავალფეროვანი ენათმეცნიერული მასალის სივრცობრივ-ქრონოლოგიური იდენტიფიკაცია მეტისმეტად მერყევ ჰიპოთეზებს ემყარება, რაც, ბუნებრივია, ლინგვისტიური მონაცემების ისტორიულ ჭრილში აღქმას მეტად ართულებს. სწორედ ამ მიზეზების გამოა, რომ ა. შლეიხერის „გენეოლოგიური ხის" თეორია, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვადასხვა ეთნოგენეტიკური გამოკვლევების ფურცლებზე, სადაღეისოდ მეტად არადამაჯერებელ სქემად ითვლება.

„პროტოენის,“ როგორც ცნების შესახებ ასევე უნდა ითქვას, რომ იგი ლინგვისტური შინაარსის ტერმინია. მისი საშუალებით ენათმეცნიერები მონათესავე ენების შედარების საფუძველზე აღდგენილ ენობრივი არქეტიპების იმ კომპლექსს აღნიშნავენ, რომლისგანაც, სავარაუდოდ, კვლევისათვის მნიშვნელოვანი ენები იღებენ სათავეს. ამ ცნების უპირველესი დანიშნულება მოგროვილი ლინგვისტიკური მასალის სისტემატიზაციაა.

მართალია, არავინ უარყოფს, რომ მონათესავე ენები ისტორიულად ერთი წყაროდან მომდინარეობენ, მაგრამ იმასაც ყველა აღიარებს, რომ კომპარავისტების მირ აღდგენილი ენობრივი „არქეტიპები“ მხოლოდ გარკვეულ სისტემურ ინფორმაციას გვაწვდიან რეალურად არსებული „პროტოენების“ შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად არც იმის გარანტია გვაქვს, რომ

[31] *უნდა ითქვას, რომ სოციოლინგვისტიკა და დიალექტოლოგია, ერთერთ მიზნად ამ პრობლემების გადაჭრას ისახავენ.*

ავტორის სტილი დაცულია

ლინგვისტების მიერ ამა თუ იმ „პროტოენის“ წიაღში მოთავსებული ენობრივი ელემენტები როდესმე ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე თანაარსებობდნენ.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, პროტოენობრივი რეალობის ობიექტური არსი ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. როგორც კ. კლიმოვი შენიშნავს ამ საკითხის ლინგვისტები სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მიმართულებით განიხილავენ:

1) ერთნი თვლიან, რომ „პროტოენა“ სინამდვილეში ერთი ინდივიდუმია, რომლის წიაღშიც მინიმალური დიალექტური განსხვავებები არსებობს. ამ მოსაზრებას ზურგს ა. მეიე, კ. ბრუგმანი, რ. კენტი, ჯ. მარჩანდი, ვ. გეორგიევი და სხვა ცნობილი ლინგვისტები უმაგრებენ;

2) მეორე მიმართულება, რომლის უკანაც ი. ბოდუენ დე კურტენე, ე. გერმანი, ფ. ტავოდელი, ტ. ბეროუ და სხვები დგანან პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ „პროტოენას“ საკმაოდ შორს წასული დიალექტური დიფერენციაციის ფონზე განიხილავს. რიგ შემთხვევებში კი ამ დიალექტების არქეტიპის არსებობასაც ეჭვქვეშ აყენებს;

3) მესამე მოსაზრებას მხარს ნ. ტრუბეცკოი, ვ. პიზანი, ე. კოსერიუ, ა. დესნიცკაია, რ. კატიჩიჩა და სხვები უჭერენ. იგი კიდევ უფრო დაცილებული ჩანს ტრადიციულ შეხედულებებს. მის ჩარჩოებში „ფუძეენა“ ერთმანეთის მონათესავე რამოდენიმე ენის კონგლომერატად განიხილება, რომელების არქეტიპის არსებობაც ეჭვქვეშ არის დაყენებული (252, 134-138).

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრი მკვლევარი ზემოთჩამოთვლილი ჰიპოთეზებიდან მხოლოდ და მხოლოდ ერთს არ მიიჩნევს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად და მათ სინთეზირებას ცდილობს. მაგალითად ვ. ჟირმუნსკი შენიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ ისტორიულ-სოციალურ შემთხვევაში, საჭიროა დამოუკიდებლად გადაწყდეს საქმე „ფუძეენასთან“ გვაქვს, თუ მონათესავე ენების კავშირთან (248, 45). ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა სავსებით მიზანშეწონილია.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ენობრივი და ეთნიკური ერთობა, ხშირ შემთხვევაში, სულაც არ წარმოადგენს იდენტურ ცნებებს. ყურადღების ღირსია, ასევე, შემთხვევები, როცა მხოლოდ ენობრივი მონაცემების ანალიზის საშუალებით გაკეთებული, თუნდაც სრულიად ავთენტური დასკვნები, მცდარი ეთნოგენეტიკური შეხედულებებისკენ გვიბიძგებს. მაგალითისათვის კარიბის ზღვის ქვეყნების ენების შემთხვევა გამოდგება. მათი ენები, როგორც

ავტორის სტილი დაცულია

მორფოლოგიურ და სინტაქსურ, ისე ლექსიკურ დონეზე მეტად დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ინდოევროპულ ენებთან, რამაც, შესაძლებელია, ამ რეგიონის ხალხების ფორმირებაში ინდოევროპული ეთნიკური ელემენტის ფართო მონაწილეობა გვავარაუდებინოს (124, 223). ეს კი, რა თქმა უნდა მცდარი ჰიპოთეზა იქნება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეთნოგენეტიკურ კვლევებში ძალზე პერსპექტიულად გვესახება არქეოლოგიური კულტურისა და "პროტოენის" ცნების ურთიერთმიმართების განხილვა. თუმცა, ამ საკითხს II თავის მეორე პარაგრაფში შევეხებით.

საუბრის ცალკე თემაა „ლინგვისტური პალეონტოლოგია", რომლის მონაცემებიც ძალზე ხშირად ფიგურირებს ეთნოგენეტიკური გამოკვლევების ფურცლებზე. იგი იმ ეკოლოგიური და კულტურული ლანდშაფტის რეკონსტრუქციას ცდილობს, რომლის წიაღშიც ეთნოგენეტიკური კვლევისათვის მნიშვნელობან ხალხებს უწევდათ ცხოვრება. მათ ჩამოყალიბებას საფუძველი ა. პიქტემ ჩაუყარა (173, 343). განსაკუთრებით ფართო ხასიათი კი მსგავსმა გამოკვლევებმა. XX საუკუნის 20-30 წლებში, სტრუქტურული ენათმეცნიერების ჩამოყალიბების შემდეგ მიიღო.

თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებს შორის „ლინგვისტური პალეონტოლოგიის" საშუალებით გაკეთებული დასკვნების ავთენტურობა-არაავთენტურობის საკითხი ცხარე დისკუსიის ობიექტს წარმოადგენს. მკვლევართა ნაწილი მათ ნდობას უცხადებს და თავის გამოკვლევებში ფართოდ იყენებს. ნაწილი კი სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენს და სარკაზმსაც არ ერიდება (173, 34). ამ პოლემიკის შედეგებს წინამდებარე გამოკვლევისთვის მხოლოდ ნაწილობრივ აქვს მნიშვნელობა, რადგან ძველი გერმანელებისა და კელტების წინარესამშობლოს და „პროტოერთობის" ხანაში მათი კულტურის რაობის საკითხი თანამედროვე კელტოლოგია - გერმანისტიკაში მწვავედ არ დგას. თითქოს მკაფიოდ არის მოხაზული ის კონტურები, რომლის წიაღშიც ეს პრობლემები უნდა გადაწყდეს. თუმცა, ინდოევროპული სიძველეების შესახებ მსჯელობისას "ლინგვისტურ პალეონტოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩამოთვლილი დებულებები, რა თქმა უნდა, ლინგვისტიკის მონაცემების მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების საფუძველს არ გვაძლევს. ისინი,

ავტორის სტილი დაცულია

მხოლოდ, ენობრივი მასალის ეთნოგენეტიკურ ასპექტში განხილვისას სიფრთხილის გამოჩენის და სხვა მეცნიერებების მონაცემებთან მისი შეჯერების აუცილებლობაზე მიგვანიშნებენ და გვაიძულებენ ყოველთვის დიდი ყურადღებით მოვეკიდოთ შემდეგ საკითხებს: რა ისტორიული რეალობა იმალება ამა თუ იმ "პროტოენის" ცნების ქვეშ და რამდენად შეიძლება მისი ისტორიულ სინამდვილესთან, ან ისეთ ჰიპოთეტურ კონსტრუქტთან გატოლება, როგორიცაა არქეოლოგიური კულტურა (ამ საკითხზე მსჯელობას, ოდნავ ქვემოთ, არქეოლოგიაზე საუბრისას განვაგრძობთ).

<u>ტოპონიმიკა და ჰიდრონიმიკა</u> სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილებისა და მდინარეების სახელწოდებებს, რა თქმა უნდა, მეტად მეტყველი ინფორმაციის მოცემა შეუძლია აქ მცხოვრები მოსახლეობის ამა თუ იმ ენებრივი გარემოსადმი კუთვნილების შესახებ. თუმცა, ბოლომდე უტყუარ არგუმენტად არც ეს მონაცემები გამოდგება, რადგან, ჯერ ერთი ხშირად ცალსახად არ არის განსაზღვრული ესა თუ ის ჰიდრო-ტოპონიმი, რომელ ენობრივ გარემოს ეკუთვნის და მეორე – ამა თუ იმ რეგიონში მკვლევარისათვის საინტერესო ეთნოსის კუთვნილი ტოპონიმის არარსებობა ცალსახად არ ამტკიცებს, რომ იქ ამ უკანსაკნელს ფეხი არასოდეს დაუდგამს. ვინაიდან, მოგვინებით, შესაძლოა, ეს ლექსიკური ერთეული დაკარგულიყო. ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ტოპონიმიკური მონაცემები, როგორც წესი ვერ თარიღდება, რაც ასევე სირთულეებს წარმოშობს.

მიუხედავად ამისა, ჰიდრო-ტოპონიმიკა გერმანელებისა და კელტების (ისევე როგორც მთლიანად ინდოევროპელების) ეთნოგენეზზე საუბრისას მაინც უდიდეს დახმარებას გვიწევს. ბევრი ეთნიკური ჯგუფის არსებობის შესახებ მხოლოდ მათი საშუალებით ხდება ცნობილი. გეოგრაფიულ არეალში მათი სტატისტიკურად შესწავლის შემთხვევაში კი წერილობით წყაროებში ფიქსირებული ეთნო-ლინგვისტური ჯგუფების გავრცელების არეალზეც საკმაოდ სრულყოფილი წარმოდგენა გვექმნება. ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ რიგ შემთხვევებში სწორედ ტოპონიმები ინახავს ამა თუ იმ ენის განვითარების ადრეულ ფორმებს, რაც ლინგვისტებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. სხვა წყაროებთან შეჯერების შემთხვევაში ჰიდრო-ტოპონიმიკა პირველხარისხოვან წყაროდ შეიძლება ჩავთვალოთ (ყოველ შემთხვევაში მაშინ, როცა საქმე გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზს ეხება).

ავტორის სტილი დაცულია

კელტურ-გერმანიკული ჰიდრო-ტოპონიმების შესწავლა XIX საუკუნის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში დაიწყო. მათი ანალიზი, ძირითადად, იმავე მეცნიერების სახელს უკავშირდება, რომლებზეც ზემოთ, ლინგვისტიკაზე მსჯელობისას, იყო საუბარი.

<u>ონომასტიკა</u>– ეთნოგენეტიკური კვლევების დროს ონომასტიკის მონაცემებს საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მითუმეტეს, როცა საქმე ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხებს ეხება, რომლების საკუთარი სახელებიც ხშირად სახელი - კომპოზიტის, ე.ი. მცირე ტექსტის სახით არის წარმოდგენილი. სადღეისოდ, ისინი საკმაოდ კარგად არიან შესწავლილი: ო. ფრისენის, ს. ბუგეს, ა. იანსენი, კ. მარსტრანდერის და სხვა მეცნიერების მიერ და ხშირად გამოიყენებიან ამა თუ იმ ეთნოგენეტიკური პრობლემის გასაშუქებლად.

ონომასტიკური ხასიათის მონაცემები მნიშვნლოვან დახმარებას გვიწევს გერმანელი და კელტი ხალხების კლასიფიკაციისას[32]. ფართოდ გამოიყენებიან ისინი იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე შიდა ეთნიკურ მიგრაციებს ეხება. დასასრულ, უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლომდე ნდობას არც ონომასტიკა იმსახურებს, რადგან საკუთარი სახელები ძალზე იოლად ხდება სესხების ობიექტი მეზობელ (და არა მხოლოდ მეზობელ) ხალხებს შორის.

<u>ლინგვოგეოგრაფია</u> ლინგვოგეოგრაფია (იგივე არეალური ლინგვისტიკა, ან დიალექტოლოგია) დიალექტურ ნიშნებს და მათ გავრცელების არეალს შეისწავლის. კვლევის შედეგებს კი, როგორც წესი, რუკებისა და ატლასების საშუალებით გამოსახავს. მის მონაცემებს ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლინგვისტური სქემების ისტორიულ ჭრილში გააზრებამ მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებისათვის დიდი ხანია საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ წერილობით წყაროებში ფიქსირებული და მით უმეტეს მათზე დაყრდნობით (შედარებით - ისტორიული მეთოდის საშუალებით) რეკონსტრუქტირებული „პროტონები" ზედიალექტურ ფორმებს წარმოადგენს და რეალურ ეთნოგენეტიკურ სიტუაციას ძალზე ბუნდოვნად ასახავს. საილუსტრაციოდ გერმანული ეპოსების („ჰელიანდის", „სიმღერა

---

[32] *რიგ შემთხვევაში ისტორიულად ცნობილი ზოგიერთი გერმანელი ტომის ამა თუ იმ ეთნოლიგვისტურ დაჯგუფებასთან მიკუთვნება მხოლოდ მათი საშუალებით ხერხდება.*

ავტორის სტილი დაცულია

ჰილდებრანდზე" „ბოევულფი" და სხვა) შემთხვევა გამოდგება. აქ ფიქსირებული სალიტერატურო ენის შიდაგერმანულ კლასიფიკაციაში ჩართვა (რისი მცდელობაც არაერთხელ ყოფილა) ძალზე სახიფათოა, რადგანაც მასში სხვადასხვა განშტოების (თუმცა, რა თქმა უნდა "პროტოგერმანულიდან" მომავალი) დიალექტური ფორმებია სინთეზირებული.

ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას მეტი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ამ დიალექტების შესწავლას აქვს. ამგვარი დიალექტური ფორმების შესწავლა ლინგვოგეოგრაფიის ამოცანას წარმოადგენს. მართალია, თანამედროვე დიალექტოლოგიაში უარყოფილია კ. მიულენჰოფის თეორია, რომლის მიხდევით თანამედროვე გერმანიკული დიალექტების გავცელების არეალი ძველი გერმანული ტომების საცხოვრისს ემთხვევა. (122, 202), მაგრამ შედარებითი მეთოდის გამოყენებით მაინც ხერხდება ძველი დიალექტური ფორმების, მათ შორის არსებული იზოგლასებისა და ინოვაციების რეკონსტრუქცია.

<u>სოციოლინგვისტიკა</u> - სოციოლინგვისტიკა ენის არსებობის ფორმებს, მის საზოგადოებრივ ფუნქციებს და სოციალურ პროცესებთან კავშირს შეისწავლის. ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობაში მას საკმაო სიცხადის შეტანა შეუძლია. სხვაგვარად რომ ვთქვათ მისი საშუალებით რეალური ისტორიული სურათის უფრო მკაფიო ფერებში დახატვა შეიძლება. ამის გამო მიგვაჩნია, რომ არც მთლად გადაჭარბებულია ვ. ჟირმუნსკის შეფასება, რომელიც სოციოლინგვისტიკას ლინგვოგრაფიის „მესამე განზომილებას" უწოდებს (247, 68).

სოციოლინგვისტური პრობლემებით (ანუ ენის და საზოგადოების ურთიერთმიმართულებით) ადრეული პერიოდის სკოლების წარმომადგენლები ნაკლებად ინტერესდებოდნენ. ამ მხრივ, კვლევების ფუძემდებელს ა. მეიე წარმოადგენს. სოციოლინგვისტურ პრობლემატიკას, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტრუქტურული მიმართულების ენათმეცნიერების (ს. კარცევსკის, რ. იაკობსონის, ნ. ტრუბეცკოის და სხვების) შემოქმედებაში.

წინამდებარე ნაშრომში დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის დებულებებს ფართოდ ვიყენებთ ენობრივი მონაცემების ისტორიულ კონტექსტში განზოგადებისას.

ავტორის სტილი დაცულია

ა) რას წარმოადგენდა ე.წ. „პროტოკელტური“ ენა? რა შეიძლება ითქვას მასთან ისტორიულად ცნობილი კელტური ენების მიმართების შესახებ?

ბ) რა სახის კონტაქტები ჰქონდა კელტურ ენებს („პროტო“ და ცალკეული ენების დონეზე) სხვა ინდოევროპულ და არაინდოევროპულ ენებთან? – თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით კელტურ ენობრივ ოჯახში შედის: გალური, ლეპონტური[33], კელტიბერული, ბრიტული (ძველი ბრიტების ენა), გალატური (მცირე აზიის გალატების ენა)[34], ირლანდიური, გაელური, მენური, შოტლანდიური (იგივე ერული), უელსური (იგივე კამბრული), კორნიული და ბრეტონული ენები. გალური, ლეპონტური, კელტიბერული, ბრიტული და გალატური საისტორიო ასპარეზსს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჩამოსცილდა. კორნიული ენის ხმარებიდან გამოსვლა კი XVIII საუკუნეს უკავშირდება.

კელტური ენების რიცხვი ისტორიულად, რა თქმა უნდა, უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაციას ჩვენამდე არ მოუღწევია. თვით ზემოთჩამოთვლილ ენებზე ჩვენი წარმოდგენა, ხშირ შემთხვევაში, ფრაგმენტულ ცნობებს ემყარება. მაგალითად, გალური ენიდან ჩვენამდე ცალკეულმა სიტყვებმა მოაღწია, რომლებიც ანტიკური ხანის ავტორების (პოლიბიოსის, იულიუს კეისარის, ვარონის, სტრაბონის და სხვა) თხზულებებშია დაცული. მათი ნაწილი კი სუბსტრატული ლექსიკის სახით რომანულ ენებში შევიდა. შემორჩა, ასევე, სასაფლაოს ეპიტაფიები, მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებული მცირე წარწერები და მონეტის ლეგენდები. ამ მხრივ, განსაკუთრებული ადგილი 1897 წელს კოლინში (საფრანგეთი) აღმოჩენილ ბრინჯაოს ფირფიტაზე ამოკვეთილ გალურ კალენდარს უჭირავს (251,78). კელტიბერული ენა, ძირითადად, ტოპონიმებითა და ეპიგრაფიკული ძეგლებით არის ცნობილი, რომლის კორპუსიც, სადღეისოდ, 30-ზე მეტ წარწერას მოითვლის. თუმცა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს 50-მდე მონეტის ლეგენდას და ლათინური ანბანით შესრულებულ 20-მდე ლაპიდალურ ძეგლს, რომლის ყველაზე ფასეულ ნიმუშსაც ბეტორიგაში აღმოჩენილი ბრინჯაოს დაფაზე შესრულებული წარწერა წარმოადგენს (251, 79). ლეპონტური ენის შესახებ ჩვენი წარმოდგენა კი ე.წ. ლუგანოს ალფავიტით (რომელიც ჩრდილოეთ

---

[33] *ზოგჯერ ცისალპურ გალურს ლეპონტურისგან განსხვავებულ ენადაც ასახელებენ;*

[34] *გალატური და ბრიტული, მათზე შემორჩენილი მონაცემების სიმცირის გამო, შეიძლება ითქვას, რომ აქ პირობითად არის ნახსენები.*

ავტორის სტილი დაცულია

ეტრუსკული ანბანის ერთერთ ნაირსახეობას წარმოადგენს) თიხის ჭურჭელზე ამოტვიფრული მცირე წარწერებით შემოიფარგლება (251, 79). რაც შეეხება გალატურსა და ბრიტულს. მათგან მხოლოდ ტოპონიმები და ანტიკური პერიოდის ავტორების თხზულებებში დაცული ონომასტიკური მონაცემები შემორჩა[35] (251, 83).

გაცილებით მრავალფეროვანი ინფორმაცია მოგვეპოვება შუა საუკუნეების კელტური ენები შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, მათი აქ აღნუსხვის აუცილებლობა არ არსებობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეისთვის ირლანდიური, შოტლანდიური და ბრეტონული ენების დიალექტების შესწავლის კუთხითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული.

კელტურ ენებს, ჩვეულებრივ, კუნძულის და კონტინენტის ჯგუფებად ყოფენ. კუნძულის ენებში, თავის მხრივ, ბრიტული და გოიდელური (იგივე გელური) ჯგუფები გამოიყოფა. პირველ მათგანში უელსური, კორნიული და ბრეტონული შედის. მეორეში – ირლანდიური, შოტლანდიური და მენური[36]კუნძულის ენებში კი ლეპონტური (ცისალურ გალური), კელტიბერული, გალური, გალატური, ნორიკული ერთიენდება (84, 104).

ზემოთხსენებულ კელტურ ენებს მთელი რიგი მსგავსებები გააჩნიათ სიტყვათა მარაგში, ბრუნებაში, უღლების გარკვეულ ასპექტებში და სხვა ლინგვისტურ ნიუანსებში, რაც მათ ერთ ენობრივ ოჯახში გაერთიანებას განაპირობებს. მათი ერთი ოჯახში გაერთიანება კი, თავისთავად, დღის წესრიგში „პროტოკელტური" ენის, ანუ იმ არქეტიპის რეკონსტრუქციას აყენებს, საიდანაც ისტორიულად ცნობილი კელტური ენები, ან მათი წინაპრები უნდა განვითარებულიყვნენ.

„პროტოკელტურ" ენაზე მსჯელობისას საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოიქმნება. საქმე ისაა, რომ კელტოლოგიაში, ამ მხრივ, სხვადასხვა მოსაზრებები ფიგურირებს. XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველინახევრის ენათმეცნიერები „პროტოკელტურს" საკმაოდ ჰომოგენურ ენობრივ რეალობად თვლიდნენ, თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გაკეთებულმა აღმოჩენებმა (პირველ რიგში ლეპონტური და

---

[35] *თუ მხედველობაში არ მივიღებთ სავარაუდოდ ბრიტების ენაზე შესრულებულ ძვ.წ. I საუკუნის ერთ მცირე ბუნდოვანი შინაარსის წარწერას და რამდენიმე მონეტის ლეგენდას (251, 45).*

[36] *გაელური ენა მენურს, მხოლოდ XVI საუკუნეში გამოეყო.*

ავტორის სტილი დაცულია

კელტიბერული ენების კულტურული ბუნების გამოვლენას ვგულისხმობთ) მისი მონოლითურობის დამადასტურებელი ბევრი არგუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაცია გამოიწვია. საილუსტრაციოდ, საჭიროა, ამ კუთხით მნიშვნელოვანი რამოდენიმე მაგალითი განვიხილოთ.

„პროტოკელტურისთვის“ ყველაზე უფრო დამახასიათებელ თავისებურებად ინდოევროპული *p-ს დისიმილაცია ითვლებოდა. თუმცა, ეს ტრადიციული შეხედულება ბოლო დროს ეჭვქვეშ დადგა. აღმოჩნდა, რომ კელტიბერულ წარწერებში *p შენარჩუნებულია, რამაც სხვადასხვა მკვლევრებს განსხვავებული მოსაზრებისკენ უბიძგა. კერძოდ, ი. პოკორნი, უ. შმოლი და სხვა ავტორები ინდოევროპული * p-ს შემცველ სიტყვებში ილირიულ და ლუზიტანურ რელიექტებს ხედავენ. მათი აზრით ეს ენები კელტურისგან სწორედ ინდოევროპული *p-ს ფორმით განსხვავდებოდნენ (85, 101-109).

ვ. მეიდი, კ. შმიდტი და სხვები კი თვლიან, რომ უკიდურესად დასავლური (ანუ კელტიბერული) ენობრივი მონაცემები კელტურის განვითარების არქაული პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიუანსებს ინარჩუნებს, სადაც ინდოევროპული *p შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო (85, 112).

„პროტოკელტურ“ დონეზე *p-ს ნაწილობრივ შენარჩუნების შესაძლებლობას ბევრი სხვა ლინგვისტიც უშვებს. თუმცა, თანამედროვე კელტოლოგობის დიდი უმრავლესობა ინდოევროპულ *p – ში მაინც უფრო კელტური ენების დიალექტურ განმასხვავებელს უფრო ხედავს.

დაახლოებით მსგავსი დისკუსია არსებობს ტრადიციულად “პროტოკელტურის” მახასიათებლად აღქმული სხვა ფონემების შემთხვევაშიც. მაგალითად, ტრადიციულად ითვლებოდა, რომ ინდოევროპული *ei საერთო კელტურ ē-ს შეესაბამებოდა, რომელიც, თავის მხრივ, მოგვიანებით i-დ გარდაიქმნა, თუმცა, ზოგიერთი გალური სახელი, მაგალითად Dubnoreix გვავარაუდებინებს, რომ „პროტოკელტურში“ ei-ს ē-ში გადასვლის პროცესი დასრულებული არ უნდა ყოფილიყო. ტრადიციული ჰიპოთეზის მართებულობის შემთხვევაში Dubnoreix-ის ნაცვლად უნდა გვქონდეს Dubnorix[37] (85, 119).

[37] *თუმცა, ასევე დასაშვებია მოსაზრება, რომ წერილობით ძეგლებში ei-ს არსებობა ლათინურ-ბერძნული გავლენების, ან ორთოგრაფიული გაუმართავობის შედეგს წარმოადგენს.*

ავტორის სტილი დაცულია

ინდოევროპულ *p-სთან და ei - სთან დაკავშირებული ზემოთ მოკლედ აღწერილი დისკუსია ვფიქრობთ ნათლად წარმოაჩენს იმ სირთულეებს, რომლებიც "პროტოკელტური ენის" მახასიათებლებზე მსჯელობისას წარმოიქმნება, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, ამ ტიპის დისკურსების სიღრმისეულ ანალიზზე მეტად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რას გვეუბნება თანამედროვე ლინგვისტიკა კელტების ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვან შემდეგ საკითხებზე:

1) რამდენად გამოკვეთილი სახე აქვს "პროტოკელტურს" სხვა ინდოევროპულ ენებთან მიმართებან მიმართებაში;
2) ვრცელდება თუ არა ყველა კელტურ ენაზე "პროტოკელტურის" მახასაითებლები;
3) როგორ უნდა წარმოვიდგინოთ "პროტოკელტური" ენის დივერგაციის პროცესი;
4) ახასიათებს თუ არა კელტურ ენებს "სუბრსტრატული ენების" გავლენები;
5) შეუძლია თუ არა "პროტოკელტურ" ენას რაიმე განსაკუთრებული "გვითხრას" იმ გეოგრაფიული არეალის შესახებ, სადაც იგი ჩამოყალიბდა;
6) შეუძლია თუ არა "პროტოკელტურ" ენას რაიმე განსაკუთრებული "გვითხრას" თავისი "მატარებლების" ყოფისა და კულტურის შესახებ.

თანმიმდევრობით განვიხილოთ თითოეული მათგანი:

თავისი ისტორიის მანძილზე კელტურ ენებს როგორც „პროტო", ისე ცალკეული ენების დონეზე გარკვეული კონტაქტები ჰქონდათ სხვადასხვა ინდოევროპულ და არაიდნოევროპულ ენებთან. კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას ამ მხრივ შემორჩენილი მონაცემების აღნუსხვას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ ამ კონტაქტების ჩვენება, უმეტესად, მხოლოდ ენობრივი მონაცემების საშუალებით შეიძლება.

პირველ რიგში ყურადღება კელტურისა და იტალიურის ურთიერთმიმართებას უნდა მივაპყროთ. ლინგვისტურ მეცნერებაში საკმაოდ გავრცელებული ჩანს მოსაზრება, რომ ეს ორი "ძველევროპული" ენობრივი სინამდვილის წარმოდგენილი (ანუ იტალიური და კელტური) გარკვეული ხნის განმავლობაში „პროტოერთობას" ქმნიდა. ეს იდეა პირველად 1861 წელს კ.

ავტორის სტილი დაცულია

ლოტნერმა ჩამოაყალიბა (128, 74). შემდგომ ხანებში კი მას სხვა ლინგვისტებიც მიემხრნენ. კერძოდ ა. შლეიხერმა იგი თავისი „გენეოლოგიური ხის“ თეორიის ერთერთ დებულებად აქცია. ა. მეიმ კი ამ ენების განვითარების საერთო ტენდენციების შესწავლა დაიწყო (128, 78).

იტალიურ-კელტური „პროტოერთობის“ თეორიის ჩარჩოებში, ზოგჯერ უფრო კონკრეტულ საკითხებსაც ეხებიან. მაგალითად ა. ვალდე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კელტური ენების ბრიტული ჯგუფი უფრო ახლო დგას ოსკო-უმბრულთან, გოიდელური კი – ლათინურ-ფალისკურთან (251, 105). თუმცა, ეს მოსაზრება, სადღეისოდ ფართო მხარდაჭერით არ სარგებლობს.

იგივე შეიძლება ითქვას თავად იტალიურ-კელტური „პროტოერთობის” არსებობის თეორიის მიმართაც რომელსაც ასევე, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მას პირველი სერიოზული დარტყმა 1928 წელს კ. მარსტრანდერმა მიაყენა. მისი კრიტიკა კი მოგვიანებით გაიზიარეს: რ. ესლიმ, ჟ. ვანდრიესმა, რ. თურნეიზენმა და სხვებმა.

ისინი “იტალიურ-კელტურის” მახასიათებლად გამოკვეთილ იზოგლასებს იტალიურ-კელტური „პროტოენის“ არსებობის დამამტკიცებელ არგუმენტებად არ თვლიან და მათი არსებობის ახსნას ხან პარალელური ევოლუციის, ხან კი ურთიერთნასესხობით ცდილობენ; ზოგჯერ კი მათ რეალურობას საერთოდ უარყოფენ (128, 46).

ეს დისკუსია, ისევე როგორც “პროტოკელტურის“ არსის თაობაზე ზემოთ აღწერილი დისკურსი ლინგვისტური კვლევის ობიექტია. ეთნოგენეტიკური კვლევის შემთხვევაში მას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ლინგვისტური კონსტრუქტები ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციისთვისაა საჭირო. კერძოდ, თუკი ენობრივი მონაცემები საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ “პროტოკელტურის” სახით საქმე “ფუძეენასთან” გვაქვს, ხოლო “პროტო-კელტურ იტალიური” მეტ-ნაკლებად გამოკვეთილ ენობრივ კავშირებს წარმოადგენს, ეს ეთნოლოგიური კვლევისთვის ფრიად ყურადსაღები დასკვნა იქნებოდა, თუმცა, ცალსახაა, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული დისკურსი მსგავსი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს.

“პროტოკელტურს” მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სახე აქვს (გამომდინარე იქიდან, რომ მკაფიოდ იკვეთება მისთვის დამახასიათებელი “ინოვაციების ბანკი”), თუმცა, იგი საკმაოდ ჰეტეროგენულ რეალობას წარმოადგენს (გამომდინარე იქიდან, რომ ძალზე იშვიათად ხერხდება “პროტოკელტურის”

ავტორის სტილი დაცულია

მახაისიათებლების მეტ-ნაკლებად უნიფიცირებულ ფორმებამდე დაყვანა). “პროტოიტალიურ-კელტური” კი კიდევ უფრო ეფემერული (რომ არ ვთქვათ ხელოვნური) რეალობაა, რომლის არსებობა-არარსებობაზეც მხოლოდ ცალკეული იზოგლასების დონეზე შეიძლება მსჯელობა.

ვფიქრობთ, რომ “პროტოკელტურის” ცნების უკან მარტივად შეგვიძლია დავინახოთ ქრონოლოგიური და გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად ლოკალურ სივრცეში სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული საკომუნიაციო კავშირების ქსელი. მით უფრო, რომ ამგვარი სივრცის (პრაქტიკულად კელტური ენების წინარესამშობლოს) ლოკალიზებაში დიდ დახმარებას გვიწევს ჰიდრო–ტოპონიმიკის მონაცემები. საქმე ისაა, რომ კელტური ტოპონიმები აბსოლუტურ უმრავლესობას კიოლნიდან ბოჰემიამდე და ტიურინგიამდე ტერიტორიაზე წარმოადგენს. ეს კი უფლებას გვაძლევს კელტურ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს სტატუსი სწორედ ამ და მის მიმდებარე ტერიტორიას მივანიჭოთ (280, 67).

რაც შეეხება “პროტოიტალიურ-კელტურის” ცნებას. ვფიქრობთ იგი, შორეულ წარსულში (მაგალითად, ძვ.წ. IV ან III ათასწლეულებში) ინდოევროპული ენების განლაგების მარკერად გამოდგეს. რეალურ ეთნოგენეტიკურ პროცესებს კი იგი ნაკლებად ასახავს.

კელტური ენების სხვა ლინგვისტურ სინამდვილეებთან კონტაქტებზე საუბრისას ყველაზე დიდ ინტერესს კელტურ “ძველევროპული” და კელტურ--გერმანიკული კავშირები იმსახურებს. პირველი მათგანის შესახებ ზემოთ (I თავში) უკვე გვქონდა საუბარი. მეორეს კი გამოკვლევის იმ ნაწილში შევეხებით, სადაც გერმანული ლინგვისტიკის პრობლემები იქნება განხილული, რადგან ამ კავშირებს გერმანული სინამდვილისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე კელტურისთვის.

აქვე უნდა შევეხოთ კელტურ-სლავური ენობრივი კონტაქტების საკითხებს, რომლებსაც ბოლო დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. მათი ენობრივი შეხვედრები რიგ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს. მაგალითად მაშინ, როცა ისეთ „პროტოსლავურ“ სიტყვებს ეხება, როგორიცაა: *ჯამა, *Садло, კალო, *Траг“ფეხი” „ნაბიჯი“, *Корва „ძროხა“, *Конь და სხვა (251, 111).

თუმცა მათი შესწავლა რიგ სირთულეებითანაც არის დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ არ არის ცნობილი ის კელტური ენა, რომლის წყალობითაც „პროტოსლავურში“ კელტური სიტყვები შეიძლება მომხდარიყო. უნდა

ავტორის სტილი დაცულია

აღვნიშნოთ ისიც, რომ "როგორც წესი" გვხვდება კელტური ნასესხობები „პროტოსლავურ" ენებში პირიქით სლავურიდან-კელტურში ნასესხები კი არა, რაც ალბათ იმის ნიშანია, რომ სლავიანურ ენობრივ მასივს „პროტოკელტურ" სინამდვილესთან შეხება არასდროს ქონია (251, 112).

დასასრულ, უნდა შევეხოთ პრობლემას, რომელსაც ეთნოგენეტიკური კვლევისას, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. საქმე ჩვენთვის საინტერესო ენებში "სუბსტრატული" ელემენტების არსებობა-არარსებობის საკითხს ეხება. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კელტურ ენებში სუბსტრატული გავლენები ძალზე სუსტად იგრძნობა. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ირლანდიური ენა წარმოადგენს, რომლის "არაინდოევროპული" წარმომავლობის ენობრივი მახასიათებლების არსი დიდი ხანია ცხარე პოლემიკის საგანია. ასეთთა რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ:

1) სიტყვათა უჩვეულო რიგი VSO (ანუ პრედიკატი – სუბიექტი-ობიექტი). როგორც კელტიბერული წარწერები, ისე თავად ირლანდიური არქაული ძეგლები გვიჩვენებენ კელტური ენებისათვის ასეთი სისტემა არ არის თავდაპირველი და იგი მხოლოდ მოგვინებით გაჩნდა ენობრივ სისტემაში სტილისტური მარკირებული ვარიანტის გამაგრებასთან ერთად;

2) ზმნურ კომპლექსში კუთვნილებითი ნაცვალსახელების პირდაპირი დამატების როლში ინფიქსაცია;

3) უღლებადი წინდებულების სისტემა;

4) ზმნური სახელების გამოყენების სიხშირე და სხვა (84, 156).

ლინგვისტები ზემოთჩამოთვლილ (და არა მხოლოდ ზემოთჩამოთვლილ) ენობრივ დებულებებს სხვადასხვა კუთხით განიხილავენ. მაგალითად, ი. პოკორნის ისინი ირლანდიურზე სუფსტრატული ენის გავლენის შედეგად მიაჩნია. იგი ორ განსხვავებულ სუფსტრატზეც კი საუბრობს, რომელთაგან ერთს „ბერბეროიდულ", მეორეს კი „კავკასიურ-ესკიმოსურ" ენობრივ სინამდვილეს მიაკუთვნებს (84, 160).

თუმცა, ძალიან ბევრი ცნობილი ლინგვისტი, მაგალითად: ჟ. ვანდრიესი, მ. დილონი, კ. უოტკინსი და სხვები, არათუ ამ თეორიას, არამედ ირლანდიურ ენაში "სუბსტრატული ელემენტების" არსებობას საერთოდ უარყოფს. ზემოთჩამოთვლილ ენობრივ პროცესებს კი ინდოევროპული გრამატიკის საფუძველზე ხსნის (84, 146-189).

ავტორის სტილი დაცულია

ამ დისკუსიის შედეგებს წინამდებარე გამოკვლევისათვის შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ბრიტანეთის კუნძულებზე არაინდოევროპული ეთნოლინგვისტური (ე.წ. პიქტური) სინამდვილის არსებობა ისტორიულად სავსებით დადასტურებული ფაქტია. თუმცა, იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თუ რამხელა სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, როცა ეთნოგენეტიკური კვლევისას ენათმეცნიერული შინაარსის არგუმენტებს ვიყენებთ.

დასასრულ, ლექსიკოლოგიაზე საუბრისას კი უნდა ითქვას, რომ „პროტოკელტურში“ მრავლად გვხვდება სიტყვები, რომლებსაც ეტიმოლოგიური შესატყვისობები თითქმის ყველა ინდოევროპულ ენაში მოეპოვება. მაგალითად: „ნობილიტეტი, „ქალი“, „დედა“, „და“, „ხარი“, „ძაღლი“, „ცხენი“ (85, 168).

ამასთან კელტურმა ენებმა სარიტუალო-საკრალური, პოეტური და სამართლებრივი ხასიათის ბევრი მეტად არქაული ტერმინიც შეინარჩუნეს [85, 178). ამ ფაქტს კი, ვფიქრობთ, კელტი ხალხების ეთნოსოციალური ისტორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

§2. არქეოლოგია და კელტების ეთნოგენეზისის პრობლემა

ევროპაში არქეოლოგიურ გათხრებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ არქელოგიური თვალსაზრისით ქვეყნის ამ ნაწილის საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. კელტების ეთნოგენეზის პრობლემაზე მსჯელობისას სერიოზულ ფაქტორად არქეოლოგია სწორედ ამ დროიდან იქცა. იმ არქეოლოგების გვერდით, რომლებიც ზოგადად, ნეოლითის, ბრინჯაოს და რკინის ხანის მასალების სისტემატიზაციით იყვნენ დაკავებული (ჰ. პიდებრანი, ო. მონტელიუსი, ი. ვორსო, ჯ. ლებოკი და სხვა), აღნიშვნის ღირსია მეცნიერები, რომლებიც საკუთრივ კელტურ სიძველეებს სწავლობდნენ. კელტური არქეოლოგიის ფუძემდებლად ჟ. დეშელეტი ითვლება (120, 29). ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ა. გრენიეს, ა. უბერის და სხვების შემოქმედებას. თანამედროვე კელტურ არქეოლოგიაში კი ყველაზე მეტი ავტორიტეტით ი. ფილიპი, პ. დიუვალი, ვ. მეიდი,ბ. კანლიფი და სხვები სარგებლობენ. გამოკვლევის წინამდებარე ნაწილი სწორედ მათ თხზულებებზე დაყრდნობითაა დაწერილი.ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ის ავტორები, რომლებიც თეორიული არქეოლოგიის საკითხებზე მუშაობენ. თეორიული არქეოლოგიის საკითხების განხილვისას, წინამდებარე ნაშრომი ძირითადად

ავტორის სტილი დაცულია

ორი ავტორის, პ. ჰეტერისა და ს. ჟონის თხზულებებს ეყრდნობა, რომლებშიც ერთგვარად შეჯამებულია ამ თვალსაზრისით ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის აქტუალური სამეცნიერო დისკურსები.

კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას არქეოლოგიას უდაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, ჩვენი ნაშრომის ამ ნაწილისთვის მართებული საკვლევი შეკითხვები გამოვკვეთისთვის აუცილებელია ვიმსჯელოთ, თუ რამდენად გვმართებს არქეოლოგიის მონაცემების ეთნოგენეტიკურ კვლევებშიგამოყენება.აქვე უნდა შევეხოთ ფიზიკურ ანთროპოლოგიასაც, რომლის მონაცემებიც, ხშირად, არქეოლოგიასთანერთად განიხილება.

<u>არქეოლოგია</u> – ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას არქეოლოგიურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი საშუალებით მკვლევართა წინაშე ობიექტური, დროსა და სივრცეში საკმაოდ კარგად იდენტიფიცირებული, მასალა იშლება, რომლის მართებულ ინტერპრეტაციასაც წარსულის შესახებ საკმაოდ ღირებული ინფორმაციის მოცემა შეუძლია. არქეოლოგების განკარგულებაშია არაერთი მეცნიერული დებულება და კვლევის მეთოდი, რომელიც ეთნოსოციალური ისტორიის გაშუქების კარგ პოტენციურ შანსს იძლევა. ერთ-ერთ ასეთ დებულებას "არქეოლოგიური კულტურის" ცნება წარმოადგენს, რომელიც პრეისტერიული პროცესების შესწავლას მნიშვნელოვნადაიოლებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, კვლევის მეთოდებს, რომელიც არქეოლოგიური მასალის კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირების შანსს გვაძლევს. ამ მხრივ, არქეოლოგიურ მეცნიერებაში სამი, ერთმანეთის მეტ-ნაკლებად მსგავსი მეთოდი გამოიყენება:

ა) პირველი მათგანი ისტორიულად დამოწმებული ხალხის, წერილობით წყაროებში მოცემული გეოგრაფიული ლოკალიზაციის საფუძველზე, რომელიმე არქეოლოგიურ კულტურასთან, ან რიგ კულტურულ არტეფაქტებთან გაიგივების გულისხმობს;

ბ) მეორე – ე.წ. რეტროსპექტული მეთოდია, რომლის მიზანიც არქეოლოგიური მონაცემების ეთნოგრაფიულ მასალასთან დაკავშირებაა;

გ) მესამე – კი ტოპონიმიკისა და არქეოლოგიის მონაცემების შეჯერებას ეყრდნობა. პრეისტორიაზე მსჯელობისას, ამ მეთოდების ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში, არქეოლოგია ისეთივე გადამწყვეტ მნიშვნელობას

ავტორის სტილი დაცულია

იძენს, როგორიც ისტორიულ პერიოდზე საუბრისას წერილობით წყაროებს აქვს (231, 167-169).

მიუხედავად ასეთი ფართო პოტენციური შესაძლებლობებისა არქეოლოგიური მონაცემების ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას გამოყენება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. დისკუსია არსებობს არქეოლოგიური კულტურის გამოყოფის ობიექტური კრიტერიუმების, ე.წ. მაღალი და დაბალი ქრონოლოგიის და სხვა საკითხების გარშემო. თუმცა, უმთავრეს პრობლემატურ საკითხად, მაინც, არქეოლოგიური კულტურისა და მისი განვითარების ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით ინტერპრეტაცია რჩება.

XIX საუკუნის II და XX საუკუნის I ნახევრის ევროპულ არქეოლოგიაში გაბატონებული მდგომარეობა ე.წ. „ფორმალურ-ტიპოლოგიურ" მეთოდს ეკავა, რომლის ფუძემდებლადაც, ხშირად გ. კოსინას მიიჩნევენ. ზოგჯერ ამ მიდგომას "კოსინა-ჩაილდის მოდელის"სახელითაც იხსენიებენ (მიუხედავად იმისა, რომ გ. ჩაილდიგ. კოსინას შემოქმედებას საკმაოდ კრიტიკულად აფასებდა). ამ მოდელის ფარგლებში არქეოლოგიურ კულტურაში მომხდარი ცვლილებები, უმეტესწილად, ხალხთა მიგრაციებით იხსნებოდა. პოპულარული იყო ამა თუ იმ ხალხის (ხშირად ა. შლაიხერის "გენეალოგიური ხის" თეორიის ფარგლებში პოსტულირებული "პროტოენობრივი" რეალობებისაც) არქეოლოგიურ კულტურებთან, ან რიგ კულტურულ არტეფაქტებთან (მაგალითად, კერამიკულ სტილთან) გაიგივება.

თავიანთი დასავლეთ ევროპელი კოლეგებისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია ეკავათ საბჭოთა არქეოლოგებს, რომლებიც არქეოლოგიური კულტურების ტრანსფორმაციას, უმთავრესად, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენებს უკავშირებდნენ. მიგრაციებზე კი იშვიათად საუბრობდნენ.

II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის არქეოლოგიაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე (რაც, ძირითადად, პროცესუალისტებისა და ნეოარქეოლოგობის სკოლების სახელთან არის დაკავშირებული), დასავლეთ ევროპულ არქეოლოგიაში პარადიგმული ცვლილებები მოხდა. თუკი აქამდე საკვლევი კითხვების უმრავლესობა არქეოლოგიური კულტურების ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებთან შესაბამისობაზე იყო ორიენტირებული, ახლა მეტი აქცენტი ლოკალური ელიტების ბუნებას, მეზობელ ცივილიზაციებთან საკომუნიკაციო კავშირებსა და სხვა მსგავს საკითხებს ეთმობა. სხვაგვარად

ავტორის სტილი დაცულია

რომ ვთქვათ ეთნიკური, ეთნოლინგვისტური ჯგუფების დასახელებები არქეოლოგიურ კვლევებში ნაკლებად ფიგურირებს.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი დისკუსია მაინც უფრო თეორიულ ხასიათს ატარებს. პრაქტიკულად კი პრეისტორიის ამსახველი გამოკვლევების უმრავლესობა კვლავ ტრადიციულ ჩარჩოებში განიხილება.

ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ეტაპზე სრულიად გაუმართლებელია იმის მტკიცება, რომ ესა, თუ ის არქეოლოგიური კულტურა ამა თუ იმ ხალხს შეიძლება შეესაბამებოდეს. შესაბამისობის დადგენის ამგვარი მცდელობები, პირველ რიგში, ეთნოლოგიის მონაცემებს ეწინააღმდეგება. თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეთნოგენეტიკური კვლევებისას არქეოლოგიური კულტურის ცნება აზრს სრულად კარგავს. საქმე ისაა, რომ სავსებით შესაძლებლად გვეჩვენება თქმა იმისა, რომ არქეოლოგიური კულტურა რომელიმე ენობრივ ოჯახს შეესატყვისება (რადგან ორივე მათგანი, ცალსახად თავიანთი გავრცელების არეალის შიგნით ინტენსიურ კონტაქტების არსებობას გულისხმობს). ამ ტიპის შესაბამისობის დადგენას კი ეთნოგენეტიკური კვლევისთვის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

<u>ფიზიკური ანთროპოლოგია</u> - ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას ანთროპოლოგიური მონაცემების მნიშვნელობა არაერთგვაროვნად არის შეფასებული. XIX საუკუნეში რასობრივი კლასიფიკაცია თითქმის ენობრივი და ეთნიკური კლასიფიკასიის იდენტურ ცნებად ითვლებოდა. შედეგად, სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ისეთი ტერმინები როგორიცაა: "ინდოევროპული რასა", "სლავური რასა", "გერმანული რასა" და სხვა. მესამე რაიხის ანთროპოლოგები ისეთი დაჟინებით ამტკიცებდნენ რასების, ხალხებისა და ენობრივი ჯგუფების ტოლფარდობას, რომ მათი წყალობით ანთროპოლოგიური არგუმენტაცია ტენდენციურობის სიმბოლოდ იქცა და II მსოფლიო ომის შემდგომი ბევრი მეცნიერის თხზულებიდან სრულიად განდევნილი აღმოჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, მეორე უკიდურესობს წარმოადგენს და ასევე გაუმართლებელია. ანთროპოლოგიის მნიშვნელობა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში განსხვავებულად უნდა შეფასდეს.

ვფიქრობთ, რომ საკუთრივ ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას მისი მნიშვნელობა დიდი არ არის, "პროტოინდოევროპული სიძველეების შესწავლისას კი მას შეუძლია გარკვეული დახმარება გაგვიწიოს.

ავტორის სტილი დაცულია

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზზე ანთროპოლოგიური კუთხით მსჯელობისას, ბუნებრივია დაისმის კითხვა, თუ: რა დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ ანტიკური ხანის იმ ავტორების თხზულებების მიმართ, რომლებშიც, თითქოს, მკაფიოდ არის გამოკვეთილი ძველი გერმანელებისა და კელტების ფიზიკურ-ანთროპოლოგიური მახასიათებლები?

ამ შეკითხვის გარშემო არსებული პრობლემების გაშუქებაში ვ. კრაუზესა და ჯ. ლოს შორის წარმოებული დისკუსიის გახსენება დაგვეხმარება. ვ. კრაუზე ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებს კელტების ქერათმიანობის, ცისფერთვალებობის, ახოვნობის და ა.შ. შესახებ ფაქტის სახით იღებდა და ასკვნიდა, რომ მსგავსი ანთროპოლოგიური ტიპი მხოლოდ ევროპის ჩრდილოეთში შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო. კელტების წინარესამშობლოს ლოკალიზაცია იგი ქვეყნის ამ ნაწილში ახდენდა. ჯ. ლომ მისი თეორია არ გაიზიარა და დაასკვნა, რომ კელტების ჰაბიტუსის შესახებ ანტიკური პერიოდის ავტორების შეხედულება მეტად ტრაფარეტულია და რომ მის რეალურობას არათუ ანთროპოლიგია, არამედ თავად წერილობითი წყაროების მონაცემებიც არ ადასტურებს (259, 145-148). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ დისკუსიაში ჯ. ლო გაცილებით მართებულ პოზიციაზე იდგა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ანთროპოლოგიაში რიგი ნოვაციები შეიმჩნევა, რომელიც, ძირითადად, მოლეკულარული ბიოლოგიის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ისინი, ერთი შეხედვით, საკმაოდ მეტყველი ეთნოგენეტიკური ინფორმაციის მიღების შანსს იძლევიან. თუმცა, ცოდნის მეტად ახალ სფეროს წარმოადგენენ და ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას სერიოზული ფაქტორის სახით ჯერ არ ჩამოყალიბებულან.

ინდოევროპეისტიკა ამ შემთხვევაშიც ცალკეა გამოსაყოფი. ერთი შეხედვით, ძალზე საინტერესო ჩანს, ინდოევროპელების ევრაზიაში გავრცელების პროცესს თვალი ბიოლოგიურ მონაცემებზე და არა იზოგლოსებზე ან არქეოლოგიურ არტეფაქტებზე დაყრდნობით მივადევნოთ, რომლებიც ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იშვიათად იძლევა. ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო გამოკვლევები ეკუთვნით ლ. კავალი-სფორცას, ა. ამორიმის, დ. რანგს და სხვა მკვლევრებს. გენეტიკის მონაცემების საფუძველზე ევროპის ინდოევროპეიზაციის მ. გიმბუტასის ყორღანული და კ.

ავტორის სტილი დაცულია

რენფრიუს ანატოლიური თეორიების შედარების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი (194, 125-127]. საინტერესოა, ასევე, ნაშრომები ევროპის ნეოლითიზაციის შესახებ (194, 86-97).

მიუხედავად მსგავსი გამოკვლევების, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი ხასიათისა, უფლებას ვიტოვებთ, ამ ნაშრომებში გაკეთებული დასკვნების მნიშვნელობაზე გარკვეული თავშეკავებით ვისაუბროთ. საქმე ისაა, რომ ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის ეთნიკური პროცესების დინამიკის კანონზომიერებების თვალის მიდევნება გვარწმუნებს, რომ ამ პერიოდში არ დასტურდება რომელიმე X ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფის X ტერიტორიაზე სრული ჩანაცვლების ფაქტი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა რეგიონში ლინგვისტური და პოლიტიკური ლანდშაფტი რადიკალურად იცვლებოდა, მოსული ელემენტი უმეტესად "სუპერსტრატულ უმცირესობას" წარმოადგენდა. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება: რომის იმპერიის შემდგომი ხანის ე.წ. "ბარბაროსული სახელმწიფოები", აღმოსავლეთ ევროპის თურქული გაერთიანებები, სპარტული და კელტური საზოგადოებები. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ევრაზიის ძალიან ბევრი რეგიონი (თუ ყველა არა) არქეოლოგიური თვალსაზრისით უწყვეტი განვითარების სურათს იძლევა. ეს გარემოება ასაზრდოებს წინარესამშობლოს შესახებ პალეოლითური უწყვეტობისა და ჩრდილო-ევროპული თეორიების მსგავსი ჰიპოთეზების მომხრეებს. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ფიზიკური ანთროპოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის მონაცემებსაც მნიშვნელოვან კვალს დააჩენს. რა თქმა უნდა, ძნელია უარვყოთ ამ დარგების მნიშვნელობა, როცა საქმე ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ პერიოდებს ეხება, მაგრამ ნეოლითისა და მისი შემდგომი პერიოდის შესახებ მსჯელობისას ამ თვალსაზრისით გარკვეული თავშეკავება გვმართებს. ინდოევროპელების ევრაზიაში გავრცელების დამადასტურებელი გენეტიკური მარკერების პოვნა თითქმის წარმოუდგენელ ამოცანად გვესახება.

კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, აქცენტი შემდეგ საკვლევ კითხვებზე უნდა გავაკეთოთ:

ა) რომელი არქეოლოგიური კულტურები უნდა ჩავთვალოთ კელტების, უფრო სწორად "პროტოკელტურ ენაზე (ენებზე)" მოსაუბრე ხალხების შემოქმედებად?

ავტორის სტილი დაცულია

ბ) რა ეთნო-სოციალურმა პრობლემებმა გამოიწვია ლატენის არქეოლოგიური კულტურის ფორმირება.

პირველ შემთხვევაში ჩვენ უფრო XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის სამეცნიერო პარადიგმაში, ე.წ. "კოსინა-ჩაილდის" მოდელის ფარგლებში ვიმუშავებთ და შევეცდებით ევროპის არქეოლოგიურ რუკაზე კელტების კვალი ვიპოვოთ.მეორე შემთხვევაშიკი არქეოლოგიას კელტების ძვ.წ. IV-III საუკუნეების ეთნიკური და სოციალური ისტორიის რეკონსტრუქციისთვის გამოვიყენებთ. კერძოდ, პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რამდენად შეიძლება ამ პერიოდის არქეოლოგიური მონაცემები რეალური ისტორიის (და არა მისი ფორმალურ-ტიპოლოგიური კონტურების) რეკონსტრუქციისათვის გამოვიყენოთ.

ევროპის არქეოლოგიურ კულტურებში კელტებისა, თუ მათი წინაპრების კვალის ძიება იმის აღნიშვნით უნდა დავიწყოთ, რომ ძვ.წ. V-I საუკუნეებში აღმოსავლეთ საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარის, ავსტრიისა და სამხრეთ გერმანიის, უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, სლოვენიისა და რუმინეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ლატენის არქეოლოგიური კულტურა, რომლის კელტურ სინამდვილესთან კავშირსაც არავინ უარყოფს.

საყოველთაოდ გაზიარებულია ასევე მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლატენის არქეოლოგიური კულტურა ჰალშტატის კულტურის დასავლური ვარიანტის საფუძველზე წარმოიქმნა, რომელიც ცენტრალური და დასავლეთ ევროპისტერიტორიაზე იყო გავრცელებული. შესაბამისად, დასავლეთ ჰალსტატური კულტურის შემქმნელთა ეთნიკური კუთვნილების საკითხიც დიდად სადისკუსიოდ არ ითვლება. მას არქეოლოგები თამამად უკავშირებენ კელტურ სინამდვილეს, მაშინ როცა აღმოსავლეთ ჰალსტატურ ზონას ილირიელებთან აიგივებენ (268, 123).

გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ ლოგიკური იქნება, თუკი კელტების კიდევ უფრო ადრინდელ ეთნიკურ ისტორიას ჰალსტატის არქეოლოგიური კულტურის გენეზისის პრობლემას დავუკავშირებთ. ოდნავ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ "კელტურ არქეოლოგიაში" ამ საკითხს (ვგულისხმობთ ჰალშტატის კულტურის გენეზისს) ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ დასავლეთ ევროპულ არქეოლოგიაში დიდი ხანია დამკვიდრდა კელტების კვალის ბრინჯაოს, ენეოლითისა და ნეოლითის ხანაში ძიების ტრადიცია, რის ფონზეც ჰალშტატის გენეზისის პრობლემა ნაკლებ

ავტორის სტილი დაცულია

აქტუალურად გამოიყურება. იგი თითქოს ისედაც მარტივად იჭრება ავტოქტონისტური მიდგომების პირობებში.

თუმცა, ვიდრე ამ საკითხზე დავიწყებდეთ მსჯელობას, საჭიროა ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების ევროპაში განსახლების ჩვენეულ სქემას დავუბრუნდეთ. ამ საკითხზე მსჯელობა, ჩვენ გამოკვლევის I თავში პროტოინდოევროპულის დივერგაციის მეოთხე ეტაპზე (გამყრელიძისა და ივანოვის სქემის მიხედვით. (იხ. სქემა 1)) შევწყვიტეთ. კერძოდ, აღვნიშნეთ, რომ ძვ.წ. IV ათასწლეულში ვოლგა-ურალის სტეპებში ჩამოყალიბებული ძველი ორმოების კულტურა წინარესამშობლოს წარმოადგენდა ყველა იმ ინდოევროპული ენისთვის, რომლებიც მოგვიანებით ევროპაში იყო გავრცელებული (ვგულისხმონთ ყველა ინდოევროპულ ენას[38] ანატოლიურისა და თოხარულის გამოკლებით, რომლების ისტორიაც გამოკვლევის პირველ თავში წინა და ცენტრალურ აზიას დავუკავშირეთ).

ძვ.წ. III ათასწლეულში ძველი ორმოების კულტურის საფუძველზე სამი მსხვილი კულტურულ-ისტორიული ერთობა ჩამოყალიბდა (უფრო სწორად განვითარდა). ამ პერიოდის ვოლგა-ურალის სტეპებში გავრცელებული ჩანს პოლტავინოს კულტურა, შავიზღვისპირეთში – კატაკომბური, ჩრდილოეთ ევროპაში კისაბრძოლო ცულების კულტურა ვრცელდება. ვფიქრობთ, რომ ამ არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბება ინდოევროპული ენების დივერგაციის მეხუთე ეტაპს შეესაბამება, როდესაც მსხვილ ინდოევროპულ ჯგუფებად იტალიურ-კელტური, ბერძნულ-სომხურ-არიული და ბალტიურ-სლავურ გერმანიკული გამოიყოფა. მიგვაჩნია, რომ ბალტიურ-სლავურ-გერმანიკული საბრძოლო ცულების კულტურას შეესაბამება; კატაკომბური კულტურა ბერძნულ-სომხურ-არიულს წარმოადგენს, პოლტავინოსი კი - იტალიურ-კელტურს.

ამგვარი დასკვნა ინდოევროპული ენების ევროპაში გავრცელების საკითხის გადააზრებას იწვევს. ბალტიურ-სლავურ-გერმანიკული ენების საბრძოლო ცულების (ზონრიანი კერამიკის) კულტურასთან შესაბამისობა დღეს, შეიძლება ითქვას, რომ სადისკუსიო საკითხს არ წარმოადგენს; კატაკომბების არიელებთან დაკავშირების მცდელობაც მეტ-ნაკლებად ეწერება "ტრადიციული ინდოევროპეისტიკის" ჩარჩოებში, თუმცა, ძვ.წ. III ათასწლეულში

[38] *მათ შორის ვგულისხმობთ ინდო-ირანულ და ინდო-არიულ ენებსაც.*

ავტორის სტილი დაცულია

იტალიურ-კელტურის დასავლეთ ევროპისგან ასე მოშორებით ლოკალიზება ძირეულად ეწინააღმდეგება იმ მიდგომებს, რომლებიც კელტურ არქეოლოგიაში დომინირებს.

კელტური ენების ევროპაში გავრცელებასთან და ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში მათ ადგილთან დაკავშირებით კელტოლოგიაში რამდენიმე მიდგომა იკვეთება. ეს მოსაზრებები არა მხოლოდ ცალკეული ნიუანსებით, არამედ კონცეპტუალური საფუძვლებითაც განსხვავდება ერთმანეთისგან.

XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის I ნახევრის არქეოლოგები ე.წ. "ფორმალურ ტიპოლოგიური" მეთოდის ფარგლებში მუშაობდნენ. ისინი კელტური ენების ჩამოყალიბების პრობლემას ევროპაში ინდოევროპელთა მიგრაციებს უკავშირებდნენ. შესაბამისად, - აქტიურად ეძებდნენ იმ არქეოლოგიურ კულტურებს, რომლებმაც "პროტოინდოევროპულისა" და კელტური ენების გავრცელების არეალს შორის ერთგვარი "ტრანზიტის" როლი შეასრულეს. ძიების ეს პროცესი იმიტომაც გახლდათ აქტუალური, რომ XIX – XX საუკუნის პირველ ნახევარში ინდოევროპელთა თავდაპირველი გავრცელების არეალს დასავლეთ ევროპაში (სადაც ისტორიულად კელტური ენები იყო გავრცელებული) არავინ ეძებდა.

ამ სამეცნიერო პარადიგმის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებები ორ ჯგუფად შეგვიძლია გავყოთ. მათ მიხედვით კელტების (თუ ინდოევროპელების) ევროპის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში მოსვლა ორი განსხვავებული გზით ივარაუდება. ერთ შემთხვევაში იგი უკავშირდება ჩრდილოეთ ევროპის საბრძოლო ცულების (იგივე ზონრიანი კერამიკის) არქეოლოგიურ კულტურას, ან დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ზარისებრი თასების ნეოლითურ რეალობას. მეორე შემთხვევაში კი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ცენტრალურ და დასავლეთ ევროპულ კულტურებს.

მაგალითად, დ. ჰოკსი „კელტებად" ზარისმაგვარი თასების კულტურის შემქმნელებს თვლის, რომლებიც მოგვიანებით ზონრიანი კერამიკის კულტურის ხალხებს შეერივნენ (65, 99).ნ. ჩედვიკი და მ. დილონიც დაახლოვებით იგივე აზრის ჩანან (53, 128) .ა. უბერი კი მათ საწყისებს მეგალითების ეპოქის ბრიტანეთში ეძებს (120, 109).

მკვლევართა მეორე ჯგუფს მივაკუთვნებთ ი. ფილიპის, რომელიც მიიჩნევს, რომ „პროტოკელტები" გვიანბრინჯაოს ხანაში ყორღანული და ურნასამარხების სინთეზის შედეგად ცენტრალურ ევროპაში ჩამოყალიბდნენ

ავტორის სტილი დაცულია

(280, 124-144). აქვე შეგვიძლია მოვიხსენიოთ პ. ბოშ-გიმპერაც, რომელიც მათ სახელს, ესპანეთის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ურნასამარხების არქეოლოგიურ კულტურას უკავშირებს (64, 100).

მეცნიერთა მეორე ფრთა, პრაქტიკულად უარს ამბობს ტრადიციული არქეოლოგიისთვის დამახასიათებელ კვლევის „ფორმალურ-ტიპოლოგიურ“ მეთოდზე, რაც, ამ შემთხვევაში არქეოლოგიურ კულტურებსა და ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებს შორის შესაბამისობების ძიებაში გამოიხატება და კელტური ენების ევროპაში გავრცელებას ალტერნატიულ (დიფუზიონიზმისგან განსხვავებულ) სარჩულს უძებნიან. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კ. რენფრიუ, რომელიც კელტური (ისევე როგორც სხვა ინდოევროპული) ენების გენეზისს ევროპაში „ნეოლითური რევოლუციის“ მიღწევების გავრცელებას უკავშირებს (173, 233-267); ბ. კანლიფს კელტური ენების ფორმირების არეალი ე.წ. ატლანტიკურ ზონაში გადააქვს (65, 178-203); მ. ალინეი კი ინდოევროპული ენების „პალეოლითური უწყვეტობის“ თეორიასაც კი ავითარებს (29, 56-65).

ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის თეორიების გაზიარება ნეოლით-ბრინჯაოს ხანის ეთნოგენეტიკური კვლევებიდან არქეოლოგიისა და ლინგვისტიკის გამოთიშვაზე ხელის მოწერას უტოლდება, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებულ პოსტულატებს.

კელტური ენების ევროპაში გავრცელების ჩვენი მოდელის სისწორის დასამტკიცებლად საჭიროა დამტკიცდეს, რომ ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის (რომლის დასავლეთ ნაწილიც ცალსახად კელტების შემოქმედებად ითვლება) გენეზისში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთიდან (სადაც, ჩვენი აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ჩვენი აზრით, კელტურ-იტალიურ-ილირიული ენები იყვნენ გავრცელებული) მოსული ელემენტის მონაწილეობა დავასაბუთოთ. საამისოდ, საჭიროა, ახლოს გავეცნოთ “კიმერიელების პრობლემის” არქეოლოგიურ სარჩულს.

ძველაღმოსავლური წყაროები კიმერიელებს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ „ტომებს“ უწოდებენ, რომლებმაც ძვ.წ. VIII საუკუნეში (სკვითების შემოტევის გამო) თავიანთი საცხოვრისი მიატოვეს და წინა აზიას შეესივნენ. კიმერიელების არქეოლოგიური იდენდიფიკაციის პრობლემა დიდი ხანია ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ჩვენს შემთხვევაში ყურადღებას ამ პრობლემის ერთ-ერთი ასპექტი, კერძოდ, კიმერიელების ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ლაშქრობის თეორია

ავტორის სტილი დაცულია

იმსახურებს. საქმე ისაა, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ევროპულ არქეოლოგიურ სინამდვილეში ვხვდებით რიგ კულტურულ არტეფაქტებს, რომელიც ზოგიერთ მკვლევარს საშუალებას აძლევს ივარაუდოს, რომ მაშინ, როცა კიმერიელების ერთი ნაწილი წინა აზიას შეესია მისი მეორე ფრთა ევროპისკენ გაემართა. რიგ შემთხვევაში მათი ლაშქრობის მარშრუტებზეც კი მიუთითებენ.ასეთ არტეფაქტებს შორის უნდა მოვიხსენიოთ:

1. ბელადის ოთხბორბლიანი საზიდრით დაკრძალვის ტრადიცია;

2.ცხენის სხვადასხვა აღკაზმულობები; რომლებსაც არქეტიპები ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის წინასკვითურ ხანაში ეძებნება.

3. აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდის ევროპაში ჩნდება დამარხვის ახალი წესები, რკინის მეურნეობა და სხვა. ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ მრავლად გვხვდება დამარხული განძები, რომ რაც შემოსევის არაპირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს (285, 178-183).

ვფიქრობთ, რომ ეს არგუმენტები სავსებით საკმარისია საიმისოდ, რათა ძვ.წ. VIII ს-ში კიმერიელების დასავლური ლაშქრობის თეორია ვირწმუნოთ. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ა. მონგაიტი ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს, როცა ზემოთჩამოთვლილი არტეფაქტების წარმოქმნის მიზეზად სავაჭრო ურთიერთობებს ასახელებს (268, 246). ძალზე მოკლე პერიოდში: დამარხვის ახალი წესების შემოსვლა, მძლავრი არისტოკრატიის ჩამოყალიბება, ცხენის ამხედრებული ტარების ტრადიციის შემოსვლა, რკინის მეტალურგიის დანერგვა, სამოსახლო ფართობების გადიდება და ა.შ., ცენტრალური ევროპის არქეოლოგიურ მასალაში. აშკარად, ჩრდილოეთშავიზღვისპირული მასალის არსებობის ფონზე, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს ცენტრალურ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების ფორსირებული გზით განვითარების სურათი დავინახოთ. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის მოსახლეობის (კიმერიელების) აქტიური დინამიკა სავსებით დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს.

მეორე პრობლემაა იმის განსაზღვრა, თუ რა როლი ითამაშა მოსულმა ელემენტმა ამ პერიოდის ევროპის ეთნიკურ ისტორიაში. ის ავტორებიც კი (პ. კორკორანი, ვ. მეგოუ) რომლებიც მთლიანობაში კიმერიელების დასავლური მიგრაციის თეორიას იზიარებენ უფრო იმ აზრის ჩანან, რომ ადრერკინის ხანაში მოსული ეს ელემენტი მთლიანად ურნასამარხების კულტურის შემქმნელი მოსახლეობის მიერ იქნა ასიმილირებული. არადა ჩვენს მიერ

ავტორის სტილი დაცულია

ზემოთაღწერილი ისტორიული მონაცემები და ზოგადად ანტიკური და ძველაღმოსავლური საზოგადოების ეთნიკური პროცესების დინამიკის კანონზომიერებების გათვალისწინება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს რეალობა სხვაგვარად წარმოვიდგინოთ.

ცნობილია, რომ ძველ დროში ეთნიკური ტრადიციების მთავარ მატარებელს „სუპერსტრატული“ და არა „სუბსტრატული“ მოსახლეობა წარმოადგენდა. თუკი კელტური საზოგადოების სტრუქტურის შესახებ კ. ჟულიანისა და ჟ. არმანის ზემოთ მოყვანილ თეორიას გავიზიარებთ (120, 230) და ამასთან, გალური ნობილიტეტის სიძლიერის დამადასტურებლად ჰალშტატური არისტოკრატის მდიდარ სამარხებს და სიმაგრეებს ჩავთვლით, ცოტა ძნელი გახდება „პლებსისგან” არისტიკრატიის ასიმილაციის ვარაუდი, უფრო მეტი არგუმენტები, ვფიქრობთ, საწინააღმდეგო მოსაზრების სასარგებლოთ არსებობს.

დასასრულს, საჭიროა ავღნიშნოთ, თუ რა ადგილი უჭირავთ კიმერიელებს ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ სინამდვილეში, რადგან ეს საკითხი (ზემოთმოყვანილი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში), ფაქტიურად, „ძველევროპულ“ ენებზე მოსაუბრე ხალხების ადრეულ ისტორიას წარმოადგენს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ იგი დიდი ხანია საკმაოდ ფართო დისკუსიის საგანია. დადგენილია, რომ ამ (და არა მხოლოდ ამ) ტერიტორიაზე ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ორი მსხვილი კულტურულ-ისტორიული ერთობა (კატაკომბური და ძელური) არსებობდა, რომლების დაკავშირებასაც არქეოლოგები ისტორიულად შავიზღვისპირეთში ცნობილ ორ ისტორიულ სინამდვილესთან სკვითებთან და კიმერიელებთან ცდილობდნენ (243, 167-179). საქმეს მეტად ართულებს ის გარემოება, რომ განსხვავებით სკვითებისგან (რომლებიც ინდო-ირანულ ენებზე საუბრობდნენ) ჯერ კიდევ არ არის დადგენილი თუ რომელ ენობრივ გარემოს მიეკუთვნოდნენ კიმერიელები.

კიმერილების „ძველევროპელობის” თეორიის გაზიარების შემთხვევაში ამ პრობლემატიკის კვლევაში მეტი სიცხადის შეტანა შეიძლება. საქმე ისაა, რომ „ძველევროპულ” ენობრივ ოჯახს ლინგვისტურად ბევრი რამ აკავშირებს ურალურ-ალთაურ, ენისეურ, უნგრო-ფინურ და სხვა. სავარაუდოდ, ძვ.წ III-II ათასწლეულებში, ცენტრალურ აზიაში ლოკალიზებულ ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებთან (239, 938-942). ამ არგუმენტებზე დაყრდნობით თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი „ძველევროპელიხალხების” შუა აზიიდან დასავლეთით მიგრაციის

ავტორის სტილი დაცულია

თეორიას გვთავაზობენ (239-940-945). თუმცა, ამის საილუსტრაციო არქეოლოგიური არგუმენტები თითქმის არ მოყავთ.

ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით უფრო ლოგიკური იქნება, თუ „ძველევროპულ“ ენებზე მოსაუბრე ხალხების ვოლგა-ურალის სტეპებიდან დასავლეთით მიგრაციას ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს დავუკავშირებთ. ამ პერიოდში ვოლგა-ურალის სტეპებში ე.წ. ძელური კულტურულ-ისტორიული ერთობა ჩამოყალიბდა, რომელმაც ოდნავ მოგვიანებით (თავისი არსებობის II პერიოდში) გავრცელება აზოვისა და ჩრდილოეთშავიზღვისპირეთისკენ დაიწყო, სადაც მან კატაკომბური კულტურულ-ისტორიული ერთობის ადგილი დაიკავა.

ამ ჰიპოთეზის უპირატესობა ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში ნათლად იკითხება კონტინიუმი ძელურ და ე.წ. «კიმერიულ არქეოლოგიურ კულტურებს» შორის. ეს უკანასკნელი კი ნათლად ებმის ჰალშტატის არქეოლოგიურ კულტურას, რომელიც, თავის მხრივ, უმტკივნეულოდ გადაიზრდება ლატენის არქეოლოგიურ სინამდვილეში, რომლის კელტური ბუნებაც სადისკუსიო საკითხს არ წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას, ტრადიციულად დიდი ყურადღება ეთმობა ჰალშტატისა და ლატენის არქეოლოგიური კულტურების ერთმანეთისგან შედარებას. კერძოდ იმ ფაქტს, რომ დასავლეთ ჰალშტატი ძალზე ჰეტეროგენული -, ლატენი კი ჰომოგენური არქეოლოგიური რეალობაა.

<u>§ 3. კელტების ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები</u> – კელტების ისტორიის ადრეული ეტაპის შესახებ ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის წერილობითი წყაროები. კელტების ეთნოგენეზის საკითხზე საუბრისას, ვფიქრობთ, ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შემდეგი პრობლემები უნდა გამოვყოთ:

ა) როგორ მოხდა კელტების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებების ფორმირება?

ბ) რა ვერსიებია დაცული წერილობით წყაროებში კელტების გენეზისის შესახებ?

ავტორის სტილი დაცულია

გ) რა მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინს - „კელტი“ ანტიკური ხანის ავტორები?

ა) როგორ მოხდა კელტების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებების ფორმირება? - კელტების შესახებ ინფორმაცია ანტიკური ხანის ბევრ თხზულებაში გვხვდება. თავიანთი ხასიათისა და წყაროთმცოდნეობითი ბაზისის მიხედვით, ისინი, ვფიქრობთ, შეგვიძლია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1). წყაროები, რომლებიც ძვ.წ. VI-V და ნაწილობრივ IV საუკუნეებიდან მომდინარეობენ;

2) IV საუკუნის II ნახევრიდან ძვ.წ. II საუკუნის I ნახევრის ჩათვლით შექმნილი თხზულებები;

3) ნაწარმოებები, რომლებიც ძვ.წ. II საუკუნის II ნახევარში და მის შემდგომ ხანებში დაიწერა;

პირველი პერიოდის წყაროები კელტების შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, სავაჭრო ურთიერთობების წყალობით იღებდნენ, რაშიც მთავარ როლს ძვ.წ. 600 წლისთვის დაარსებული ბერძნული კოლონია მასალია თამაშობდა;

მეორე პერიოდში მსგავს ცნობებს ის ინფორმაციული ნაკადი შეემატა, რომელსაც ბერძნები კელტი მოქირავნეებისგან, ან უკვე უშუალოდ ანტიკური ელადის მეზობელ რაიონებში შეჭრილი კელტური ტომების წარმომადგენლებისგან იღებდნენ.

მესამე პერიოდი კი რომაული დაპყრობების ხანას ემთხვევა.

გამოკვლევის წინამდებარე ნაწილში (როცა კელტების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებების ფორმირებაზე ვსაუბრობთ) აქცენტს უფრო პირველი პერიოდის წყაროებზე გავაკეთებთ; კვლევის შემდეგ ნაწილში კი (*რა მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინს - „კელტი“ ანტიკური ხანის ავტორები?)* მეტ ყურადღებას ძვ.წ. IV – III საუკუნეების ავტორების თხზულებებს მივაქცევთ.

მეტად თავისებური გათვლებით კელტების შესახებ ინფორმაციის მომწოდებელ პირველ ბერძენ ავტორად შეგვიძლია ჰესიოდე ჩავთვალოთ. მართალია, იგი არც ზოგადად კელტებს ახსენებს და არც ცალკეულ კელტურ ეთნონიმებს, მაგრამ თავისი პოემის ერთერთ ეპიზოდში „მსოფლიოს“ (ე.ი. ხმელთაშუაზღვისპირეთის) ჩრდილო–დასავლეთ ნაწილს ლიგურიის სახელით

ავტორის სტილი დაცულია

იხსენიებს (მაშასადამე, იქაურობას ლიგურებით დასახლებულ ტერიტორიად თვლის) (48, 256). ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძვ.წ. VII საუკუნეში ან კელტები არ ცხოვრობდნენ თავიანთი მერმინდელი განსახლების ადგილას, ან ჰესიოდემ (და ალბათ სხვა ბერძნებმაც) არაფერი იცოდა მათი არსებობის შესახებ. ეს კი, ვფიქრობთ, საკმაოდ ნიშანდობლივი გარემოებაა.

თუმცა, ისტორიოგრაფიაში გვხვდება დასკვნები, რომლებიც ამ არგუმენტის (რომლის ჩამოყალიბებაც ძირითადად ა. შულტენის სახელს უკავშირდება) გაბათილების მცდელობად შეგვიძლია ჩავთვალოთ. პირველ რიგში, დისკუსიის საგანს ჰესიოდესთან მოხსენიებული ლიგიების ლიგურებთან გაიგივება წარმოადგენს, შემდეგ კი ის გარემოება, რომ ლიგურებით დასახლებულ ტერიტორიაში ჰესიოდე მართლაც ევროპის დასავლეთ ნაწილს გულისხმობს. საქმე ისაა, რომ არგუმენტი, რომლის საფუძველზეც ა. შულტენმა ეს დასკვნა გააკეთა (იმ დასკვნას ვგულისხმობთ, რომ ლიგიები ჰესიოდეს ევროპის დასავლეთ ნაწილში ეგულება), ერთობ ორიგინალურ მოსაზრებებს ემყარება. კერძოდ, გერმანელი ისტორიკოსი თვლის, რომ როცა ჰესიოდე ერთმანეთის გვერდიგვერდ იხსენებს ეთიოპიელებს, ლიგიებს და სკვითებს, იგი „მსოფლიოს“ უკიდურეს წერტილებში დასახლებულ ხალხებს გულისხმობს. მის ამ გონებამახვილურ დასკვნას თითქოს ყველა იზიარებს, მაგრამ ამასთან ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ აქ „მსოფლიოს“ აღმოსავლეთი და არა დასავლეთი ნაწილი იგულისხმება. შესაბამისად, ლიგიების საცხოვრისის ლოკალიზებას კოლხეთის ტერიტორიაზე ახდენენ (48, 260).

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ეს კონტრარგუმენტები ბევრს არაფერს ცვლის და ჭეშმარიტება შულტენისეულ მსჯელობაში იმალება. არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე როდესმე ხალხი ცხოვრობდა, რომლებსაც ლიგიებს უწოდებენ. დასავლეთ ევროპაში ლიგურების არსებობა კი ცალსახად დადასტურებული ფაქტია. როგორც ჩანს, ძვ.წ. VII და, შესაძლოა, VI საუკუნის დასაწყისშიც ბერძნებმა მართლაც არაფერი იცოდნენ კელტების არსებობის შესახებ და ევროპის დასავლეთი ნაწილი ლიგურ–იბერებით დასახლებულ მხარედ მიაჩნდათ.

ავტორის სტილი დაცულია

კიდევ უფრო მეტი თავისებურებებით ხასიათდება ქრონოლოგიურად მეორე ანტიკური წყარო, რომელსაც კელტების შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოცემა შეუძლია. ეს არის აფრიკის პროკონსულ ფესტუს ავიენუს რუფუსის „Ora Maritima“. მართალია, ეს თხზულება ახ.წ. 366 წელს არის დაწერილი, მაგრამ, როგორც თავის დროზე ვ. შმიდტმა შენიშნა, მას გაცილებით ძველი წყაროები უდევს საფუძვლად. ვარაუდობენ, რომ მათგან უძველესი უნდა იყოს თხზულების ბერძნული ორიგინალი, რომელიც, სავარაუდოდ, პერიპლის სახით იყო დაწერილი. მისი შედგენის თარიღად ძვ.წ. VI საუკუნე, 530 წლის ახლო ხანები ითვლება (65, 233). საქმე ისაა, რომ “Ora Maritima“ – ში ძალზე დეტალურადაა აღწერილი კადიქსსა და მარსელს შორის მდებარე ნავსადგურები, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამპერუსისა და როდის შესახებ. ამის ერთადერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ პერიპლი ამ კოლონიების დაარსებამდე, ანუ ძვ.წ. VI საუკუნის 30–იან წლებამდეა დაწერილი. ასევე დადგენილია, რომ ფესტუს ავიენუსის ხელთ არსებულ ბერძნულ ორიგინალს დამატებული ჰქონდა ძვ.წ. 500 წლისთვის ადმირალ ჰამილკონის მიერ შედგენილი ჩრდილოეთის ზღვის პერიპლი, რომელიც, თავის მხრივ, ვიღაც ელინს მისი ბერძნული თარგმანის საფუძველზე განუვრცია. სავარაუდოდ, ძვ.წ. IV საუკუნეში პერიპლი კიდევ ერთხელ გადამუშავდა. ძვ.წ. I საუკუნეში კი იგი ლათინურად თარგმნეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა ფესტუს ავიენუსის ხელში (65, 238).

ავიენუსი ყვება, რომ ოესტრიმნისის სრუტე კონტინენტს ოესტრიმნიდის (oestrymnides) კუნძულებიდან გამოყოფს, რომლებიც სპილენძით და კალით არიან მდიდარნი. აქ, სავარაუდოდ, ბრეტანის ნახევარკუნძული და მასთან მიმდებარე კუნძულები იგულისხმება. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე იულიუს კეისრის მიერ ლოკალიზებული ტოპონიმი და ეთნონიმი Osismi იმავე სიტყვის სახეცვლილი ვარიანტია (123, 177).

ავიენუსის თხზულებაში ასევე ნათქვამია, რომ სწორედ ამ ოესტრიმნისის ჩრდილოეთით მდებარეობს ქვეყანა, საიდანაც კელტმა ტომებმა ლიგურები გამოაძევეს. ნახსენებია ასევე ჰიერნებით (Hierni) დასახლებული წმინდა კუნძული (1, 54), რომელიც ალბიონთან ახლოს მდებარეობს (ამ კუნძულებში, რა თქმა უნდა, ბრიტანეთი იგულისხმება).

ავტორის სტილი დაცულია

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თხზულებაში ფართო ადგილი ეთმობა კელტიბერებზე და ლიგურებზე საუბარს. კერძოდ, დასახელებულია სამი კელტ–იბერიული ტომი; ბევრი ინფორმაცია მოიპოვება ასევე ლიგურების შესახებ, რომლების ისტორიის საკითხებს გარკვეული სიცხადის შეტანა შეუძლია კელტების ეთნოგენეზის კვლევისას.

თუკი ავიენუსის თხზულების ძირითადი ბირთვის შექმნის შესახებ არსებულ ზემოთმოყვანილ კონცეფციას გავიზიარებთ, მაშინ სავსებით ცხადია, რომ „Ora maritima"–ს სახით ჩვენს ხელთ არის კელტების ისტორიის ამსახველი უძველესი წყარო, რომლის ავტორიც ძალზე კარგად ჩანს გათვითცნობიერებული ჩრდილოეთის ზღვისა და პირინეის ნახევარკუნძულის გარშემო ძვ. წ. VI საუკუნეში შექმნილ ეთნიკურ სიტუაციაში. ვფიქრობთ, რომ იგი, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ხასიათისაა და მრავალჯერ არის რედაქტირებული, საკმაოდ სანდო და კომპეტენტური წყაროა.

კელტების შემდეგი ხსენება ძვ.წ. 500 წლით თარიღდება და იგი ლოგოგრაფოს ჰეკატეოს მილეტელის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ავტორი პირველია მათ შორის, ვინც კელტიკაზე, როგორც ცალკე ეთნო–კულტურულ რეალობაზე საუბრობს. მის თხზულებაში ნათქვამია, რომ ქალაქი მასალია ლიგურების ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელიც თავის მხრივ კელტიკას ესაზღვრება. ჰეკატეოსი ნარბონას კელტურ ქალაქს უწოდებს. ახსენებს ასევე ქალაქ ნირაქსს, რომლის იდენტიფიკაციაც სადღეისოდ ვერ ხერხდება (201, 47).

ეს ცნობები ერთობ მნიშვნელოვანია, მაგრამ თანამედროვე ისტორიკოსების ნაწილი მათ ეჭვის თვალით შესცქერის. საქმე ისაა, რომ ჰეკატეოს მილეტელის თხზულების ზემოხსენებულმა ნაწყვეტებმა ჩვენამდე ლექსიკოგრაფ ეტიენ ბიზანტიელის თხზულებაში - „ევროპა" - დაცული ექსცეპტის სახით მოაღწია. შესაბამისად, მკვლევართა ნაწილს იგი ბიზანტიელი ავტორის ჩანართი ჰგონია. თუ რამდენად საფუძვლიანია ეს ეჭვი, ამის დადგენა მხოლოდ ტერმინ „კელტის" ანტიკური ვერსიების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი (ამ საკითხზე მსჯელობა ოდნავ ქვემოთ გვექნება). აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ცოტა ძნელი წარმოსადგენია მიზეზი, რის გამოც IX საუკუნის ბიზანტიელ ფილოლოგს მსგავსი ფალსიფიკაცია შეიძლებოდა განახორციელებინა.

ავტორის სტილი დაცულია

ორჯერ არიან ნახსენები კელტები ჰეროდოტეს „ისტრიაში“, რომელიც ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებშია დაწერილი. პირველ შემთხვევაში ავტორი ამბობს, რომ მდინარე ისტროსი (დუნაი) სათავეს კელტების ქვეყანაში მდებარე ქალაქ პირენეს მიდამოებიდან იღებს (5, 69). ეს ცნობა ერთი შეხედვით ძალიან საინტერესო ჩანს, რადგან ბევრი თანამედროვე მკვლევარი კელტების წინარესამშობლოს ლოკალიზებას სწორედ დუნაისა და რაინის სათავეებთან ცდილობს, მაგრამ ჰეროდოტეს თხზულების ამ ნაწილში ქალაქ პირენეს მოხსენიება მიგვანიშნებს, რომ ჰეროდოტეს (ისევე, როგორც მთელ მაშინდელ ელინურ საზოგადოებას) დუნაის სათავეები პირინეის მთებში ეგულებოდა (201, 145).

მეორე შემთხვევაში „ისტრიის მამა“ აცხადებს, რომ კელტები ჰერაკლეს სვეტების სიახლოვეს, კინეტების მეზობლადაც ცხოვრობენ (5, 78). ეს უკანასკნელები მას ევროპის ყველაზე უფრო დასავლეთით (პორტუგალიის სამხრეთ ნაწილში) მცხოვრებ ხალხად მიაჩნია. ჰეროდოტეს თხზულება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ პირველად და სავსებით გამოკვეთილი ფორმით არის გამოყენებული სიტყვა Keltoi; მისი საშუალებით შეგვიძლია, ასევე, გარკვეული ინფორმაცია მივიღოთ კელტი ტომების ადრიატიკის ზღვისკენ გავრცელების შესახებ. აქ იგი კელტების მეზობელ „ხალხად“ სიგინებს ასახელებს (5, 78). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადრეატიკის ზღვის სანაპიროები ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ წარმოადგენს კელტი ტომების გავრცელების არეალს.

იგივე სურათი იკვეთება ძვ.წ. 350 წლისთვის (ანუ ჰეროდოტეს თხზულების დაწერიდან დაახლოებით 100 წლის შემდეგ) შექმნილ სკილაქს კარიადნელის პერიპლში, რომელშიც ასევე არაფერია ნათქვამი კელტების აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ყოფნის შესახებ (48, 67).

ვფიქრობთ, რომ პირველი პერიოდის წყაროებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ პითეას მასალიელის ცნობებიც, რომლებმაც ჩვენამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ შედარებით გვიანდელი პერიოდის ავტორებთან (ძირითადად სტრაბონთან და პოლიბიოსთან) დაცული ექსცეპტების სახით მოაღწიეს. პითეასი IV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა. ამ პერიოდში მან მეტად გაბედული საზღვაო ექსპედიცია განახორციელა, რომლის დროსაც მოინახულა ბრიტანეთი, „კუნძული“ თულე (უფრო ის აზრია გავრცელებული, რომ ამ კუნძულში ნორვეგიის დასავლეთ ნაწილი უნდა ვიგულისხმოთ), იუტლანდიის

ავტორის სტილი დაცულია

ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი და სხვა (48, 168). თავისი დაკვირვების შედეგები კი პერიპლის სახით გამოაქვეყნა. ანტიკურ ხანაში პითეას მასალიელს და მის ინფორმაციას დიდად არ ენდობოდნენ (განსაკუთრებით სკეპტიკურად სტრაბონი იყო განწყობილი), თუმცა სადღეისოდ იგი საკმაოდ კარგი პრესით სარგებლობს და კელტების შესახებ მისი ცნობები მეტად დამაჯერებელ მონაცემებად განიხილება (მიუხედავად სიმწირისა).

ირკვევა, რომ პითეასი შეხვედრია ზემოთ უკვე ხსენებული ოსისმების ტომის წარმომადგენლებს. მისთვის ცნობილია კენტის და კუნძულ ფესანის კელტური სახელწოდებები Cantion და Uxisama. ბრიტანეთის აღმნიშვნელ ტერმინად კი Πρειτανιχαινήσοι-is იყენებს, რომელიც, ეტყობა, იბერიული ან ლიგურული წარმომავლობის სიტყვაა და ალბიონის კელტურ ექვივალენტს წარმოადგენს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პირველი პერიოდიდან მომავალი წყაროების საშუალებით ცალსახა ინფორმაციის მიღება ერთობ ძნელია, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორც ცნობების ავთენტურობა, ისე მათი წარმომავლობა მეტ–ნაკლებად ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ რიგი გარემოებები აქ საკმაოდ ცალსახად იკვეთება. კერძოდ, რომ ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში არსებობდა დაპირისპირება კელტებს და ლიგურებს შორის, რომლებიც აშკარად სხვადასხვა ისტორიულ ფენომენს წარმოადგენდნენ. თუ რა სახის ეთნიკურ ერთობას ქმნიდა თითოეული მათგანი, ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხი მარტო ზემოთმოყვანილი ცნობების საფუძველზე ვერ გადაწყდება. თითქოს ისიც ჩანს, რომ კელტები საფრანგეთის ტერიტორიაზე ამ დროისთვის საკმაოდ ახალ ეთნიკურ ტალღას ქმნიან. ასევე, აღნიშვნის ღირსია, რომ მათი საშუალებით საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს ვიღებთ კელტური ტომების განსახლების ისტორიის ადრეული ეტაპის შესახებ.

IV საუკუნის შუა ხანებიდან ბერძნული სამყარო კელტებს უფრო ახლოს ეცნობა. ამ პერიოდიდან კელტების სამხედრო ექსპანსია ფართვდება და რიგ შემთხვევაში თავად ელადასაც კი უქმნის საფრთხეს. კელტების ნაწილი მოქირავნის სტატუსით ბერძნულ არმიებში იწყებს სამსახურს. მაგალითად, ერთი ასეთი რაზმის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ქსენოფონტე. იგი გვეუბნება, რომ სირაკუზის ტირანმა დიონისემ ისინი მოკავშირე სპარტელებს

ავტორის სტილი დაცულია

თებელებთან ბრძოლაში დასახმარებლად გაუგზავნა. პელოპონესში მათი ყოფნა ძვ.წ. 367–66 წლებშია სავარაუდო. ა. უბერი შენიშნავს, რომ ეს ბერძნების და კელტების პირველი კოლექტიური შეხვედრა იყო და მას კელტების შესახებ ბერძნულ ლიტერატურაში ახალი ინფორმაციული ნაკადის გაჩენაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, იგი აცხადებს, რომ სწორედ ამის შემდეგ გადასინჯა ეფორემ თავისი გეოგრაფიული შეხედულებები და „მსოფლიოს“ უკიდურეს ჩრდილო–დასავლეთით მცხოვრებ ხალხად ლიგურების ნაცვლად კელტები გამოაცხადა (201, 277). იმავე ეფორესთან დაცული ყოფილა კელტების შესახებ რიგი ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც სტრაბონს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე უკვე მოძველებულად ეჩვენებოდა (201, 289).

კელტებზე გარკვეულ ცნობებს ძვ.წ. IV-III საუკუნის ბევრი ავტორი გვაწვდის, მაგრამ მათი ცნობები ხშირად ნდობას ნაკლებად იმსახურებს. მაგალითად, პლატონი კელტებს იმ ექვს მეომარ ხალხთაშორის ასახელებს, რომლებიც სპარტელებისგან განსხვავებით სასმელს ეტანებიან (201, 291). არისტოტელე კელტების ცხოვრების წესზე ამახვილებს ყურადღებას. საუბრობს ამ ქვეყნის კლიმატური პირობების შესახებაც. ახსენებს ასევე ეპიზოდს, როცა თითქოს კელტები ტალღებს შეებრძოლნენ, მაგრამ მან არაფერი იცის კელტების მიერ რომის აღების შესახებ (201, 291).

სამაგიეროდ, ამ ფაქტის შესახებ იცის თეოპომპემ (48, 79). იგი საუბრობს ასევე კელტების ომებზე ილირიულ ტომ ვარდიებთან. ახსენებს იმასაც, რომ ყველაზე უფრო შორეული კელტური ქალაქია დრილონიუმი, რომლის ადგილსამყოფელიც სადღეისოდ უცნობია (48, 84). ილირიულ ტომებთან კელტების დაპირისპირებაზე გეოგრაფი ფსევდო–სკილაქსიც საუბრობს (120, 223).

გეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ძვ.წ. I საუკუნის ისტორიკოსი ტიმაგენე, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, ბევრი ცნობა პითეას მასალიელის თხზულებიდან აქვს გადმოღებული (120, 133).

პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით კი დიდი მნიშვნელობა აქვს პტოლემაიოს ლაგოსისგან და იერონიმე კარდიელისგან მომავალ ცნობებს. მაგალითად: პტოლემაიოს ლაგოსი გვიამბობს სადღაც ადრეატიკის ნაპირებთან ძვ.წ. 335 წელს კელტების ალექსანდრე მაკედონელთან შეხვედრის შესახებ (201, 27-29). იერონიმე კარდიელი კი (რომელიც მის ისტორიას აგრძელებს)

ავტორის სტილი დაცულია

კელტების საბერძნეთზე და დელფოზე თავდასხმაზე საუბრობს (79, 56). მისეული ცნობები მოგვიანებით გამოყენებული აქვთ სტრაბონსა და პავსანიას[39].

ისტორიოგრაფიაში ძვ.წ. IV – III საუკუნეების კელტების შესახებ ცნობები არაერთგვაროვნადაა შეფასებული. XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მათ პრაქტიკულად კრიტიკის გარეშე იღებდნენ და კელტი ხალხებისა და ენების ევროპაში გავრცელების არგუმენტად იყენებდნენ.

თანამედროვე მკველვრებს (დ. ძინო, კ, დებეში, კ.რენფრიუ, ბ. კანლიფი, ფ. კურტა და სხვა) შორის კი შეიმჩნევა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება დიოდორე სიცილიელის, პომპოუს ტროგუსის, იერონიმე კარდიელის, ტიტუს ლივიუსისა და პავსანიას თხზულებების იმ ნაწილების მიმართ, რომლებშიც სწორედ ძვ.წ. IV – III საუკუნეების კელტურ მიგრაციებზეა მსჯელობა. კერძოდ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ ანტიკური ხანის ავტორების მოტივებსა და გადაჭარბებულ ციფრებზე, რომლებიც მათ თხზულებებში ფიგურირებს. ამის საფუძველზე კი ცდილობენ ძვ.წ. IV – III საუკუნეების კელტური მიგრაციები ერთგვარ გადაჭარბებად, ან ანტიკური ხანის ავტორების შექმნილ კონსტრუქტად ჩათვალონ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ მეორე პერიოდის ჩარჩოებში განხილულ ზემოხსენებულ წყაროებს, მართალია, ხშირად ძალზე არადამაჯერებელი ხასიათი აქვს. მაგალითად, არ შეიძლება არ გავიზიაროთ მოსაზრება, რომ ბალკანეთზე შემოსეული კელტების რაოდენობა ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა 150 000, ან 200 000; არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ იერონიმე კარდიელსა და პავსანიას კელტების სახით ერთგვარი (აქემენიანთა შემოსევის მსგავსი) პანელინური საფრთხის შექმნა სურთ და სხვა. თუმცა, მიუხედავად ამისა, სრულიად არასერიოზულად გვეჩნება ძვ.წ. IV – III საუკუნეებში აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვანი კელტური სამხედრო აგრესიის უარყოფა. ქვემოთ, ტიტუს ლივიუსთან და ამიანე მარცელინესთან დადასტურებული კელტური გენეზისის მითის ანალიზი ამაში უფრო ნათლად დაგვარწმუნებს.

---

[39] *კელტების ეთნოგენეზის პრობლემაზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, ასევე მნიშვნელოვანია იმ ისტორიკოსების მონაცენები, რომლებიც კიმერიელების შესახებ გვაწვდიან ცნობებს. მათ გამოკვლევის მეოთხე თავში, საბოლოო დასკვნების შეჯერებისას შევეხებით. II თავში მათი განხილვისგან თავს იმიტომ ვიკავებთ, რომ ტრადიციულად "ანტიკურ კელტოლოგიაზე" მსჯელობისას მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.*

ავტორის სტილი დაცულია

ძვ.წ. II საუკუნის II ნახევრიდან კელტების შესახებ არსებული წერილობითი წყაროები გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ეს ეპოქა წინამდებარე ნაშრომის ინტერესებში არ შედის ძვ.წ. II – I საუკუნეების ისტორიკოსების ცნობებს კელტური საზოგადოების სტრუქტურისა და ძვ.წ. VI – III სუაკუნეების ისტორიის რეკონსტრუქციისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ პერიოდში რომაელები სულ უფრო ინტენსიურად ცდილობენ კელტების კუთვნილი ტერიტორიების დაპყრობას, რაც, ბუნებრივია, ანტიკურ ლიტერატურაში ამ ხალხის შესახებ ინფორმაციის ახალი ნაკადის შემოსვლას განაპირობებს. ამ პერიოდის ისტორიკოსებს და გეოგრაფებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას პოლიბიოსი და პოსიდონიოსი იმსახურებენ. პოლიბიოსმა „მსოფლიოს ისტორია“ დაწერა, რომლის VI წიგნშიც იგი კელტების შესახებ გვესაუბრება. მისი მონათხრობის ძირითადი ნაწილი ისტორიას და გეოგრაფიას ეხება, თუმცა აქ ეთნოგრაფიასაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ავტორი ცისალპურ გალიაზე საუბრისას ამ მხრივ რიგი საინტერესო ცნობებით გვამარაგებს.

პოლიბიოსის თხზულება განაგრძო პოსიდონიუსმა. მან „მსოფლიო ისტორიის“ ძვ.წ. 144–დან 86–წლამდე პერიოდი აღწერა. ვარაუდობენ, რომ მისი თხზულება 52 წიგნისგან შედგებოდა. კელტების შესახებ ინფორმაცია კი 23–ე წიგნში იყო თავმოყრილი, რომელიც წინ უძღოდა 121 წელს რომაელების მიერ გალიის ნაწილის დაპყრობის აღწერას. მართალია, პოსიდონიოსის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ იგი მაინც „ანტიკური კელტოლოგიის“ ერთ-ერთ უმთავრეს ძეგლად რჩება. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, იგი კელტების შესახებ ფართო ტრადიციის სათავეში იდგა, რომლისგანაც ინფორმაციას ე.წ. „პოსიდონიოსის ტრადიციის“ ისტორიკოსები - დიოდორე სიცილიელი, სტრაბონი, იულიუს კეისარი, ციცერონი, პომპენიუს მელა, ლუკიანე სამოსელი, პლინიუს უფროსი, ტაციტუსი, იუსტინე და ამიანე მარცელინე იღებენ. ინფორმაციის ძირითადი ბირთვი სტრაბონთან, კეისართან და დიოდორე სიცილიელთან არის თავმოყრილი (201, 133-178).

ზემოხსენებული ავტორების ნაწილი, მაგალითად, იულიუს კეისარი და იუსტინე პოსიდონიოსისეულ ცნობებს საკუთარი წყაროებითაც ავსებენ. კეისარი ეყრდნობა გალიაში ყოფნისას გაკეთებულ საკუთარ დაკვირვებებს, რომელთა მნიშვნელობაზე საუბარიც სავსებით ზედმეტად მიგვაჩნია და

ავტორის სტილი დაცულია

რომლებიც თანამედროვე კელტოლოგიის უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენენ. ახ.წ. II საუკუნის ისტორიკოს იუსტინეს თხზულებაში კი პოსიდონიოსის გარდა წარმოშობით გალი ისტორიკოსის, პომპეუს ტროგუსის ცნობებიც არის დაცული.

კელტების შესახებ არსებულ ცნობებს ნაწილობრივ ავსებს პლუტარქესა (კამილუსის და მარიუსის ბიოგრაფიები) და ტიტუს ლივიუსის ცნობები. მათ კელტების პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „პოსიდონიოსის ტრადიციის“ გარდა, „ანტიკურ კელტოლოგიაში“ არსებობს მეორე ე.წ. „ალექსანდრიული ტრადიცია“, რომელსაც შედარებით გვიანდელი პერიოდის ავტორები: დიონ ქრიზოსტომი, იპოლიტე, დიოგენ ლაერტიელი და პოლისტაგორე წარმოადგენენ. ისინი შედარებით გვიანდელი პერიოდის წყაროებს ეყრდნობიან, რომლებსაც წინამდებარე ნაშრომისათვის (კელტების და გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემის თაობაზე) მნიშვნელობა, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ.

<u>ბ) რა ვერსიებია დაცული წერილობით წყაროებში კელტების გენეზისის შესახებ?</u> – როგორც ჩანს, ანტიკური პერიოდის ავტორები კელტების გენეზისის საკითხებში კარგად ვერ ერკვეოდნენ. ამ მხრივ ისინი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიას გვთავაზობენ. პირველ მათგანს ტიტუს ლივიუსი ავითარებს. იგი გვიამბობს, რომ რომის მეფე ტარქვინიუს პრისკეს დროს გალებს მთელი გალიის მესამედი ნაწილი ეკავათ. უმაღლესი ხელისუფლება ბიტურიგების ტომს ეპყრა, რომელსაც იმ დროს მეფე ამბიგატი ედგა სათავეში. გალების „ფედერაციაში“ შედიოდნენ ასევე არვერნები, სენონები, ამბარნები, კარნუტები და ავლერკები. ლივიუსის თქმით, ამბიგატის დროს გალია ძალიან მრავალრიცხოვანი იყო. მეფეს ქვეყნის ჭარბი მოსახლეობისგან გათავისუფლება უნდოდა, ამიტომ მან თავის ძმისშვილებს, ბელოვეზს და სეგოვეზსს, უბრძანა იმდენი ხალხი შეეგროვებინათ, რომ მათი შეჩერება ვერავის შეძლებოდა და სალაშქროდ იმ ქვეყნებისკენ წასულიყვნენ, რომლებსაც ღმერთები მიუთითებდნენ. ბელოვეზს კენჭისყრის შედეგად ჰერცინის ტყე შეხვდა. უფრო იღბლიან (როგორც ტიტუს ლივიუსი შენიშნავს) სეგოვეზს კი – იტალია. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლივიუსის მიხედვით, კელტების განსახლების მთავარი ცენტრი გალიაში მდებარეობდა (10, 109).

ავტორის სტილი დაცულია

ამ კონცეფციის ჩარჩოებში საუბრობს იულიუს კეისარიც. იგი წერს, რომ იყო დრო, როცა გალები გერმანელებს ჯაბნიდნენ და რაინის მიღმა, ანუ მის მარჯვენა ნაპირზე მათ კუთვნილ ტერიტორიებს იკავებდნენ (205, 34). საკითხის ასეთი ფორმულირება თითქოს ავტომატურად გულისხმობს, რომ თავად გალების კუთვნილი ტერიტორია რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა (205, 36).

კელტების გენეზისის მეორე ვერსია ამიანე მარცელინესთან არის დაცული, რომელიც წყაროდ ტიმაგენეს თხზულებას იყენებს. მის თანახმად, კელტების ნაწილი ადგილობრივი (ე.ი. რაინის მარცხენა სანაპირო) წარმოშობის იყო, მეორე ნაწილი კი - რაინის მიღმა მდებარე ტერიტორიებიდან მოვიდა. მათ მიერ თავდაპირველი საცხოვრისის დატოვების მიზეზად მარცელინე ხშირ ომიანობას და ზღვის ზემოქმედებას ასახელებს. ამ ვერსიის მიხედვით თითქოს ისე გამოდის, რომ კელტების ერთი ნაწილის წინარესამშობლოდ ჩრდილოეთის ზღვის კუნძულებია (120, 167). ამ ტრადიციის ანარეკლი სხვა ანტიკურ ავტორებთანაც გვხვდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფორე და არისტოტელე ასევე საუბრობენ კელტების საცხოვრისზე ზღვის ზემოქმედების შესახებ. მათ თხზულებებში აღწერილ კელტებსა და ზღვის ტალღებს შორის „ბრძოლის“ ამსახველ ზემოთ განხილულ ლიტერატურულ პასაჟსა და ტიმაგენეს ვერსიას, შესაძლოა, რაიმე საერთო წყაროც ედოს საფუძვლად.

რა შეიძლება ითქვას ამ ანტიკური თეორიების ავთენტურობა––არაავთენტურობის შესახებ. პირველ რიგში, მნიშვნელობა იმის გამორკვევას აქვს, თუ რა გზებით მოხდა ბერძენი ავტორების ხელში ზემოხსენებული ვერსიები. დავიწყოთ ტიტუს ლივიუსისეული ლეგენდის ანალიზით. ისტორიკოსებმა დიდი ხანია შენიშნეს, რომ მისი საფუძვლები თავად კელტური სინამდვილიდან მომდინარეობს, რადგან მასში აშკარად კელტური სახელები ფიგურირებს. მაგალითად, ამბიგატი (ის, ვინც თავის გარშემო ომს თესავს), ბელოვეზი (ის, ვინც იცის, როგორ მოკლას) და სეგოვეზი (ის, ვინც იცის, როგორ მოიგოს). როგორც ა. უბერი შენიშნავს, ეს ამბავი ფანტაზიის ნაყოფი რომც იყოს, აშკარად კელტური ფანტაზიის ნაყოფია (120, 98). იგივე უბერი მიიჩნევს, რომ ეს ლეგენდა ლივიუსის ხელში კორნელიუს ნეპოტისა და წარმოშობით გალი ისტორიკოსის პომპეუს ტროგუსის საშუალებით მოხვდა (120, 100).

ავტორის სტილი დაცულია

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ვერსიაში ავტორისეული რედაქციის კვალიც იგრძნობა. ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისია, რომ ლივიუსთან ჩამოთვლილი „გალების ფედერაციაში“ შემავალი ტომების განლაგება ემთხვევა თავად ლივიუსის ეპოქაში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას (201, 166). მიუხედავად ამისა, ტიტუს ლივიუსის თხზულებაში დაცული ეს ვერსია საკმაოდ სანდო ცნობად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

მეორე ვერსიის საფუძველზე საუბარი შედარებით ძნელია, მაგრამ, ვფიქრობთ, რიგი დასკვნების გაკეთება ამ მხრივაც შეიძლება. ტიმაგენე, რომლისგანაც ეს ცნობა ამიანე მარცელინეს აქვს აღებული, ძვ.წ. I საუკუნის ისტორიკოსია. როგორც ვნახეთ, მისი მონაცემები ენათესავება ეფორესთან (და შემდეგ არისტოტელესთან) დაცულ ზემოთაღწერილ ლიტერატურულ პასაჟებს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამიანე მარცელინესთან დაცული ცნობა ინფორმაციის იმავე ნაკადთან ერთად მოვიდა, რომლის გაჩენაც სირაკუზის ტირან დიონისესა და კელტი მოქირავნეების სახელთან არის დაკავშირებული, თუკი, რა თქმა უნდა, მათგან მომავალი ინფორმაციის მნიშვნელობის შესახებ ა. უბერის ზემოთმოყვანილ მოსაზრებას გავიზიარებთ. ამ შემთხვევაში მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ ტიმაგენეს ვერსიის სახით საქმე ასევე საკუთრივ კელტური სინამდვილიდან მომავალ ჰიპოთეზასთან გვაქვს. მით უმეტეს, რომ მისი აღმწერნი ინფორმატორად კელტ დრუიდებს ასახელებენ (120, 195). ასევე დასაშვებია, რომ მისი წარმოშობა კელტური სამყაროდან მომავალი სხვადასხვა სახის ინფორმაციის ლოგიკურ ანალიზთან იყოს დაკავშირებული.

ბერძნულ–რომაულ სინამდვილეში გენეზისის კელტური ვერსიების შემოსვლის გზების გარკვევის შემდეგ საჭიროა გავაანალიზოთ, თუ რამდენად არის ეს ჰიპოთეზები ანტიკური ავტორების მიერ რედაქტირებული და რამდენად შეეფერებიან ისინი სიმართლეს. ზემოთმოყვანილ პირველ ვერსიას რედაქციის კვალი აშკარად ეტყობა, მაგრამ ისიც აშკარად ჩანს, რომ აქ კელტური ლეგენდის ბირთვი კარგად არის შენახული. რედაქციის შედეგს, როგორც აღვნიშნეთ, აქ კელტი ტომების ჩამონათვალი წარმოადგენს. სხვა მხრივ კი მასში, ვფიქრობთ, საკმაოდ ნათელ ფერებშია წარმოდგენილი, თუ როგორ ესახებოდათ თავად კელტებს თავიანთი ეთნოგენეზის საკითხი. ვფიქრობთ, რომ მისი წყალობით რიგი მნიშვნელოვანი გარემოებები გამოიკვეთება:

ავტორის სტილი დაცულია

1. კელტების განსახლების ცენტრი საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა;

2. კელტურ ტომებს და ტომთა კავშირებს გენეზისის საერთო ვერსია ჰქონდათ;

3. კელტების სინამდვილეში არსებობდა შეხედულება, რომ გარკვეულ ერთობას ქმნიდნენ საფრანგეთის ჩრდილოეთში მცხოვრები და ძვ.წ. IV-III საუკუნეებში აპენინზე, რეინის მარჯვენა ნაპირას და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სამხედრო ექსპანსიაში მონაწილე კელტი ტომები;

4. ამ ერთობაში არ მოიაზრებიან ბრიტანეთის და პირინეის კელტი ტომები (ამ დასკვნების მნიშვნელობაზე ოდნავ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამიანე მარცელინესთან დაცული ვერსიის შემთხვევაში, თეორიულად შესაძლებელია, გენეზისის თავად კელტური სინამდვილიდან მომავალ მეორე ვერსიასთან გვქონდეს საქმე, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია დავასკვნათ, რომ იგი ფაქტების ბერძნული კონსტრუქციის შედეგს წარმოადგენს, რადგან ასეთი „კენტავრული“ ტიპის ეთნიკური ჯგუფების პოსტულირება, რომელიც ამ ვერსიის ჩარჩოებში იკვეთება, სწორედ ანტიკური ლიტერატურისთვის იყო დამახასიათებელი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეთნიკური პროცესების განხილვის მსგავსი ტრადიცია კელტების ყოფაშიც არსებულიყო. მით უმეტეს საეჭვოა, რომ მისი გენეზისი დრუიდების სახელთან იყოს დაკავშირებული. ნაკლებად სავარაუდოა, რომ კელტ დრუიდებს ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ამგვარი საკითხების ბერძნებთან განხილვა დაეწყოთ.

ჩვენი აზრით, ძვ.წ. IV საუკუნეში ბერძნებმა სხვადასხვა გზით მიიღეს ინფორმაცია რაინის მიღმა მცხოვრები კელტი ტომების შესახებ. ასევე მათ სინამდვილეში (შესაძლოა, პითეას მასალიელის წყალობით) მოხვდა ცნობა ჩრდილოეთის ზღვის მოქცევის მსხვერპლი ტერიტორიების შესახებ. ტიმაგენეს ვერსია კი, შესაძლოა, მის ხელთ არსებული მონაცემების საშუალებით ამ „ბიკელტიზმის“ ახსნის მცდელობა იყოს. კონტრარგუმენტის სახით შეიძლება ითქვას, რომ რაინის მარჯვენა ნაპირას მდებარე ტერიტორიები (ისევე, როგორც ჩრდილოეთ ევროპის დიდი ნაწილი) ბერძნებს ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევრამდეც კელტური ეგონათ, მაგრამ ერთია რაიმეზე ბუნდოვანი წარმოდგენის ქონა და მეორე - მასზე ობიექტური ინფორმაციის ფლობა. რაიმეს ახსნის მოტივაცია სწორედ მეორე შემთხვევაში ჩნდება. ამგვარი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ ტიმაგენეს ვერსია დიდ ნდობას არ

ავტორის სტილი დაცულია

იმსახურებს, თუმცა მასში რიგი საინტერესო დეტალების პოვნა მაინც შეიძლება (ამ დეტალების შესახებ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ).

ამგვარად, ანტიკური წყაროების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ კელტების წინარესამშობლო საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ამ წყაროების საფუძველზე გაკეთებული დასკვნებით არ შეიძლება.

<u>გ) რა მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინს - „კელტი“ ანტიკური ხანის ავტორები ?</u> - თანამედროვე ეთნოგენეტიკურ გამოკვლევებში ეთნონიმების ეტიმოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. კელტების ეთნოგენეზის საკითხებზე საუბრის შემთხვევაშიც ამ მხრივ ჩატარებულ კვლევას საკმაოდ მრავლისმეტყველი ინფორმაციის მოცემა შეუძლია, თუმცა იგი რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ტერმინი „კელტი“ დღემდე საკმაოდ პოპულარული სიტყვაა. კ. რენფრიუ შენიშნავს, რომ მას სულ ცოტა, რვა მნიშვნელობით მაინც ხმარობენ:

1. ერთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს რომაელების მეზობელ „ბარბაროს“ ხალხს;

2. მეორეში – ტერმინს, რომლის საშუალებითაც ეს ხალხი თვითიდენტიფიკაციას ახდენდა;

3. ერთ-ერთ ენობრივ ოჯახს;

4. არქეოლგიური არტეფაქტების სერიას;

5. ხელოვნების ერთ-ერთ სტილს;

6. შუა საუკუნეებში არსებულ ირლანდიურ ეკლესიას;

7. ბრძოლისა და თავისუფლების მოყვარე ხალხს და სხვა (173, 178-179).

ტერმინის თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობის არსებობას თავისი მიზეზი აქვს, რომლების ძიებაც წინამდებარე გამოკვლევის ინტერესებს სცილდება. ჩვენს შემთხვევაში იმის გამორკვევაა საჭირო, კონკრეტულად როგორ ესმოდათ ამ ტერმინის შინაარსი ანტიკური პერიოდის ავტორებს.

ვიდრე ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რა კონტექსტში განიხილავდნენ ეთნოგენეტიკურ პროცესებს ძველი ბერძენი და რომაელი მოაზროვნეები. მათ თხზულებებში უამრავ “ეთნონიმს” აღმოვაჩენთ. ზოგიერთი მათგანი მცირე ტომს აღნიშნავს, ზოგიერთი ეთნონიმზე უფრო ტოპონიმს ჰგავს, ზოგიერთი კი მსხვილი გაერთიანებების აღსანიშნავად

ავტორის სტილი დაცულია

გამოიყენება. მაგალითად, ისეთების, როგორიცაა: კელტები, გერმანელები, სკვითები, იბერები, ლიგურები და სხვა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ახდენდნენ ისინი ასეთი ერთობების გამოყოფას და ასახავდა თუ არა მათი კლასიფიკაცია რეალურ ისტორიულ ვითარებას? მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ისტორია–ეთნოლოგიაში ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას. მანამდე კი მას დიდი ყურადღება არ ექცეოდა.

როგორც ჩანს, ბერძნები ამა თუ იმ რეგიონის გეოგრაფიის აღწერისას საკმაოდ სტანდარტულ პრინციპებს მისდევდნენ, რომლების შემუშავებაც, ძირითადად, ჰეროდოტეს სახელს მიეწერება (54, 78). ქვეყნის აღწერისას ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ მის შემადგენლობაზე, სიდიდეზე, საზღვრებზე, რელიეფზე, მდინარეებზე, კლიმატურ პირობებსა და ფაუნაზე. ხალხის აღწერისას კი მათ შემცველობაზე, პოპულაციაზე, სიძველეებზე, ისტორიაზე, ცხოვრების წესსა და ჩვეულებებზე. ყურადღებას აქცევდნენ ასევე ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მათ არ აინტერესებდათ „ბარბაროსი“ ხალხების ენა და არსად გვხვდება მეტ–ნაკლებად მწყობრი კონცეფცია, რომელიც ეთნიკური ერთობის განმარტებად შეგვიძლია ჩავთვალოთ (54, 80). ამდენად ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ისინი გერმანელის, სკვითის, კელტის და სხვა მსგავსი ტერმინების უკან თანამედროვე გაგებით ეთნიკურს კი არა, უფრო ეთნოგრაფიული ხასიათის ერთობებს გულისხმობდნენ, რომლების გამიჯვნაც, ალბათ, სხვადასხვა პრინციპების გათვალისწინებით ხდებოდა. ვფიქრობთ, რომ არაა მართებული საკითხის განზოგადებულად დასმა, თუ ზოგადად რა იგულისხმება ასეთი ტერმინების უკან. ეს საკითხი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ გაშუქებას მოითხოვს. თეორიულად კი შემდეგი შემთხვევების დაშვებაა შესაძლებელი:

1. შესაძლოა, ანტიკური ხანის ავტორებს უცნობი მხარისათვის მითოლოგიური შინაარსის სახელი მიენიჭებინათ და ამ რეგიონიდან სპონტანურად შემოსული ინფორმაცია ავტომატურად დაეჯგუფებინათ მათ მიერ გამოგონილი ტერმინის გარშემო. ასეთ კონტექსტში შექმნილ „ეთნონიმებად“ შეგვიძლია ჩავთვალოთ: ჰიპერბორეები ან ჰეროდოტესთან დამოწმებული სკვითების მეზობელი რიგი „ხალხები“. მათი დასახელებების

ავტორის სტილი დაცულია

მიღმა რაიმე სახის ეთნიკური რეალობის დანახვა, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია;

2. შესაძლოა, მათ გეოგრაფიული შინაარსის ტერმინის გაიგივება მოეხდინათ რეგიონში მცხოვრებ ხალხებთან. როგორც, მაგალითად, მოხდა სკვითების, ლიგურებისა და, ალბათ, იბერების შემთხვევაშიც. ასეთ ვითარებაში ისინი რეგიონიდან შემოსულ ინფორმაციას ერთობლივად მოაქცევდნენ ერთი „ეთნონიმის“ ქვეშ. ამ შემთხვევაში ვიღებთ სიტუაციას, როცა ერთი ეთნონიმის ქვეშ რამდენიმე, ხშირად ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული, ეთნიკური რეალობა იმალება, რომელთა “საერთო ელემენტებიც” მხოლოდ უცხოელი აღმწერებისთვისაა შესამჩნევი;

ამა თუ იმ ტოპონიმის ქვეშ დაჯგუფებული საერთო ელემენტები, შესაძლოა ანტიკური ხანის ავტორების სპეკულაციაც ყოფილიყო, თუმცა, რიგ შემთხვევებში მათ, კ. დების სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი კულტურის ჰაბიტუსიც შეიძლებოდა წარმოეჩინა;

3. შესაძლოა, მათ მიერ შემოთავაზებული მსხვილი ეთნიკური ჯგუფების დასახელება თავად „ბარბაროსი“ ხალხების სინამდვილეში არსებული თვითიდენტიფიკაციის საშუალებების ტრანსლაციას წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში ისინი გაცილებით მეტ ნდობას იმსახურებენ, თუმცა ყველა ასეთი შემთხვევის ერთ სიბრტყეზე განხილვაც არ შეიძლება;

4. თეორიულად ასევე შეგვიძლია დავუშვათ, რომ თავდაპირველად მხოლოდ რომაელების ან ბერძნების წარმოსახვაში არსებულ „ეთნონიმს“ მომავალში სავსებით რეალური ისტორიული სარჩული შეეძინა.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ტერმინ „კელტის“ და კელტური რეალობის შესახებ ვსაუბრობთ? ამ პრობლემაზე მსჯელობა ტერმინ „კელტის“ ეტიმოლოგიური ანალიზი უნდა დავიწყოთ. ანტიკურ ლიტერატურაში იგი სხვადასხვა ფორმით გვხვდება. ბერძნები მას „კელტის“ და მოგვიანებით „გალატის“ ფორმით წერდნენ. რომაელები კი უპირატესობას ანიჭებდნენ ტერმინს „გალი“. თუმცა მათთან ბერძნულ ფორმებსაც არაერთხელ ვხვდებით.

ტერმინს „კელტი“ პირველად ჰეროდოტე იყენებს (201, 109). მართალია, მას ცოტათი ადრე ჰეკატეოს მილიტელთანაც ვხვდებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიტყვა აქ მართლაც მერმინდელ ჩანამატს წარმოადგენს (თუ რატომ, ქვემოთ გამოჩნდება). ტერმინი „გალატი“ კი ძვ.წ. III საუკუნეში იერონიმე

ავტორის სტილი დაცულია

კარდიელმა დაამკვიდრა (201, 118). ასევე „გალატებად“ მოიხსენიებს კელტებს დელფოსთან ძვ.წ. 279 წელს მომხდარ ბრძოლაში დაღუპული ვინმე კიდიასის საფლავზე ამოკვეთილი ეპიტაფია (79, 69).

რომაელები, როგორც წესი, კელტურ სამყაროს „გალიის“ სახელით იხსენიებენ. თავდაპირველად გალია მათთვის იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში ლოკალიზებული ისტორიული სინამდვილე იყო, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნეში (ამ პერიოდში გალები რომს თავს დაესხნენ) და ჰანიბალთან ომების დროს რომის რესპუბლიკას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ძვ.წ. II საუკუნის მიწურულს კი ქვეყნის ამ ნაწილის დაპყრობისა და ნარბონის პროვინციის დაარსების შემდეგ მათ ყოფაში ცისალპური (ანუ იტალიაში მდებარე) და ტრანსალპური (ანუ ალპების ჩრდილოეთით მდებარე) გალიის ცნებები გაჩნდა (64, 114). ასეთი ადმინისტრაციული ტერმინოლოგიის გვერდით არსებობდა უფრო ლიტერატურული შინაარსის სახელწოდებებიც, მაგ.: პოეტი კატულუსი კეისრის მიერ დამორჩილებულ გალიას Gallia Comatas, იტალიაში მდებარე გალიას კი -Gallia broccatas უწოდებს. ამ უკანასკნელს ზოგჯერ Galia togatasac უწოდებდნენ გამომდინარე იქიდან, რომ აქაური მოსახლეობა (დანარჩენი გალებისგან განსხვავებით) რომაელებისა და ეტრუსკების მსგავსად ტოგას ატარებდა (64, 117).

ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში კელტური სამყაროს აღმნიშვნელი განსხვავებული ტერმინების არსებობა დიდ უხერხულობას არ ქმნის. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვები „გალი“ და „გალატი“ ფონეტიკურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს. სამაგიეროდ, ბერძენი ავტორების თხზულებებში დაფიქსირებული ორი ეთნონიმი „კელტი“ და „გალატი“ დიდი ხანია, მკვლევრებს გარკვეული სირთულეების წინაშე აყენებს.

რა არის ამ ორი განსხვავებული დასახელების არსებობის მიზეზი? ა. უბერი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ აქ საქმე ერთსადაიმავე სიტყვასთან გვაქვს, რომელიც „სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა ყურის მიერ იქნა მოსმენილი და გადმოცემული“ (120, 244).

ვფიქრობთ, რომ აქ საქმე უბრალო ფონეტიკურ ვარიაციასთან არ უნდა გვქონდეს. ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულებაც არსებობს. ასე, მაგალითად, დიდი ხანია შენიშნულია, რომ დიოდორე სიცილიელი რაინის მარჯვენა ნაპირის ხალხს გალატებს უწოდებს, რაინის მარცხენა ნაპირისას კი – კელტებს (79, 57). დაახლოებით ასევე იქცევა

ავტორის სტილი დაცულია

დიონ კასიუსიც, ოღონდ გალატების და კელტების ლოკალიზებას დიოდორე სიცილიელისგან განსხვავებულად ახდენს. მისთვის გალატები რაინის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრები ხალხია, კელტები კი – მარჯვენაზე (285, 79). ა. ბერტრანმა კი, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებად სცადა დაესაბუთებინა, რომ პოლიბიოსი კელტებში იტალიის ჩრდილოეთში მცხოვრებ ძველ ტომებს გულისხმობს, გალატებში კი შედარებით მოგვიანებით მოსულ ეთნოსს, რომელსაც რომის დარბევას მიაწერს (48, 155). ამ მოსაზრებას კ. ჟულიანიც იზიარებდა (48, 155).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „კელტი“ თავად კელტური ენების ლექსიკური ფონიდან არის აღებული და დაახლოებით „რჩეულს,“ „წარჩინებულს“ ნიშნავს (54, 33). მართალია, ძნელია არ დავეთანხმოთ ა. უბერს, რომ სიტყვები “გალი” და “გალატიც” მისი მსგავსი (მონათესავე) ფორმებია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ბერძნულ ლიტერატურაში მათ ასეთ ფართო გავრცელებას ორი ფორმით იმაზე უფრო დამაჯერებელი ახსნა უნდა მოეძებნოს, ვიდრე ფრანგი ისტორიკოსი გვთავაზობს.

კელტური სამყაროს აღმნიშვნელი ანტიკური ტერმინების ანალიზის შემდეგ საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რა სახის ისტორიული რეალობა იმალება დასახელებული ტერმინების (გალი-კელტი- გალატი) უკან. ამ თვალსაზრისით შესაძლო 4 ვარიანტის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

საუბარი გალატებზე მსჯელობით უნდა დავიწყოთ. თუკი ძვ.წ. III-II საუკუნეების ბერძნულ წყაროებს გადავხედავთ დავინახავთ, რომ „გალატები“ აქ ძალიან ხშირად ჩანან. მართალია, ჩვენს ხელთ არ არის იულიუს კეისრის „კომენტარების“... მსგავსი თხზულება, მაგრამ ვფიქრობთ, არსებული წყარებიც საკმარის მონაცემებს შეიცავენ საიმისოდ, რათა დავრწმუნდეთ, რომ გალატების სახით საქმე საკმაოდ ჰომოგენურ ეთნიკურ სინამდვილესთან გვაქვს, რომლის წარმომადგენლებიც ადგილის დამკვიდრებას ევროპის სხვადასხვა ნაწილში ცდილობენ. ყოველივე ამას, ცხადია, დამტკიცება სჭირდება, რადგან თეორიულად ასევე დასაშვებია ტერმინ „გალატის“ უკან ბერძენი ავტორების მცდელობა იმალებოდეს, ერთი ტერმინით აღნიშნონ ორი (ან უფრო მეტი) სხვადასხვა წარმოშობის ხალხი, რომლებიც ძვ.წ. IV-III საუკუნეებში განსაკუთრებულად გააქტიურდნენ. საამისოდ (ე.ი. იმის დასადასტურებლად, რომ გალატებში კონკრეტული ისტორიულ–

ავტორის სტილი დაცულია

ეთნოგრაფიული ერთობა იგულისხმება) რამდენიმე არგუმენტი შეგვიძლია მოვიხმოთ:

1) პირველ არგუმენტად შეგვიძლია გამოვიყენოთ ტიტუს ლივიუსის თხზულებაში დაცული ზემოთ ხსენებული ლეგენდა, რომელშიც ცალსახად იკვეთება, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში იტალიასა და ევროპის სხვა ნაწილებზე თავდასხმის ორგანიზატორი გალატი ტომები თავდაპირველად გალიის ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. ეს არგუმენტი კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ ამ ლეგენდის გენეზისის ა. უბერისეულ ვერსიას გავითვალისწინებთ, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი.

თუმცა, როგორიც ურ უნდა იყოს ლეგენდის წარმომავლობა, მისი სახით მაინც ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა გვიპყრია ხელთ; ეს ლეგენდა ადასტურებს, რომ კელტებს (რომლებიც აქ ისტორიულ გალატებს შეესატყვისებიან) გენეზისის საერთო ვერსია ჰქონდათ;

2) მეორე არგუმენტად გამოდგება წმინდა იერონიმეს დაკვირვება იმ გარემოებაზე, რომ გალატების და გალიის მცხოვრებლების ენა ძალიან ჰგავს ერთმანეთს (286, 100).

3) მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ტერმინი გალატი თავად კელტური ენების ლექსიკური ფონდიდან არის აღებული და ეს სახელი აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ტოპონიმში (მაგალითად გალიციაში) ფიგურირებს.

თუ ყველაფერთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ალტერნატიული თეორიისთვის არგუმენტები არ არსებობს, მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ ანტიკური ლიტერატურისთვის გალატების სახელით ცნობილი ტომები ძვ. წ. IV საუკუნისათვის საკმაოდ ერთგვაროვან ეთნო-ლინგვისტურ სინამდვილეს წარმოადგენენ, რომლებსაც საერთო წინარესამშობლო და თვითიდენტიფიკაციის საშუალებები ჰქონდათ (ეთნოლოგიური თვალსაზრისით ამ ტიპის რეალობების რაობის შესახებ III თავის მესამე პარაგრაფში ვისაუბრებთ). ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ მათ რეალობას ზემოთ განხილულ მესამე თეორიულ შემთხვევასთან გავაიგივებთ, როდესაც ანტიკურ წყაროებში დაფიქსირებული ესა თუ ის ეთნონიმი ადგილობრივ თვითიდენტიფიკაციის საშუალებებს შეესაბამება.

„გალტების" საკმაოდ მყარ ეთნიკურ რეალობად დასახვისათვის, ერთი შეხედვით, შესაძლოა შემაფერხებელი გარემოება აღმოჩნდეს შერეული, მაგალითად, კელტურ-ილირიული ან კელტურ-ლიგურული „ტომების“ არსებობა.

ავტორის სტილი დაცულია

თუმცა, ამ ტიპის პრობლემებსაც უფრო დაწვრილებით III თავის მესამე პარაგრაფში შევეხებით. აქ კი მხოლოდ იმის თქმით შემოვიფარგლებით, რომ ამ საკითხს გალატების საწყისი ეთნიკური რეალობის რაობის საკითხთან პირდაპირი კავშირი არ აქვს.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გამოკვლევის წინამდებარე ნაწილში ჩვენ თავს ვარიდებთ ე.წ. „შერეულ არგუმენტაციას", თუმცა, აუცილებლად მიგვაჩნია ვთქვათ, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში გალატურად წოდებული რეალობის ჰომოგენურობისა და ერთი ცენტრიდან გავრცელების თეორიას ზურგს არქეოლოგიური მონაცემებიც უმაგრებს. მხედველობაში გვაქვს ლატენი არქეოლოგიური კულტურა (უფრო ზუსტად მისი C პერიოდი), რომლის გავრცელების არეალიც საოცრად კარგად ემთხვევა გალატების განსახლების შესახებ არსებულ ისტორიულ ცნობებს.

შედარებით უფრო ადვილია რომაელების მიერ გალიად წოდებულ სინამდვილეზე მსჯელობა, რადგან ჩვენს ხელთ არის იულიუს კეისრის „კომენტარები გალებთან ომის შესახებ", რომელიც ამ მხრივ მრავალ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. კელტების ეთნიკური ისტორიის ეს პერიოდი წინამდებარე გამოკვლევის ინტერესებში არ შედის, თუმცა, კელტური სამყაროს შესახებ ერთგვარი განზოგადებების გასაკეთებლად, ვფიქრობთ, ამ მხრივაც რამდენიმე ნიუანსს უნდა გავუსვათ ხაზი.

ცნობილი ფაქტია, რომ იულიუს კეისარი ეთნიკურ საზღვრებს ხშირად პოლიტიკური მოსაზრებებით ამახინჯებდა, თუმცა, მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ მის თხზულებებში აღწერილი გალია (მაგალითად გერმანიისგან განსხვავებით) საკმაოდ ჰომოგენური ეთნიკური სინამდვილეა. მისი სახით საქმე გვაქვს ეკონომიკურად, მენტალურად, კულტურულად და ნაწილობრივ პოლიტიკურად საკმაოდ ერთმნიშვნელოვან ფენომენთან, რომელიც აშკარად გამოირჩევა სხვა მსგავსი მეზობელი წარმონაქმნებისაგან. სახეზეა მისეული თვითიდენტიფიკაციის საშუალებებიც. კეისარი ერთმანეთში არ ურევს ტოპონიმებს და ეთნონიმებს. გალია მისთვის გეოგრაფიული ცნების სახითაც არსებობს, მაგრამ ეთნიკური თვალსაზრისით იგი მხოლოდ ქვეყნის ამ ნაწილის ერთ მესამედს მოიცავს (დანარჩენ ორ მესამედს ავტორი აქვიტანიისა და ბელგიის სახელით იხსენიებს).

რა მიმართებაშია ერთმანეთთან გალატია და გალია? წარმოადგენდა მეორე პირველის კინტინიუმს, თუ მათში ერთმანეთის მონათესავე, მაგრამ

ავტორის სტილი დაცულია

მაინც განსხვავებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეალობა უნდა მოვიაზროთ? ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა მხოლოდ იმის ანალიზის საფუძველზე შეიძლება, თუ რამდენად არის გალებთან იდენტიფიკაციის ძველი საშუალებები შემორჩენილი. ამ მხრივ პირდაპირ მინიშნებებს წყაროებში ვერ ვხვდებით, მაგრამ რამდენიმე გარემოება, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას, ძვ.წ. I საუკუნის გალია ძვ.წ. III საუკუნის გალატიის უშუალო გაგრძელებად ჩავთვალოთ. ამ მხრივ შემდეგი არგუმენტები შეგვიძლია დავიმოწმოთ:

1) არსებობს ახ. წ. I საუკუნეში ჩაწერილი (მაქსიმუმ ძვ.წ. I საუკუნიდან მომავალი) ლეგენდა, რომელიც საფრანგეთის გალებს ძვ.წ. IV-III საუკუნეების გალატებთან აიგივებს (როგორც აღვნიშნეთ, იგი ტიტუს ლივიუსთან არის დაცული);

2) რომაულ წყაროებში ოდნავი ეჭვიც არ ჩანს იმის შესახებ, რომ ძვ.წ. I საუკუნეში გალები ის ხალხია, რომლების წინაპრებმაც ძვ. წ. IV საუკუნეებში რომის რესპუბლიკას სერიოზული საფრთხე შეუქმნეს;

3) ტერმინები გალი და გალატი ერთი ფუძიდან მომდინარეობენ;

4) არქეოლოგიურად ორივე მათგანის რეალობას ჰომოგენური ლატენის კულტურა წარმოადგენს (აქ ისევ ვუშვებთ გამონაკლის „შერეული არგუმენტაციი)ს თვალსაზრისით).

რა თქმა უნდა, ძვ.წ. III საუკუნეში გალატი ტომების ევროპაში ფართო გავრცელება და მათი სხვა ეთნო-კულტურულ რეალობებთან ურთიერთობა თანადათან თვითიდენტიფიკაციის ძველი საშუალებების დაკარგვას გამოიწვევდა. სწორედ ამიტომ ძვ.წ. I საუკუნის გალიაში მხოლოდ ბელგია-საფრაგეთის ტერიტორიის ერთი მესამედს ვგულისხმობთ და არა ლატენის არქეოლოგიური კულტურის მთელ არეალს.

რაც შეეხება მცირე აზიის და აღმოსავლეთ ევროპის გალატ ტომებს, მათი ფესვები, რა თქმა უნდა, გალატების რეალობასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, რომ მათაც ძვ.წ. II-I საუკუნეებში თვითიდენტიფიკაციის ორი საუკუნის წინანდელი საშუალებები კიდევ ჰქონოდათ შენარჩუნებული.

კვლევა ტერმინ კელტის რაობის საკითხის შესახებ მსჯელობით უნდა განვაგრძოთ. ზემოთ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს ტერმინი კელტური ენების ფონდიდან მომდინარეობს და იგი გალთან და გალატთან დიდი სიახლოვეს ამჟღავნებს, თუმცა მისგან ოდნავ განსხვავებულ რეალობას ასახავს. აქ კი

ავტორის სტილი დაცულია

საჭიროა აღვნიშნოთ, თუ რა ისტორიულ რეალობას გულისხმობენ მასში ანტიკური ხანის ავტორები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოადგენდა თუ არა იგი „პროტოკელტურ" თვითიდენტიფიკაციის საშუალებას?

ამ საკითხის გამორკვევა ძნელია. ერთი მხრივ, არსებობს საფუძველი, რომელიც ნეგატიური პასუხისკენ გვიბიძგებს. მაგალითად, ის რომ:

1) ტერმინი კელტი ბრიტანეთის მოსახლეობასა და ესპანეთის კელტიბერებზე, რომლებიც კელტურ ენობრივ ოჯახში შედიან, არ ვრცელდებოდა;

2) ავიენუსი ტერმინ კელტს არ ახსენებს;

3) ჰეროდოტესთან კი იგი უფრო ტოპონიმია, ვიდრე ეთნონიმი.

ამ ფონზე არცთუ უსაფუძვლო ჩანს კ. რენფრიუს თეორია, რომელსაც იგი დიოდორე სიცილიელის ცნობებზე დაყრდნობით ავითარებს. ინგლისელი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტერმინით კელტი თავდაპირველად მხოლოდ მასალიის მეზობლად მცხოვრები ერთ-ერთი ტომი აღინიშნებოდა, უფრო ფართო მნიშვნელობა კი მან მოგვიანებით შეიძინა (173, 169).

თუმცა ჩვენს ხელთ არის სხვა არგუმენტები, რომლებიც საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთებას გვაიძულებენ:

ა) მაგალითად, იულიუს კეისარი ამბობს, რომ გალები თავიანთ თავს კელტებს უწოდებენ;

ბ) ეს ტერმინი (ანუ კელტი) კელტურ ენებზე მოსაუბრე ხალხების გავრცელების არეალში ლოკალიზებულ ტოპონიმებში ფიგურირებს.

გ) ძვ.წ. VI – V საუკუნეების წყაროებიდან (განსაკუთრებით კი ფესტუს ავიენუსის თხზულებიდან) აშკარად იკვეთება, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე მოგვიანებით კელტებად სახელდებული ტომების გამოჩენამ მნიშვნელოვან ეთნიკურ ცვლილებებს დაუდო სათავე.

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ პირველი რიგის არგუმენტები უფრო დამაჯერებელია. ვინაიდან ევროპაში გავრცელებულ კელტურ ტოპონიმებში კელტიკაზე უფრო გალატიის სახელი ისმის. კეისრის მიერ ტერმინ კელტის თვითიდენტიფიკაციის საშუალებად დასახვა კი, როგორც ჩანს, ავტორის მიერ ამ ხალხის აღმნიშვნელი ტერმინების კლასიფიკაციის სურვილით უნდა ავხსნათ. ყოველივე ეს გვაიძულებს, რომ „ეთნონიმი" კელტი ზემოხსენებული მეორე თეორიული შემთხვევის ჩარჩოებში განვიხილოთ. კერძოდ, უნდა ჩავთვალოთ, რომ იგი უფრო გეოგრაფიული შინაარსის ტერმინი იყო და

ავტორის სტილი დაცულია

აღნიშნავდა ხალხებს, რომლებსაც თვითიდენტიფიკაციის საერთო საშუალებები არ ჰქონდათ.

მაშასადამე, კელტების ეთნოგენეზის პრობლემის ცალსახად განხილვა არ შეიძლება. ეთნოგენეტიკური კვლევისას იგი ორ ეტაპად (ძვ.წ. VI – V და ძვ.წ. IV – III საუკუნეები) მაინც უნდა გაიყოს.

ავტორის სტილი დაცულია

თავი III

ძველი გერმანელების ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვანი ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები

ძველი გერმანელების სახელს ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ევროპის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები უკავშირდება. ალბათ, ამიტომ არის, რომ მათ რომაელი ავტორები და თანამედროვე მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ის, რაც ვიცით ამ „ხალხის“ ისტორიის ადრეული ეტაპის შესახებ, საკმაოდ მერყევ ჰიპოთეზებს ემყარება. ეს, პირველ რიგში, ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემას ეხება. მასზე მსჯელობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ხნის განმავლობაში გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას.

ვიდრე უშუალოდ ამ მხრივ გამოთქმული მეცნიერული ჰიპოთეზების ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა, იზოლირებულად განვიხილოთ ძველი გერმანელების ეთნოგენეზის საკითხისათვის მნიშვნელოვანი ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური მონაცემები. ქვემოთ ყურადღებას შემდეგ სადისკუსიო თემებზე გავამახვილებთ:

<u>ენათმეცნიერულ ნაწილში (§ 1):</u>

ა) რას წარმოადგენდა ე.წ. „პროტოგერმანიკული“ ენა? რა შეიძლება ითქვას მასთან ისტორიულად ცნობილი გერმანიკული ენების მიმართების შესახებ?

ბ) რა სახის კონტაქტები ჰქონდათ გერმანიკულ ენებს („პროტო“ და ცალკეული ენების დონეზე) სხვა ინდოევროპულ და არაინდოევროპულ ენებთან?

<u>არქოლოგიურ ნაწილში (§ 2):</u>

ა) რომელი არქეოლოგიური კულტურები უნდა ჩავთვალოთ ძველი გერმანელების წინაპრების შემოქმედებად?

ავტორის სტილი დაცულია

ბ) რა ეთნო-სოციალური პროცესების ამოცნობა შეიძლება ძვ.წ. IV–III - ახ.წ. I-II საუკუნეების გერმანიის არქეოლოგიურ კულტურებში?

<u>ისტორიულ ნაწილში (§ 3):</u>

ა) როგორ მოხდა ძველი გერმანელების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებების ფორმირება?

ბ) რა მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინს „გერმანელი“ ანტიკური ხანის ავტორები?

გ) რა ვერსიებია დაცული წერილობით წყაროებში ძველი გერმანელების გენეზისის შესახებ?

აქვე ვიმსჯელებთ ბერძენ-რომაელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციების ჩამოყალიბების მიზეზებსა და ანტიკური ხანის ეთნო-სოციალური პროცესების თავისებურებებზე.

<u>§1. ძველი გერმანელების ეთნოგენეზის საკითხებისათვის მნიშვნელოვანი ენათმეცნიერული პრობლემები</u>

გერმანიკული ენების მეცნიერული შესწავლა XVI საუკუნეში, აღწერილობითი გრამატიკებისა და ლექსიკონების გამოცემით დაიწყო. XVII-XVIII საუკუნეებში კი, ცალკეულმა ავტორებმა გერმანიკულ ენებს შორის მსგავსებები შენიშნეს და მათ პარალელურ რეჟიმში აღწერას მიჰყვეს ხელი. გამოიცა ისეთი თხზულებები როგორიცაა: ჯ. ჰიკსის „გოთურის, ანგლო-საქსურის, ფრანკულ-გერმანულის გრამატიკა", ტენ-კატეს „გოთური გრამტიკა" და სხვა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ცალკეულმა ავტორებმა (მაგ. გ. ლეიბნიცმა) ამავე პერიოდში გერმანიკული ენების გენეტიკურ სიახლოვეზე დაიწყეს მსჯელობა (111, 23).

კომპარატივისტიკის ჩამოყალიბებისთანავე გერმანიკული ენები ლინგვისტური შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტად იქცნენ. 1814 წელს გამოიცა რ. რასკის წიგნი: „გამოკვლევა ძველი ჩრდილოურის, ანუ ისლანდიურის წარმოშობის შესახებ", რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა გერმანიკული ენების ერთობა და მათი კავშირი ინდოევროპულ ენებთან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ასევე, ი. გრიმის „გერმანულ გრამატიკას" (111, 26).

მასალები გერმანიკული ენების შესახებ ძალზე სწრაფად დაგროვდა, რის შედეგადაც გაჩნდა ნაშრომები, რომლებიც გერმანიკული ენების

ავტორის სტილი დაცულია

ისტორიულ ასპექტში შესწავლას ცდილობდნენ. ამ მხრივაც, პირველ რიგში, უნდა ითქვას ი. გრიმის შესახებ, რომელმაც თავის ძმა ვილჰელმთან ერთად გამოსცა: „გერმანიკული ლექსიკონი". ამ ნაშრომმა გერმანიკული ენების ძირითადი თავისებურებები განსაზღვრა და მათი ფუნდამენტური შესწავლის დაწყება განაპირობა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა, მრავალი მეცნიერული დებულება, რომლებსაც ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: „გრიმის კანონი", თანხმოვანთა მეორე გადანაცვლება და სხვა (111, 24).

XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში არაერთი ლინგვისტიკური სკოლა არსებობდა. მათ შორის, ეთნოგენეზის საკითხების გასაშუქებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. შლაიხერის ნატურალისტური, ი. შმიდტის ბერლინის სკოლები. მათ შორის არსებულმა ურთიერთდაპირისპირებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო დისკურსის ჩამოყალიბებას, რომელსაც ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ეთნოგენეტიკური გამოკვლევების ფურცლებზე.

აქვე უნდა ითქვას დიალექტოლოგიის შესახებ. გერმანიკული დიალექტების შესწავლას ი. შმოლერმა საფუძველი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს ჩაუყარა, თუმცა, არეალური ლინგვისტიკა, როგორც კერძო დისციპლინა, ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა. შეიძლება ითქვას, რომ იგი საფრანგეთსა და გერმანიაში დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა. საფრანგეთში მისი ფუძემდებელია ა. მეიე. გერმანიაში კი გ. ვენეკერი, ფ. ვრედე თ. ფრინგსი და სხვები (122, 56). დიალექტოლოგიაში ძირითადი ყურადღება თანამედროვე დიალექტების შესწავლას ეთმობა. თუმცა, კვლევის მისეული მეთოდები ძველი გერმანიკული დიალექტების შესასწავლად წარმატებით გამოიყენეს: ფ. ვრედემ, თ. ფრინგსმა, ე. შვარცმა, გ. მაურერმა, ვ. ჟირმუნსკიმ და სხვა ენათმეცნიერებმა.

ვფიქრობთ, ლინგვისტური თვალსაზრისით წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანი კითხვები შემდეგი ფორმით უნდა ჩამოვაყალიბოთ:

ა) რას წარმოადგენდა ე.წ. „პროტოგერმანიკული“ ენა? რა შეიძლება ითქვას მასთან ისტორიულად ცნობილი გერმანიკული ენების მიმართების შესახებ?

ავტორის სტილი დაცულია

ბ) რა სახის კონტაქტები ჰქონდათ გერმანიკულ ენებს („პროტო“ და ცალკეული ენების დონეზე) სხვა ინდოევროპულ და არაინდოევროპულ ენებთან?

ამ საკითხებზე მსჯელობისას ჩვენი კვლევა თანამედროვე მკვლევრების დ. რინგის, მ. მეიერ-ბრუგერის, მ. მაირჰოფერის, ი. იასანოვის, ი. ფაარლუნდის, ე. შვარცის, ვ. ჟირმუნსკისა და ე. მაკაევის თხზულებებს ეყრდნობა.

*****

II თავის 1 პარაგრაფში ჩვენ აღვნიშნეთ იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც ლინგვისტებს შორის ე.წ. „პროტოენის“ ცნების გარშემო არსებობს. აქ კი, საჭიროა, „პროტოგერმანიკულის“ შესახებ არსებული მონაცემები ზემოთჩამოყალიბებული დებულებების ჩარჩოებში განვიხილოთ. კერძოდ, უნდა განვსაზღვროთ მისი (ე.ი. „პროტოგერმანულის) სახით საქმე ფუძე ენასთან გვაქვს, თუ მონათესავე ენების კავშირთან.

ამ საკითხზე მსჯელობა „პროტოგერმანიკული“ ენისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური ნიუანსების აღნუსხვით უნდა დავიწყოთ. მათი რაოდენობა ძალზე დიდია, ამიტომ აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. ამ მხრივ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

1. თანხმოვანთა პირველი (გერმანიკული) გადანაცვლება და ვერნერის კანონი;

2. პირველ ან ფუძისეულ მარცვლებზე ძლიერი დინამიური აქცენტის დასმის ტენდენცია;

3. ei>ī–ში ასიმილაცია;

3. პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების ახალი სისტემის ჩამოყალიბება;

4. ზედსართავი სახელის ბრუნების ორი ახალი (გერმანული) ტიპის ჩამოყალიბება და სხვა (148, 4-5).

ვ. ჟირმუნსკი შენიშნავს, რომ გერმანიკული დიალექტებისათვის საერთო ლინგვისტური ნიუანსების რაოდენობა იმდენად დიდია და იგი ლექსიკის იმდენად ფართო სფეროს მოიცავს, რომ იძულებული ვართ მათი ჩამოყალიბება “ფუძე–გერმანიკული ენის” პირობებში ვივარაუდოთ, რომელსაც უმნიშვნელო დიალექტური განსხვავებები ახასიათებდა.

„პროტოგერმანული“ ენის ფორმირებას იგი ძველი ზემოგერმანული (თანამედროვე გერმანულის წინაპრის) ჩამოყალიბების პროცესს ადარებს,

ავტორის სტილი დაცულია

რომელიც გვიანდელ პერიოდამდე (XVI საუკუნემდე) „ენობრივი კავშირების“ ფორმით არსებობდა და მიდის დასკვნამდე, რომ ეს ორი ლინგვისტური რეალობა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენდა.

მაშასადამე, თანამედროვე დიალექტოლოგიის მონაცემები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ „პროტოკელტურისგან“ განსხვავებით, „პროტოგერმანული“ საკმაოდ ჰომოგენურ ენობრივ რეალობას წარმოადგენდა, რომლის წიაღშიც მინიმალური დიალექტური განსხვავებები არსებობდა. ეს კი ეთნოგენეტიკური კვლევისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნას წარმოადგენს.

აქვე დგება „პროტოგერმანული“ ენის ქრონოლოგიის საკითხი. ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით (კერძოდ გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პროცესს ადგილი არც თუ შორეულ წარსულში უნდა ჰქონოდა. მაგალითად, ამ საკითხების მკვლევარი ე. მაკაევი აღნიშნავს, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე „პროტოგერმანული“ ერთობის დაშლის პროცესი მხოლოდ საწყის სტადიაში იყო (259, 89). საინტერესოა, რომ, ამ მხრივ, დიდად განსხვავებული პოზიცია არც იმ ავტორებს უჭირავთ, რომლებიც „პროტოგერმანული“ ისტორიული სინამდვილის არსებობას გაცილებით ძველ პერიოდს უკავშირებენ. მაგალითად, ე. შვარცი აცხადებს, რომ საფუძველი არ გვაქვს ფუძეგერმანული ენისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური ნიუანსები ძვ.წ. V-IV საუკუნეებზე ადრეულ პერიოდში წარმოქმნილად ჩავთვალოთ. მიუხედავად ამისა, „პროტოგერმანულ“ რეალობას იგი მაინც ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში ჩამოყალიბებულ ფენომენად თვლის (184, 102-109).

აქვე უნდა შევეხოთ „პროტოგერმანულისა“ და „პროტოინდოევროპულის“ ურთიერთმიმართების საკითხს. ფუძეგერმანულ ენაში მრავლად გვხვდება ლინგვისტიკური ნიუანსები, რომლებიც ძველ ინდოევროპულ მემკვიდრეობას ასახავს. ასეთთა რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ:

1) ტონიკური მახვილი;

2) ბრუნების სამი ტიპის შენარჩუნება;

3) ფლექსიური წყობა და სხვა (248, 5-6).

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთი ლინგვისტური ნიუანსებიც ბევრია, რომელიც საკუთრივ გერმანიკულ ინოვაციას წარმოადგენს (122, 57-63). ეს გარემოებები ბევრ მკვლევარს საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ გერმანიკული (ან მისი წინაპარი) ენობრივი რეალობა დიდი ხნის

ავტორის სტილი დაცულია

განმავლობაში იზოლირებულ გარემოში ვითარდებოდა (122, 62). ძალიან ხშირად ასეთ იზოლირებულ გარემოს გეოგრაფიულ ლოკალიზაციას სკანდინავიის სამხრეთ ნაწილში ახდენენ.

„პროტოგერმანული“ ენის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების აღნუსხვის შემდეგ, ყურადღება ამ ენობრივ რეალობის დიფერენციაციის პროცესს უნდა მივაპყროთ. მას ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას მსჯელობისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისტორიულად ცნობილი გერმანიკული ენები და დიალექტები სწორედ მის (ე.ი. დიფერენციაციის ამ პროცესის) შედეგად ჩამოყალიბდნენ.

ამ პროცესის უკეთ გასაგებად ვფიქრობთ პირველ რიგში საჭიროა აღვნუსხოთ, თუ რომელი ენები ერთიანდება ენათა გერმანიკულ ოჯახში. გერმანიკული ენობრივი ოჯახი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ენობრივ ჯგუფს წარმოადგენს. სადღეისოდ აღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით (რომელიც ძველი გერმანიკული წერილობითი ძეგლების შესწავლას ემყარება) გერმანიკული ენობრივი ოჯახი იყოფა: აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის ჯგუფებად. აღმოსავლეთის ჯგუფში შედის: გოთების, ვანდალებისა და ბურგუნდების ენები. აქედან სამწერლობო ენის სახით მხოლოდ გოთური ჩამოყალიბდა[40] დანარჩენები კი (ისევე როგორც წერილობით წყაროებში მოხსენიებული გერმანიკული ტომების ენების უმრავლესობა), სადღეისოდ, მხოლოდ ლათინურ ტექსტებში შემორჩენილი ცალკეული სიტყვებით (უმეტესად საკუთარი სახელებით) და რომანულ ენებში გერმანიკული „სუპერსტრატიდან“ მომდინარე ნასესხობებით არის ცნობილი.

ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების წყაროები მრავალ ეთნონიმს იხსენიებენ, რომლებიც, სავარაუდოდ, ასევე აღმოსავლეთ გერმანულ სინამდვილესთან იყო დაკავშირებული (მაგალითად: რუგიები, გეპიდები, კარინები და სხვა), მაგრამ მათი ენების შესახებ ინფორმაცია არ შემონახულა. გოთურ ენაზეც ჩვენამდე ერთადერთმა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანმა წყარომ

---

[40] *საერთოდ, გერმანულენოვანი წერილობითი წყაროები, მხოლოდ შვიდ გერმანიკულ ენას წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც თანამედროვე გერმანიკული ენები განვითარდნენ. კერძოდ: გოთურს, ძველ ჩრდილოურს (იგივე ძველ სკანდინავურს), ანგლო-საქსონურს (იგივე ძველ ინგლისურს), ძველ საქსონურს (იგივე ძველ ქვემო გერმანულს), ძველ ფრიზულს, ძველ ქვემო ფრანკულს და ძველ ზემო გერმანულს (იგივე ძველ ზემო ფრანკულს).*

ავტორის სტილი დაცულია

მოაღწია, რომელიც ოსტგოთური წარმომავლობის ხელნაწერის სახით არის შემორჩენილი. მას, ზოგჯერ „ვერცხლის ხელნაწერსაც“ (codex argentis) უწოდებენ, რადგან მისი ტექსტი ვერცხლისფერი ასოებით არის დაწერილი[41].

ჩრდილოეთის ჯგუფში სამწერლობო ტრადიციის მოქნე ექვსი ენა შედის. კერძოდ: ძველი ჩრდილო გერმანული (რომლისგანაც დარჩენილი სკანდინავრიული ენები განვითარდნენ), დანიური, შვედური, ნორვეგიული (ე.წ. „ბუკმოლი“ და „ახალი ნორვეგიული“) ისლანდიური და ფარერის კუნძულების ენები. მათი გავრცელების არეალში წერილობითი წყაროები (განსაკუთრებით კი იორდანეს „გეტიკა“) უამრავ ეთნონიმს ასახელებენ, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩრდილო გერმანულთან ახლო უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი ენების შესახებ ინფორმაციამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰიდრო-ტოპ-ონომასტიკურ მონაცემებს და სხვადასხვა დიალექტებში დაცულ არქაიზმებს, რომლებიც სკანდინავიისა და იუტლანდიის ანტიკური ისტორიის შესწავლაში უდიდეს დახმარებას გვიწევენ (247, 38).

ძველი ჩრდილო გერმანული ენა (რომლის მონაცემებსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს) რუნული ეპიგრაფიკული ძეგლების სახით არის ცნობილი. გერმანიკული ენების დასავლეთი ჯგუფი ყველაზე მეტი სალიტერატურო ენით არის წარმოდგენილი, რომლის ჩამოყალიბებაც მეტად რთულ ეთნო-ლინგვისტურ პროცესებთან იყო დაკავშირებული. მის შემადგენლობაში შედიან: ძველი ინგლისური (იგივე ანგლო-საქსური), ძველი ფრიზული, ძველი საქსონური (იგივე ძველი ქვემო გერმანული), ძველი ქვემო ფრანკული, ძველი ზემო გერმანული და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული დასავლეთის ჯგუფის თანამედროვე ენები. კერძოდ: ინგლისური, ფრიზული, ნიდერლანდური, აფრიკაანსი და გერმანული (ასევე მნიშვნელობა აქვს ცალკეული დიალექტების მონაცემებს რომელზე საუბარიც ოდნავ ქვემოთ იქნება). აქვე ათავსებენ ლანგობარდების ენას, რომელიც, სადღეისოდ, მხოლოდ ცალკეული სიტყვებით არის ცნობილი.

ზემოთ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გერმანელების ეთნოგენეზის სხვადასხვა ეტაპზე მსჯელობისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არეალური ლინგვისტიკის

---

[41] *საუბრის ცალკე თემას წარმოადგენს ე.წ. ყირიმის გოთების ენის საკითხი. ტრადიციულად, მათ გოთების ერთერთი ფრთის ოსტგოთების ნაწილად განიხილავენ. თუმცა, სადღეისოდ, ცალკეული მკვლევარების მაგ: ეშვარცის მიერ მათი ენობრივი მონაცემების ამგვარი ინტერპრეტაცია ეჭვქვეშ არის დაყენებული.*

ავტორის სტილი დაცულია

მონაცემებს. ამიტომ, აქ, ყურადღება გერმანიკული დიალექტების კლასიფიკაციაზე უნდა შევაჩეროთ. მითუმეტეს, რომ ისინი ლინგვოგეოგრაფიის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ჯგუფს წარმოადგენენ.

სამწუხაროდ, აღმოსავლეთ გერმანული ენების დიალექტების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. სამაგიეროდ, ჩრდილური და დასავლური ჯგუფების შესახებ საკმაოდ სისტემური ინფორმაცია მოგვეპოვება. სკანდინავული ენების ძირითადი დიალექტური ჯგუფებია: იუტური, დანიის კუნძულების, სამხრეთშვედური, გოთური, სვეური (შუა შვედური, ზემო შვედური), ნორლანდიური, აღმოსავლეთ შვედური (ფინეთში), გოტლანდური (გუთნიური), აღმოსავლეთ ნორვეგიურლი, დასავლეთ ნორვეგიული, ფარერული და ისლანდიური. მათ შორის ყველაზე მეტ ინტერესს (მათში დაცული არქაიზმების გამო) ისლანდიური, ფარერული და სკანდინავიის მთიან რაიონებში შემორჩენილი ცალკეული დიალექტები (მაგალითად: სეტეხდალის (ნორვეგიაშია) კალიქსის (შვედეთშია) და სხვა იმსახურებს (247, 40).

დასავლეთ გერმანიკული დიალექტების ისტორიის ძველი ეტაპის აღსანიშნავად ფართოდ გამოიყენება ანტიკური ხანის ავტორებთან (განსაკუთრებით სისტემურად კი პლინიუსთან და ტაციტიუსთან) დამოწმებული ტერმინები: ინგვეონები, ერმიონები და ისტვეონები, რომლითაც მსხვილი გერმანული გაერთიანებები აღინიშნებოდნენ. შუა საუკუნეების და თანამედროვე დიალექტები კი მათი განვითარების შემდგომ ეტაპად განიხილება. მათ შორის შემდეგი ძირითადი ჯგუფები გამოიყოფა: რაინის შუა და ქვემო დინების დიალექტები, ზემო და ქვემო ალუმანტური, შვაბიის დიალექტი, ცენტრალური ფრანკული და ჰესენის დიალექტები, აღმოსავლეთ გერმანული და ქვემო გერმანული დიალექტები. ასევე განასხვავებენ: შვაბიის, საქსონიის, ბერლინის და სხვა ნახევრად დიალექტებს (247, 44).

გერმანიკული ენობრივი ოჯახი დახასიათების შემდეგ ჩვენი ამოცანაა განვსაზღვროთ, თუ რა მიმართებაშია თითოეული მათგანი (და მათი შემადგენელი ნაწილები) „პროტოგერმანულ“ ენასთან. მსჯელობა ე.წ. გოთურ–სკანდინავური „პროტოერთობის“ ჰიპოთეზაზე მსჯელობით უნდა დავიწყოთ. ამ თეორიის ჩარჩოებში ივარაუდება, რომ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გერმანული ენები (დასავლურის საპირისპიროდ) „პროტოგერმანულიდან“ გამოყოფის შემდეგ ერთიანი დიალექტური არეალის სახით არსებობდნენ. ეს მოსაზრება XIX საუკუნის ლინგვისტებმა კ. მიულენჰოფმა, ვ. შერერმა, ა. ჰოლცმანმა და

ავტორის სტილი დაცულია

სხვებმა ვულფილას ბიბლიის გოთურ და რუნულ სკანდინავურს შორის არსებული ენობრივი მსგავსებების საფუძველზე ჩამოაყალიბეს (111, 110). 1876 წელს ჰ. ციმერმა ამგვარი ლინგვისტური არგუმენტები აღნუსხული სახით წარმოადგინა, მაგრამ ნეოგრამატიკოსების სკოლის წარმომადგენლებმა მისი ყველა დებულება („ჰოლცმანის კანონის“ გარდა) უარყვეს (122, 67).

XX საუკუნეში, დიალექტოლოგიის განვითარებასთან ერთად, ამ თეორიას რ. ლიოვეს, გ. ნეკელის და ე. შვარცის სახით ახალი მომხრეები გამოუჩნდა. ე. შვარცის მიერ გოთურ–სკანდინავური ფუძე ენის აღდგენის მცდელობასაც ჰქონოდა ადგილი. მიუხედავად ამისა, ლინგვისტების უმეტესობა თვლის, რომ გოთური და სკანდინავური ენები ერთმანეთთან უფრო ახლოს დგანან ვიდრე დასავლეთგერმანიკულთან, თუმცა ეს “პროტოგოთურ-ჩრდილოგერმანიკული“ ერთობის არსებობის დამადასტურებელ არგუმენტს არ წარმოადგენს (111, 178).

იმისათვის, რათა „პროტოგერმანიკულის” დიფერენციაციის პროცესი მართებულად გავიაზროთ, საჭიროა, დასავლეთგერმანული დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხსაც შევეხოთ.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ გოთურ–სკანდინავური ერთობის ჰიპოთეზა თავისთავად „პროტოდასავლეთგერმანული“ ერთობის არსებობის საკითხის დღის წესრიგში დაყენებასაც გულისხმობს, თუმცა, ასეთი „პროტოენობრივი“ სინამდვილის რეალურობას ბევრი მკვლევარი არ აღიარებს. მასში ეჭვი ჯერ კიდევ ო. ბრემერს შეჰქონდა. მოგვიანებით კი (1942 წელს) ფ. მაურერმა წიგნში „ჩრდილოეთ გერმანელები და ალელმანები“ ამ ჰიპოთეზის კრიტიკა კიდევ უფრო განავითარა. მის დასკვნებს მეორე ცნობილი დიალექტოლოგი ე. შვარციც იზიარებს. ის ისტორიული სარჩული, რომელსაც ეს ავტორები თავიანთ ლინგვისტურ არგუმენტაციას ურთავენ გამოკვლევის ამ ნაწილში ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს. აქ, უბრალოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ლდიალექტოლოგია არ აღიარებს ე.წ. „პროტოდასავლეთგერმანული“ ერთობის არსებობის ფაქტს და ამ გერმანიკულ ენობრივ მასივში სამ, თავდაპირველად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებულ ჯგუფს გამოყოფს[42], რომლებსაც ანტიკური ტრადიციის გავლენით: ინგვეონებს, ისტვეონებს და ერმიონებს უწოდებენ.

---

[42] *განსხვავთებით ო. ბრემერისგან, რომელიც „დასავლეთპროტოგერმანულის“ ადგილას: ანგლო–ფრიზულ და გერმანულ ავტონომიურ ჯგუფებს გამოყოფდა.*

ავტორის სტილი დაცულია

ინგვეონებში – ჩრდილოეთსზღვისპირეთში, ისტვეონებში – რეინსა და ვეზერს შორის, ერმიონებში კი ელბისპირეთში მცხოვრები გერმანელები იგულისხმებიან. როგორც ვ. ჟირმუნსკი შენიშნავს ინგვეონური და ერმიონული საკმაოდ ავტონომიური დიალექტური ჯგუფებია. ისტვეონურს კი ნაკლებად მკვეთრი მახასიათებლები წარმოადგენს უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჯგუფები (ინგვეონური და ერმიონული მაინც) თავდაპირველად დამოუკიდებლად არსებობდნენ. დასავლეთგერმანული საერთო ლინგვისტური ელემენტების ჩამოყალიბება კი მათი მერმინდელი კონვერგაციის შედეგად მოხდა. ფ. მაურერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამგვარ კონვერგაციას მხოლოდ მეროვინგების ხანაში (ახ.წ. VI-VIII საუკუნეები) ჰქონდა ადგილი (148, 189), მაგრამ მისი ეს დებულება დიდად დამაჯერებელი არ არის. უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესის ძირითადი ეტაპი ახ.წ. I საუკუნეს უკავშირდება.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ყოველივე ზემოთთქმულის ფონზე „პროტოგერმანიკული“ ერთობის დიფერენციაციის პროცესი. ამ მხრივ ავთენტური ჰიპოთეზის გამოსათქმელად, აუცილებელია, თავი დავაღწიოთ ა. შლეიხერის „გენეოლოგიური ხის“ თეორიის გავლენას, რომლის სქემატურობასაც, სადღეისოდ, თითქმის ყველა ავტორი აღიარებს. ვფიქრობთ, რომ „პროტოგერმანული“ ენის დიფერენციაცია ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში უნდა დაწყებულიყო. მისი წარმომადგენლების ევროპაში გავრცელებამ და გეოგრაფიულმა იზოლაციამ კი, თანდათან, ჩრდილოგერმანული, აღმოსავლეთგერმანული, ინგვეონური და ერმიონული არეალების ჩამოყალიბება გამოიწვია (ისტვეონური ალბათ მოგვიანებით ერმიონულს და ინგვეონურს გამოეყო). მათსა და ფუძეგერმანულს შორის გარდამავალი „პროტოერთობების“ (მაგალითად, „პროტოდასავლეთგერმანულის“ და „გოთურ–სკანდინავურის) არსებობა კი ვფიქრობთ, ისტორიული თვალსაზრისით საკმაოდ ძნელი წარმოსადგენი. მათი ერთმანეთთან მეტ–ნაკლები სიახლოვის მიზეზად ისტორიული კონტაქტები უნდა ჩავთვალოთ.

ამ კონტაქტებიბს სიხშირეს კარგად წარმოაჩენს რ. ლიოვეს გამოკვლევა. გერმანელი ენათმეცნეიერი ასკვნის, რომ გოთურს და ჩრდილოგერმანულს 4 ფონეტიკური და მორფოლოგიური ინოვაცია აერთიანებს, ჩრდილოეთ და დასავლეთგერმანულს – 20, დასავლეთგერმანულს და გოთურს კი – 2 (111, 203).

ავტორის სტილი დაცულია

§2 არქეოლოგია და ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემა

ევროპის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ანუ ის ტერიტორია, სადაც, სავარაუდოდ, ძველი გერმანული სინამდვილის ფორმირება მოხდა, ძვ. წ. I საუკუნემდე წერილობითი წყაროების მიერ ცუდად იყო გაშუქებული. ამიტომ, იმ ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებზე სასაუბროდ, რომლის საფუძველზე ანტიკური ხანის გერმანია ჩამოყალიბდა ძირითადად, არქეოლოგიურ მონაცემებს უნდა დავეყრდნოთ.

ძველი გერმანელების ისტორიის ამსახველი ნივთიერი კულტურის ძეგლებით ცალკეული ავტორები, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ინტერესდებოდნენ. ამავე პერიოდიდანვე იქმნებოდა საინტერესო ნაშრომები, მაგალითად, ავენტიუსის „ძველი გერმანელების წარმოშობის, წინაპრებისა და მიღწევების ქრონიკა“ სადაც „გერმანული“ არქეოლოგიური არტეფაქრები „სკვითურ“ და „სლავურ“ მასალასთანაა შედარებული; ხდებოდა არქეოლოგიური ნივთების კოლექციების შეგროვება (მაგალითად ვენაში, მიუნჰენში, ბერლინში და სხვა), თუმცა, არქეოლოგიური თვალსაზრისით გერმანიის სისტემური შესწავლა, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ იგი დაკავშირებულია კ. ენგელჰარტისა და ი. ვორსოს სახელებთან, რომლებმაც ჩრდილოეთის რკინის ხანა ხმელთაშუაზღვისპირულ არქეოლოგიას დაუკავშირეს (204, 233). საკუთრივ მიგრაციების პერიოდის პირველ მკვლევრებად კი ზოგჯერ ვ. და ლ. ლინდენშმიდტებს მიიჩნევენ (204, 234).

XIX და XX საუკუნის პირველ ნახევარში არქეოლოგია, შეიძლება ითქვას, რომ გერმანული ნაციონალიზმის სამსახურში იდგა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ღვაწლი გ. კოსინას მიუძღვის, რომელმაც ხმარებაში „არქეოლოგიური კულტურის“ ცნება შემოიტანა. ამ ცნებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არქეოლოგიის შემდგომ განვითარებაზე, თუმცა, იგი ნივთიერი მასალის საკმაოდ სწორხაზოვანი და იდეოლოგიზირებული ინტერპრეტაციის საფუძვლადაც იქცა. შემდგომი თაობის არქეოლოგებმა XX საუკუნის პირველი ნახევრის მკვლევრებისთვის დამახასიათებელი სქემატიზმი ნაწილობრივ დაძლიეს, თუმცა, ეთნოგენეტიკურ კვლევებში არქეოლოგიის მნიშვნელობა დღემდე სადისკუსიოა (იხ. II თავი, პარაგრაფი 2).

ავტორის სტილი დაცულია

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენი ყურადღება ძველი გერმანელების ეთნოგენეზისთვის მნიშვნელოვან ორ საკითხზე იქნება ფოკუსირებული:

ა) რომელი არქეოლოგიური კულტურები უნდა ჩავთვალოთ ძველი გერმანელების წინაპრების შემოქმედებად?

ბ) რა ეთნო-სოციალურმა პროცესების წაკითხვა შეიძლება გერმანიის ძვ.წ. IV–III - ახ.წ. I-II საუკუნეების არქეოლოგიურ კულტურებში?

პირველ შემთხვევაში ჩვენ უფრო XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის სამეცნიერო პარადიგმაში, ე.წ. "კოსინა-ჩაილდის" მოდელის ფარგლებში ვიმუშავებთ და შევეცდებით ევროპის არქეოლოგიურ რუკაზე ძველი გერმანელების წინაპრების კვალი ვიპოვოთ. ამ ნაწილში, შესაბამისად, უფრო მეტად, XX საუკუნის შუა ხანების არქეოლოგების (პ. რაინეკეს, გ. შვანტესის, ე. შპროკჰოფის, ო. მონტელიუსის, ა. მონგაიტის და სხვათა) შემოქმედებას დავეყრდნობით.

მეორე შემთხვევაში კი არქეოლოგიას ძველი გერმანელების ძვ.წ. IV-III – ახ.წ. I-II საუკუნეების ეთნიკური და სოციალური ისტორიის რეკონსტრუქციისთვის გამოვიყენებთ. ამ შემთხვევაში, ჩვენი ყურადღების ცენტრში პ. ჰეთერის, ს. ბრათერის, ნ. როიმანის, გ. კოსაკის და სხვა თანამედროვე არქეოლოგების ნაშრომები იქნება.

<u>ა) რომელი არქეოლოგიური კულტურები უნდა ჩავთვალოთ ძველი გერმანელების წინაპრების შემოქმედებად?</u>

<u>ბ) რა ეთნო-სოციალურმა პროცესების წაკითხვა შეიძლება გერმანიის ძვ.წ. IV–III - ახ.წ. I-II საუკუნეების არქეოლოგიურ კულტურებში?</u>

ძველი გერმანელების წინაპრების არქეოლოგიური იდენტიფიკაცია ევროპული არქეოლოგიის ერთერთ უძველეს პრობლემას წარმოადგენს. მასზე მსჯელობა, დიდი ხნის განმავლობაში, ქვეყნის ამ ნაწილის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც ახდენდა გავლენას, რაც, რიგ შემთხვევებში, საკითხის მეტად ტენდენციურ გაშუქებას განაპირობებდა.

წინამდებარე გამოკვლევის I თავში, ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების განსახლებაზე მსჯელობა, ძვ.წ IV-III ათასწლეულის არქეოლოგიური რეალიების განხილვით შევწყვიტეთ. კერძოდ, დასკვნით ნაწილში აღვნიშნეთ, რომ ძველი ორმოების კულტურა წინარესამშობლოს წარმოადგენდა ევროპაში მცხოვრები ყველა ინდოევროპული ენობრივი ჯგუფისთვის (ბალტიურ-სლავურ-გერმანიკული, ბერძნულ-არიულ-სომხური,

ავტორის სტილი დაცულია

იტალიურ-კელტური). II თავის მეორე პარაგრაფში კი (კელტურ არქეოლოგიაზე მსჯელობისას) ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში ძველი ორმოების კულტურის ბაზაზე სამი მასშტაბური არქეოლოგიური კულტურა (კატაკომბური, საბრძოლო ცულებისა და პოლტავინოს) ჩამოყალიბდა, რომელიც სამ მსხვილ ინდო-ევროპულ ენობრივ ერთობას შეესაბამება(ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. II თავის მეორე პარაგრაფი):

ა) კატაკომბური არქეოლოგიური კულტურა – არიულ-ბერძნულ-სომხურ ერთობას უკავშირდება;

ბ) პოლტავინოს კულტურა – იტალიურ-კელტურს (ილირიულს);

გ) საბრძოლო ცულების (იგივე ზონრიანი კერამიკის) კულტურა – ბალტიურ-სლავურ გერმანიკულს.

“პროტობალტო-სლავურ-გერმანიკული” ენობრივი მასივის “საბრძოლო ცულების”კულტურასთან დაკავშირების იდეა ყველაზე უფრო თანმიმდევრულად პოლონელი მეცნიერებს - ი. კოლტშევსკის, ლ. კოზლევსკის, ი. ჩეკანოვსკის, ტ. დერ-სპლავინსკის აქვთ ჩამოყალიბებული, რომლების მიზანსაც, პირველ რიგში, სლავი ტომების წინარესამშობლოს ვისლა-ოდერის ხეობაში ლოკალიზება წარმოადგენს (289, 256). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომზონრიანი კერამიკის (იგივე “საბრძოლო ცულების”) კულტურის გერმანელებთან (უფრო ზუსტად ინდო-გერმანელებთან) კავშირი სადისკუსიო არასოდეს ყოფილა. განსხვავებული იყომხოლოდ თეორიული სქემა, რომლის ჩარჩოებშიც მას მეორე მსოფლიო ომამდელი გერმანელი არქეოლოგები: გ. კოსინა, ო. მენგინი და სხვები განიხილავდნენ. კერძოდ, ისინი ზონრიანი კერამიკის არქეოლოგიური კულტურას ჩრდილო ევროპაში (რომელიც ნაციონალ-სოციალისტური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით ინდოევროპელთა წინარესამშობლოს წარმოადგენდა) ჩამოყალიბებულ ფენომენად მიიჩნევდნენ და მას პრაქტიკულად „პროტოინდოევროპულ“ (და არა მხოლოდ პროტო-ბალტიურ-სლავურ-გერმანულ) სინამდვილესთან აიგივებდნენ (289, 289).

ზონრიანი კერამიკის კულტურის პროტობალტო-სლავურ-გერმანულ ენობრივ სინამდვილესთან გაიგივების თეორიის გაზიარება, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ (თუნდაც არქეოლოგიური თვალსაზრისით) „პრეგერმანელების“ ისტორიის ძირითადი პრობლემები გადაჭრილია. თქმა იმისა, რომ საბრძოლო ცულების კულტურა იყო ის ბაზისი, რომლის წიაღში მიმდინარე სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური პროცესების შედეგად

ავტორის სტილი დაცულია

ისტორიულად ცნობილი გერმანელები, ბალტიელები და სლავები ჩამოყალიბდნენ შეუძლებელია დამაკმაყოფილებელი იყოს გამოკვლევისთვის, რომელიც მიზნად ძველი გერმანელების ეთნოგენეზის საკითხის გაშუქებას ისახავს. მთელი რიგი გარემოებები აქ დამატებით დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ უნდა განვიხილოთ: ამ არქეოლოგიური კულტურის გენეზისის, გავრცელების ხასიათის, ლოკალური ვარიანტების, სუბსტრატული ელემენტების, შემდგომი ხანის კულტურებთან მიმართების და სხვა საკითხები, რაც „პრეგერმანელების“ შესახებ ჩვენს ცოდნას უფრო სრულყოფილს გახდის.

ზონრიანი კერამიკის არქეოლოგიური კულტურა, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში ჩამოყალიბდა. იგი უზარმაზარ გეოგრაფიულ არეალში იყო გავრცელებული. დასავლეთით მისი საზღვრები რაინის ნაპირებამდე აღწევდა. აღმოსავლეთით – ვოლგამდე. ჩრდილოეთით – სკანდინავიის სამხრეთ ნაწილამდე, სამხრეთით კი – შვეიცარიამდე, ჩეხეთამდე, სლოვაკეთამდე, დნესტრისპირეთამდე და დნეპრის შუა დინებამდე (289, 256-299).

მან სახელწოდება მისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი კულტურის ელემენტების გამო მიიღო. საქმე ისაა, რომ მისი გავრცელების მთელ არეალში ვხდებით ერთი მხრივ საბრძოლო ცულებს, რომლებსაც ცალ მხარეს პირი აქვთ, მეორე მხარეს კი – ბრტყელი ურის საცემი, მეორე მხრივ კი – მომრგვალებულ, ხანდახან წრიულ ზონარულ ორნამენტიან კერამიკას.

ძველად ზონრიანი კერამიკის კულტურის შემქმნელებს მესაქონლე ტომებად განიხილავდნენ. თუმცა, სადღეისოდ ისე ჩანს, რომ მათ მეურნეობაში მიწადმოქმედებასაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მოშინაურებული ჰყავდათ როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი და ცხენი. კულტურული მცენარეებიდან კი ხორბლის, ქერის, შვრიას, ოსპის და სხვა მარცვლოვანების გაშენებას მისდევდნენ.

ცხოვრობდნენ პატარა მიწისპირა, ან მიწაში ოდნავ ჩაფლულ სახლებში. არქეოლოგიური კულტურისთვის დამახასიათებელია როგორც უყორღანო, ისე ყორღანული სამარხები, რომელშიც მიცვალებულის მოხრილ მდგომარეობაში ჩასვენების ტრადიცია იყო გავრცელებული. გვხვდება კრემაციის შემთხვევებიც (289, 267).

საბრძოლო ცულების კულტურის გენეზისის საკითხი ბოლომდე არ არის გამოკვლეული. თუმცა, ზოგი რამ ამ საკითხის მკვლევარი მეცნიერებისთვის

ავტორის სტილი დაცულია

საკმაოდ ცალსახა პოსტულატს წარმოადგენს. კერძოდ: ერთმანეთისგან მეტად დაშორებული არეალიდან მომავალი, მისი (ე.ი. ზონრიანი კერამიკის არქეოლოგიური კულტურის) განვითარების ადრეული ეტაპის ამსახველი სხვადასხვა საგნების მსგავსება არქეოლოგებს ეჭვს არ უტოვებს, რომ ამ კულტურის ტომებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. თუმცა, იმასაც ყველა აღიარებს, რომ ამ არქეოლოგიური რეალობის შემქმნელი მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა მეტად არაერთგვაროვანია. აქ წარმოდგენილია ხმელთაშუაზღვისპირული (რომელიც ყველაზე ფართოდ ჩანს გავრცელებული), პალეოევრაზიული, ლაპონოიდური, არმენოიდული და ნორდიკული ანთროპოლოგიური ტიპები (289, 274), რაც ამ კულტურის ფორმირებისას მიმდინარე საკმაოდ რთულ ეთნოგენეტიკურ პროცესებზე მიგვანიშნებს.

გენეზისის ადგილის გეოგრაფიულ ლოკალიზაციაზე მსჯელობისას კი თითქოს ყველა თანხმდება, რომ ეს კულტურა (თავისი მეტწილად მომთაბარე მეურნეობით) აღმოსავლეთ ევროპის ტყიან ზოლში ვერ ჩამოყალიბდებოდა და მისი ფორმირება უფრო სტეპურ ზოლშია სავარაუდო (126, 178).

თუმცა, სად იყო ასეთი ზოლი საკმაოდ ძნელი გასარკვევია. გ. როზენბერგი, პ. გლობი, ვ. სტრუვე, მ. გიმბუტასი, ა. ბრიუსოვი, ვ. დანილენკო და სხვები თვლიან, რომ იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროების სიახლოვეს მდებარეობდა. ი. არტემენკო, ი. სვეშნიკოვი, პ. ტრეტიაკოვი, ს. ბერეზანსკაია, ნ. ბონდარი კი უფრო იმ აზრის ჩანან, რომ ზონრიანი კერამიკის კულტურა უკრაინის, დნეპრის მარჯვენა ნაპირას მდებარე ნაწილში ჩამოყალიბდა. დ. კრაინოვის, რ. დენისოვას აზრით კი – ვილსა- დნეპრის რაიონში.არსებობს ამ კულტურის გენეზისის ადგილის კიდევ უფრო დასავლეთით ვისლასა და რაინს შორის გადატანის მცდელობები, რომელსაც მხარს ჟ. ფიშერი, ა. ჰოისლერი, კ. იუდუევსკი და სხვები უჭერენ (126, 190). თუმცა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა არქეოლოგების უმრავლესობა ცალსახად აღიარებს საბრძოლო ცულების კავშირებს ძველი ორმოსამარხების არქეოლოგიურ კულტურასთან.

ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, ყველაზე მეტ ყურადღებას ზონრიანი კერამიკის არქეოლოგიური კულტურის გავრცელების უზარმაზარ ტერიტორიაზე არსებული ლოკალური ვარიანტები იმსახურებს, რადგან ჩვენს მიერ „პრეგერმანელებად“ წოდებული ტომების

ავტორის სტილი დაცულია

კვალი სწორედ ერთი, ან რამოდენიმე მათგანის წიაღშია საძებარი. საბრძოლო ცულების კულტურის ოცზე მეტ ვარიანტს განასხვავებენ. მათ შორის აღნიშვნის ღირსია: საქსონია-ტიურინგიის (ე.წ. კლასიკური) კულტურა, ერთეული სამარხების კულტურა დანიასა და შლეზვიგ-ჰოლშტაინში, რაინის თასების კულტურა, ოდერის ზონრიანი კერამიკის კულტურა, ნავისმაგვარი ცულების კულტურა შვედეთში, ფინეთსა და ესტონეთში, ზლოტის კულტურა, ხლოპიცე-ველელსკაიას კულტურა, მეჟანოვიცკაიას კულტურა, რუჟცევსკაია (იგივე ვისლა-ნემანის) კულტურა სამხრეთ-აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში, დნეპრის შუა დინების კულტურა, ფატიანოვოს კულტურა, კარპატებისპირეთის კულტურა, გოროდოვსკო-ზლობიცკის კულტურა, სტჟიჟოვსკის კულტურა, ბალანოვოს კულტურა და სხვა (289, 178-184). რადიოკარბონული მეთოდით მიღებული აბსოლუტური თარიღები ადასტურებენ, რომ ზონრიანი კერამიკის კულტურის ევროპაში გავრცელება ერთბაშად არ მომხდარა, როგორც ჩანს, ეს პროცესი რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ასევე ირკვევა, რომ ეს არქეოლოგიური კულტურები, თავდაპირველად, ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ. მათი ერთმანეთისგან გათიშვა კი ოდნავ მოგვიანებით მოხდა (289, 188).

ზემოთ (“ევროპის ინდოევროპეიზაციაზე”, ინდოევროპული ენობრივი ოჯახის “პროტობალიტიურ-სლავურ-გერმანიკულ” ნაწილზე საუბრისას) ჩვენი მსჯელობა, ფორმალურ-ტიპოლოგიური მეთოდის ფარგლებში, არქეოლოგიურ კულტურებსა და ენობრივი მონაცემებს შორის შესაბამისობის დადგენაზე იყო ორიენტირებული. ამ შემთხვევაში, ეპოქის ამსახველი წერილობითი წყაროების არარსებობის გამო, ბუნებრივია, ნაკლებად შეიძლებოდა ჩრდილოეთ ევროპაში მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესების რეკონსტრუქცია. ზემოთ აღწერილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში ძალიან სწრაფად გავრცელდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან მკვეთრად განსხვავებული კულტურის მქონე ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები, რომლებმაც მკვეთრად შეცვალეს ადგილობრივი სოციალურ-კულტურული ლანდშაფტი. ახალმოსულებმა ახლებური საკომუნიკაციო კავშირები და ძალაუფლების ახალი კერები შექმნეს და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მათ მოსვლას, შესაძლოა, ახალი (ინდოევრიპული) კილოკავების გავრცელებაც გამოეწვია.

ავტორის სტილი დაცულია

შედარებით განსხვავებული მოცემულობა გვაქვს ძვ.წ. IV-III ახ.წ. I–II საუკუნეების შემთხვევაში. ვინაიდან, ამ დროს ისტორიის ისეთ პერიოდს შევეხებით, რომელიც წერილობითი წყაროების საშუალებით საკმაოდ კარგადაა გაშუქებული. ამ ეპოქასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებს (ძვ.წ. IV-III საუკუნეების კელტების მიგრაციები, კიმბრებისა და ტევტონების შემოსევა, ტევტობურგის ბრძოლა და სხვა) ისტორიკოსები დიდი ხანია სწავლობენ. შესაბამისად, მათი (ე.ი. ამ მოვლენათა) "არქეოლოგიური სარჩულის" გადამოწმებას ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვფქირობთ, რომ ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება, უნდა მივაქციოთ ცვლილებებს, რომლებსაც ძვ.წ. IV – III საუკუნეებში აქვს ადგილი. ამ პერიოდში ჩრდილოეთ ევროპის არქეოლოგიური კულტურების "მდორე ცხოვრება" (რომელზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა) თითქოს ერთიანად ირღვევა.

ძვ.წ. III საუკუნეში იწყება იასტორფის კულტურის რიპდორფის სტადია. მასში ჩამოყალიბდა ბოდენბახ-პოდმოკლისა და გუბინის ქვეჯგუფები. ჩამოყალიბდა ასევე პშემორული, ოკსივური, პიანეშტი-ლუკაშევისა და ზარუბინეპის არქეოლოგიური კულტურები (46, 78).

ცალსახაა, რომ ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სკანდინავიიდან გადმოსახლებული მოსახლეობა. არქეოლოგები მათ (ანუ სკანდინავიელებს), ხშირად ამ პროცესების მთავარ მამოძრავებლადაც განიხილავენ. საქმე ისაა, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში, კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესების გამო სამხრეთ სკანდინავია მოსახლეობისგან პრაქტიკულად დაიცალა. როგორც ჩანს, უფრო სამხრეთით გადმოსახლებული მოსახლეობა გახდა მთელი რიგი ეთნიკური და სოციალური ცვლილებების მიზეზი, რომლებმაც ზემოთ აღწერილი არქეოლოგიური სიტუაციის შექმნა გამოიწვია.

ძვ.წ. IV–III საუკუნეებში ამ ტიპის კულტურები ძალიან ფართოდ გავრცელდნენ ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე, დუნაიმდე და დნეპრამდე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, თუმცა, საინტერესოა, რომ ხერხდება მთელი რიგი მახასიათებლების გამოყოფა, რომლებიც მათ მკაფიოდ გამოარჩევს თავიანთი მეზობელი დაკო-გეტებისგან, კელტებისგან და

ავტორის სტილი დაცულია

აღმოსავლეთ ევროპის ტყის ზონის მცხოვრებლებისგან. ასეთ მახასიათებლებს შორის უნდა გამოვყოთ:

ა) მიცვაბულების გრანდიოზულ სამარხებში დამარხვა და მხოლოდ კრემაციის გამოყენება;

ბ) კელტური ტიპის იარაღისა და ფიბულების გამოყენება;

ც) სამეთუნეო ჩარხის გარეშე კერამიკის გამოყენება.

ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ სწორედ ზემოთ მოხაზულ გეოგრაფიულ და ქრონოლოგიურ არეალში უნდა ვიკვლიოთ ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემის არქეოლოგიური სარჩული. თუმცა, გაცილებით რთული გადასაწყვეტია რა საკითხებს უნდა მივაქციოთ ყურადღება კვლევის პროცესში.

წინდაწინვე გვსურს გავემიჯნოთ მაცდურ სპეკულაციებს, რომლებიც ძვ.წ. IV–I საუკუნეების არქეოლოგიურ მონაცემებში წერილობით წყაროებში დადასტურებული კონკრეტული მოვლენების ექვივალენტების ამოცნობაზეა ორიენტირებული და მეტი ყურადღება ჩვენთვის საინტერესო კულტურების სოციალურ სტრატიგრაფიას მივაქციოთ.

საქმე ისაა, რომ როგორც ვ. შუკინი შენიშნავს, დრო ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისთვის სრულიად განსხვავებული ფენომენია. თუკი ისტორიკოსები დროის განსაზღრისას კონკრეტულ წლებს და თვეებს ეძებენ, არქეოლგების შემოთავაზებულ თარიღები უკეთეს შემთხვევაში 30 წლის ფარგლებში მერყეობს. ეს კი დროის ის მონაკვეთია, რომლის განმავლობაშიც წერილობით წყაროში ფიქსირებული რამდენიმე ფაქტი შეიძლებოდა მომხდარიყო (258, 203). ამის გამო, ვფიქრობთ, სრულიად შეუძლებელია არქეოლოგიის საშუალებით ჩვენთვის საინტერესო წერილობით წყაროებში მოხსენიებული ფაქტების ძიება (მაგ.: კიმბრებისა და ტევტონების მიგრაცია, არიოვისტის სვებების რაინისკენ მოძრაობა და ა.შ.).

გაცილებით უფრო რეალისტურია იმის თქმა, თუ რომელი არქეოლოგიური კულტურა წარმოადგენს კვლევისათვის საინტერესო ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფს, რადგან არქეოლოგიური კულტურა, როგორც წესი, ქრონოლოგიურად დიდი ხნის განმავლობაში არსებობს და გეოგრაფიულად საკმაოდ დიდ სივრცეზეა განფენილი.

ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა, განვსაზღვროთ, თუ რომელი ზემოთაღწერილი არქეოლოგიური კულტურა წარმოადგენს

ავტორის სტილი დაცულია

„პროტოგერმანიკულ" რეალობას და რისი თქმა შეუძლია მას თავისი შემქმნელების შესახებ.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში "პროტოგერმანიკულის" ბუნებაა შესასწავლი, რაც სცილდება გამოკვლევის წინამდებარე ნაწილის მიზნებს. არქეოლოგიური თვალსაზრისით ამ მხრივ შესაძლოა ორი პასუხი არსებობდეს:

ა) "პროტოგერმანიკულ" ენებზე მოსაუბრე ძველი გერმანელების შემოქმედებად ყველა ის არქეოლოგიური კულტურა ჩავთვალოთ, რომლებიც ძვ.წ. IV–III საუკუნეებში ზღვიდან კარპატებამდე, დუნაიმდე და დნეპრამდე ტერიტორიაზე გავრცელდა;

ბ) "პროტოგერმანიკული" ზემოთ აღწერილი ზონის ერთ-ერთ არქეოლოგიურ კულტურას უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად იასტორფის კულტურის რიპდორფის სტადიის აქციები ფასობს, რადგან მოგვიანებით გერმანელებით განსახლებულ ტერიტორიაზე სწორედ მისი კონტინიუმი ჩანს.

სოციალური თვალსაზრისით კი უნდა აღინიშნოს ჩვენთვის საინტერესო კულტურების საბრძოლო ხასიათი და ის "სუპერსტრატული როლი", რომელიც მათ ფორმირებაში სკანდინავიიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ შეასრულა.

აქვე ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ, რომელსაც ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას შესაძლოა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. თანამედროვე არქეოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ თვით კეისრის ეპოქაში (ანუ ძვ.წ. I საუკუნის) მდინარე რაინის აღმოსავლეთი ნაწილი სულაც არ ქმნიდა რაიმე ტიპის ჰომოგენურ ერთობას. იგი რამდენიმე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დისლოკაციის ადგილს წარმოადგენდა. კერძოდ, ჰ. ბეჰაგელმა დაამტკიცა, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით რაინისა და ვეზერის მთიანეთში მცხოვრები ხალხები, რომელთა აქ ყოფნის უწყვეტობაც ურნასამარხების დროიდან შეიმჩნევა, გერმანელები სულაც არ იყვნენ (109, 122). რ. ჰახმანის, გ. კოსაკისა და გ. კუნის ცნობილ წიგნში „გერმანელებსა და კელტებს შორის მცხოვრები ტომები" კი მსგავსი დასკვნები რაინსა და ვეზერს შორის ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები ხალხების შესახებაა გაკეთებული, რომლებსაც ავტორები „ჩრდილო-დასავლეთის ბლოკს" უწოდებენ (218, 33-44).

ავტორის სტილი დაცულია

ახ.წ. I – II საუკუნეებში კი აშკარად შეიმჩნევა გერმანიის ჰეტეროგული არქეოლოგიური კულტურის ერთგვარი ჰომოგენიზაციის პროცესი, რის ახსნასაც არქეოლოგები "ბარბაროსებსა" და რომაელებს შორის თანმიმდევრული, ინტენსიური ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებითა და "ბარბაროსული ელიტების" გაერთმნიშვნელიანებით ცდილობენ (46, 38).

ახ.წ. I საუკუნიდან აქ გავრცელებას იწყებს დიდი მოცულობის სამარხები, რომლებსაც ხან "სამეფო", ხან "ბელადების", ხან კი "ელიტების" სამარხებად იხსენიებენ. ამ ჯგუფების ადრეულ ფაზას არქეოლოგები ლუბსოუს ჯგუფის სახელით იხსენიებენ, უფრო მოგვიანოს კი, რომელიც უკვე ახ.წ. III საუკუნით თარიღდება ჰაბლებენისა და ლეუნას ჯგუფებს უწოდებენ (46, 40).

"ელიტური სამარხების" წარმოშობასთან დაკავშირებით არქეოლოგებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ, რომლებიც უფრო მეტად რომის იმპერიის გერმანიის მოსახლეობასთან ურთიერთობის დეტალების დაზუსტებაზეა ორიენტირებული. ჩვენს შემთხვევაში (ანუ როდესაც ძვ.წ. ახ.წ. I – II საუკუნეების გერმანიის ეთნოსოციალური ისტორიის რეკონსტრუქციას ვისახავთ მიზნად), ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა შემდეგ განზოგადებებს აქვს:

ა) ახ.წ. I-II საუკუნეებში გერმანიაში მეტ-ნაკლებად სტაბილური სიტუაცია ისადგურებს, რასაც ელიტური ჯგუფების (ნაციების) მკაფიოდ გამოკვეთა მოსდევს;

ბ) გერმანიაში წარმოქმნილი სამეფო სამარხები ჰომოგენურობით არ ხაისათდება, თუმცა, გარკვეულ პერიოდებში ისინი რიგ ნიუანსებში ემსგავსებიან ერთმანეთს (46, 50-59).

<u>§ 3. ძველი გერმანელების ეთნოგენეზის საკითხისათვის მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები</u>

წერილობით წყაროების საფუძველზე ძველი გერმანელების ისტორიისა და ყოფის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს პროცესი ჯერ კიდევ XV საუკუნეში, ტაციტუსის თხზულება გერმანიის აღმოჩენით, დაიწყო. მეცნიერები, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მათი ყოფის სხვადასხვა მხარეზე ამახვილებდნენ ყურადღებას. იცვლებოდა სამეცნიერო პარადიგმაც, რომლის ჩარჩოებშიც ანტიკური ხანის „ბარბარიკუმს" სწავლობდნენ. აქედან

ავტორის სტილი დაცულია

გამომდინარე, დღეს საკმაოდ რთულია საკვლევი შეკითხვების დასმა, რომლებსაც წინამდებარე კვლევა უნდა დაეფუძნოს.

ჩვენი აზრით, შეკითხვები, რომლებსაც ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე საუბრისას პასუხი უმთავრესად წერილობით წყაროებზე დაყრდნობით უნდა გაეცეს, შემდეგი ფორმით უნდა ჩამოვაყალიბოთ:

ა) როგორ მოხდა ძველი გერმანელების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებების ფორმირება?

ბ) რა მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინს „გერმანელი“ ანტიკური ხანის ავტორები?

გ) რა ვერსიებია დაცული წერილობით წყაროებში ძველი გერმანელების გენეზისის შესახებ?

თუმცა, ვიდრე ანტიკური ხანის ავტორების თხზულებების ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა, განვიხილოთ, თუ როგორია თანამედროვე მკვლევრების დამოკიდებულება ბერძენ-რომაელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციების მიმართ.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ თანამედროვე ისტორიკოსები, XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის მკვლევრებისგან განსხვავებით ანტიკური პერიოდის ავტორების თხზულებების მიმართ ძალზე კრიტიკულად არიან განწყობილი. ისტორიულ მეცნიერებაში მომხდარი პარადიგმული ცვლილებების უკეთ წარმოსაჩენად, ვფიქრობთ, საჭიროა, მოკლედ განვიხილოთ, თუ როგორ ხდებოდა ძველი გერმანელების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების შესწავლა XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის I ნახევარში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კვლევების გავლენა დღემდე საკმაოდ დიდია.

წარსულში არსებული დისკუსიების ტიპურ ნიმუშად შეგვიძლია ბასტარნების ეთნიკური კუთვნილების პრობლემა გამოვიყენოთ. მისი შედარებით დეტალური განხილვა, ვფიქრობთ კარგად წარმოაჩენს იმ XX საუკუნის პირველი ნახევრის მეცნიერების სამეცნიერო მიდგომების თავისებურებებს.

ბასტარნების სახელი საკმაოდ ხშირად იხსენიება სტრაბონის, პლინიუს უფროსის, აპიანეს, ტიტუს ლივიუსის, პოლიბიოსის, პლუტარქეს და სხვა ანტიკური ხანის ავტორების თხზულებებში. ისინი, დუნაისპირეთში, სავარაუდოდ, ძვ.წ. III საუკუნიდან ცხოვრობდნენ. ძვ. წ. II საუკუნის

ავტორის სტილი დაცულია

დასაწყისში კი ქვემო დუნაიზე გამოჩდნენ და აქ საკმაოდ სერიოზულ ძალად იქცნენ. მაგალითად მათ მონაწილეობა მიიღეს მაკედონიის მეფეებისა და პონტოს მეფე მითრიდატეს მიერ რომაელებთან წარმოებულ ბრძოლებში (270, 190). შედარებით გვიანდელი პერიოდის წყაროები ბასტარნების საცხოვრისის ლოკალიზებას დუნაის ჩრდილოეთ ნაწილში ახდენენ, სადაც მათი გადანაცვლების მიზეზი, შესაძლოა, ძვ. წ. I საუკუნეში (მეფე ბერუბისტას მმართველობის ხანაში) დაკო-გეტური ტომების გააქტიურება გამხდარიყო (109, 201).

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების ნაწილი (მაგალითად, სტრაბონი, პლინიუს უფროსი, ტაციტუსი და სხვა) და ბევრი თანამედროვე მკვლევარი ბასტარნებს გერმანული ტომების რიცხვს მიაკუთვნებს, რაც გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას ამ საკითხს საკმაოდ აქტუალურ ელფერს ანიჭებს. თუმცა, ამ მხრივ არსებული მოსაზრებების გაზაიარება-არგაზიარება მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მათ შესახებ წარმოდგენას ერთი დოკუმენტის ანალიზი შეგვიქმნის, რომელიც სკირების (ბასტარნებისაც) შესაძლოა უძველეს მოხსენიებას შეიცავს.

საქმე პროტოგენეს საპატივცემულოდ შექმნილ დეკრეტს ეხება, რომელშიც წერია, რომ "გალატებმა და სკირებმა კავშირი შეკრეს და დიდძალ ძალებს მოუყარეს თავი" უნდოდათ ოლვიაზე თავდასხმა და . . . "ფისამატები, სკვითები და საკდარატები ეძებენ გამაგრებულ ადგილებს, რადგან მათი რისხვის ეშინიათ (156, 34-47).

აქ გალატების და სკირების მოხსენიებამ ბევრი სადისკუსიო პრობლემა წარმოქმნა. გამოთქვა მრავალი ჰიპოთეზა, რომლების დაჯგუფებაც სამი ძირითადი თეორიის გარშემო შეიძლება:

1) პირველი ვერსიის თანახმად, რომელიც პირველად ვ. შმიდტმა გამოთქვა დეკრეტის გალატები იგივე დუნაისპირა კელტებია, რომლებიც ძვ. წ. 279-212 წლებში თრაკიის ტერიტორიაზე ძლიერ გაერთიანებას აყალიბებენ ;

2) მეორე ვერსიის ჩამოყალიბება, ძირითადად, კ. ცოისის სახელს უკავშირდება. მის მიხედვი დეკრეტში მოხსენიებული გალატები გერმანელი ბასტარნების შეცდომითი დასახელებაა, რომლებსაც ძვ. წ. II საუკუნის მიწურულიდან კარპატების აღმოსავლეთი და დუნაის ქვემო დინებაზე არსებული ტერიტორიები ეკავათ;

ავტორის სტილი დაცულია

3) მესამე ვერსიის მომხრეები (ზ. მადი) თვლიან, რომ გალატები ბასტარნების სავსებით სწორი დასახელებაა, ოღონდ ამ უკანასკნელში კელტურ და არა გერმანულ ეთნიკურ რეალობას მოიაზრებენ (156, 56).

აზრთა ასეთი სხვადასხვაობა, ვფიქრობთ, კარგი ილუსტრაციის საშუალებაა საიმისოდ, რათა დავინახოთ თუ რამდენად ჰიპოთეტურ არგუმენტებზე დაყრდნობით გვიწვეს მსგავს პრობლემებზე მსჯელობა.

ფაქტების ზოგადი კონსტრუქცია, რომლის საფუძველზეც ამ რეგიონში ეს (და კიდევ ბევრი სხვა მსგავსი) პრობლემა უნდა გადაწყდეს საკმაოდ კარგად აქვს ჩამოყალიბებული ა. მაჩინსკის. იგი წერს, რომ ძვ. წ. II საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე არქეოლოგია ადასტურებს გალიციის ტერიტორიაზე კელტური, ჩრდილო-თრაკიული (დაკო-გეტური) და ბასტარნული (გერმანული (?)) კულტურული წრეების არსებობას. წერილობითი წყაროებიც ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე მსგავსი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ტოპონიმიკა კი აქ (სლავურ ენებში შემონახული მონაცემების საშუალებით) ადასტურებს ჩრდილო-თრაკიული, კელტური და გერმანული ტოპონიმების არსებობას. ამ მონაცემების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ გალიციაში უკვე ძვ. წ. III-II საუკუნეებში ზემოთხსენებული ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები თანაარსებობდნენ (264, 39).

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ამ ტიპის დისკუსიებმა აქტუალობა პრაქტიკულად დაკარგა. ვინაიდან, განხილვის ობიექტი შეიქმნა, თუ რამდენად რელევანტურია ტერმინის გერმანელი, კელტი და სხვა ტომის გამოყენება.

ეთნიკურობა დღეს ძალიან ფართო განხილვის საგანია. XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში კი იგი დიდად სადისკუსიო თემად არ ითვლებოდა. ალბათ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეთნოგენეტიკურ კვლევებში ეთნიკურობის ფენომენი ფართო განხილვის საგანი მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი გადასინჯვა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო იმ პარადიგმული ცვლილებებისა, რომლებიც ამ პერიოდში ისტორიამ, არქეოლოგია, ლინგვისტიკამ და ფიზიკურმა ანთროპოლოგიამ განიცადა.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის ისტორიკოსები და ეთნოლოგები ეთნიკურობის ფენომენს, შეიძლება ითქვას რომ პოზიტივისტურ ჭრილში უყურებდნენ. მათთავის ნაცია, (ხალხი, ტომი), წარმოადგენდა ერთობას, რომლიც ცვალებად სამყაროში (ლამის ერთადერთი) მდგრადი ფენომენი იყო

ავტორის სტილი დაცულია

(168, 17). შესაბამისად, მათ (მაგალითად გერმანელებსა და სლავებს) თანამედროვეობასთან გამჭოლი ეთნოფსიქოლოგიური და ფიზიკურ-ანთროპოლოგიური თვისებები მიეწერებოდათ. პრაქტიკული თვალსაზრისით იშვიათად ითვალისწინებდნენ იმას, რომ ეთნიკურობა დროსა და სივრცეში ცვალებადი ფენომენია.

ანტიკურ ხანასთან დაკავშირებით აქტიურად გამოიყენებოდა "ტომის" ცნება, რომელსაც ვ. პოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ისტორიკოსები ერთგვარი "მინი-ნაციის" სახით წარმოადგვიდგენდნენ (168, 17).

ამ თვალსაზრისით თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის აქტუალური დებატების დაწყება რ. ვენსკუსის სახელს უკავშირდება. მისი წიგნი "ტომობრივი მოწყობა და კონსტიტუცია" 1961 წელს გამოიცა. მასში ავტორი მართალია, არ უარყოფს გერმანული ტომების ცნებას, მაგრამ შემოაქვს ტომის ტრადიციულისგან ერთობ განსხვავებული დეფინიცია. მან განავითარა თეორია იმის შესახებ, რომ ტომის ფენომენის კონსტრუირება ცალკეული ლიდერების გარშემო ხდებოდა. ლიდერები, რომლებთანაც მცირე რაოდენობის ელიტები იყო ასოცირებული ომებში საკმაოდ მსხვილ რაზმებს მიუძღოდნენ წინ. ომში წარმატება მათ პრესტიჟს ზრდიდა. მის გარშემო კიდევ უფრო მეტი ხალხი იყრიდა თავს. თანდათან კი საერთო ეთნოგრაფიულ მახასიათებლებთან ერთად "ტრადიციების ბირთვი" და "ტომის" ლეგენდები ყალიბდებოდა (160, 17).

რ. ვენსკუსის შემოქმედება განავრცო მისმა კოლეგა ჰ. ვოლფრამმა. მან აკადემიურ ლექსიკონში ტერმინ "ეთნოგენეზის" ახლებური გაგება დაამკვიდრა. იგი მას უბრალოდ "ხალხის შექმნის" ტოლფარდ ცნებად მოიაზრებს. ამ ტერმინის დამკვიდრებით ვოლფრამი სიტყვა "ტომისთვის' ბიოლოგიური კონოტაციის მოხსნას ცდილობს (219, 183). ვოლფრამი ასევე ავითარებს ვენსკუსის მიერ შემოთავაზებულ "ტრადიციების ბირთვის" იდეას. მისი აზრითაც, ამ ბირთვის შექმნაში (რაც ვოლფრამისთვის პრაქტიკულად ეთნოგენეზის ტოლფარდი ცნებაა) მთავარ როლს ელიტური ჯგუფები თამაშობენ. მაშასადამე, ვენსკუსისა და ვოლფრამის თხზულებებიდან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია ვისაუბროთ ძველი გერმანული ტომების ხანგრძლივ ეთნიკურ ისტორიაზე. ტერმინი "ტომიც" კარგავს თავის ტრადიციულ მნიშვნელობას.

ავტორის სტილი დაცულია

"ვენის სკოლის" ავტოების (ვგულისხმობთ რ. ვენსკუსსა და ჰ. ვოლფრამს) შემოქმედებას ძალიან ფართო რეზონანსი ჰქონდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მისი წყალობით ძველი გერმანელების შესწავლის ისტორიოგრაფიაში ახლებური დისკურსი დამკვიდრდა, რომელსაც ძალიან ცოტა აქვს საერთო იმ სამეცნიერო პარადიგმასთან, რომლის ფარგლებშიც XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ძველი გერმანელების ეთნიკური ისტორია შეისწავლებოდა.

შემდგომი თაობის ავტორებმა ეს დისკურსი რამდენიმე მიმართულებით გააკრიტიკეს. კრიტიკა ერთი მხრივ მიმართული იყო რომაულ-გერმანული დიხოტომიისკენ (რომელიც ვოლფრამთან და ვენსკუსთან შენარჩუნებულია), მეორე მხრივ კი - ძველ გერმანული სამყაროს ცნებისკენ. ამ მხრივ კრიტიკის თვალსაზრისით ყველაზე უფრო შორს ვ. გოფარტი წავიდა. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ძველი გერმანელებისა და სხვა მსგავსი კონსტრუქტების (კელტისა, ილირია და სხვა) შექმნაში მთავარი დამნაშავე ფოლოლოგები არიან (101, 188). დაახლოებით ასეთივე ფორმატში საუბრობს პ. გერი, რომელიც ანტიკური ხანის გერმანიას, რომაული გენიის კიდევ ერთ გამოგონებას უწოდებს (46, 99).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა გავიაზროთ ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე გერმანული ტომისა და ეთნიკურობის არსი და ძველი გერმანელების (და სხვა მსგავსი რეალობების) ეთნოგენეზის პრობლემა.

ვფიქრობთ, რომ სავსებით ლოგიკურია გავიზიაროთ რ. ვენსკუსისა და ჰ. ვოლფრამისეული ელიტური ''ტრადიციების ბირთვის'' ცნება. გამომდინარე იქიდან, რომ იგი გაცილებით უფრო ბუნებრივად გამოიყურება, ვიდრე ტომის ტრადიციული გაგება, რომელიც ძირითადად ამერიკელი ინდიელების შესახებ ლ. მორგანისა და ე. ტაილორისეული დასკვნების განზოგადებას ემყარება.

იგივე შეიძლება ითქვას ტერმინ ეთნოგენეზის შესახებ. ვფიქრობთ, ისტორიულ რეალობას ეთნოგენეზის ვოლფრამისეული აღქმა უფრო შეესაბამება ვიდრე ტრადიციულ ''ეთნოგენეზოლოგიაში'' დამკვიდრებული მიდგომები, რომელიც ენობრივი ოჯახების გენეზისს უფრო მოგვაგონებს.

საინტერესოა, რომ ''ეთნოგენეზის ამგვარი მოდელები'', თითქოს პირდაპირ იკითხება ანტიკური ხანის წყაროებში. მაგალითად გამოდგება სვებები და იულიუს კეისრის „კომენტარებში გალებთან ომის შესახებ“ მოხსენიებული სხვა გერმანელი ტომები, რომლებიც მეფე არიოვისტის

ავტორის სტილი დაცულია

კოალიციაში შედიოდნენ. კერძოდ, სვებები, ჰარუდები, მარკომანები, ტრიბოკები, ვანგიონები, ნემეტები და სედუსიები.

მათ შესახებ მთავარ წყაროს იულიუს კეისრის „კომენტარები გალებთან ომის შესახებ“ წარმოადგენს, რომელიც მოგვიანებით ავლუს გიტრიუსმა დამატებით 8 წიგნით შეავსო. ამ თხზულებებიდან მომავალი ცნობები წყაროდ აქვთ გამოყენებული სტრაბონს, პლუტარქეს (კეისრის ბიოგრაფიაში), აპიანეს, სვეტონიუსს, დიონ კასიუსს და სხვებს. ამ ცნობებს მათთან რიგი დამატებები ერთვის, რომელიც, როგორც ჩანს, ასინიუს პოლიონის თხზულებიდან მომდინარეობს, რომელიც კეისრის თხზულების კრიტიკულ ანალიზს შეიცავს (202, 77).

მათი წყალობით ზემოთხსენებული ტომების თავგადასავალი შემდეგ ფერებში იხატება. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც კელტმა ჰელვეტებმა მიანისა და რეინის ზემო დინებაზე არსებული თავიანთი საცხოვრისი მიატოვეს და დღევანდელი დასავლეთ შვეიცარიის ტერიტორიისკენ გადმოინაცვლეს გერმანელები, ძირითადად სვებები, მათ გამოედევნენ და ზემო რაინის მხარეში შეიჭრნენ. ძვ.წ. 72 წლისთვის მათ სექვანების თხოვნით რაინი გადალახეს და ედიუების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთვნენ. მათი დამარცხების შემდეგ კი თავიანთ დამქირავებელ სექვანებს შეუტიეს და თანამედროვე ალზასის ტერიტორიაზე მათი ტერიტორიის ნაწილი მიითვისეს. აქვე (ალბათ თანამედროვე მიულჰაუზენის სიახლოვეს) შეებრძოლენ ისინი იულიუს კეისარს და მარცხი განიცადეს, რის შემდეგაც მათი მეფე არიოვისტი იძულებული გახდა კვლავ რაინის მარჯვენა ნაპირას გადასულიყო (270, 155).

„გერმანელებთან“ თავის შეტაკებაზე იულიუს კეისარი თავისი თხზულების IV წიგნშიც მოგვითხრობს. კერძოდ, იგი ამბობს, რომ სვებებისგან შევიწროვებულმა უიპიტებმა და ტანკრერებმა გალებთან კავშირი დაამყარეს და ტრევერების ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ისინი რაინის მარჯვენა ნაპირას საცხოვრისის გამოყოფას ითხოვდნენ. კეისარმა ჯერ მათთან მოლაპარაკება გამართა. შემდეგ კი ისინი მოულოდნელი დარტყმით გაანადგურა. უზიპიტების და ტანკრერების ნაწილმა თავი სიგამბრების ტერიტორიას შეაფარა (19, 54). ამ ბრძოლის ადგილის განსაზღვრა ზუსტად არ ხერხდება. უფრო კი ის აზრი ჩანს გავრცელებული იგი მდინარეების მაასისა და რაინის შესართავთან უნდა მომხდარიყო.

ავტორის სტილი დაცულია

„კომენტარების“... VI წიგნში კეისარი გერმანელებს კიდევ ერთხელ ახსენებს. იგი საუბრობს, რომ მას სვებებთან მოსალდნელი დაპირისპირების გამო რაინის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა მოუხდა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ბრძოლა ვერ გაბედეს და ბაკენიის ტყეს შეაფარეს თავი, რომელიც მათ მიწებს ხერუსკების ტერიტორიისგან გამოყოფდა (19, 56).

ვფიქრობთ, ძნელი არ არის კეისრის მიერ აღწერილ სვებებსა და მათ მოკავშირეებში მეფე არიოვისტის გარშემო შემოკრებილ მეომართა ელიტა ამოვიცნოთ, რომელიც რაინის მარჯვენა ნაპირზე ცდილობს ადგილობრივი თემების დამორჩილებასა და სასიცოცხლო რესურსების მოპოვებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ დაუშვებელია ზოგადად ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ტერმინი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენდა. თუმცა, ბოლომდე ვერც ვ. გოფარტისა და პ. გერის მიდგომებს გავიზიარებთ, რომელიც საერთოგერმანული სიძველეების კვლევაზე ხელის აღებისკენ გვიბიძგებს.

საქმე ისაა, რომ ტერმინი ''გერმანია'' ანტიკური ხანის ლიტერატურაში დიდ ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა რაინის აღმოსავლეთით არსებული ''ბარბაროსული'' რეალობის აღსანიშნავად. მიუხედავად მისი სტერეოტიპული ბუნებისა, ეს სიტყვა საუკუნეების განმავლობაში იცვლიდა კონოტაციას. ცვალებოდის ეს პროცესი კი, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი წყაროა ''ბარბარიკუმში'' მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესების შესასწავლად. საჭიროა, კვლევისას დაისვას საკითხი, თუ რა სახის რეალობის დანახვა შეიძლება კონკრეტულ ისტორიულ შემთხვევაში ამ ტერმინის უკან. II თავში, კელტების ეთნოგენეზზე მსჯელობისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლოა საქმე გვქონდეს ოთხ ჰიპოთეტურ შემთხვევასთან:

1. შესაძლოა, ანტიკური ხანის ავტორებს უცნობი მხარისათვის მითოლოგიური შინაარსის სახელი მიენიჭებინათ და ამ რეგიონიდან სპონტანურად შემოსული ინფორმაცია ავტომატურად დაეჯგუფებინათ მათ მიერ გამოგონილი ტერმინის გარშემო. ასეთ კონტექსტში შექმნილ „ეთნონიმებად“ შეგვიძლია ჩავთვალოთ: ჰიპერბორეები ან ჰეროდოტესთან დამოწმებული სკვითების მეზობელი რიგი „ხალხები“. მათი დასახელებების მიღმა რაიმე სახის ეთნიკური რეალობის დანახვა, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია;

ავტორის სტილი დაცულია

2. შესაძლოა, მათ გეოგრაფიული შინაარსის ტერმინის გაიგივება მოეხდინათ რეგიონში მცხოვრებ ხალხებთან. როგორც, მაგალითად, მოხდა სკვითების, ლიგურებისა და, ალბათ, იბერების შემთხვევაშიც. ასეთ ვითარებაში ისინი რეგიონიდან შემოსულ ინფორმაციას ერთობლივად მოაქცევდნენ ერთი „ეთნონიმის“ ქვეშ. ამ შემთხვევაში ვიღებთ სიტუაციას, როცა ერთი ეთნონიმის ქვეშ რამდენიმე, ხშირად ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული, ეთნიკური რეალობა იმალება, რომელთა "საერთო ელემენტებიც" მხოლოდ უცხოელი აღმწერებისთვისაა შესამჩნევი;

ამა თუ იმ ტოპონიმის ქვეშ დაჯგუფებული საერთო ელემენტები, შესაძლოა ანტიკური ხანის ავტორების სპეკულაციაც ყოფილიყო, თუმცა, რიგ შემთხვევებში მათ, კ. დების სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი კულტურის ჰაბიტუსიც შეიძლებოდა წარმოეჩინა;

3. შესაძლოა, მათ მიერ შემოთავაზებული მსხვილი ეთნიკური ჯგუფების დასახელება თავად „ბარბაროსი“ ხალხების სინამდვილეში არსებული თვითიდენტიფიკაციის საშუალებების ტრანსლაციას წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში ისინი გაცილებით მეტ ნდობას იმსახურებენ, თუმცა ყველა ასეთი შემთხვევის ერთ სიბრტყეზე განხილვაც არ შეიძლება;

4. თეორიულად ასევე შეგვიძლია დავუშვათ, რომ თავდაპირველად მხოლოდ რომაელების ან ბერძნების წარმოსახვაში არსებულ „ეთნონიმს“ მომავალში სავსებით რეალური ისტორიული სარჩული შეეძინა.

ვფიქრობთ, რომ ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას უმთავრესია იმის განსაზღვრა, თუ ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ თეორიულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა სხვასასხვა საუკუნეებში ტერმინ გერმანელისა და გერმანიის შესახებ ვსაუბრობთ. ქვემოთ განვითარებულია მოსაზრება, რომ ამ ცნებამ ძვ.წ I – და ახ.წ I – II საუკუნეებამდე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა.

ა) როგორ მოხდა ძველი გერმანელების შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებების ფორმირება?

ბ) რა მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინს „გერმანელი“ ანტიკური ხანის ავტორები? - ანტიკურ ლიტერატურაში ტერმინი „გერმანელი“ ერთერთ ყველაზე უფრო გავცელებულ ეთნონიმს წარმოადგენდა. ისევე როგორც ტერმინების: „გალი“, „კელტი“, „გალატის“, შემთხვევეაში ეთნონიმ გერმანელზე მსჯელობისას უმთავრესი მნიშვნელობა იმის გამორკვევას აქვს, თუ ზემოთ

ავტორის სტილი დაცულია

აღწერილ რომელ თეორიულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ამ ტერმინის შესახებ ვსაუბრობთ. სხვაგავარად რომ ვთქვათ, ჩვენი ინტერესის საგანია, თუ რა ისტორიული რეალობა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში „გერმანელების“ ცნების უკან.

ამ საკითხზე მსჯელობა იმის აღნიშნვნით უნდა დავიწყოთ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკას არაფერი შეუძლია გვითხრას ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ. უფრო, ამ მხრივ, ის აზრია გავრცელებული, რომ ეს სიტყვა კელტური, ან ილირიული ენების ფონდიდან მომდინარეობს.

გერმანელების პირველ მოხსენიებას წყაროებში ძვ. წ. II საუკუნის მიწურულს პოსიდონიუსთან ვხვდებით. მას იხსენიებს ფრონტინიც, როცა ძვ.წ. 72 წელს მომხდარ მონათა აჯანყებაზე საუბრობს და გაიუს კრისპუს სალუსტიუსიც (202, 39). ანტიკურ ლიტერატურაში ამ ცნების ფართოდ დამკვიდრება კი იულიუს კეისრის სახელს უკავშირდება. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანელი ისტორიკოსის, ფ. შლეტეს აზრით, ტერმინ *გერმანიის* იულიუს კეისარზე უფრო ადრინდელი ყველა მოხსენიება მხოლოდ მერმინდელი ჩანამატია (202. 43). მსგავსი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში (რომელიც ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული), მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ გერმანელების შესახებ ანტიკურმა სამყარომ კიდევ უფრო გვიან, ანუ ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში შეიტყო.

თანამედროვე ისტორიკოსებს შორის ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ძველი პერიოდის ამ ავტორების თხზულებები არ იძლევა საშუალებას ტერმინი გერმანელი ეთნონიმად ჩავთვალოთ. მართლაც, ზემოთჩამოთვლილი ავტორების თხზულებიდან ისე ჩანს, რომ ეს სიტყვა აღნიშნავდა ტომებს, რომლებიც რაინსა და ელბას შორის ცხოვრობდნენ და ერთგვაროვან ეთნიკურ რეალობას არ ქმნიდნენ. მაგალითად გამოდგება იულიუს კეისრის სიტყვები იმის შესახებ, რომ იგი უზიპიტებსა და ტანკრერებს გერმანელებად მხოლოდ იმიტომ იხსენიებს, რომ ეს უკანასკნელები რაინის მარჯვენა სანაპიროდან მოვიდნენ (19, 66). მართალია, იგივე იულიუს კეისარი ყველანაირად ცდილობს მდინარე რაინი ბუნებრივ ეთნიკურ საზღვრად დაგვიხატოს, მაგრამ მის მცდელობებში პოლიტიკური მიზნების ამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ თანამედროვე

ავტორის სტილი დაცულია

არქეოლოგიური გამოკვლევები აშკარად ცხადყოფენ, რომ რაინი ძვ.წ.აღ. II-I საუკუნეებში ეთნიკურ საზღვარს არ წარმოადგენდა (46, 33).

ამას ახ.წ. I საუკუნის ავტორების სიტყვებიც ადასტურებს. მაგალითად, სტრაბონი ამბობს, რომ "გერმანელები ყველაზე მამაცი კელტებია" (16, 37). ტაციტუსი კი ხაზს უსვამს, რომ ეს ეთნონიმი გერმანელი თავდაპირველად რაინის მარჯვენა ნაპირას მცხოვრებ მხოლოდ ერთერთ ტომს, ტუნგრებს აღნიშნავდა და მხოლოდ მოგვიანებით იქცა მთლიანად მერმინდელი გერმანიის სახელწოდებად (10, 39).

ყოველივე ზემოთქმული არ გვიტოვებს იმაში დაეჭვების საფუძველს, რომ ძვ.წ.აღ. I საუკუნის გერმანია (ანუ რაინსა და ელბას (ან ვეზერს) შორის მდებარე ტერიტორია) შერეულ ეთნიკურ რეალობას წარმოადგენდა. აქ, ალბათ ერთ მძლავრ ეთნიკურ ნაკადს, "პროტოგერმანული" ფესვების მქონე "ტომები" (მაგალითად მეფე არიოვისტის კოალიცია) ქმნიდნენ. აქვე იყვნენ სხვა ტომებიც (მაგალითად, უზიპიტები და ტანკრერები), რომლებიც სხვა ეთნო-ლინგვისტურ სინამდვილეს (ან სინამდვილეებს) მიეკუთვნებოდნენ. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ძალზე პოპულარულია მათი "ალტერნატიულ გერმანელებად" სახელდება. მაშასადამე, გერმანელების შესახებ იულიუს კეისრის მოყვანილი ცნობებიდან "პროტოგერმანული" რეალობის მახასითებლად ის ეთნოგრაფიული ცნობები უნდა აღვიქვათ, რომლებსაც იგი სვებებთან მიმართებაში ახსენებს.

ამდენად მოგვიწევს, ძვ.წ I საუკუნის გერმანია ზემოთჩამოყალიბებულ მეორე თეორიულ შემთხვევად განვიხილოთ; ანუ, უნდა ჩავთვალოთ, რომ იგი მხოლოდ ტოპონიმია, რომლის წიაღში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს მხოლოდ მათი აღმწერების თვალში აქვთ საერთო.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახ.წ. I საუკუნეში, ანუ, რა სახის ისტორიული რეალობა უნდა მოვიაზროთ იმ პერიოდში მოხსენიებულ ცნება გერმანიის უკან. ამ საკითხზე საუბრისას პირველხარისხოვან წყაროს კორნელიუს ტაციტუსის და პლინიუს უფროსის თხზულებები წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ასევე გაიუს ველეიუს პატერკულუსის ცნობები.

ახ.წ. I-II საუკუნეების ავტორები გერმანიას ერთი მთლიანობად განიხილავენ. ისინი გერმანული ტომების გენეოლოგიურ კლასიფიკაციასაც გვთავაზობენ. მათი მონაცემები რიგ ნიუანსებში განსხვავდება, მაგრამ მთლიანობაში მაინც ავსებს ერთმანეთს.

ავტორის სტილი დაცულია

პლინიუსი გერმანელებს 5 ჯგუფად ყოფს:

1) ვანდილები, რომლებიც მასთან აღმოსავლეთის გერმანელებს (ბურგუნდიონებს, ვარინებს, გუთონებს) შეესატყვისებიან;

2) ინგვეონები – კიმბრები ტევტონები, ხავკები (ე.ი. ჩრდილოეთისზღვისპირელები);

3) ისტვეონები;

4) ერმიონები (სვებები, ერმუნდურები, ხატები, ხერუსკები);

5) პევკინები და ბასტარნები;

6) გილევიონები "კუნძულ სკანდინავიაზე", სადაც პლინიუსი მათ 500 ტომობრივი გაერთიანების შესახებ საუბრობს (4, 42).

ტაციტუსთან პლინიუსისეულ ხუთ ჯგუფს სამი გაერთიანება შეესატყვისება: 1) ინგვეონები; 2) ერმიონები; 3) ისტვეონები; მისი შემოთავაზებული აღწერილობებიდან ჩანს რომ იგი ინგვეონებად: ხავკებს, ხერუსკებს, და კიმბრებს თვლის. ისტვეონებად კი –– ბატავებს, მატიაკებს, ხატებს, უზიპიტებს, ტანკრერებს, ბრუკტერებს, ხამავებს, ანგრივარიებს, დურგუბნიებს, ხაზუარიებს და ფრიზებს. ერმიონებში სვებური მოდგმის ტომებს (სემნონებს, ლანგობარდებს, ერმუნდურებს, მარკომანებს, ქვადებს, ნარისტებს და "ოკეანის" სიახლოვეს მცხოვრებ გაერთიანებებს მოიაზრებს, რომლებსაც, მისი თქმით, ქალღმერთ ნერტუსის კულტი აერთიანებს (10, 40-44).

ტაციტუსთან აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის გერმანელები ცალკე ჯგუფებად არ არიან გამოყოფილი. მათ ნაწილს ტაციტუსი სვევების რიცხვს მიაკუთვნებს (ესენია: ლუგიები, გოთონები, რუგიები, ლემოვიები და სვიონები). იგი ასევე ახსენებს ტომებს, მაგალითად: პევკინებს, რომლებიც აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ავტორი მათ გერმანელობაში დარწმუნებული არ არის (109, 64).

ტაციტუსთან დასავლეთ გერმანელი ტომების ნუსხა უფრო ვრცელია. პლინიუსისგან იგი ძირითადად იმით განსხვავდება, რომ ხერუსკებს ინგვეონებად, ხატებს კი ისტვეონებად თვლის, მაშინ როცა პლინიუსთან ისინი ერმიონებად განიხილებიან.

მართალია, იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც თანამედროვეობაში ამ ტომების დიალექტების შესახებ მოგვეპოვება, ამ კლასიფიკაციაში რიგი ცვლილებების შეტანას გვაიძულებს (მაგალითად, უფრო სავარაუდოა რომ

ავტორის სტილი დაცულია

ფრიზები ინგვეონები იყვნენ და არა ისტვეონები), მაგრამ მათი ურთიერთდამთხვევა ძირითად საკითხებში გვაფიქრებინებს, რომ ისინი გერმანული ტომების გენეტიკური ურთიერთმიმართების შესახებ საკმაოდ კომპეტენტურ ინფორმაციას გვაწვდიან (247, 127).

გამართული გენეალოგიური კლასიფიკაციის გარდა ამ პერიოდიდან მომდინარეობს ტაციტუსთან დაცული საკუთრივ გერმანული მითი გენეზისის შესახებ (მის შესახებ ოდნავ ქვემოთ გვექნება მსჯელობა). ტაციტუსის თხზულებაშივე ვხვდებით გერმანელების ეთნოგრაფიულ აღწერილობას, რაც ამ სამყაროს (განსხვავებით ძვ.წ. I საუკუნის გერმანიისგანნ) ჩვენს წინაშე საკმაოდ ჰომოგენური სახით წარმოაჩენს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა. რა არის ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნის გერმანიებს შორის ასეთი მკვეთრი განსხვავებების არსებობის მიზეზი? ვფიქრობთ, რომ იგი იმ სამხედრო დაპირისირებებში უნდა ვეძებოთ, რომელსაც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ჰქონდა ადგილი. ვფქირობთ, რომ სწორედ ის გახდა გერმანულ სინამდვილეში ძირეული ტრანსფორმაციების მიზეზი.

გ) რა ვერსიებია დაცული წერილობით წყაროებში ძველი გერმანელების გენეზისის შესახებ? – ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას ძალზე საინტერესოა ის, რომ ტაციტუსთან დამოწმებულია ეთნოგენეტიკური მითი, რომლის მიხედვითაც ძირითადი გერმანელი ტომები (უფრო სწორედ სამი მათგანი) ღმერთ ტუისტონისგან და მის შვილ მანისგან წარმოსდგნენ. მანს სამი შვილი ჰყავდა, რომლებმაც სათავე მსხვილ გერმანულ გაერთიანებებს ინგვეონებს, ერმიონებს და ისტვეონებს დაუდეს (8, 39).

ისტორიკოსები და ლინგვისტები არ დაობენ იმის შესახებ, რომ ეს მითი საკუთრივ გერმანული სინამდვილიდან მომდინარეობს. ამას რამდენიმე არგუმენტ ადასტურებს:

1) მონათესავე ხალხების ერთი ეპონიმისგან წარმოშობის იდეა ბევრ ინდოევროპელ და არაინდოევროპელ ხალხთან გვხვდება. მათი გადმოცემა, ტრადიციულად, ეპიკური სიმღერების სახით ხდებოდა ;

2) სამი ეპონიმი ძმის სახელი ერთმანეთთან საწყისი თანხმოვნების ალიტერაციის საფუძველზეა დაკავშირებული, რაც სწორედ ძველ გერმანულ ლექსებს ახასიათებდა (248, 78);

ავტორის სტილი დაცულია

3) ამ სამი ეთნონიმიდან (ინგვეონი, ისტვეონი, ერმიონი) ორი მითოლოგიური სიუჟეტებიდანაც არის ცნობილი. ღმერთ ფრეიერს სკანდინავიაში Yngwi- Freyr-is სახელით სცემდნენ თაყვანს, რომელსაც სვიონების ძველი სამეფო დინასტიის ფუძემდებლად განიხილავდნენ. ამ ღვთაების წმინდა სალოცავი უპსალაში მდებარეობდა, რომელსაც ქრისტიანობის ეპოქამდე ეთაყვანებოდნენ (156, 220). ასევე ფიგურირებს ინგვეონების სახელი, ხერუსკების მეფე ინგვიონერას სახელში, რომელსაც ტაციტუსი თავის ანალებში იხსენიებს. Ing თავსართის სახით, იგი სხვა ძველ გერმანულ სახელებშიც ჩანს (156, 221).

Ermin an irmin (ამაღლებული) გერმანელების ომის ღმერთის ეპითეტს წარმოადგენს. იგივე ფუძე ფიგურირებს ერმუნდურების ტომის სახელწოდებაში. ამავე სიტყვას შეიცავს მეფე ერმინაფრიდის სახელიც (ტიურინგების მეფე VI საუკუნეში) (156, 222).

მესამე ჯგუფის სახელწოდების (ისტვეონების) მნიშვნელობა გაურკვეველი რჩება. ეტყობა, ჩვენი ერის დასაწყისისთვის იგი უკვე დავიწყებული იყო. თუმცა, კ. მიულენჰოფს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ იგი ღმერთ ვოდანთან უნდა გავაიგივოთ, რომლის კულტიც რაინისპირა გერმანელებში იყო გავრცელებული. ეს მოსაზრება გერმანისტიკაში დღემდის პოპულარობით სარგებლობს (204, 57).

მაშასადამე, შეგვიძლიათ ჩავთვალოთ რომ ინგვეონი, ისტვეონი და ერმიონი საკულტო გაერთიანებების სახელებს წარმოადგენდნენ, რომლების თაყვანისმცემლებიც თავიანთ საერთო წარმომავლობას აღიარებდნენ, მაგრამ, ამავე დროს, მხოლოდ საკუთარ ღვთაებებსაც მიაგებდნენ პატივს. გერმანელებთან მსგავსი საკულტო გაერთიანებების არსებობას ადასტურებს ტაციტუსი, როდესაც სენონების ტერიტორიაზე არსებული სიძველეების ზოგად გერმანულ მნიშვნელობაზე საუბრობს (10, 40).

ახ.წ. I – II საუკუნეების წყაროებში გერმანელთა გენეზისის ორიგინალური ვერსიის არსებობა, ვფიქრობთ, გერმანელების ეთნოგენეზზე მსჯელობისას ძალზე მრავლისმეტყველი ფაქტია. ის მნიშვნელობაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

ავტორის სტილი დაცულია

თავი IV

ვინ იყვნენ ძველი გერმანები და კელტები?რას წარმოადგენდა ანტიკური ხანის გერმანია და კელტიკა?

§1. ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის საკითხისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები და ტერმინები

გერმანელებისა და კელტების სახელით ანტიკური ხანის ავტორები ევროპის ცენტრალურ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს იხსენიებდნენ. აქ მაცხოვრებელი „ბარბაროსი" ხალხების შესახებ ბერძნებისა და რომაელებისშეხედულებები თანამედროვე ისტორიოგრაფიაზეც ახდენს გავლენას. თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევებში ხშირად ვხვდებით მათ სახელებთან რკინის, ან ბრინჯაოს (ან კიდევ უფრო ადრინდელი) ხანის არქეოლოგიური არტეფაქტებისა და ლინგვისტური სქემების დაკავშირების მცდელობებს. მიუხედავად ამისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე: ვინ იყვნენ ანტიკური ხანის კელტები და ძველი გერმანელები?

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მათი სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს:

1) ეთნიკურ ჯგუფებთან;

2) ტერმინებთან, რომლებიც თავიანთი შინაარსით უფრო ტოპონიმებს წარმოადგენდნენ;

3) ანტიკური ხანის ავტორების, ან სულაც თანამედროვე მკვლევარების პოსტულირებულ ცნებებთან, რომლებიც ერთგვარი კლასიფიკატორის როლს თამაშობენ და - რეალური ისტორიული შესატყვისობები არ გააჩნიათ;

4) ისტორიულ-კულტურულ რეალობასთან, რომელსაც თავისი ორიგინალური ჰაბიტუსი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემქნელი ადამიანები თავიანთ ერთობას ვერ აცნობიერებდნენ.

ძველი გერმანელებისა და კელტებისეთნოგენეზის პრობლემის გადაჭრა, ვფიქრობთ, შემდეგ კითხვებზე მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხის გაცემის საფუძველზე შეიძლება:

1) თუ რა ობიექტური რეალობა იმალება ანტიკური ხანის ავტორების მიერ

ავტორის სტილი დაცულია

“კელტიკად” და “გერმანიად” სახელდებული ისტორიული სინამდვილეების მიღმა;

2) როდის და როგორ მოხდა მათი (ე. ი. ამ ისტორიული სინამდვილეების) ფორმირება;

3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამ „ხალხების” სახელებთან გაიგივებული ლინგვისტური სქემები, არქეოლოგიური არტეფაქტების სერია, ეთნონიმები და ძველი პერიოდის ავტორების აღწერილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტები.

აქვე უნდა წარმოვაჩინოთ, თუ:

- *როგორ ხდებოდა ბერძნული და რომაული ეთნიკური კონსტრუქციების ფორმირება;*
- *რა თავისებურებები ახასიათებდა “ბარბარიკუმში” მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს; რა გავლენას ახდენდა მათზე ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციები;*
- *რატომ და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეთნოგენეტიკური კვლევისას ინტერდისციპლინარული მიდგომები.*

ამ პრობლემების ცალკეული ასპექტებზე I, II და III თავებში ისტორიული, არქეოლოგიური, ლინგვისტური და სხვა მეცნიერებების მონაცემების ანალიზისას უკვე გვქონდამსჯელობა. გამოკვლევის წინამდებარე ნაწილში ეს დასკვნები ძველი გერმანელებისა და კელტების გენეზისის შესახებ მწყობრი ვერსიების ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოვიყენოთ.

<u>თეორიული დასკვნების შეჯამება</u> -პირველ რიგში, ვფიქრობთ, მკაფიოდ უნდა ჩამოვაყალიბით ჩვენი პოზიცია თეორიული საკითხების მიმართ,რომლებსაც ანტიკური ხანის “ბარბაროსი” ხალხების ეთნო-სოციალურ ისტორიაზე მსჯელობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მსჯელობა ეთნიკურობის ფენომენის განხილვით უნდა დავიწყოთ. მიუხედავად იმასა, რომ წინამდებარე ნაშრომის სათაურია “ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა”, მიგვაჩნია, რომ მათი (ე.ი. ძველი გერმანელებისა და კელტების) ეთნოსების სახით წარმოდგენა არასწორია. ჩვენი აზრით, კლასიკური გაგებით ეთნოსები არათუ ზოგადად გერმანელებსა და კელტებს, არამედ ისეთ ჯგუფებსაც არ შეიძლება ვუწოდოთ,

ავტორის სტილი დაცულია

როგორებიცაა სვებები, ბასტარნები, კიმბრები, ედუები, სექვანები და სხვა(ისტორიოგრაფიაში მათ, ტრადიციულად, ტომებად იხსენიებენ).

საქმე ისაა, რომ ძირეულ გადასინჯვას მოითხოვს ძველი მსოფლიოს ხანის საზოგადოებების სტრუქტურა. ეს, პირველ რიგში, ტომის ცნებას ეხება, რომელიც ტრადიციულად "ბარბარიკუმის" უმთავრეს სოციალურ ელემენტად მოიაზრებოდა. ტომში, როგორც წესი,მეტ-ნაკლებად ეგალიტარულ პრინციპებზე ორგანიზებულ საზოგადოებას გულისხმობენ, რომლის წევრებსაც აქვთ საერთო ენა, ტრადიციები, სოლიდარობის განცდა, თვითსახელი და სხვა. ასეთი ტიპის გვაროვნული თემები, შესაძლოა, ანტიკური ხანის "ბარბარიკუმში" მართლაც არსებობდა, მაგრამ მათ საერთო არაფერი ჰქონდათ ტრადიციულად ტომებად სახელდებულ იმ აქტიურ ჯგუფებთან, რომელბსაც რომაელები შეურიგებლადებრძოდნენ. სექვანები, ედუები, სვებები, მაკრომანები და სხვები რეალურად იმ მეომარი კლანების სახელწოდებებია, რომლებიც გერმანიისა და კელტიკის ცალკეული მხარეების რესურსებსა და ტერიტორიას აკონტროლებდნენ. ცალკეული გვაროვნული თემებიც მათ დაქვემდებარებაში იყო მოქცეული, რომლებიც ამა თუ იმ კლანის განადგურების შემდეგ სხვა კლანის გავლენის ქვეშ გადადიოდნენ. ძემოთ (II თავის მესამე და III თავის მესამე პარაგრაფებში), ვფიქრობთ, აშკარად გამოჩნდა, რომ კელტური საზოგადოება ანტიკური ხანის სპარტის ტიპის სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა. იგივე შეიძლება ითქვას ძველი გერმანელების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ძველი გერმანული "პლებსის" შესახებ ნაკლები ინფორმაცია მოგვეპოვება.

ამგვარი მიდგომის გაზიარების შემთხვევაში ანტიკური ხანის გერმანია და კელტიკა (ისევე როგორც სხვა მსგავსი "ბარბაროსული" ერთობები) უნდა წარმოვიდგინოთ სივრცედ, სადაც ისტორიოგრაფიაში შეცდომით ტომებად სახელდებული მეომართა კლანები ერთმანეთს რესურსებისა და იმ ტერიტორიებისთვის ებრძოდნენ, რომლებზეც გვაროვნული თემის პირობებში მცხოვრები ჯგუფები სახლობდნენ.

"ბარბარიკუმის" სოციალური ყოფის ასეთ პირობებში წარმოდგენა, ვფიქრობთ, ადვილად წყვეტს თანამედროვე ეთნოგენეტიკური კვლევებისთვის მეტად აქტუალურ "მიგრაციონიზმისა" და "ავტოქტონიზმის" პრობლემასაც. გამომდინარე იქიდან, რომ ანტიკური ხანის წყაროებში დაფიქსირებულ და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე პოსტულირებულ მიგრაციებში

ავტორის სტილი დაცულია

მოგვიწევს "ელიტური მეომრული კლანების" გადაადგილება დავინახოთ და არა ხალხთა მასიური გადასახლება (საკითხის შესახებ უფრო დეტალურად იხ. II თავის მეორე პარაგრაფში). ამგვარი გადასახლებები, თუნდაც მას მომხვდურთა მხრიდან ახალი ტერიტორიის სრული ოკუპაცია მოჰყოლოდა შედეგადძირეულად არ ცვლიდა დაპყრობილ ტერიტორიის ეთნო-გენეტიკურ მახასიათებლებს (გამომდინარე იქიდან, რომ დამპყრობლები ელიტურ უმცირესობას წარმოადგენდნენ), თუმცა იწვევდა ახალი ტიპის საკომუნიკაციო კავშირების ქსელისა და შესაძლოა ახალი კოინეს ჩამოყალიბებას.სწორედ ამიტომ უჭირთ არქეოლოგებს პასუხი გასცენ კითხვას ცალკეული ახალი არტეფაქტების გამოჩენისა და არქეოლოგირი კულტური კომპლექსის გამოჩენის შემთხვევაში საქმე მიგრაციასთან გვაქვს, თუ აქ მცხოვრები ხალხების ავტოქტონურ განვითარებასთან. თუკი დავივიწყებთ სტერეოტიპულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ანტიკური ხანის ბარბარიკუმში ტომები ცხოვრობდნენ, ვფიქრობთ, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ კულტურებში მომხდარი ცვლილებები ადვილად შეიძლება ავხსნათ მეომართა ელიტური კოლექტივების მიერ ახალი ტერიტორიებისა და რესურსების ათვისებით, რომლებსაც ახალი საკომუნიკაციო ქსელის ჩამოყალიბება მოსდევდა.ასეთ შემთხვევაში არქეოლოგიური მეცნიერებისთვის დღემდე აქტუალური დისკურსი მიგრაციაVS ავტოქტონური განვითარება პრაქტიკულად აზრს კარგავს. გამომდინარე იქიდან, რომ ძირეულად იცვლება პასუხი კითხვაზე ვის მიგრაციაზე, ან ავტოქტონურ განვითარებაზეა მსჯელობა. ვფიქრობთ, არ გადავაჭარბებთ თუკი ვიტყვით, რომ ამ დისკუსიას(ვგულისხმობთ მიგრაციონიზმისა და ავტოქტონური განვითარების ერთმანეთთან დაპირისპირების დისკურსს) მხოლოდ ის ასაზრდოვებდა, რომ XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის მეცნიერები ანაქრონულად მოიაზრებდნენ ნაციებს (უფრო სწორად მათ "შემცირებულ" ნაირსახეობას – ტომებს) ქვის, ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ისტორიის პერსონაჟებად.

"ბარბარიკუმის" ყოფის ამგვარ სოციალურ კონტექსტში გააზრება, ვფიქრობთ ენათმეცნიერებისთვის დილემური პრობლემების იოლად გადაჭრაშიც გვეხმარება. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში ინდოევროპული (თუ კელტური) კილო-კავების მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელება უკავშირდება არა "ინდოევროპელი ხალხების" მიგრაციებს (რასაც ასე ეწინააღმდეგება არქეოლოგიისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემები),

ავტორის სტილი დაცულია

არამედ ვაჭრებისა, თუ მეომრების ელიტური მცირე ჯგუფების გადაადგილებებს. მიგრაციის ეს პროცესი, ახლად ათვისებულ ტერიტორიაზე არ არღვევდნენ ეთნო-გენეტიკურ უწყვეტობას, მაგრამ ცვლიდა საკომუნიკაციო ქსელებს, რასაც გარკვეულ შემთხვევაში რეგიონში ახალი ენების (კოინეების) გაჩენა მოსდევდა. როგორც ეს რომაელების მიერ გალიის დაპყრობის შემთხვევაში მოხდა.

ვფიქრობთ, ცალკე განხილვის თემაა ეთნიკურობის ფენომენი (საკითხის შესახებ უფრო კონკრეტულად იხ. III თავის მესამე პარაგრაფი). ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანტიკური ხანის "ბარბარიკუმში" ეთნიკურ იდენტობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ამ პერიოდში იგიკლანურ-გვაროვნულ და რელიგიურ იდენტობასთან შედარებით დაჩრდილულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული. ტერმინები "კელტი", "გერმანელი", "ბასტარნი", "არვერნი" ალბათ ანტიკურ ხანაში იმ კონოტაციას არ ატარებდა, რასაც დღეს ეთნონიმების ხსენებისას განვიცდით. ისინი ცვალებადი მნიშვნელობის ცნებებს წარმოადგენდნენ, რომლებიც არ ემთხვეოდა არც რელიგიურ, არც კლანურ-გვაროვნულ, არც ეთნიკურ იდენტობას.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, ვფიქრობთ, ანტიკური ხანის "ბარბარიკუმის" შესახებ ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებები კრიტიკულადაა შესაფასებელი. მაგალითად, ამ გადასახედიდან არაადექვატურადმოჩანს სხვადასხვა "ხალხების" ფიზიკურ-ანთროპოლოგიური და "ეთნო-ფსიქოლოგიური" მახასიათებლების გამოყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ სიყვები: გერმანელი, თრაკიელი, ილირიელი, კელტი და სხვა კლასიკური გაგებით ეთნონიმებს არ წარმოადგენდნენ. ასევე,გადასინჯვას საჭიროებს სხვადასხვა "ბარბაროსი" ხალხებს (მაგალითად გერმანელებსა და კელტებს) შორის საზღვრების დადგენისა და ამა თუ იმ "ტომის" გერმანიკულ თუ კელტურ სინამდვილისადმი მიკუთვნების დისკურსი, რომელიც ანტიკურ ისტორიოგრაფიას (მისი გავლენით კი თანამედროვე "ეთნოგენეზოლოგიასაც") ახასიათებს(საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. III თავის მესამე პარაგრაფში).სოციოლინგვისტიკური კვლევები ადასტურებს, რომ ენებს ბუნებრივ პირობებში (ანუ თუკი ისინი სახელმწიფო საზღვრებით არ არიან შემოსაზღვრული) საზღვრები არ აქვთ (124, 272). ასეთ სიტუაციაში კი ადვილად იქმნება ლინგვისტური უწყვეტობის სიტუაცია, როცა ერთი აულის

ავტორის სტილი დაცულია

წარმომადგენლებს ესმით მეორის, მეორეს – მესამის, მესამის – მეოთხის, მაგრამ მეხუთესთვის კი უკვე ძნელია პირველის გაგება.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, ვფიქრობთ, ანტიკური ხანის ეთნიკური კონსტრუქციების სრულად იგნორირება და ფიქციად გამოცხადებაც არ შეიძლება (რისი ტენდენციაც თანამედროვე ისტორიოგრაფიაში იგრძნობა (საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. III თავის მესამე პარაგრაფში). მიუხედავად იმისა, რომ კელტურ და გერმანულ სამყაროში არ იყო ეთნიკური იდენტობის გამოკვეთილი განცდა; არ არსებობდა "ბარბაროსულ" სინამდვილეებს შორის მკაფიო საზღვრები, კელტურ და გერმანულ კულტურას მაინც საკუთარი განუმეორებელი ჰაბიტუსი ჰქონდა, რომლის ჩამოყალიბებასაც მობილური ელიტური ჯგუფები და მათ მიერ ნებსით თუ უნებლიედ ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო კავშირების ქსელი განაპირობებდა. ვფიქრობთ, იგივე მიზიზები ქმნიდასაერთო სალაპარაკო ენის შექმნის შესაძლებლობასაც. ამ შემთხვევაში სავსებით შეგვიძლია დავეთანხმოთ კ. ჰოუკსა და კ. დებს, რომლებიცთვლიან, რომ კელტური და გერმანული სამყაროს ეს ორიგინალური ჰაბიტუსი თვალშისაცემი იყო ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორებისთვის. სწორედ ამიტომ გამოყოფდნენ ისინი ასე თამამად კელტიკას, გერმანიას, თრაკიას, ილირიას და სხვა (66, 89). იმავე მიზეზების გამო არქეოლოგებს დიდი ხნის განმავლობაში მარტივად შეეძლოთ კელტებთან, ან სხვა სინამდვილეებთან ცალსახად ასოცირებული არქეოლოგიური კულტურები გამოეყოთ.

<u>საკვლევი შეკითხვები</u>- ზემოთ ჩამოყალიბებული თეორიული დასკვნების გათვალისწინებით ვფიქრობთშესაძლებელი ხდება იმ პრბლემების ორიგინალურად გადაჭრა, რომლებსაც, ტრადიციულად, ძველიგერმანელებისა და კელტებისა ეთნოგენეზზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება:

1) როდის გამოჩნდნენ ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში ძველი გერმანელებისა და კელტების წინაპრები(ინდოევროპეისტიკის პრობლემები);

2) როდის ჩამოყალიბდა და რას წარმოადგენდაეთნოლოგიური თვალსაზრისით ანტიკური ხანის წყაროებში აღწერილი ძველი გერმანული და კელტური ერთობები;

3) რა მიმართებაშია ანტიკური ხანის ავტორებისთვის ცნობილი გერმანია და კელტიკა თანამედროვე მეცნიერული ფაქტების კონსტრუქციის

ავტორის სტილი დაცულია

საფუძველზე პოსტულირებულ "პროტოკელტურ"-"პროტოგერმანულ" ლინგვისტურ სინამდვილეებთან და ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიურ კულტურებთან?

ვფიქრობთ, ამ საკითხების ზემოთ ჩამოყალიბებული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში შესწავლა ლოგიკურად მიგვიყვანს პასუხებამდე იმ საკვლევი შეკითხვებისთვის, რომლების გაშუქებასაც მიზნად წინამდებარე ნაშრომი ისახავს:

1) თუ რა ობიექტური რეალობა იმალება ანტიკური ხანის ავტორების მიერ "კელტიკად" და "გერმანიად" სახელდებული ისტორიული სინამდვილეების მიღმა;

2) როდის და როგორ მოხდა მათი (ე. ი. ამ ისტორიული სინამდვილეების) ფორმირება;

3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამ „ხალხების" სახელებთან გაიგივებული ლინგვისტური სქემები, არქეოლოგიური არტეფაქტების სერია, ეთნონიმები და ძველი პერიოდის ავტორების აღწერილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტები.

წინამდებარე ნაშრომი ასევე წარმოაჩენს, თუ:

- *როგორ ხდებოდა ბერძნული და რომაული ეთნიკური კონსტრუქციების ფორმირება;*
- *რა თავისებურებები ახასიათებდა "ბარბარიკუმში" მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს; რა გავლენას ახდენდა მათზე ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციები;*
- *რატომ და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეთნოგენეტიკური კვლევისას ინტერდისციპლინარული მიდგომები.*

<u>**I, II და III თავში გაკეთებული დასკვნების შეჯამება**</u>–ზემოთ ჩამოყალიბებული პრობლემების ცალკეული ასპექტები I, II და III თავებში, ისტორიული, არქეოლოგიური, ლინგვისტური და სხვა მეცნიერებების მონაცემების ანალიზისას უკვე იქნა განხილული. კერძოდ, კელტურ ენებზე მსჯელობისას(II თავის პირველ პარაგრაფში) გაირკვა, რომ:

1) "პროტოკელტური" ენა მონათესავე ენების უბრალო კავშირს წარმოადგენდა და არა "ფუძეენას";

2) არასოდეს არსებობდა "პროტოკელტურ-იტალიური" ერთობა;

ავტორის სტილი დაცულია

3) კელტურ ენებს ბევრი საერთო აქვთ ე. წ. "ძველევროპულ" ენებთან;

4) კელტურ ენებში, არიული ენების მსგავსად, კარგად არის შემორჩენილი სამართლებრივი და რელიგიური ტერმინოლოგიის ამსახველი "პროტოინდოევროპული" ლექსიკა;

5) ირლანდიური ენა შესაძლოა "სუბსტრატული" არაინდოევროპული ენების გარკვეულ გავლენას განიცდიდეს.

არქეოლოგიური მონაცემების ანალიზისას (II თავის მეორე პარაგრაფში) გამოჩნდა, რომ:

1) ინდოევროპული ენობრივი ოჯახის კელტურ-იტალიურ-ილირიული ფრთის წარმომადგენლები ძვ.წ. III ათასწლულის მეორე ნახევარში პოლტავინოს არქეოლოგიური კულტურის სახით იყვნენ წარმოდგენილი; ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მათ ძელური არქეოლოგიური კულტურა წარმოადგენს; ძვ.წ. I ათასწლეულში კი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის - ე.წ. კიმერიული არქეოლოგიური კულტურები;

2) საკუთრივ კელტების წინაპრების კვალი ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის დასავლეთ ნაწილის ლოკალურ ვარიანტებშია საძიებელი, რომლების საფუძველზეცლატენის არქეოლოგიური კულტურა ჩამოყალიბდა;

2) ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან მეომართა ელიტების სახით მოსულმა ეთნო-ლინგვისტურმა ელემენტმა შეასრულა;

3) ჰალშტატი საკმაოდ "ჰეტეროგენული", ლატენი კი საკმაოდ "ჰომოგენური" არქეოლოგიური რეალობაა.

კელტების ისტორიის ამსახველი წერილობითი წყაროები ადასტურებენ (მათი კრიტიკული ანალიზი იხ. II თავის მესამე პარაგრაფში), რომ:

1) ტერმინი კელტი, ძვ.წ. VI – V საუკუნეებში, მხოლოდ გეორაფიული შინაარსის მქონე სიტყვას წარმოადგენდა; შესაბამისად, იგი არ გამოხატავდა "ბარბარიკუმში" მცხოვრები ხალხების ეთნიკური იდენტობის მარკერს;

2) ძვ.წ. IV – III საუკუნეებში სიტყვა "კელტი" ტერმინების"გალატი","გალისგან" განსხვავებულ ისტორიულ რეალობას ასახავს;

3) სიტყვები "გალი" და "გალატი" საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილ ისტორიულ რეალობას ასახავენ, რომლის მატარებლებსაც იდენტობის საერთო საშუალებები ჰქონდათ.;

ავტორის სტილი დაცულია

5) გალატების თავდაპირველი განსახლების ადგილი საფრანგეთის ჩრდილოეთ და შვეიცარიის დასავლეთ ნაწილშია საძიებელი.

გერმანიკული ენების შესახებ მსჯელობისას (III თავის პირველი პარაგრაფი) გაირკვა, რომ:

1) "პროტოგერმანული," "პროტოკელტურისგან" განსხვავებით, "ფუძეენას" წარმოადგენდა, რომლის წიაღშიც უმნიშვნელო დიალექტური განსხვავებები არსებობდა;

2) "პროტოგერმანიკულის"უმთავარი ლინგვისტური მახასიათებლები ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, ან კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდში ჩამოყალიბდა;

3) გერმანიკულ ენებში დაცული არქაიზმები ლინგვისტებს ავარაუდებინებს, რომ ისინი (უფრო სწორედ მათი წინაპარი ენები და დიალექტები), დიდი ხნის განმავლობაში, სხვა ინდოევროპული ენებისგან იზოლირებულ გარემოში ვითარდებოდნენ;

4) "პროტოგერმანიკული" სლავურისა და სხვა "ძველევროპული" ენების მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა;

5) საკუთრივ გერმანულ ტოპონიმებს მდინარე ვეზერის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში ვხვდებით. მაშინ, როცა უფრო სამხრეთ რაიონებში შერეულ ჰიდრო- -ტოპონიმიკასთან გვაქვს საქმე;

6) არასოდეს არსებობდა „პროტოდასავლეთგერმანული", ანუ ინგვეონური, ისტვეონური და ერმიონული დიალექტებისათვის არქეტიპული ენა. მათ შორის არსებული ენობრივი მსგავსებები მერმინდელი კონვერგაციის შედეგს წარმოადგენს;

7) არასოდეს არსებობდა "გოთურ-სკანდინავური", ანუ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გერმანული მასივებისთვის არქეტიპული "პროტოენა".

ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემის არქეოლოგიურ ასპექტებზე მსჯელობისას (III თავის მეორე პარაგრაფი)გაირკვა, რომ:

1) ინდო-ევროპული ენობრივი ოჯახის "პროტობალტიურ-სლავურ-გერმანიკული" ფრთის წარმომადგენლები, ანუ ის ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები, რომლების საფუძველზეც, მოგვიანებით, გერმანული, ბალტიური და სლავური ისტორიული ერთობები ჩამოყალიბდა ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში, საბრძოლო ცულების არქეოლოგიური კულტურის კვალდაკვალ გამოჩნდნენ;

ავტორის სტილი დაცულია

2) ძველი გერმანელების კვალი ჩრდილოეთ ევროპის ე. წ. ლატენიზირებული კულტურების წიაღში უნდა ვეძებოთ;

3) არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულში მდ. რაინის აღმოსავლეთ ნაწილში მრავალი განსხვავებული წარმოშობის მქონე არქეოლოგიური კულტურა არსებობდა;

4) ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ჩრდილოეთ ევროპაში ხალხთა მასიური მიგრაციები მიმდინარეობს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის ამ ნაწილის ეთნოსოციალურ სურათს.

ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი (იხ. III თავის მესამე პარაგრაფი) ადასტურებს, რომ:

1) იულიუს კეისრის ეპოქის გერმანია გეოგრაფიული შინაარსის ტერმინია; ამ პერიოდში სიტყვა "გერმანელი" არ წარმოადგენს რაინის აღმოსავლეთით მცხოვრები ხალხების ეთნიკური იდენტობის მარკერს;

2) ტაციტუსის ეპოქის გერმანია მკაფიოდ გამოკვეთილი ეთნო–კულტურულრეალობაა; ტერმინი გერმანელი კი – "ბარბარიკუმში" მცხოვრები ხალხების თვითიიდენტიფიკაციის საშუალებაა.

<u>ნაშრომში გამოყენებული ტერმინები</u> - ვფიქრობთ აქვე, საჭიროა, კომენტარი ზოგიერთი სამეცნიერო ტერმინის არსის შესახებ გავაკეთოთ. ჩვენი აზრით, ეთნოგენეტიკურ გამოკვლევებში "პრა," "პრე," "პროტო" თავსართიანი სიტყვების მნიშვნელობა შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. ვფიქრობთ, როდესაც ძველი გერმანელების, კელტების, ან სხვა მსგავსი ისტორიული სინამდვილეების ფორმირების საკითხებზე ვმსჯელობთ ტერმინი კელტი და გერმანელი სამი სხვადასხვა მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ. სიტყვით „კელტი" (ან „გალი", ან „გალატი") და „გერმანელი" კონკრეტული "ტომები", ან "ტომთა კავშირები" უნდა აღვნიშნოთ, რომლებიც ანტიკური ხანის ავტორების თხზულებებში ფიგურირებს. მაგალითად ისეთები, როგორიცაა: ბოიები, არვერნები, ედუები, მარკომანები, ჰერმუნდურები, ფრანკები და სხვა. გარდა ამისა ეთნოგენეზის საკითხების განხილვისას ჩვენ გვჭირდება ტერმინი, რომელიც კელტურ და გერმანიკულ ენებზე მოსაუბრე ჯგუფების იმ მდგომარეობას დაახასიათებს, როცა ისინი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ძირს ქმნიდნენ. ლინგვისტები ასეთ სინამდვილეს "პროტოკელტურსა" და "პროტოგერმანიკულს" უწოდებენ. მაშასადამე, ტერმინ „პროტოკელტურისა" და „პროტოგერმანულის" ქვეშ (როგორც ეთნოგრაფიული, ისე ლინგვისტური

ავტორის სტილი დაცულია

თვალსაზრისით) ჩვენც ის არქეტიპული ისტორიული სინამდვილეები უნდა მოვიაზროთ, რომლებიც ამ ლინგვისტური ცნებების ქვეშ იგულისხმება. ასევე საჭიროა ცალკე ტერმინით აღვნიშნოთ ის ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები, რომლების საფუძველზეც თავად "პროტოკელტური" და "პროტოგერმანული" ისტორიული სინამდვილე ჩამოყალიბდა. ვფიქრობთ, მართებული იქნება, თუ მათ "პრეკელტებად" და "პრეგერმანელებად" მოვიხსენიებთ.

აქვე გვსურს ხაზი კიდევ ერთხელ გავუსვათხაზი ამ ტერმინების პირობითობას. საქმე ისაა, რომ ეთნოგენეტიკური პროცესები სწორხაზოვნად არ მიმდინარეობს და ე.წ. „პროტო სინამდვილეების" რეალური არსი ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს (იხ. II თავის პირველი პარაგრაფი). ხშირად ეს ტერმინები ერთმანეთის გადამკვეთი, ან მეტად ბუნდოვანი შინაარსის მატარებელია. თუმცა, ვფიქრობთ, საკითხის არსის მკაფიო ფორმულირებისთვის მათი გამოყენების აუცილებლობას ვერსად წაუვალთ.

<u>§2. კელტების ეთნოგენეზის პრობლემა</u>

ისტორიოგრაფიაში კელტების ეთნოგენეზად სახელდებული პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენ შემდეგი პრობლემების გაანალიზება მიგვაჩნია საჭიროდ:

1) როდის გამოჩნდნენ ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში კელტების წინაპრები? რა საერთო აქვთ მათ "პროტოინდოევროპელებთან"? ;

2) როდის ჩამოყალიბდა და რას წარმოადგენდაეთნოლოგიური თვალსაზრისით ანტიკური ხანის წყაროებში აღწერილი კელტიკა?

3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ანტიკური ხანის ავტორების კელტიკა თანამედროვე მეცნიერული ფაქტების კონსტრუქციის საფუძველზე პოსტულირებულ "პროტოკელტურ" ლინგვისტურ სინამდვილესთან და ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიურ კულტურებთან?

<u>საკითხის ისტორიოგრაფია</u> - კელტების "ეთნოგენეზზე" მსჯელობა საკითხის ისტორიოგრაფიული მიმოხილვით უნდა დავიწყოთ. თანამედროვე კელტოლოგიაში, შეიძლება ითქვას, რომ ორი მიმართულება იკვეთება, რომლებიც ანტიკური ხანის კელტების (თუ კელტიკის) გენეზისის საკითხს სხვადასხვა სამეცნიერო პარადიგმის ჩარჩოებში წარმოადგენს.

პირველ მიმართულებაში პირობითად შეგვიძლია გავაერთიანოთ მეცნიერები, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში დამკვიდრებული კონსტრუქციების ფარგლებში მუშაობენ. კერძოდ,

ავტორის სტილი დაცულია

ისინი კელტოლოგიის საკითხებს ინდოევროპეისტიკასთან მჭიდრო კავშირში განიხილავენ და აქტიურად ეძებენ „პროტოკელტური ენის“ შესაბამის არქეოლოგიურ კულტურებს; მათთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მიგრაციის იმ გზების ძიება, რომელთა საშუალებითაც ცალკეულმა კელტურმა ენობრივმა ჯგუფებმა თავიანთ ისტორიულ საცხოვრისს (მაგალითად, ბრიტანეთსა და ესპანეთს) მიაღწიეს.

თუკი ამ კუთხით შექმნილ ლიტერატურას გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ კელტების (თუ ინდოევროპელების) ევროპის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში მოსვლა ორი განსხვავებული გზით ივარაუდება. ერთ შემთხვევაში იგი უკავშირდება ჩრდილოეთ ევროპის საბრძოლო ცულების (იგივე ზონრიანი კერამიკის), ან ზარისებრი თასების არქეოლოგიურ კულტურას; მეორე შემთხვევაში კი – შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ცენტრალური ევროპის არქეოლოგიურ კულტურებს (კერძოდ, ურნასამარხების, ან ყორღანულ კულტურას) (საკითხის შესახებ იხ. II თავის მეორე პარაგრაფი).

მაგალითად, დ. ჰოკსი „კელტებად“ ზარისმაგვარი თასების კულტურის შემქმნელებს თვლის, რომლებიც მოგვიანებით ზონრიანი კერამიკის კულტურის ხალხებს შეერივნენ (65, 99). ნ. ჩედვიკი და მ. დილონიც დაახლოვებით იგივე აზრისანი ჩანან (53, 128). ა. უბერი კი მათ საწყისებს მეგალითების ეპოქის ბრიტანეთში ეძებს (120, 109).

მკვლევართა მეორე ჯგუფში უნდა მოვიხსენიოთ ი. ფილიპი, რომელიც თვლის, რომ „პროტოკელტები” გვიანბრინჯაოს ხანაში ყორღანული და ურნასამარხების სინთეზის შედეგად ცენტრალურ ევროპაში ჩამოყლიბდნენ (280, 124-144) და პ. ბოშ-გიმპერა, რომელიც მათ (ე.ი. კელტების) სახელს, ესპანეთის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ურნასამარხების არქეოლოგიურ კულტურას უკავშირებს (64, 100)[43].

ამ ტიპის თეორიების გვერდით XX საუკუნის მეორე ნახევრის კელტოლოგიაში გამოჩნდა არქეოლოგთა ახალი თაობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად სხვა სამეცნიერო პარადიგმის ფარგლებში მუშაობს.

---

[43] *ამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მათი წინარესამშობლოს უფრო ვიწროდ ლოკალიზების მცდელობისას დიდ დახმარებას ჰიდრო–ტოპონიმიკის მონაცემები გვიწევს. საქმე ისაა, რომ კელტური ტოპონიმები აბსოლუტურ უმრავლესობას კიოლნიდან ბოჰემიამდე და ტიურინგიამდე ტერიტორიაზე წარმოადგენს. ეს კი უფლებას გვაძლევს კელტურ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს სტატუსი სწორედ ამ და მის მიმდებარე ტერიტორიას მივანიჭოთ.*

ავტორის სტილი დაცულია

კერძოდ, ისინი სკეპტიკურად არიან განწყობილი „მიგრაციული თეორიების“ მიმართ და შესაბამისად, ტრადიციული ინდოევროპეისტიკის საკითხებსაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, კ. რენფრიუ, კელტური ენების განვითარებაზე მსჯელობას უკვე ნეოლითური ხანიდან იწყებს (173, 233-267), მ. ალინეი „პალეოლითურ უწყვეტობაზეც“ კი საუბრობს (29, 56-65). ბ. კანლიფის თხზულებებიდან კი ისე ჩანს, რომ მას კელტურად დასავლეთ ატლანტიკური არქეოლოგიური კულტურების ზონა მიაჩნია (65, 178-203). განსხვავებით პირველი მიმართულების მკვლევრებისგან არც ერთი მათგანი დეტალურად არ განიხილავს კელტური მიგრაციების გზებს და არ საუბრობს რომელიმე კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტური კულტურების ერთმანეთთან მიმართების შესახებ.

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მათ საკვლევ შეკითხვებს შორის პარადიგმულ აცდენებს არქეოლოგიაზე მეტად ისტორიისა და ენათმეცნიერების მონაცემებისადმი დამოკიდებულება განაპირობებს. პირველი მიმართულების მკვლევრებისთვის კელტიკა და ე.წ. „პროტოკელტური ენა“ მეტ-ნაკლებად ჰომოგენური რეალობაა, რომელიც საკმაოდ ვიწრო არეალში, აქტიური ისტორიული პროცესების (მაგალითად მიგრაციების) ფოზე უნდა ჩამოყალიბებულიყო[44]. მეორე მიმართულების მკვლევრებისთვის ისტორიული კელტიკაცა და მით უფრო „პროტოკელტური ენა“ ეფემერული რეალობაა, რომელიც პრაქტიკულად მოწყვეტილია ისტორიულ ექვივალენტებს. სწორედ ამიტომ არის ასე ადვილი მათთვის კელტების სახელს დაუკავშიროს ევროპაში ნეოლითური კულტურები, დასავლეთ ატლანტიკური ზონა და სხვა.

ყველაზე უფრო თანმიმდევრულად ამ ტიპის თეორია კ. რენფრიუს აქვს ჩამოყალიბებული. ავტორი არქეოლოგია, მაგრამ იგი ფართოდ იყენებს ა. ტოვარის ენათმეცნიერულ დასკვნებს. იგი, რომ კელტური ენების ფორმირება არა რომელიმე ლოკალურ ზოლში, არამედ მთელ იმ ფართო გეოგრაფიულ არეალში მიმდინარეობდა, რომელზეც ძვ.წ. I საუკუნისათვის კელტურ ენებზე მოსაუბრე ხალხები იყვნენ გავრცელებული (გარდა აპენინის და მცირე აზიის ნახევარკუნძულებისა, სადაც გალატები აშკარად გვიან არიან მისული). მისი აზრით, აქ, ნეოლითის ხანიდან ისტორიულ დრომდე, მნიშვნელოვანი მიგრაცია

---

[44] *როგორც წესი ასეთ ვიწრო არეალად ჰიდრო–ტოპონიმიკის მონაცემებზე დაყრდნობით კიოლნიდან ბოჰემიამდე და ტიურინგიამდე ტერიტორია ითვლება. ვინაიდან ამ ტერიტორიაზე ცხვდებით კელტური ტოპონიმების მაქსიმალურ კონცენტრაციას.*

ავტორის სტილი დაცულია

არ მომხდარა. „ძველევროპული“ ენობრივი მასივის ინდოევროპელები ამ ტეროტორიაზე ნეოლითის ხანიდან ცხოვრობდნენ. კელტურ ენებსა და კელტი ხალხების კულტურას შორის არსებული მსგავსებების მიზეზად კი ავტორს ნაწილობრივ მათი ჩამოყალიბების მსგავსი პირობები, ნაწილობრივ კი მათ მეზობლობა მიაჩნია (173, 233-267).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ისტორიოგრაფიაში ასევე ფიგურირებს ე. წ. „პალეოლითური უწყვეტობის” თეორია (29, 56-65), რომელიც „პროტოკელტურისა” და „პროტოინდოევროპულის” არსს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის. ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორსაც მიდის და არათუ „პროტოკელტებში”, არამედ ძვ.წ. I საუკუნეში საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ გალებში ხედავს გაცნობიერებულ ისტორიულ ერთობად. ასეთთა შორის უნდა მოვიხსენიოთ, მაგალითად, კ. ვერნერი, რომელიც იულიუს კეისარს მიიჩნევს გალების ნაციის “შემოქმედად” (212, 211).

რა შეიძლება ითქვას ზემოთ აღწერილი პარადიგმული აცდენების შესახებ? ქვემოთ, კელტური ამ ენობრივი ოჯახის შესახებ მსჯელობამ დაგვანახა, რომ ძალიან ჭირს მისი ჩამოყალიბების დროის შესახებ დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა, რადგან ლინგვისტების აღდგენილი „პროტოკელტური ენა” საკმაოდ ეფემერული რეალობაა, რომლის წიაღშიც ერთმნიშვნელოვანი არქეტიპების გამოყოფა არ ხერხდება („პროტოკელტურზე მსჯელობა იხ. თავი II – ის პირველ პარაგრაფში). მაშასადამე, დღევანდელი გადასახედიდან „პროტოკელტური ენა” უფრო სხვადასხვა პერიოდის მონათესავე ენობრივი ჯგუფების ერთობას გავს, ვიდრე „ფუძე ენას“, რომლის წიაღშიც მინიმალური დიალექტური განსხვავებები არსებობს.

მეორე მხრივ ანტიკურ ლიტერატურაში ვხვდებით ცალკეულ პასაჟებს, რომლებიც კელტიკის გეოგრაფიულ ცნებად აღქმისკენ გვიბიძგებენ. მაგალითად, დიოდორე სიცილიელი გვეუბნება, რომ კელტს, თავდაპირველად, მასალიის მახლობლად მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს უწოდებდნენ და ეს სახელი მხოლოდ მოგვიანებით გახდა დასავლეთისმთელი “ბარბაროსული” სამყაროს აღმნიშვნელი (173, 69). თითქოს, ამასვე ადასტურებს ჰესიოდეს ნაშრომებიც, საიდანაც ჩანს, რომ ძვ.წ. VIII საუკუნის ბერძენმა ავტორმა, რომელიც ევროპის დასავლეთ ნაწილზე საუბრობს, კელტების არსებობის შესახებ კი არაფერი იცის (ამ საკითხის შესახებ მსჯელობა იხ. II თავის მესამე პარაგრაფში).

ავტორის სტილი დაცულია

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით ტრადიციულად „პროტოკელტების" სახელთან გაიგივებული ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურა მეტად ჰეტეროგენული არქეოლოგიური რეალობაა (ამ საკითხის შესახებ მსჯელობა იხ. II თავის მესამე პარაგრაფში). ცუდი პრესით სარგებლობს ჟ. დიუმეზილი და მისი მომხრე ისტორიკოსებიც, რომლებიც „პროტოკელტურ-პროტოინდოევროპული" რელიგიურ-მითოლოგიური სისტემების რესტავრირებას ცდილობენ. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, რომ მეტად სტერეოტიპულად გვეჩვენება კელტების ფიზიკურ-ანთროპოლოგიურ მონაცემებზე მსჯელობა.

ყოველივე ეს, თითქოს მეორე მიმართულების მკვლევრების სასარგებლოდ მეტყველებს და გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ანტიკური ხანის კელტიკა მხოლოდ თეორიულ პოსტულატს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ მისი აღმწერი ანტიკური ხანის ავტორების წარმოსახვაში არსებობდა. თუმცა, არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ ბევრი ენობრივი, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემი პირველი მიმართულების მკვლევრებისთვის სასარგებლო არგუმენტების ჩამოყალიბების საშუალებასაც გვაძლევს.

ლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ "პროტოკელტური" მიუხედავად იმისა, რომ იგი "ფუძეენა" არ არის, არც "პროტოიტალიურ – კელტურის" მსგავსი ცალკეული იზოგლასების ერთობაა. აშკარად ჩანს, რომ კელტურ ენებს სხვა „ძველევროპულ" ენებთან მიმართებაში გამოკვეთილი სახე აქვთ. არსებობს ბევრი ლინგვისტური ნიუანსი, რომლებიც მათ ერთმანეთთან აახლოვებს. ეჭვს არ იწვევს კელტური ენების ძირეულ და აფიქსურ მორფემებში რეგულარული ბგერათშესატყვისობების არსებობაც, რაც, ალბათ, მათი ფორმირების არეალის სიახლოვეზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამ არეალს, რა თქმა უნდა, მკაფიო საზღვრები ვერ ექნებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური თვალსაზრისისთ მისი ლოკალურობას ეჭვქვეშ ვერ დავაყენებთ. მით უფრო, რომ კელტოლოგიაში (განსხვავებით, მაგალითად სლავისტიკისა და ინდოევროპეისტიკისგან) კელტების წინარესამშოლოს საკითხი სადისკუსიო არ არის. ამ მხრივ ტოპონიმიკა-ჰიდრონიმიკის მონაცემებზე დაყრდნობით ლინგვისტები ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებენ ევროპის ცენტრალურ ნაწილზე. კერძოდ, კიოლნიდან ბოჰემიამდე

ავტორის სტილი დაცულია

და ტიურინგიამდე ტერიტორიაზე. ვინაიდან სწორედ აქ ვხვდებით კელტური ტოპონიმების მაქსიმალურ კონცენტრაციას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ ფართო სივრცეში, რომელსაც კ. რენფრიუს, მ. ალინეის, ბ. კანლიფის და სხვა „მეორე მიმართულების“ მკვლევრები კელტური და სხვა „ძველევროპული ჯგუფების“ ფორმირების არეალად წარმოდგივდგენენ ბევრი არაინდოევროპული ენისა თუ ენობრივი ჯგუფის არსებობაცაა დადასტურებული. მაგალითად აქ ცხოვრობდნენ ბასკები, ტარტესები, იბერები, პიქტები[45] და სხვა. მათი ენები როგორც ერთმანეთისგან, ისე ინდოევროპული ენებისგან ძალიან განსხვავდებიან. ვფიქრობთ, „მეორე მიმართულების“ მკვლევრების“ მიერ შემოთავაზებული მოდელის ფარგლებში (რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მოგრაციულ პროცესებს) ძნელად თუ აიხსნება ის, თუ რამ განაპირობა დასავლეთ ევროპაში ამგვარი ენობრივი მრავალფეროვნების არსებობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ინდოევროპული ენების ფორმირება ძნელად წარმოსადგენია ისეთ არეალში, რომელიც a priori არაინდოევროპელი ხალხების განსახლების არეალს წარმოადგენდა“ (81, 34). ჯ. მელორისა და ა. ადამსის ეს დაკვნა, ინდოევროპეისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჯერ კიდევ მყარ არგუმენტად რჩება; აქვე უნდა ითქვას, რომ არც ინდოევროპულ ენებს შორის არსებული მსგავსებების კომპარატივისტიკისგან განსხვავებული პარადიგმის ჩარჩოებში ახსნის მცდელობები გამოიყურება დამაჯერებლად.

მაშასადამე გამოდის, რომ ლინგვისტური მასალა საფუძველს გვაძლევს კელტური ენები მონათესავე ენების კავშირად ჩავთვალოთ. თუმცა:

ა) ეჭვქვეშ არ უნდა დავაყენოთ მეტ-ნაკლებად ლოკალური სივრცის (ანუ მათი წინარესამშობლოს) არსებობის ფაქტი, საიდანაც ისინი თავიანთ ისტორიული განსახლების არეალში გავრცელდნენ;

ბ) დღის წესრიგიდან არ უნდა მოვხსნათ დასავლეთ ევროპაში ინდოევროპული ენების გავრცელების ქრონოლოგიის პრობლემა;

გ) ხელი არ უნდა ავიღოთ „პროტოკელტურის“ (ენების და არა ხალხის) შასაბამისი არქეოლოგიური კულტურების ძიებაზე.

---

[45] *აქ არ ვახსენებთ ლიგურებსა და ლუზიტანელებს, რომლებსაც ზოგჯერ ინდოევროპელებად განიხილავენ.*

ავტორის სტილი დაცულია

უბრალოდ, უარი უნდა ვთქვათ "პროტოკელტურის" ცნების უკან გაცნობიერებული ისტორიული ერთობის დანახვაზე (საკითხის ისტორიული ინტერპრეტაციის შესახებ უფრო სიღრმისეულად ქვემოთ იქნება მსჯელობა).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჟ. დიუმეზილისა და მისი მომხრეების თეორიების ბევრი ნაკლოვანების მიუხედავად სავსებით ნათელია, რომ კელტური მითოლოგია-რელიგია საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული რეალობაა, რომელიც მაგალითად იტალიური და გერმანული კოსმოლოგიებისაგან ძლიერ განსხვავდება.

ისტორიაზე და არქეოლოგიაზე მსჯელობისას კი არ უნდა დავივიწყოთ, ზემოთ (II თავის მესამე პარაგრაფში) შემოთავაზებული მსჯელობა იმის შესახებ, რომ VI – V საუკუნეების კელტიკა და IV – III საუკუნეების გალია / გალატია თვისობრივად განსხვავებულ ისტორიულ ფენომენს წარმოადგენს. პირველი მათგანი მხოლოდ გეოგრაფიული მასალის სისტემატიზირებისთვის შემოტანილი ტერმინია (მიუხედავად იმისა, რომ იგი ეტიმოლოგიურად კელტური ენების ფონდიდან მომდინარეობს), მეორე კი "ბარბარიკუმში" მცხოვრები ჯგუფების იდენტობის მარკერს წარმოადგენს. რქეოლოგიური თვალსაზრისით, კი ძლიერ არგუმენტად რჩება "კელტი ხალხების" გავრცელების არეალში ლატენის ჰომოგენური არქეოლოგიური კულტურის არსებობა.

მაშასადამე გამოდის, რომ ანტიკური ხანის კელტიკა შესაძლოა ის არ არის, რის დანახვებასაც XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის მეცნიერები ცდილობდნენ, მაგრამ იგი არც სტერეოტიპული მიდგომების საფუძველზე შექმნილი რეალობაა.

გამომდინარე აქედან ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ საკვლევ კითხვაზე:

1) როდის გამოჩნდნენ ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში კელტების წინაპრები ("პრეკელტები")? რა საერთო აქვთ მათ "პროტოინდოევროპელებთან"?; კელტური სინამდვილის რაობისა და ფორმირების საკითხების შესწავლაზე კი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადავიდეთ.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების განსახლების ჩვენს მიერ I და II თავებში განხილულ სქემას უნდა მივმართოთ. ამ სქემაზე ჩანს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ძველი ორმოსამარხების კულტურის ბაზაზე (რომელიც

ავტორის სტილი დაცულია

თოხარულისა და ანატოლიურის გარდა ყველა ინდოევროპული ენობრივი ჯგუფისთვის წარმოადგენდა წინარესამშობლოს) სამი მსხვილი არქეოლოგიური კულტურა ჩამოყალიბდა. კელტურ-იტალიური ტომები პოლტავინოს არქეოლოგიური კულტურით იყვნენ წარმოდგენილი და ვოლგა-ურალის სტეპებში ცხოვრობდნენ; მაშინ, როცა სომხურ-ბერძნულ-არიულ და ბალტო-სლავურ-გერმანიკული ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი ეკავათ, სადაც მათ სახელს კატაკომბებისა და "საბრძოლო ცულების" არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბება უკავშირდება.

კელტო-იტალიელების (და ალბათ მათთან ერთად ილირიელების) წინაპრების ევროპისკენ გადმონაცვლება მხოლოდ მოგვიანებით, ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში ძელური კულტურის ჩრდილოეთშავიზღვისპირეთში გავრცელებას მოჰყვა. თავის მხრივ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ძვ.წ. VIII საუკუნეში სხვადასხვა ეთნოლინგვისტური ჯგუფების დასავლეთით გადანაცვლებას უნდა მოჰყოლოდა ჰალსტატის არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება. მის (ე.ი. ჰალშტატის კულტურის) აღმოსავლეთ ნაწილში ილირიული ენები ჩამოყალიბდა დასავლეთით კი – ის ენობრივი იზოგლასები, რომლებსაც ზოგჯერ "პროტოიტალიურ-კელტურის" ცნების ქვეშ აერთიანებენ. დასავლეთ ჰალშტატურ ზონაშივე, კერძოდ სამხრეთ გერმანია-შვეიცარია-ბოჰემიის ტერიტორიაზე უნდა მომხდარი "პროტოკელტური" ენის ფორმირება.

ვფიქრობთ, რომ ძვ.წ. I ათასწლეულშივე უნდა მომხდარიყო ე.წ. "ძველევროპული" ენების არეალური კავშირების ჩამოყალიბება. აქ, ერთის მხრივ შედიოდნენ ძვ.წ. I ათასწლეულში ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთიდან გავრცელებული ტომები (კელტების, იტალიელებისა და ილირიელების წინაპრები), მეორე მხრივ კი - საბრძოლო ცულების სამართალმემკვიდრე კულტურების შემქმნელი ხალხები (ბალტების, სლავების, თრაკიელების, დაკო-გეტებისა და გერმანელების წინაპრები). ძვ. წ. I ათასწლეულში მათი მეორადი კონვერგაცია მოხდა, რამაც ენათა ე.წ. "ძველევროპული მასივის" ფორმირება გამოიწვია.

ამგვარი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში ძალაუნებურად ჩვენი კვლევის სფეროში შემოდის კიმერიელების ეთნიკური ვინაობის პრობლემა. გამომდინარე იქიდან, რომ ძვ. II ათასწლეულის მიწურულიდან ძვ. წ. VIII საუკუნემდე სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის

ავტორის სტილი დაცულია

წამყვან მოსახლეობას. მით უფრო, რომ მათ კელტურ სიძველეებთან დაკავშირების იდეა ისტორიოგრაფიისათვის ახალი არ არის; მათი განსაკუთრებული აქტივობა კი (ვგულისხმობთ ძველი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებზე თავდასხმებს) წერილობით წყაროებში სწორედ მაშინ ფიქსირდება, როდესაც ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურა იწყებს ჩამოყალიბებას.

კიმერიელების პირველ მოხსენიებას ჰომეროსთან ვხვდებით (48, 119). ანტიკურ ხანაში მათ ექსპანსიაზე ძალზე ხშირად გვხვდება საუბარი. ამ ცნობებიდან ზოგი სარწმუნოა, ზოგი კი უფრო მითოლოგიურ ხასიათს ატარებს.

ტრადიციულად, ძირითადად, ჰეროდოტეზე და ასურულ-ურარტულ წყაროებზე დაყრდნობით ითვლება, რომ მათ ძვ. წ. VIII საუკუნეში სკვითების ზეწოლით კიმერიელებმა თავიანთი სამშობლო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი დატოვეს და წინა აზიას შეესივნენ. ამის პარალელურად, როგორც (III თავის მეორე პარაგრაფში) აღვნიშნეთ ევროპულ არქეოლოგიაში ფიგურურებს მოსაზრება, რომ კიმერიელების ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ლაშქრობისაც ჰქონდა ადგილი. რიგ შემთხვევაში მათი ლაშქრობის მარშრუტებზეც კი მიუთითებენ (268, 246).

საქმე ისაა, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ცენტრალურ და დასავლეთ ევროპულ არქეოლოგიურ სინამდვილეში ვხვდებით რიგ ჩრდილოეთ შავიზღვისპირული წარმოშობის კულტურულ არტეფაქტებს. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ:

1. ბელადის ოთხბორბლიანი საზიდრით დაკრძალვის ტრადიცია;

2. ცხენის სხვადასხვა აღკაზმულობები; რომლებსაც არქეტიპები ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის წინასკვითურ ხანაში ეძებნება;

3. აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდის ევროპაში ჩნდება დამარხვის ახალი წესები, რკინის მეურნეობა და სხვა;

4. ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ ამ პერიოდში მრავლად გვხვდება დამარხული განძები, რაც შემოსევის არაპირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს (148, 4-5).

ვფიქრობთ, რომ ეს არგუმენტები სავსებით საკმარისია საიმისოდ, რათა ძვ.წ. VIII ს-ში კიმერიელების დასავლური ლაშქრობის თეორია ვირწმუნოთ.

ავტორის სტილი დაცულია

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ა. მონგაიტი ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი არტეფაქტების წარმოქმნის მიზეზად სავაჭრო ურთიერთობებს ასახელებს. ძალზე მოკლე პერიოდში: დამარხვის ახალი წესების შემოსვლა, მძლავრი არისტოკრატიის ჩამოყალიბება, ცხენის ამხედრებული ტარების ტრადიციის დამკვიდრება, რკინის მეტალურგიის დანერგვა, სამოსახლო ფართობების გადიდება და სხვა, ცენტრალური ევროპის არქეოლოგიურ მასალაში აშკარად ჩრდილოეთშავიზღვისპირული მასალის არსებობის ფონზე, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს ცენტრალურ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების ფორსირებული გზით განვითარების სურათი დავინახოთ. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის მოსახლეობის (კიმერიელების) აქტიური დინამიკა სავსებით დადასტურებული ფაქტია.

მეორე პრობლემაა იმის განსაზღვრა, თუ რა როლი ითამაშა მოსულმა ელემენტმა ამ პერიოდის ევროპის ეთნიკურ ისტორიაში. ის ავტორებიც კი (პ. კორკორანი, ვ. მეგოუ) რომლებიც მთლიანობაში კიმერიელების დასავლური მიგრაციის თეორიას იზიარებენ უფრო იმ აზრის ჩანან, რომ ადრერკინის ხანაში მოსული ეს ელემენტი მთლიანად ურნასამარხების კულტურის შემქმნელი მოსახლეობის მიერ იქნა ასიმილირებული. არადა ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ისტორიული მონაცემები და ზოგადად ძველი მსოფლიოს საზოგადოების ეთნიკური პროცესების კანონზომიერებების გათვალისწინება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს რეალობა სხვაგვარად წარმოვიდგინოთ.

“ბარბარიკუმში”, როგორც წესი, ეთნიკური ტრადიციების მთავარ მატარებელს „სუპერსტრატული“ და არა „სუბსტრატული“ მოსახლეობა წარმოადგენდა. ამაში საკუთრივ კელტური საზოგადოების შესახებ ჩატარებული კვლევებიც გვარწმუნებს. მაგალითად, ამ თვალსაზრისით საინტერესოა კ. ჟულიანისა და ჟ. არმანის თეორია, რომლის მიხედვითაც გალურ “პლებსსა” და ნობილიტეტს შორის არსებული განსხვავებების მიზეზად ეთნიკური თვალსაზრისით მათი განსხვავებული წარმომავობა მიიჩნევა (79, 54).

ამ ტიპის დასკვნებს კარგად ესადაგება ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის გამოკვეთილად არისტოკრატიული ბუნება და ის გარემოება, რომ კელტების ყოფაში, „პლებსის“ სახით, ინდოელი შუდრების მსგავსი თითქმის უუფლებო ეთნიკურად განსხვავებული ადამიანების კატეგორიაა

ავტორის სტილი დაცულია

დადასტურებული. საინტერესოა ისიც, რომ ანტიკური ხანის ავტორების ცნობები, სადაც ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხები ხშირად ყაჩაღებად იხსენიება. მაგალითად სტრაბონი კიმბრებსაც ყაჩაღებს უწოდებს (16, 45). პლუტარქე კი ამბობს, რომ კიმბრებს თავად გერმანელები უძახდნენ ყაჩაღებს (13, 99). იგივე ეპითეტებით იხსენიება (ზოსიმესთან) "ხალხთა დიდი გადასახლების" ეპოქის ჰერულები; მოგვიანებით კი ვიკინგები. ვფიქრობთ, ამ ეპითეტებში ძნელი ამოსაცნობი არ არის აქტიური "მეომრების ელიტები". მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხებს შორის „პროტოინდოევროპული" ტრადიციები ყველაზე უკეთ არიელებმა და კელტებმა შეინარჩუნეს, რაც, თავის ასევე კელტური და არიული საზოგადოების ელიტურ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტები, ვფიქრობთ, ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ კელტებში "ეთნიკური ტრადიციების" მთავარ (რომ არ ვთქვათ ერთადერთ) მატარებლად "მეომართა ელიტების" ზედა ფენა უნდა მოვიაზროთ, რომელიც აგრესიული "სუპერსტრატის" სახით მოევლინა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპას. ამგვარ ზედა ფენას კი ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბების ეპოქაში კიმერიელები წარმადგენდნენ. ურნასამარხების კულტურების შემქმნელი ხალხები კი "პროტოკელტურ ენებზე" არ საუბრობდნენ.

სქემატურობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, თუ ისტორიული თვალსაზრისით როგორ გამოიყურებოდა კიმერიელების დასავლეთით გავრცელებისა და ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის გენეზისის პროცესი. ამაში ძალიან სერიოზული დახმარების გაწევა ანტიკურ წყაროებს შეუძლიათ. კერძოდ, კიმერიელების მიგრაციისა და ვინაობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან: ჰეროდოტე, სტრაბონი და პლუტარქე. ჰეროდოტეს ცნობების ინტერპრეტირება მრავალმხრივად შეიძლება. გაიუს მარიუსის ბიოგრაფიაში გაცილებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის პლუტარქე, რომელიც აცხადებს, რომ კელტიკა ისეთი ვრცელი და დიდი ქვეყანაა, რომ იგი ოკეანიდან მზიან მეოტიდამდე მოდის, სადაც იგი პონტოს სკვითიას ესაზღვრება. აქედან (ანუ პონტოს სკვითიიდან) დაიწყეს ამ ტომებმა უფრო დასავლეთით განსახლება არა ერთად, არამედ ნაწილ-ნაწილ მცირე-მცირე ჯგუფებად. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრ სხვადასხვა ჯგუფად იყოფოდნენ მათ გაერთიანებული სახელით კელტო-სკვითებს

ავტორის სტილი დაცულია

უწოდებენ. ის კიმერიელები, რომლებიც ბერძნებისთვის გახდნენ ცნობილი უფრო თავისი ხალხის მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ. მათ შორის ყველაზე მამაცები ოკეანესთან ცხოვრობენ. სწორედ აქედან შემოესივნენ ისინი იტალიას. მათ პირველად კიმერიელებს უწოდებდნენ, შემდეგ კი - ძალიან ბუნებრივად კიმბრებს (13, 99-100). სტრაბონი კი თავის მხრივ წერს, რომ ბერძნები კიმბრებს კიმერიელებს ეძახდნენ (16, 54).

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ პლუტარქეს მიერ მოხაზული არეალი ძალიან კარგად ემთხვევა ევროპაში ე. წ. "ლატენიზირებული არქეოლიგიური კულტურებისა" და "ძველევროპული ენების" გავრცელების არეალს; თანაც მიწების აქ ათვისების სქემა ძალიან გავს ე. წ. "საღვთო გაზაფხულის" ტრადიციას და საკმაოდ რეალისტურ ელფერს ატარებს.

როგორც ჩანს, ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ცენტრალური და დასავლეთ ევროპისკენ თანდათან გავრცელება დაიწყო მძლავრმა სამხედრო არისტოკრატიამ, რომელიც ინდოევროპული ენების კელტურ-იტალიურ-ილირიულ ფრთას შეესაბამებოდა. მათი წყალობით რეგიონში ახალი ტიპის საკომუნიკაციო კავშირები შეიქმნა, რამაც ერთი მხრივ ჰალშტატური არქეოლოგიური კულტურის - , მეორე მხრივ კი ძველევროპული არეალური ენობრივი კავშირების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. "პროტოკელტური" ენისა და სინამდვილის ფორმირებაც სწორედ ასეთ პირობებში მიმდინარეობდა. ეს (ანუ "პროტოკელტურის" ფორმირების) პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, კიოლნიდან ბოჰემიამდე და ტიურინგიამდე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, რომელიც ტრადიციულად (ჰიდრო-ტოპონიმიკის მონაცემებზე დაყრდნობით) კელტური ენების წინარესამშობლოდ განიხილება.

ყოველივე ზემოთ თქმულის განხილვის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ***რას წარმოადგენდა „პროტოკელტური" ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით?***

გამომდინარე იქიდან, რომ კელტიკა (გერმანიის, ილირიისა და თრაკიის მსგავსად) ანტიკური ხანის ავტორების მიერ შექმნილი კონსტრუქტია, ვფიქრობთ, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში მისი რაობის განსასაზღვრად ზემოთ ჩამოყალიბებულ სავარაუდო პასუხებს გამოვიყენებთ. კერძოდ აღვნიშნავთ, რომ ანტიკური ხანის კელტიკის სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს:

ავტორის სტილი დაცულია

1. ანტიკურ ხანის ავტორების მიერ უცნობი მხარისთვის მინიჭებულ (შესაძლება მითოლოგიური შინაარსის) სახელთან, რომელიც უკეთეს შემთხვევაში გეოგრაფიული ორიენტირის როლს თამაშობს;

2. უცხოელი ავტორების მიერ, მათთვის თვალშისაცემი კულტურული ელემენტების საფუძველზე შექმნილ ტერმინთან, რომელიც არ ემთხვევა იდენტობის საშუალებებს, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად სწორად ასახავს უცხო კულტურის ჰაბიტუსს;

3. თავად „ბარბაროსი“ "ხალხების" სინამდვილეში არსებული თვითიდენტიფიკაციის საშუალებების ტრანსლაციასთან;

4. თეორიულ სიტუაციასთან, როდესაც "ბარბაროსი" ხალხები საკუთარ იდენტობის საშუალებად იღებენ ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების შექმნილ კონსტრუქტებს.

წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ ამ კითხვაზე ყველა საუკუნისთვის ერთიანი პასუხის გაცემა არ შეიძლება. კელტები / კელტიკა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა და იგი, რა თქმა უნდა, საუკუნეების განმავლობაში იცვლიდა სახეს. ამ ფაქტორზე ყურადღების სერიოზულად არ გამახვილება ეთნოგენეტიკური კვლევების ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო საკვლევი შეკითხვა სულ ცოტა ორ ნაწილად უნდა დავშალოთ. კერძოდ:

ა) ***რას წარმოადგენდა „პროტოკელტური“ ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძვ.წ. VI-V საუკუნეებში?***

ბ) ***რას წარმოადგენდა „პროტოკელტური“ ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძვ.წ. IV-III საუკუნეებში?***

პირველ შემთხვევაში მოგვიწევს ვთქვათ, რომ „პროტოკელტური“ ენის ცნების უკან ისტორიულ - ეთნოგრაფიული რეალობის დანახვა ყოვლად შეუძლებელია. საამისო არგუმენტების (უფრო სწორედ კონტრარგუმენტების) სახით შეგვიძლია შემდეგი გარემოებები წარმოვადგინოთ:

1) „პროტოკელტური“ ენა „ენობრივ კავშირებს“ წარმოადგენს და არა დიალექტურ ერთობას;

2) არქეოლოგიური თვალსაზრისით ჰალშტატური კულტურა საკმაოდ ჰეტეროგენული წარმონაქმნია;

ავტორის სტილი დაცულია

3) ტერმინი კელტი, თავდაპირველად, უფრო გეოგრაფიული შინაარსის ცნებას წარმოადგენდა.

ამგვარი ისტორიული, არქეოლოგიური და ენობრივი მონაცემების ფონზე ძალიან ძნელია ვიფიქროთ, რომ ის "სუპერსტრატული ელიტები" (ე.წ.კიმერიელები), რომლებმაც დასავლეთ ჰალშტატური არქეოლოგიური ზონის ჩამოყალიბებასა და ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში კელტურ-იტალიური "კილოკავების" ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი გაცნობიერებულ ერთობას ქმნიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი კელტი გარკვეულ პერიოდში, რომელიმე ერთ ასეთ დაჯგუფებას აღნიშნავდა. საინტერესოა, რომ ჩვენს ხელთაა დიოდორე სიცილიელის ცნობა, რომელიც თითქოს ზუსტად იგივეს ადასტურებს. ამ ტერმინის მთლიანად "კელტურ სამყაროზე" განზოგადების იდეა კი ანტიკური ხანის ავტორების ინიციატივაა, რომლებისთვისაც ამ სიტყვის გამოყენება მოსახერხებელი გახლდათ. თავათ "კელტებად" სახელდებული "ტომებისთვის" ამგვარი განზოგადება რომც ყოფილიყო ცნობილი მას ისინი უკეთეს შემთხვევაში გეოგრაფიულ ტერმინად მიიღებდნენ და არა საკუთარი იდენტობის მარკერად.

"პროტოკელტური" ენის არაჰომოგენური ბუნება ადასტურებს, რომ კიმერიელების დასავლეთით გადმონაცვლებას არც კოინეს ჩამოყალიბება მოჰყოლია. აქ, სავარაუდოდ, თანდათან შეიქმნა სოციოლინგვისტური უწყვეტობის სიტუაცია, როდესაც მეზობელ დასახლებებს ერთმანეთის ესმით, ხოლო მოშორებით მცხოვრებლებს კი უჭირთ შორეული მეზობლების გაგება. "პროტოკელტური" (და არა "პროტო-იტალიურკელტური ან "ძველევროპული") სწორედ ის ენაა, რომელიც ამ პროცესს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ აქვს მას (თავისი სრულიად არაჰომოგენური ხაისათის მიუხედავად) გამოკვეთილი სახე იტალიურ, ვენეტრურ და სხვა ინდოევროპულ ენებთან მიმართებაში. განსხვავებით, მაგალითად, "პროტოიტალიურ-კელტურისგან", რომლის არსებობასაც ზოგიერთი ლინგვისტი ვარაუდობს.

ზემოთ აღწერილი ენობრივი პროცესები, ალბათ ყველაზე უფრო აქტიურად ბოჰემიისა და შვეიცარიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. აქ ყველაზე დიდი რაოდენობითაა დაცული კელტური ტოპონიმები. შავარაუდოდ აქედანვე ხდებოდა "კიმერიელი-კელტების" საფრანგეთის, ესპანეთისა და ბრიტანეთის მიმართულებით გავრცელება, სადაც ისტორიულ დროში ვხვდებით მოსახლეობას, რომლებსაც ლინგვისტური ტრადიციის გავლენით კელტიბერებს,

ავტორის სტილი დაცულია

ლეპონტიელებს, გოიდელებს და გალებს უწოდებენ. მათი ევროპაში გავრცელება მსჯელობის ცალკე თემაა. აქ მხოლოდ იმის თქმით შეიძლება შემოვიფარგლოთ, რომ მათი მოძრაობის მარშრუტი, ძირითადად, ჰალშტატური კულტურის დასავლეთში გავრცელების არეალს ემთხვევა.

სადისკუსიო შეიძლება იყოს საკითხი, ზემოთ აღწერილ პირველ, თუ მეორე ჰიპოთეტურ ვარიანტთან გვაქვს საქმე ძვ.წ. VI-V საუკუნეების შემთხვევაში (მესამე და მეოთხე ვარიანტი კი, ბუნებრივია, უნდა გამოვრიცხოთ). ამ ალტერნატივებს შორის არჩევანის გასაკეთებლად საჭიროა გაეცეს პასუხი შეკითხვას - ჰქონდა თუ არა ამ პერიოდის კელტურ კულტურას ორიგინალური ჰაბიტუსი (კ. დების ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ)?

ვფიქრობთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას ამ კითხვას დადებითად ვუპასუხოთ. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის ანტიკური ხანის ავტორების თხზულებებში (ჰეკატეოს მილეთელი, ჰეროდოტე, ფესტუს ავიენუსი და სხვა) ნაკლებად ჩანს აქცენტი "კელტურ ეთნოგრაფიაზე", მაშინ, როცა ძვ.წ. III – II საუკუნეებში ამ მხრივ მდოგამერეობა (პოლიბიოსისა და პოსიდონიოსის წყალობით) მკვეთრად იცვლება. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ძვ.წ. VI-V საუკუნეების ავტორებს ჯერ კიდევ თვალში არ ხვდებოდათ "კელტ ხალხებსა" და მათ მეზობლებს (ლიგურები, იბერები და სხვა) შორის "არსებული" თვალშისაცემი განსხვავებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აშკარად გრძნობდნენ რეგიონში "ხალხთა" ახალი ნაკადის დინამიკას. სწორედ ამიტომ მკვიდრდება ტერმინი "კელტი" სწორედ ამ პერიოდის ანტიკურ ლიტერატურაში და არა უფრო ადრე, მაგალითად ძვ.წ. VIII საუკუნეში, როცა ჰესიოდე დასავლეთის ხალხების ხსენებისას კელტებს არ ახსენებს (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. II თავის მესამე პარაგრაფში).

ბ) რას წარმოადგენდა „პროტოკელტური" ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძვ.წ. IV-III საუკუნეებში?– ძვ.წ. IV – III საუკუნეებში კელტების (უფრო სწორედ გალატების) მნიშვნელოვანი აქტივობა დასტურდება. წერილობით წყაროებში ფიქსირდება კელტების შემოსევები, რომელთა შორის ყველაზე თვალშისაცემი ეპიზოდებია დელფოს გადაწვა და რომის დარბევა.

დაახლოებით ამავე პერიოდში ფართოდ ვრცელდება ლატენის არქეოლოგიური კულტურა. იგი დასავლეთჰალსტატურ ზონაში ჩამოყალიბდა, თუმცა, მისგან განსხვავებით ძალიან ჰომოგენური სახე შეიძინა. საინტერესოა,

ავტორის სტილი დაცულია

რომ ეს კულტურა შესანიშნავად ემთხვევა კელტების ისტორიულად დამოწმებულ განსახლების არეალს.

შემთხვევითი ალბათ არც ის ფაქტია, რომ ამ პერიოდის წყაროებში ტერმინ "კელტზე" მეტად "გალატი' გამოიყენება. ამ მხრივ, ვფიქრობთ, შესაძლოა მეტი ნდობით მოვეკიდოთ ა. ბერტრანის მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ეს ორი სიტყვა ორ პარალელურ რეალობას წარმოადგენს (79, 58).

დაისმის კითხვა. ზემოთ ჩამოთვლილ რომელ რეალობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ძვ.წ. IV – III საუკუნეების გალატებზე ვსაუბრობთ. ვფიქრობთ, რომ მესამესთან, როცა ანტიკურ წყაროებში თავად „ბარბაროსი" "ხალხების" სინამდვილეში არსებული თვითიდენტიფიკაციის საშუალებების ტრანსლაცია ხდება.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს:

ა) "ლატენის კულტურის" ჰომოგენურობა;

ბ) ლატენის კულტურისა და კელტების ისტორიული განსახლების არეალის შესაბამისობა;

გ) ტერმინების "კელტისა" და "გალატის" ეტიმოლოგია;

დ) ტიტუს ლივიუსთან დაცული მითი გალატების გენეზისის შესახებ, რომელიც ა. უბერის სიტყვებით რომ ვთქვათ ფანტაზიის ნაყოფი რომც იყოს კელტური ფანტაზიის ნაყოფია (120, 199) (ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. II თავის მესამე პარაგრაფში).

ზემოთ ხსენებული დასკვნის გაზიარების შემთხვავში არ შეიძლება არ შევეხოთ დღეს მეტად აქტუალურ დისკუსიას გალატების მიგრაციებთან დაკავშირებით. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ზემოთ (IV თავის პირველ პარაგრაფში) ჩამოყალიბებული თეორიული მოდელი, რომლის საფუძველზეც ჩვენ "ბარბარიკუმში" მიმდინარე ეთნო-სოციალურ პროცესებს განვიხილეთ, ამ დისკურისიას ნაკლებად აქტუალურს ხდის. ვინაიდან გალატების ლაშქრობებში ჩვენ არ ვგულისხმობთ "ტომების" გადაადგილებას.

ვფიქრობთ, რომ ძვ.წ. V–IV საუკუნეებში დასავლეთ ჰალშტატურ ზონაში, რომელსაც შესაბამისი პერიოდის ავტორები "კელტიკას" უწოდებენ, მნიშვნელოვანი კატაკლიზმები მოხდა (ეს პროცესი II თავის მეორე პარაგრაფში უფრო დეტალურადაა აღწერილი). არქეოლოგები, ხშირად, ამ გარდატეხებს "ლატენური რევოლუციის" სახელით იხსენიებენ (65, 209). როგორც ჩანს, ამ პროცესს შედეგად ძველი ჰალშტატური არისტოკრატიის

ავტორის სტილი დაცულია

განადგურება და ახალი ტიპის "საბრძოლო ელიტის" ჩამოყალიბება მოჰყვა, რომლებიც საკუთარ თავს ტერმინით "გალატები" აღნიშნადნენ. ახალი ტიპის სამხედრო ელიტამ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ახალი სივრცეების დაპყრობა დაიწყო. მათ პირინეისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულამდეც კი მიაღწიეს. მათი დაპყრობები, ბუნებრივია, დიდად არ ცვლიდა რეგიონში დემოგრაფიულ სიტუაციას, თუმცა, იწვევდა ახალი ტიპის მეურნეობისა და საკომუნიკაციო კავშირების ჩამოყალიბებას, რასაც რეგიონში კელტური "კილო-კავების" გავრცელება მოსდევდა.

ამ პროცესებმა ლინგვისტური თვალსაზრისით კელტური ენებისა და ტოპონიმიკის ევროპაში გავრცელებაში ჰპოვა გამოხატულება; არქეოლოგიურად – ლატენის ჰომოგენური არქეოლოგიური კულტურის გენეზისში; ისტორიულად - კი ძვ.წ. IV-III საუკუნეების ავტორების თხზულებებში დადასტურებულ კელტურ მიგრაციებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ "იდენტობის გალატურ მარკერებს", რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა დიდხანს ეარსება. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ტრანსფორმაციები "კელტიკაში" შემდგომ პერიოდშიც ხდებოდა[46] (მაგალითად, ძვ.წ. II საუკუნეში, როდესაც კელტიკაში ოპიდების ქსელი ვრცელდება. მნიშვნელოვან გარდამტეხად შეიძლებოდა ქცეულიყო გალების კეისართან დაპირისპირება, თუმცა, მან კელტური სამყაროს შემდგომი განვითარების ნაცვლად მისი კონტინენტური ნაწილის განადგურება გამოიწვია), რასაც, ბუნებრივია, იდენტობის ახალი საშუალებების ჩამოყალიბება მოყვებოდა. მიუხედავად ამისა, შენარჩუნდებოდა კელტური კულტურის ორიგინალური ჰაბიტუსი, რაც შემდგომ პერიოდში ასე მკაფიოდ ხვდებოდა თვალში ანტიკური ხანის ავტორებს[47]. შემთხვევითი ალბათ არ არის, რომ სწორედ ძვ.წ. III – II საუკუნეებიდან მომდინარეობს, კელტური ეთნოგრაფიის ფართო აღწერილობები, რომლებიც პოლიბიოსისა და მისი პოსიდონიოს აპამეელის კალამს ეკუთვნის.

*****

გამოკვლევის დასკვნით ნაწილში, ვფიქრობთ, შეჯერებული სახით უნდა წარმოვადგინოთ თუ როგორია ჩვენი პასუხი კითხვაზე: "ვინ იყვნენ ანტიკური

---

[46] *ამ პროცესების შესწავლა დამოუკიდებელი შესწავლის ობიექტია და სცილდება წიანმდებარე ნაშრომის ინტერესებს.*

[47] *ამ სიტუაციას კ. დები აღწერს ტერმინით "კელტური კულტურის ჰაბიტუსი", კ. ჰოუკი კი "კუმულატიური კელტურობა".*

ავტორის სტილი დაცულია

ხანის კელტები?”, რომელიც XX საუკუნის 70-იანი და შემდგომი პერიოდის კელტოლოგიაში ფრიად აქტუალური შეიქმნა.

პირველ რიგში, ვფიქრობთ, კითხვის სხვაგვარად დასმაა საჭირო. ვინაიდან, კელტების ეთნოგენეზის კვლევისას შეცდომად მივიჩნევთ ამ კითხვაზე ჰოლისტური პასუხის ძიებას (ჩვენი აზრით, სწორედ ეს იწვევს სხვადასხვა სპეკულაციების). საჭიროა განვსაზღვროთ, არა “ვინ იყვნენ კელტები?, არამედ - რას წარმოადგენდა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ანტიკური ხანის კელტიკა? ეს საკითხიც, თავის მხრივ, დაკონკრეტებას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ორ საკითხზე:

ა) რას წარმოადგენდა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ძვ.წ. VI-V საუკუნეების კელტიკა?

ბ) რას წარმოადგენდა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ძვ.წ. IV-III საუკუნეების კელტიკა?

ამ ტიპის კითხვა ძვ.წ. II და ძვ.წ I საუკუნეებთან მიმართებაშიც შეიძლება დაისვას, თუმცა, ეს სცილდება წინამდებარე გამოკვლევის ჩარჩოს.

ვფიქრობთ, რომ იმ ტრანსფორმაციების ჩვენება, რომელიც ძვ.წ. VI – III საუკუნეების კელტურმა სამყარომ განიცადა კარგად წარმოაჩენს ანტიკური ხანის “ბარბარიკუმის” ეთნო-სოციალური ისტორიის თავისებურებებს.

ა) ძვ.წ. VI-V საუკუნეების ანტიკური ხანის ავტორების მიერ აღწერილი კელტიკა ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის დასავლეთ ზონასა და ე.წ. “პროტოკელტური” ენის ფორმირების არეალს ემთხვევა. ტერმინი კელტი, კელტური ენების ფონდიდან მომდინარეობს (სავარაუდოდ, იგი პირველად მასალიის სიახლოვეს მცხოვრებ ერთ-ერთ ჯგუფს აღნიშნავდა), თუმცა, ამ პერიოდში იგი ცალსახად გეოგრაფიული ტერმინია. ძვ.წ. VI-V საუკუნეებში არ არსებობს ზოგადკელტური (ენდოეთნონიმების მსგავსი) იდენტობის საშუალებები; არც კელტურ კულტურას აქვს იმდენად გამოკვეთილი სახე, რომ მის ორიგინალურ ჰაბიტუსზე ვიმსჯელოთ.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში მაინც შეიმჩნევა აქტიური ეთნო-სოციალური პროცესები, რომლებიც ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ახალი (ჩრდილოეთ შავიზღვისპირული) ელემენტის, კიმერიელების, გამოჩენამ გამოიწვია. სწორედ კიმერიელების წყალობით, ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის ფორმირების პარალელურ რეჟიმში, მოხდა ევროპის ცენტრალურ

ავტორის სტილი დაცულია

და დასავლეთ ნაწილში "კელტურ-იტალიურ-ილირიული ენების" გავრცელება. იგივე კიმერიელების მიგრაციებმა (რომლებიც ევროპას აგრესიული "სუპერსტრატის" სახით მოევლინენ) გამოწვივა დასავლეთ ჰალშტატურ ზონაში ახალი ტიპის საკომუნიკაციო კავშირების შექმნა, რამაც ლინგვისტური თვალსაზრისით "პროტოკელტური" ენის ჩამოყალიბებაში ჰპოვა ასახვა.

"პროტოკელტური" ენის უკან შეუძლებელია დავინახოთ გამოკვეთილი ისტორიული რეალობა, თუმცა, ასევე შეცდომაა ქრონოლოგიური და გეორაფიული თვალსაზრისით მისი ჩამოყალიბების მეტ-ნაკლებად ლოკალური არეალის არსებობის უარყოფა. ასეთ არეალს (ანუ კელტური ენების წინარესამშობლოს) ბოჰემია, შვეიცარია, სამხრეთ გერმანიის ტერიტორია წარმოადგენდა.

ბ) ძვ.წ. IV-III საუკუნეების ანტიკური ხანის ავტორების მიერ აღწერილი კელტიკა ლატენის არქეოლოგიურ კულტურას შეესაბამება. თავისი წინამორბედისგან (ანუ ძვ.წ. VI – V საუკუნეების კელტური სამყაროსგან) განსხვავებით, მის მცხოვრებლებს ჰქონდათ ერთიანობის განცდა. როგორც ჩანს, ისინი საკუთარ იდენტობას სიტყვით "გალატი" გამოხატავდნენ. შესაბამისად, ტერმინები კელტი და გალატი, ერთმანეთისგან განსხვავებულ რეალობას წარმოადგენენ.

გალატების სამყაროსა და ლატენის არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, დასავლეთ ჰალშტატურ ზონაში მიმდინარე მწვავე ეთნო-სოციალურმა პროცესებმა გამოიწვია, რომელსაც ზოგჯერ არქეოლოგები "ლატენურ რევოლუციას" უწოდებენ. იგივე პროცესები უნდა გამხდარიყო ახალი ტიპის "სამხედრო არისტოკრატიის" ფორმირებისა და მისი ევროპის სხვადახვა მხარეებში (აპენინი, ბალკანეთი და სხვა) გავრცელების მიზეზი. გავრცელების ამ პროცესმა წერილობით წყაროებში კელტური აგრესიული მიგრაციების აღწერილობაში ჰპოვა ასახვა. არქეოლოგიური თვალსაზრისით კი მას ლატენის არქეოლოგიური კულტურის ფართოდ გავრცელება მოჰყვა.

იდენტობის ზოგადკელტური საშუალებები, რომლებიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა, ძვ.წ. II და I საუკუნისთვის უკვე დაკარგული უნდა ყოფილიყო, თუმცა, ამ პერიოდის (ანუ ძვ.წ. II – I საუკუნეების) კელტურმა სამყარომ მაინც შეინარჩუნა კულტურის ორიგინალური ჰაბიტუსი, რაც შემდგომი პერიოდის

ავტორის სტილი დაცულია

ანტიკური ხანის ავტორებს (მაგალითად, პოლიბიოსსა და პოსიდონიოსს) მკაფიოდ ხვდებოდათ თვალში.

§3. ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემა

ისტორიოგრაფიაში ძველი გერმანელების "ეთნოგენეზად" სახელდებული პრობლემის გადასაჭრელად, პირველ რიგში, საკითხის ისტორიოგრაფიაში უნდა გავერკვეთ.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ პარადიგმულმა ცვლილებებმა, რომლებიც XX საუკუნის მეორე ნახევრის ლინგვისტიკაში, არქეოლოგიაში, ისტორიასა და ფიზიკურ ანთროპოლოგიაში მოხდა ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემასაც მნიშვნელოვანი დაღი დაასვა. XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში ამ საკითხის მკვლევარი მეცნიერები აქტიურად განიხილავდნენ "ინდოევროპეისტიკისთვის" აქტუალურ ისეთ საკითხებს, როგორიცაა, გერმანიკულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემა, წერილობით წყაროებში მოხსენიებული ტომების (მაგალითად ბასტარნებისა და სკირების) ეთნიკური კუთვნილება და სხვა. ამ ტიპის დისკუსიები, ხშირად, პოლიტიკურ მნიშნელობასაც კი იძენდა.

შესაბამისად, საკითხების ისტორიოგრაფიაში შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა, რომელშიც ეს დასკურსია ასახული. თუკი მას ოდნავ განვაზოგადებთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ძველი გერმანელების ეთნო-ლინგვისტური სინამდვილის ასაკის დაძველების ტენდენცია იგრძნობოდა. ამ მხრივ შედარებით „ზომიერი" თეორიების მიხედვით ითვლებოდა, რომ ძველი გერმანელები ძვ. წ. III ათასწლეულში ლენდენის ერთეული სამარხებისა და "საბრძოლო ცულების" არქეოლოგიური კულტურის შემქმნელი ხალხების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდნენ (126, 33). უფრო „თამამი" მოსაზრებების საფუძველზე კი ჩრდილოეთ გერმანია ინდოევროპელების წინარესამშობლოდ განიხილებოდა (126, 40)[48].

[48] *აქვე უნდა ითქვას, რომ გერმანელების ავტოქტონობას თავისი მომხრეები დღემდე ჰყავს მაგალითად ლ. კილიანი (126, 123-178), თუმცა მათი არგუმენტაცია XIX და XX საუკუნის I ნახევრის ისტორიოგრაფიისგან სრულიად განსხვავებული პარადიგმულ შეკითხვებს ეყრდნობა. ეს უკანასკნელი ძირითადად არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ მეზოლითის ხანიდან ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან მიგრაციებს ადგილი*

ავტორის სტილი დაცულია

ძველი გერმანულების კვალის ასე შორეულ წარსულში ძიების ტენდენცია დღეს დიდად გაზიარებული არ არის. არქეოლოგებისა და ლინგვისტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ გაცილებით რეალურია მათი ეთნოგენეზი რკინის ხანას, კერძოდ იასტორფის არქეოლოგიურ კულტურას დავუკავშიროთ, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა. „პროტოგერმანიკული ენის" ასაკიც მნიშვნელოვნად „გაახალგაზრდავდა". დღეს თითქმის აღარავინ ათარიღებს მას ძვ.წ. III ათასწლეულით. როგორც ზემოთ (III თავის პირველ პარაგრაფში) აღვნიშნეთ, ცნობილი დიალექტოლოგები ე. შვარცი და ფ. მაურერი მისი ფორმირების თარიღად ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს ასახელებენ (184, 102-109). ე. მაკაევს ეს თარიღი სულაც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე გადააქვს (259, 89), თუმცა ლინგვისტთა დიდი უმრავლესობა მისი ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებისკენ იხრება (219, 37).

"პროტოგერმანიკულისა" და თავად ძველი გერმანელები "გაახალგაზრდავების" მიზეზი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლინგვისტიკის განვითარება არ არის. საქმე ისაა, რომ რომ XX საუკუნის II ნახევარში ძალიან შეიცვალა ეთნოგენეტიკური კვლევის ტენდენციები. შეიქმნა საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები, რომლებმაც ძველი გერმანელების სიძველეების კვლევაში ძირეული გარდატეხა შეიტანა. ასეთთა შორის, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ რ. ჰახმანის, გ. კუნისა და ჰ. ბეჰაგელის ცნობილი წიგნი „გერმანელებსა და კელტებს შორის მცხოვრები ხალხები," რომელშიც დამტკიცებულია, რომ რაინსა და ვეზერს შორის მდებარე მიწები ძვ.წ. I ათასწლეულში სულაც არ იყო ძველი გერმანელებისა და კელტების საცხოვრისი (218, 33-34). დაახლოებით იმავე პერიოდში (ანუ XX საუკუნის 60-იან წლებში) ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია რ. ვენსკუსმა, რომლის ნაშრომებმაც ძველი გერმანელების შესახებ სრულიად ახალ დისკურსს დაუდო სათავე. მისი მოსაზრებები მოგვიანებით განავრცეს ჰ. ვოლფრამმა, ვ. გოფარტმა, ვ. პოლმა, ი. ვუდმა და სხვა ავტორებმა.

თანამედროვე მკვლევრებს ნაკლებად აინტერესებთ "პროტოინდოევროპული სიძველეები". ისინი მთელ ყურადღებას იმის ანალიზს

არ ჰქონია. ეს მოსაზრება უბრალოდ აგრძლებს იმ ავტოქტონისტურ ტენდენციებს, რომლებსაც საფუძველი XX საუკუნის II ნახევარში ჩაეყარა.

ავტორის სტილი დაცულია

უთმობენ, თუ როგორ ხდებოდა ანტიკური ხანის "ბარბარიკუმში" იდენტობის საშუალებების კონსტრუირება. შესაბამისად, ძველ გერმანელებს, რომლების შესახებაც ისინი საუბრობენ მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ საერთო იმ "ბარბაროს ხალხებთან", რომლებსაც XX საუკუნის პირველი ნახევრის არქეოლოგები და ლინგვისტები სწავლობდნენ. მათ თხზულებებში ტერმინი ეთნოგენეზიც ფრიად განსხვავებულ კონოტაციას იძენს. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი (მაგალითად, პ. გერი) იქამდეს კი მიდის, ანტიკური ხანის გერმანიას რომაულ ფიქციას უწოდებს (46, 76).

საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომების არსებობა, ბუნებრივია, კვლევას უფრო საინტერესოს ხდის, თუმცა, კვლევის ორგანიზების თვალსაზრისით ბევრ პრობლემასაც წარმოშობს.

ვფიქრობთ, ამ სირთულეებს ავირიდებთ, თუკი თანმიმდევრულად განვიხილავთ ზემოთ დასმულ საკვლევ შეკითხვებს. ვფიქრობთ, რომ ისინი ძველი გერმანელების შესახებ ყველა დროში არსებული სამეცნიერო დისკურსების გაერთიანების საშუალებას მოგვცემენ.

1) როდის გამოჩნდნენ ევროპაშიძველი გერმანელების წინაპრები? რა საერთო აქვთ მათ "პროტოინდოევროპელებთან"? – სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითერების თანამედროვე ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ ძველი გერმანელების "ეთნოგენეზზე" მსჯელობისას "პროტოინდოევროპულ" სიძველეებს ნამდვილად არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ "პროტოგერმანიკული" ენის ფორმირება ისეთ პერიოდში და სივრცეში მოხდა, რომელიც ევროპის "ინდოევროპეიზაციის" სქემების თვალსაზრისით დიდ ყურადღებას არ იმსახურებს.

კერძოდ, ევროპის ინდოევროპეიზაციაზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე "ბალტო-სლავურ-გერმანიკული" ერთობის წარმომადგენლები ჩრდილოეთ ევროპაში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, "საბრძოლო ცულების" არქეოლოგიური კულტურის პარალელურად მოვიდნენ. ლინგვისტების მიერ რეკონსტრუქტირებული "პროტოგერმანუკული" ნამდვილად არ არის ის ენა, რომელზეც ძვ.წ. III, ან ძვ.წ. II ათასწლეულში საუბრობდნენ. ვინაიდან, "პროტოგერმანიკული" ენის ჩამოყალიბება და ჩრდილოეთ ევროპის ინდოევროპეიზაცია პარალელური პროცესები არ არის, შეგვიძლია ძვ.წ. III და II ათასწლეულს საერთოდ არ შევეხოთ, როდესაც ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე ვსაუბრობთ. შეიძლება

ავტორის სტილი დაცულია

მხოლოდ ვთქვათ, რომ "პროტოგერმანიკული" იმ კოლო-კავების საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომლებიც ჩრდილოეთ ევროპაში ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარში გამოჩნდნენ. ჰომოგენური "პროტოგერმანიკული ენა" მხოლოდ მოგვიანებით იმ ისტორიულ პროცესების შედეგად გაჩნდა, რომლებიც ქვემოთ იქნება აღწერილი.

* * * * * *

გერმანელების პირველ მოხსენიებას წყაროებში ძვ. წ. II საუკუნის მიწურულს პოსიდონიუსთან ვხვდებით. ანტიკურ ლიტერატურაში მისი ფართოდ დამკვიდრება კი იულიუს კეისრის სახელს უკავშირდება. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გერმანელი ისტორიკოსის, ფ. შლეტეს აზრით, ტერმინ *გერმანიის* იულიუს კეისარზე უფრო ადრინდელი ყველა მოხსენიება მხოლოდ მერმინდელი ჩანამატია (202, 134). მსგავსი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში (რომელიც ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული), მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ გერმანელების შესახებ ანტიკურმა სამყარომ კიდევ უფრო გვიან, ანუ ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში შეიტყო. რა შეიძლება იყოს წყაროებში მათი ასე "ნაგვიანევად" გამოჩენის მიზეზი? ვფიქრობთ, რომ ამას სამი ახსნა შეიძლება ჰქონდეს:

1) გერმანელები ძვ.წ. II საუკუნის მიწურულამდე რაინისპირეთში არ ცხოვრობდნენ;

2) ანტიკური ხანის ავტორებმა მხოლოდ ამ დროისთვის შენიშნეს, რომ კელტები და გერმანელები ერთმანეთისგან განსხვავებულ ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენდნენ;

3) ძვ.წ. I საუკუნემდე გერმანელები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ; მათი ეთნოგენეზი მხოლოდ შემდგომ პერიოდში მოხდა.

თავდაპირველად (ანუ იულიუს კეისრის ეპოქაში) *გერმანია* ეთნიკურზე მეტად გეოგრაფიული შინაარსის ტერმინს წარმოადგენდა. იულიუს კეისარს, რომელიც სხვა შემთხვევებში ეთნიკური ისტორიის საკითხებში საკმაოდ კარგად ჩანს გაცნობიერებული, აშკარად სურს მდინარე რაინი გერმანელებსა და კელტებს შორის ეთნიკურ წყალგამყოფად წარმოაჩინოს. ამიტომ იგი რაინის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებ ტომებს გერმანელებს უწოდებს, თუმცა დღეს უკვე სადისკუსიო არ არის, რომ რკინის ხანაში რაინი ეთნიკური

ავტორის სტილი დაცულია

წყალგამყოფი არასოდეს ყოფილა. ამასთან, თანამედროვე კვლევები იმასაც აჩვენებს, რომ კეისრის ეპოქაში მდინარის აღმ. ნაწილი სულაც არ ქმნიდა რაიმე ტიპის ჰომოგენურ ერთობას და რამდენიმე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დისლოკაციის ადგილს წარმოადგენდა. კერძოდ, ჰ. ბეჰაგელმა დაამტკიცა, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით რაინისა და ვეზერის მთიანეთში მცხოვრები ხალხები, რომელთა აქ ყოფნის უწყვეტობაც ურნასამარხების დროიდან შეიმჩნევა, გერმანელები სულაც არ იყვნენ (109, 122). რ. ჰახმანის, გ. კოსაკისა და გ. კუნის ცნობილ წიგნში „გერმანელებსა და კელტებს შორის მცხოვრები ტომები“ კი მსგავსი დასკვნები რაინსა და ვეზერს შორის ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები ხალხების შესახებაა გაკეთებული, რომლებსაც ავტორები „ჩრდილო-დასავლეთის ბლოკს” უწოდებენ (218, 33-34). ამასთან, ჩვენს ხელთაა ტაციტუსის ცნობა, რომელიც გვარწმუნებს, რომ ტერმინით *გერმანელი* თავდაპირველად მხოლოდ ერთი ტომი, ტუნგრები, აღინიშნებოდა და რომ იგი მხოლოდ მოგვიანებით იქცა უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინად (10, 39).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაციტუსის გერმანია მისი „წინაპრისგან” (ანუ კეისრის გერმანიისგან) უკვე მეტად განსხვავებული, საკმაოდ ჰომოგენური, ერთობაა. ამას ადასტურებს ის, რომ:

ა) ტაციტუსთან დადასტურებულია უდავოდ გერმანული სინამდვილიდან მომავალი მითი ღმერთ ტუისტონის, მანისა და მისი შვილების შესახებ, რომელშიც დასავლეთ გერმანიკულ დიალექტებზე მოსაუბრე ეთნიკური ჯგუფების საერთო წარმომავლობაზეა საუბარი (10, 39);

ბ) იგივე ტაციტუსი საუბრობს საერთო გერმანულ სიწმინდეებზე (10, 40);

გ) ტაციტუსი და პლინიუსი გვთავაზობენ გერმანელი ტომების კლასიფიკაციის სისტემას;

დ) წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომაელებსა და გერმანელებს შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის ანალიზი დასვლეთ გერმანელი “ტომების”ერთიან სულისკვეთებას გვიჩვენებს;

ე) ვფიქრობთ, რომ იგივეს მიგვანიშნებს არმინიუსისა და მორობოდის ბრძოლის პერიპეტიებიც.

რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ ძვ.წ. I საუკუნის I ნახევარში ანტიკური ხანის გერმანიას ისტორიული შესატყვისობა არ გააჩნდა და იგი მხოლოდ ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ნაშრომებში არსებობდა?

ავტორის სტილი დაცულია

მოგვიანებით კი (სავარაუდოდ, წელთაღრიცხვის მიჯნაზე) აქ მცხოვრებმა ტომებმა თვითიდენტიფიკაციის საშუალებად მიიღეს რომაული წარმოშობის ტერმინები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხომ არ მოხდა ძველი გერმანული ისტორიულ სინამდვილის ფორმირება სწორედ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

ამგვარი სურათი სავსებით შეესაბამება ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეების ისტორიული რეალობას. ვფიქრობთ ძალიან ლოგიკურია დავუშვათ, რომ რომაელებთან გმირული საბრძოლო ეპოპეის ფონზე[49] ძველ გერმანელების ზოგიერთ "ტომს" ერთიანობის განცდა ჩამოუყალიბდა და ტაციტუსთან აღწერილი რეალობის (საერთოგერმანული წმინდა სალოცავები, მითი გენეზისი შესახებ და სხვა) გენეზისის მიზეზიც სწორედ ეს გახდა. "ეთნოგენეზის" ამგვარი მოდელი კარგად შეესაბამება კვლევის თანამედროვე ტენდენციების თეორიულ საფუძვლებს. მაგალითად, ჰ. ვოლფრამის, რ. ჰახმანისა და ვ. გოფარტის თხზულებებში სწორედ ასეთ სტილშია (ანუ რომი/ბიზანტიის იმპერიაში დამკვიდრებული იდენტობის საშუალებების ტრანსლაციის გზების ანალიზით) განხილული გოთების წარმომავლობის პრობლემა.

ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ თითქოს არქეოლოგიური და ლინგვისტური არგუმენტებიც მეტყველებს. არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ ახ.წ. I – II საუკუნეების გერმანია (ძვ.წ. II-I საუკუნეების გერმანიისგან განსხვავებით) საკმაოდ ჰომოგენური რეალობაა.

ლინგვისტური თვალსაზრისით კი ხაზი უნდა გავუსვათ ერთ საინტერესო ფაქტს. ინგვეონური, ისტვეონური და ერმიონული დიალექტები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ერთმანეთთან. ლინგვისტები არ დაობენ იმის შესახებ, რომ ამ სიახლოვის წარმოშობის მიზეზი მათი მეორადი კონვერგაციაა და არა "პროტოდასავლეთგერმანიკულიფუძეენის" არსებობა (იხ. III თავის პირველი პარაგრაფი). ყოველივე ამის ფონზე, თუკი გავიხსენებთ, რომ ტაციტუსის მიერ აღწერილი გერმანია სწორედ დასავლეთ (და არა აღმოსავლეთ, ან ჩრდილოეთ) გერმანიკული ენების გავრცელების არეალს ემთხვევა, ვფიქრობთ, ჩნდება

---

[49] *თანამედროვე მკვლევრები, მაგალითად ნ. როუმანსი, არმინიუსის აჯანყების არსის ინტერპრეტირებას ტრადიციულისგან განსხვავებულად ახდენენ. აღიქვამენ რა მას უფრო მეტად რომაული ლეგიონების ამბოხად ვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად (180, 45-89), თუმცა, როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ფაქტია, რომ კვინტილიუს ვარუსის ლეგიონებთან დაპირისპირებამ უდაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველი გერმანელების ეთნიკურ ისტორიაში.*

ავტორის სტილი დაცულია

კითხვა? ხომ არ იყო ახ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეების გერმანია ის გეოგრაფიული არეალი, სადაც ისტვეონურ, ინგვეონურ და ერმიონულ დიალექტებზე მოსაუბრე ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთს დაუახლოვდა, რამაც ასახვა ზემოთ ჩამოთვლილი დიალექტების მეორად კონვერგაციაში ჰპოვა.

ერთი შეხედვით, ვფიქრობთ, მოვლენათა ასეთი ლოგიკა სავსებით დამაჯერებელი ჩანს დაა კვლევის თანამდროვე ტენდენციების ადეკვატურადაც გამოიყურება.

თუმცა, ამ შემთხვევაში კონტრარგუმენტი შეიძლება იყოს ის, რომ ზემოთ ჩამოყალიბებულ კონსტრუქციაში ოდნავ ბუნდოვანია „პროტოგერმანული" ენის ადგილი. ზემოთ ჩვენ დავრწმუნდით, რომ მისი სახით საქმე საკმაოდ ჰომოგენურ „ფუძეენასთან" გვაქვს. მისი ჩამოყალიბებითვის საჭირო გარემოდ კი ვერც კეისრის ეპოქის ეთნიკურად და ლინგვისტურად ჭრელ გერმანიას (უფრო სწორად, რაინ-ვეზერისპირეთს) ჩავთვლით და ვერც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას, რომელიც ზემოთ მხოლოდ ინგვეონური, ისტვეონური და ერმიონული დიალექტების კონვერგაციის ზონად გამოვაცხადეთ. მით უფრო, რომ ლინგვისტები „პროტოგერმანიკულის" ფორმირების თარიღის შესახებ მსჯელობისას ლინგვისტები და დიალექტოლოგები ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებს თვლიან და არაძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკუთრივ გერმანიკულ ტოპონიმებს მხოლოდ მდ. ვეზერის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ვხვდებით, მაშინ, როცა უფრო სამხრეთით შერეულ ჰიდრო-ტოპონიმიკასთან გვაქვს საქმე. ამ არგუმენტზე დაყრდნობით ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დამკვიდრდა მოსაზრება, რომ გერმანიკული ენების ფორმირება სადღაც გერმანიის ჩრდილოეთ და სკანდინავია-იუტლანდიის სამხრეთ ნაწილებში მოხდა (111. 187).

აქვე ჩნდება ეთნოლოგიური შინაარსის კონტრარგუმენტიც. კერძოდ, იბადება კითხვა რამდენად რეალურია დასავლეთ გერმანიკული ენების გავრცელების მთელ არეალში ერთიან თვითიდენტიფიკაციის საშუალებებს ეარსება?

თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი შეკითხვა ჩვენთვის დაბრკოლებას არ წარმოადგნს, რადგან "ბარბარიკუმში" მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესების ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული მოდელის მიხედვით ეთნიკური ტრადიციების მთავარ მატარებლად მეომართა ელიტებს

ავტორის სტილი დაცულია

(და არა მოსახლეობის ფართო მასებს) მივიჩნევთ, რომლებიც მობილურობით ხასიათდებოდნენ.

“პროტოგერმანიკული” კი, ვფიქრობთ, ძველი გერმანელების სამყაროს ისტორიის უფრო ძველ ეტაპს წარმოადგენს, რომელსაც განსხვავებული ინტერპრეტაცია სჭირდება.

საამისოდ, საჭიროა, ერთმანეთს დავაცილოთ გერმანელებისა და იმ ეთნო-ლინგვისტური ჯგუფების სახელები, რომლებიც ძვ.წ. II – I საუკუნეებში რაინ-ვეზერისპირეთში იწყებენ შემოჭრას. გერმანელები, ჩვენთვის იმ “ელიტური ჯგუფების” ბაზაზე შექმნილი “ხალხია”, რომლების გენეზისიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომაელებთან სამხედრო დაპირისპირების ფონზე მოხდა. მათ, ნაშრომში, პირობითად, “ტაციტუსის გერმანელები” შეგვიძლია ვუწოდოთ. იმ ჯგუფებს კი, რომლებიც ძვ.წ. II-I საუკუნეების რაინ-ვეზერისპირეთში ვრცელდებიან და საკმაოდ ჰომოგენული “პროტოგერმანიკული” ენიდან მომდინარეობენ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული ტრადიციის თანახმად “კოსინას გერმანელებად” მოვიხსენიებთ. “კოსინას გერმანელებში”, ჩვეულებრივ „პროტოგერმანული” ფესვებიდან მომდინარე გერმანიკული ტომები იგულისხმება, რომლების სიძველეების შესწავლაშიც გერმანელ არქეოლოგ გ. კოსინას მართლაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. მათ საპირისპიროდ ისტორიკოსები იყენებენ ტერმინს „ალტერნატიული გერმნელები”, რომელიც იმ ეთნო-ლინგვისტური ჯგუფებს გულისხმობს, რომლებიც კეისრისა და მისი მემკვიდრეების მიერ გერმანიად სახელდებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ „პროტოგერმანულ” ენობრივ ერთობაში არ შედიოდნენ. მათი ენა, შესაძლოა, არაინდოევროპული წარმომავლობის ან ინდოევროპული ენობრივი ოჯახის რომელიმე უფრო ძველი („პროტოგერმანულისგან” განსხვავებული) მასივის ნაშთი ყოფილიყო. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში უფრო მეორე აზრია გავრცელებული, თუმცა მომხრეები პირველ მოსაზრებასაც მოეპოვება.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. I – ახ.წ. I-II საუკუნეების ანტიკურ წყაროებში დამკვიდრებულ ტერმინ “გერმანიის” ქვეშ სულ ცოტა სამი სინამდვილე (ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები) მაინც მოიაზრება, რომლებსაც ჩვენ პირობითი ტერმინებით: “კოსინას გერმანელები”, “ალტერნატიული გერმანელები” და “ტაციტუსის გერმანელები” აღვნიშნავთ.

ავტორის სტილი დაცულია

ძვ. წ. I საუკუნის (ანუ კეისრის ეპოქის) რაინ-ვეზერისპირეთი „პროტოგერმანული" სინამდვილის ფორმირების ადგილი კი არა - გეოგრაფიული არეალი იყო, სადაც ძვ.წ. II-I საუკუნეებში "კოსინას გერმანელები" გავრცელდნენ; აქვე ცხოვრობდნენ ე.წ. „ალტერნატიული გერმანელებიც"; მოგვიანებით კი, მათ ბაზაზე, „ტაციტუსის გერმანელები" ჩამოყალიბდნენ.

ამგვარი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: საიდან და როდის მოვიდნენ (თუკი ისინი აქ მართლაც მოსულები არიან) „კოსინას გერმანელები" ძვ. წ. I საუკუნის რაინ-ვეზერისპირეთში? (ეს კითხვა დაახლოებით ემთხვევა „პროტოგერმანელების" წინარესამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობის საკითხს);

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ისტორიული თვალსაზრისით "პროტოგერმანიკული ენის" საკითხს. რას წარმოადგენდა „პროტოგერმანიკული" სინამდვილე? სად და როდის ჩამოყალიბდა იგი?

„პროტოგერმანიკული" ლინგვისტური თვალსაზრისით ჰომოგენურ ენობრივი სინამდვილეა, რომლის წიაღშიც მინიმალური დიალექტური განსხვავებები არსებობდა. ეს კი საფუძველს გვაძლევს იგი („პროტოკელტურისგან" განსხვავებით) ისტორიული თვალსაზრისით სავსებით ავთენტურ რეალობად განვიხილოთ. საამისოდ, პირველ რიგში, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ლინგვისტური და ისტორიული რეალობების ურთიერთმიმართების პრობლემას უნდა დავუბრუნდეთ.

„პროტოგერმანული" რეალობის ფორმირებაზე მსჯელობისას ყურადღება, პირველ რიგში, მისი ქრონოლოგიისა და გეოგრაფიული ლოკალიზაციის პრობლემებს უნდა მივაპყროთ.

ამის განსაზღვრაში ჰიდრონიმიკა-ტოპონიმიკის მონაცემები გვეხმარება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთრივ გერმანიკული ტოპონიმიკა "პროტოგერმანიკული რეალობის" მდ. ვეზერის ჩრდილოეთ ნაწილში არსებობაზე მიგვითითებს. გაცილებით უფრო ძნელი სათქმელია, თუ რა ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უნდა ვაწარმოოთ ძიება. საქმე ისაა, რომ ლინგვისტიკაში, რომლის მონაცემებსაც „პროტოგერმანული" სინამდვილის პოსტულირება ემყარება, დრო არქეოლოგიაზე კიდევ უფრო მეტად პირობითი ცნებაა. ამის გამოა, რომ აქ, როგორც ზემოთ (III თავის მეორე პარაგრაფში)

ავტორის სტილი დაცულია

აღვნიშნეთ "პროტოგერმანული" ენის შესახებ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. თუკი ე. მაკაევს მისი დიფერენციაციის საწყის ეტაპად ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიწურული ესახება, ე. შვარცს ეს თარიღი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში გადააქვს. ლინგვისტების დიდი უმრავლესობა კი მის ქრონოლოგიურ ლოკალიზებას ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ცდილობს. ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რამდენად არაფრისმთქმელია მსგავსი თარიღები, როცა ეთნიკურ ისტორიაზე ვსაუბრობთ. მის განმავლობაში მრავალ არქეოლოგიურ კულტურას შეიძლება ეარსება. უფრო კონკრეტული მარკერის მოცემა კი ენათმეცნიერებას არ შეუძლია. ეს გარემოება გვაიძულებს დახმარებისთვის არაპირდაპირ ლინგვისტურ და არქეოლოგიურ ჰიპოთეზებს მივმართოთ.

გერმანიკულ ენებში ძალზე კარგად არის შემონახული ინდოევროპული ენის არქაული ფორმები. ეს კი ლინგვისტებს ავარაუდებინებს, რომ ამ ენებს (ან მათ წინაპარ ლინგვისტურ ერთობებს) დიდი ხნის განმავლობაში სხვა ინდოევროპული ენებისგან იზოლირებულ გარემოში უნდა ეარსებათ. ასეთ გეოგრაფიულ არეალად კი ხშირად სკანდინავიას მიიჩნევენ. მართლაც, თუკი ევროპის ჩრდილოეთი და განსაკუთრებით, ცენტრალური ნაწილის (ანუ იმ ტერიტორიის, სადაც, სავარაუდოდ „პრეგერმანელებს" შეეძლოთ ეცხოვრათ) არქეოლოგიურ მასალებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრის შემდგომ პერიოდში ეს ტერიტორია ძნელად თუ გამოდგება ამგვარი "ლინგვისტური იზოლაციისთვის" ხელსაყრელ გარემოდ.

ბრინჯაოსა და რკინის ხანაში აქ ხალხთა ფართო მიგრაცია თუ არა, სხვა რეგიონების არქეოლოგიურ კულტურებთან ხშირი კონტაქტები მაინც დასტურდება, რაც "პროტოინდოევროპული" არქაიზმების შენარჩუნებას ნაკლებად შეუწყობდა ხელს. სკანდინავიის "აქციები" ამ მხრივ მართლაც უფრო ძვირად ფასობს.

თუმცა, სკანდინავიის „პროტოგერმანიკულის" წინარესამშობლოდ გამოცხადების ხელს რამდენიმე გარემოება უშლის:

1) არქეოლგიური თვალსაზრისით, ძველი გერმანელების ისტორიული განსახლების არეალთან ჩრდილოეთ გერმანიას გაცილებით მეტი კავშირები უჩანს, ვიდრე სკანდინავიას, რომელიც ძვ. წ. III-II-I საუკუნეებში, ფაქტობრივად, დაცარიელებული იყო;

ავტორის სტილი დაცულია

2) არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „პროტოგერმანიკულს", არქაიზმებთან ერთად „ძველევროპულ" ენებთან ბევრი საერთოც ახასიათებს, რომლების გამოც იგი ე. წ. ენათა „ძველევროპულ" ერთობაშიც კი შეჰყავთ. მისი (ე. ი. „ძველევროპული") იზოგლასების გენეზისისთვს კი სკანდინავიაში არცთუ ხელსაყრელი გარემო არსებობდა.

რა დახმარება შეუძლია გაგვიწიოს ზემოხსენებულმა მსჯელობამ „პროტოგერმანიკული" ენის ჩამოყალიბების დროზე მსჯელობისას? ვფიქრობთ, ლოგიკას არ იქნება მოკლებული თუ ვივარაუდებთ, რომ "პროტოგერმანიკული" ჩრდილოეთ გერმანიაში დიდი ხნის განმავლობაში მცხოვრები და სკანდინავიიდან გადმოსახლებული ელემენტის სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა.

ეს მსჯელობა შესაძლოა ჰიპოთეტური იყოს, მაგრამ მას ერთობ რეალური ელფერი მიეცემა, თუკი ჩრდილოეთ ევროპის ძვ წ. I ათასწლეულის არქეოლოგიურ სიტუაციას გადავხედავთ. საქმე ისაა, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სკანდინავიაში ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. ნახევარკუნძული თითქმის ცარიელდება და მისი მცხოვრებლები გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში სახლდებიან. ხომ არ შეიძლება ხალხთა ეს მიგრაცია სკანდინავიიდან „პროტოინდოევროპული" არქაიზმების კონტინენტზე გადმონაცვლებად ინდიკატორად მივიჩნიოთ? ასეთ შემთხვევაში „პროტოინდოევროპულის" ფორმირების თარიღად შეგვიძლია ძვ.წ. IV-III საუკუნე ჩავთვალოთ. მაშასადამე, „პროტოგერმანელების" არქეოლოგიური ეკვივალენტებიც ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების წიაღში უნდა ვეძებოთ.

მოვლენათა ასეთი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში, ვფიქრობთ, გერმანელთა ეთნოგენეზის სავსებით რეალური სურათი იკვეთება, რომელსაც საკმაოდ კარგად ესადაგება ჩვენს ხელთ არსებული ყველა ისტორიული ფაქტი და მოვლენა.

კერძოდ, გამოდის, რომ ძვ.წ IV- III საუკუნეებში სამხრეთ სკანდინავიიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია დაიწყო, რამაც ამ პერიოდში სკანდინავიის ამ ნაწილის თითქმის სრული დაცარიელება გამოიწვია. შესაძლოა, სწორედ ასეთი პროცესების სიხშირის გამო უწოდებს იორდანე სკანდინავიას „ხალხთა აკვანს". არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში აქ კიმბრებისა და ტევტონების მსგავსი „ურდოების"

ავტორის სტილი დაცულია

მოძრაობასთან გვქონდა საქმე. უფრო ლოგიკური, რა თქმა უნდა, მცირე გაერთიანებების ხშირი გადაადგილების თეორია ჩანს. სავარაუდოდ, ამ მიგრაციებმა ჩრდილოეთ ევროპას საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია, რის შესახებაც დღეს მხოლოდ არქეოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია მსჯელობა.

კერძოდ, ამ პერიოდში ბალტიკიდან კარპატებამდე, დნეპრამდე და დუნაიმდე ტერიტორიაზე ახალი ტიპის არქეოლოგიური კულტურების მთელი ქსელი ჩამოყალიბდა. კერძოდ, იასტორფის კულტურა რიპდორფის სტადიაში გადავიდა, რასაც ახალი - ბოდენბახ-პოდმოკლისა და გუბინსკის - ჯგუფების ფორმირება მოჰყვა. უფრო აღმოსავლეთით კი პშემორული, ოკსივური, ზარუბინეცკისა და პოიანეშტი – ლუკაშევოს კულტურები ჩამოყალიბდა (204-156). ეს კულტურები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება, თუმცა მათ კერამიკის წარმოებისა და დამარხვის წესების თვალსაზრისით ბევრი საერთოც აქვთ. ამ საერთო ელემენტებით ისინი მკაფიოდ "ემიჯნებიან" მეზობელ კელტებს, დაკო-გეტებს, სარმატებსა და სკვითებს (204 – 160).

„პროტოგერმანიკული" ენის ფორმირება, როგორც ჩანს, სკანდინავიიდან წამოსული ჯგუფების იასტორფის არქეოლოგიური კულტურის ზონაში ინფილტრაციამ გამოიწვია, რამაც ამ არქეოლოგიური კულტურის რიპდორფის სტადიაში გადასვლა განაპირობა. "პროტოგერმანიკულის" ჰომოგენური ბუნება გვაფიქრებინებს, რომ მისი გენეზისი სწორედ ასეთ ლოკალურ სივრცეში მოხდა, საიდანაც ყველა შემდგომი პერიოდის გერმანიკული "კილო-კავი" გავრცელდა იღებს სათავეს. რომ არა ეს ფაქტორი (ანუ "პროტოგერმანიკულის ჰომოგენურობა"), ბუნებრივია, შეგვეძლო ამ პერიოდის ყველა ახალი ტიპის არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალი გამოგვეცხადებინა „პროტოგერმანიკულის" ფორმირების ზონად.

მაშასადამე, „პროტოგერმანიკულის" სახით კონკრეტული ისტორიული ერთობის არსებობას ვვარაუდობთ. როგორც ჩანს, იასტორფის კულტურის ზონიდან უკვე ძვ.წ. III-II საუკუნეებშივე დაიწყო სხვადასხვა კლანების სივრცობრივი გავრცელება, რასაც გერმანიკული დიალექტების ევროპაში განფენა მოჰყვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ „პროტოგერმანიკულ" ენაზე მოსაუბრე კლანების ევროპაში გავრცელებასთან ერთად თანდათან იკვეთებოდა განსხვავებები ჩრდლოგერმანიკულ, აღმოსავლეთგერმანიკულ (რომლებიც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ავტონომიურ „პროტოერთობას" ასევე

ავტორის სტილი დაცულია

არასოდეს ქმნიდნენ), ინგვეონურ და ერმიონულ დიალექტებს შორის. ისგვეონური კი, ალბათ, ერმიონულს და ინგვეონურს ოდნავ მოგვიანებით გამოეყო.

ანტიკური ხანის წყაროებში მრავალი "ეთნომინი" იხსენიება, რომლების ეთნიკური კუთვნილებაც დიდი ხანია ფართო დისკუსიის ობიექტია. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ ბასტარნები, სკირები, კიმბრები, ტევტონები, სვებები, უზუპიტები, ტანკრერები და სხვა, რომლებიც ძვ.წ. III – I საუკუნეებში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. ბუნებრივია ისმის კითხვა: რამდენადაა შესაძლებელი ვთქვათ რომელი მათგანი წარმოადგენს "ალტერნატიულ -" და რომელი "კოსინას გერმანელებს".

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა დავაზუსტოდ, რომ ბასტარნებში, სკირებში, სვებებში (მით უფრო კიმბრებსა და ტევტონებში) ჩვენ არ ვგულისხმობთ კლასიკური გაგებით ტომებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეგალიტარული პრინციპების საფუძველზე ორგანიზებული გვაროვნული თემების გაერთიანებას წარმოადგენენ. ისინი, ალბათ, მეომართა არც თუ მრავალრიცხოვან კლანებს წარმოადგენენ, რომლებიც გალიასა და რაინ-ვეზერისპირეთში რესურსების გაკონტროლებას ცდილობენ (საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით III თავის მესამე პარაგრაფშია მსჯელობა).

ეთნიკური იდენტობა ანტიკური ხანის "ბარბარიკუმში" სავარაუდოდ ვერ იქნებოდა იდენტობის მთავარი მარკერი. რაინის აღმოსავლეთით მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, რა თქმა უნდა, უმთავრესი გვაროვნული თემისა და კულტისადმი მიკუთვნებულობის განცდა იყო. ბასტარნების, სვებების, სკირებისა და სხვა მსგავსი დაჯგუფებების წევრები, სავარაუდოდ, გვაროვნულ თემს სხვადასხვა მიზეზით მოწყვეტილი ადამიანები ხდებოდნენ. ამ ჯგუფების ბირთვს (რ. ვენსკუსის ტერმინებით რომ ვთქვათ "ტრადიციების ბირთვის" მატარებელს), თავდაპირველად, ალბათ მცირე ზომის გვაროვნული თემი წარმოადგენდა, რომელის რაოდენობაც თანდათან იზრდებოდა მის გარშემო სხვადასხვა მიზეზით შემოკრებილი "დრუჟინების" ხარჯზე.

პირველ ეტაპზე ტერმინები სვებები, სკირები და სხვა, ალბათ, "ელიტური მეომრების" ამ ტიპის დაჯგუგებას აღნიშნავდა; ბერძენ და რომაელ ავტორებს, ბუნებრივია, თვალში სწორედ ასეთი აქტიური ჯგუფები ხვდებოდათ. შესაბამისად, ისინი გარკვეულ ტერიტორიებს მათ სახელებთან აიგივებდნენ (მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი სხვა ხალხიც ცხოვრობდა, რომლებსაც

ავტორის სტილი დაცულია

იდენტობის სხვა მარკერები ჰქონდათ). ანტიკური ხანის "ბარბარიკუმში" იდენტობის ამ ტიპის საშუალებების კონსტრუირება და დეკონსტრუირებაც ძალზე იოლად და სწრაფად ხდებოდა. თუმცა, თანდათან, სხვადასხვა მიზეზების გამო, ზოგიერთი მათგანი იდენტობის მყარ მარკერად იქცეოდა. მაგალითად, როგორც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომაელებთან სამხედრო დაპირისპირებამ აქცია ტერმინი "გერმანელი" საკმაოდ ჰომოგენული და მრავალრიცხოვანი დაჯგუფების სახელად.

*****

მაშასადამე, საბოლოო დასკვნები ძველი გერმანელების ეთნოგენეზის შესახებ, ვფიქრობთ, შემდეგი სახით უნდა ჩამოვაყალიბოთ. მათი "ეთნიკური ისტორია" ცალსახად ჩრდილოეთ გერმანიასა და სამხრეთ სკანდინავიას უკავშირდება. ქვეყნის ამ ნაწილში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები პირველად ძვ.წ. III ათასწლეულში გამოჩნდნენ. ისინი ინდოევროპული ოჯახის ბალტიურ-სლავურ-გერმანიკული ჯგუფს (გნებავთ „პროტობალტო-სლავურ-გერმანიკულს") წარმოადგენდნენ. მათ სახელს აქ ზონრიანი კერამიკის (იმავე საბრძოლო ცულების) კულტურის ჩამოყალიბება უკავშირდება. ეს არქეოლოგიური კულტურა ჩრდილოეთ გერმანიაშიც კი უამრავი ლოკალური ვარიანტის სახით იყო წარმოდგენილი.

ტერმინი „პროტოგერმანიკული", რა თქმა უნდა, ამ ეპოქის რეალობას არ ასახავს. ვფიქრობთ, ამ დროის ჩრდილოეთ გერმანიის არქეოლოგიური კულტურების სახით უბრალოდ უნდა წარმოვადგინოთ გეოგრაფიული არეალი, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ინდოევროპული ოჯახის ერთ-ერთი მსხვილი ფრთის (ანუ „ბალტიურ-სლავურ-გერმანიკულის) თავისებურებები ყალიბდებოდა. ჩრდილოეთ ევროპა არქეოლოგიურად საკმაოდ მდორედ ვითარდება. ამან კი თავისებური ნიშან-თვისებები შეუმუშავა ენებს (და ეთნიკურ ჯგუფებს), რომლების ჩამოყალიბებაც ამ რეგიონს უკავშირდება. ასეთ „ხალხებს" შედარებით გვიანდელ პერიოდში წარმოადგენდნენ სლავები და

ავტორის სტილი დაცულია

ბალტიელები. შესაძლოა, თრალიელები და დაკო-გეტებიც[50]. თუმცა, მათი ეთნოგენეზი, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი კვლევის ობიექტია.

ამავე არეალში უნდა ჩამოყალიბებულიყო „პროტოგერმანიკული" ერთობაც, რომელიც საკმაოდ მკვეთრად გამოხატულ რეალობას წარმოადგენდა. მისი სახით საუბარი გვიწევს არა „პროტოინდოევროპულისა" და „პროტოიტალიურ-კელტურის" ან „პროტობალტიურ – სლავურ - გერმანიკულის" მსგავს რეალობაზე, რომელიც მხოლოდ ლინგვისტური მასალის კლასიფიკაციისთვის თუ გამოდგება, არამედ სავსებით კონკრეტულ ენობრივ ერთობაზე, რომელის წიაღშიც, ალბათ, მნიშვნელოვანი დიალექტური განსხვავებებიც არსებებდა.

„პროტოგერმანიკულის" ჩამოყალიბებაში, ვფიქრობთ, მონაწილეობა უნდა მიეღო, ერთი მხრივ, სკანდინავიიდან მოსულ ელემენტს, რომლის ენაშიც კარგად იქნებოდა შენარჩუნებული „პროტოინდოევროპული" არქაიზმები, მეორე მხრივ კი - ენობრივ ჯგუფებს, რომლებიც „ძველევროპული" მასივის მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდნენ. არქეოლოგიური თვალსაზრისით პირველ მათგანს, ვფიქრობთ, ძვ. წ. აღრიცხვით III საუკუნეში სკანდინავიიდან შემოჭრილი ტომები შეესატყვისება, მეორეს კი - იასტოფის კულტურის მატარებლები, რომლების ეთნიკურ ისტორიაშიც ამ მოვლენებს რიპდორფის სტადია შეესატყვისება. მაშასადამე, „პროტოგერმანიკული" ენის გავრცელებისა და ჩამოყალიბების არეალად იასტოფის კულტურის რიპდორფის სტადიას მივიჩნევთ.

შესაბამისი პერიოდის თვითიდენტიფიკაციის „პროტოგერმანიკულ" საშუალებებზე სასაუბროდ, სამწუხაროდ, მწირი ცნობები მოგვეპოვება. ასეთთა შორის შეგვიძლია მხოლოდ მოვიხსენიოთ ტაციტუსისა და კეისრის თხზულებების პასაჟები, სადანაც სენონების ტერიტორიისადმი განსაკუთრებული მოკრძალება იკვეთება. სენონები კი სწორედ ვეზერსა და ოდერს შორის, ანუ ჩვენ მიერ ზემოთ შემოხაზულ არეალში ცხოვრობდნენ. შეიძლება ასევე გამოითქვას ფრთხილი ვარაუდი იმის შესახებ, რომ "პროტოგერმანიკული" სამყაროსთვის (მისი ერთ-ერთი მსხვილი ნაწილისთვის მაინც) სიტყვა "სვები /სვებები" თვითსახელს წარმოადგენდა.

---

[50] *ვფიქრობთ, უფრო მეტად თავშეკავებული უნდა ვიყოთ ილირიელებისა და ე.წ. ჩრდილო-დასავლეთის ბლოკზე საუბრისას, რადგან ლინგვისტებს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუდგენიათ მათი ენების განსაკუთრებული სიახლოვე სწორედ გერმანიკულ-ბალტო-სლავურ ლინგვისტურ ფრთასთან.*

ავტორის სტილი დაცულია

ჩვენთვის ასევე ძნელი განსასაზღვრია, თუ ანტიკური ისტორიის რომელ ეპიზოდებში იღებდნენ მონაწილეობას ე.წ. „კოსინას გერმანელები" (ანუ საკუთრიც გერმანიკულ ენებზე მოსაუბრე "ტომები"). თუმცა, როგორადაც უნდა გადაწყდეს რაინ-ვეზერისპირეთის ცალკეული "ტომების" ეთნიკური კუთვნილების საკითხი, ფაქტია, რომ კეისრის ეპოქის გერმანია ეთნო-ლინგვისტურად ჭრელი რეგიონია, რასაც ვერ ვიტყვით დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ პლინიუსისა და ტაციტუსის აღწერილი გერმანიის შესახებ. როგორც ჩანს, რომაელების აგრესიამ ეს მხარე მნიშვნელოვნად შეცვალა. ამ პერიოდში აქ ახალი კულტურულ-ისტორიული რეალობა ჩამოყალიბდა, რომელმაც რომაული ტერმინი *გერმანია* იდენტობის საშუალებად მიიღო. ყოველივე ეს მხოლოდ დასავლეთის გერმანელებს ეხება. ახ.წ. I – II საუკუნეებში ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ჯგუფებზე ტერმინი "გერმანელი" არ ვრცელდებოდა.

როდესაც ძველი გერმანელების იდენტობის საშუალებებზე ვმსჯელობთ, მათი მატარებლის როლში მმართველ კლანებს მოვიაზრებთ. ცალკეული ტომების საცხოვრისშიც უბრალოდ ამ კლანების ძალაუფლების გავრცელების არეალს ვგულისხმობთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ძველგერმანული საზოგადოების სტრუქტურის შესახებ რ. ვენსკუსის, რ. ჰახმანისა და ვ. პოლის მოსაზრებებს ვიზიარებთ.

მაშასადამე, პასუხი კითხვაზე: ვინ იყვნენ ძველი გერმანელები? საკმაოდ რთული და მრავალწახნაგოვანია. გამოდის, რომ ძვ.წ I – ახ.წ. I-II საუკუნეებში ანტიკური ხანის ავტორების თხზულებებში დამკვიდრებული ტერმინი "გერმანელი" ერთი სახელის ქვეშ სამ ერთმანეთისგან განსხვავებულ რეალობას აერთიანებს:

ა) ერთი მხრივ აქ იგულისხმება ე.წ. "კოსინას გერმანელები", რომლებიც "პროტოინდოევროპული" ფესვებიდან მომდინარეობენ; ისინი რაინ-ვეზერისპირეთიში ძვ.წ. II-I საუკუნეებში იწყებენ გავრცელებას;

ბ) მეორე მხრივ "ტომები", რომლებსაც კეისრის გავლენით გერმანელებს მხოლოდ იმიტომ უწოდებენ, რომ რაინის აღმოსავეთით ცხოვრობენ;

გ) ე.წ. დასავლეთგერმანიკულ ენებზე მოსაუბრე ტომები, რომლებმაც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომაელებთან სამხედრო დაპირისპირების პირობებში ძლიერი გაერთიანება შექმნეს და რომაული ტერმინი გერმანია თვითიდენტიფიკაციის საშუალებად მიიღეს.

ავტორის სტილი დაცულია

ახ. წ. III საუკუნიდან ტერმინმა „გერმანია" თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგა. მისი ადგილი „ბარბაროსულ" სამყაროში ფრანკმა, გოთმა, საქსმა, ალემანმა და სხვა „ეთნონიმებმა" დაიკავეს, თუმცა ისტორიულ მისამართდაკარგული ცნების სახით რომაელები მას შემდგომ პერიოდშიც იყენებდნენ. ახ.წ. III საუკუნეში წარმოქმნილ ზემოთჩამოთვლილ ტომებს იდენტობის ერთიანი საშუალებები აღარ ჰქონდათ. ამ გაერთიანებების "ეთნოგენეზისის" კვლევა კი წინამდებარე გამოკვლევის ინტერესის ფარგლებს სცილდება.

ავტორის სტილი დაცულია

დ ა ს კ ვ ნ ა

გამოკვლევის დასკვნით ნაწილში საჭიროა აღნუსხული სახით წარმოვადგინოთ ის დებულებები, რომლების საფუძველზეც ზემოთ ძველი გერმანელების და კელტების ეთნოგენეზისის პრობლემა იქნა გაშუქებული.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს განსაზღვროს:

1) თუ რა ობიექტური რეალობა იმალება ანტიკური ხანის ავტორების მიერ "კელტიკად" და "გერმანიად" სახელდებული ისტორიული სინამდვილეების მიღმა;

2) როდის და როგორ მოხდა მათი (ე. ი. ამ ისტორიული სინამდვილეების) ფორმირება;

3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამ „ხალხების" სახელებთან გაიგივებული ლინგვისტური სქემები, არქეოლოგიური არტეფაქტების სერია, ეთნონიმები და ძველი პერიოდის ავტორების აღწერილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტები.

დასახული მიზნების მისაღწევად ნაშრომში, საკვლევი შეკითხვების სახით, ჩამოყალიბებულია შემდეგი ამოცანები:

- როგორ ხდებოდა ბერძნული და რომაული ეთნიკური კონსტრუქციების ფორმირება;
- რა თავისებურებები ახასიათებდა "ბარბარიკუმში" მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს; რა გავლენას ახდენდა მათზე ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციები;
- რატომ და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეთნოგენეტიკური კვლევისას ინტერდისციპლინარული მიდგომები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ნაშრომი მოწოდებულია წვლილი შეიტანოს იმ სამეცნიერო პარადიგმის გადასინჯვაში, რომლის საფუძველზეც XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები შეისწავლებოდა.

თემის <u>შესავალ ნაწილში</u> დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა. განსაზღვრულია ნაშრომის მიზნები და ამოცანები. განხილულია საკითხისთვის

ავტორის სტილი დაცულია

მნიშვნელოვანი წყაროები და ლიტერატურა. გაანალიზებულია კვლევის მეთოდები, რომლებსაც ავტორი იყენებს.

<u>პირველ თავში</u> (ძველი გერმანელების და კელტების ეთნოგენეზის პრეისტორიული ფონი) მსჯელობა ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების გავრცელების საკითხებს ეხება. აქ, ჩამოყალიბებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მათი პირველსაცხოვრისი სამხრეთ შუა აზიისა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ინდოევროპელთა ევროპაში გავრცელების თაობაზე მოსაზრებები კი თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვის დივერგაციის სქემისა და ევროპული არქეოლოგიური ძეგლების ურთიერთშეჯერების საფუძველზეა გაკეთებული.

მის მიხედვით ივარაუდება, რომ გერმანულ–ბალტიურ–სლავურ „პროტოენაზე“ მოსაუბრე ხალხები ევროპაში ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარში ზონრიანი კერამიკის არქეოლოგიური კულტურის კვალდაკვალ გავრცელდნენ. იტალიურ-კელტურ-ილირიული ენობრივი მასივის წარმომადგენლები კი ძვ.წ. III ათასწლეულში ვოლგა–ურალის სტეპებში ცხოვრობდნენ. ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში მათ ძელური და ე.წ. „კიმერიული“ არქეოლოგიური კულტურების კვალდაკვალ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის და სამხრეთ რუსეთის სტეპებისკენ გადმოინაცვლეს. ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში მათი გავრცელება კი ძვ.წ. I ათასწლეულში ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბების მიზეზი გახდა.

გამოკვლევის მეორე და მესამე თავებში ერთმანეთისგან იზოლირებულადაა განხილული ანტიკური ხანის კელტებისა და ძველი გერმანელების ეთნოგენეზის საკითხისათვის მნიშვნელოვანი ენათმეცნიერული, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები.

გაზიარებულია მოსაზრებები იმის შესახებ, რომ:

1) “პროტოკელტური” ენა მონათესავე ენების უბრალო კავშირს წარმოადგენდა და არა “ფუძეენას”;

2) არასოდეს არსებობდა “პროტოკელტურ-იტალიური” ერთობა;

3) კელტურ ენებს ბევრი საერთო აქვთ ე. წ. “ძველევროპულ” ენებთან;

ავტორის სტილი დაცულია

4) კელტურ ენებში, არიული ენების მსგავსად, კარგად არის შემორჩენილი სამართლებრივი და რელიგიური ტერმინოლოგიის ამსახველი "პროტოინდოევროპული" ლექსიკა;

5) ირლანდიური ენა შესაძლოა "სუბსტრატული" არაინდოევროპული ენების გარკვეულ გავლენას განიცდიდეს.

6) ინდოევროპული ენობრივი ოჯახის კელტურ-იტალიურ-ილირიული ფრთის წარმომადგენლები ძვ.წ. III ათასწლულის მეორე ნახევარში პოლტავინოს არქეოლოგიური კულტურის სახით იყვნენ წარმოდგენილი; ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მათ ძელური არქეოლოგიური კულტურა წარმოადგენს; ძვ.წ. I ათასწლეულში კი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის - ე.წ. კიმერიული არქეოლოგიური კულტურები;

7) საკუთრივ კელტების წინაპრების კვალი ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის დასავლეთ ნაწილის ლოკალურ ვარიანტებშია საძიებელი, რომლების საფუძველზეცლატენის არქეოლოგიური კულტურა ჩამოყალიბდა;

8) ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან მეომართა ელიტების სახით მოსულმა ეთნო-ლინგვისტურმა ელემენტმა შეასრულა;

9) ჰალშტატი საკმაოდ "ჰეტეროგენული", ლატენი კი საკმაოდ "ჰომოგენური" არქეოლოგიური რეალობაა.

10) ტერმინი კელტი, ძვ.წ. VI – V საუკუნეებში, მხოლოდ გეორაფიული შინაარსის მქონე სიტყვას წარმოადგენდა; შესაბამისად, იგი არ გამოხატავდა "ბარბარიკუმში" მცხოვრები ხალხების ეთნიკური იდენტობის მარკერს;

11) ძვ.წ. IV – III საუკუნეებში სიტყვა "კელტი" ტერმინების"გალატი","გალისგან" განსხვავებულ ისტორიულ რეალობას ასახავს;

12) სიტყვები "გალი" და "გალატი" საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილ ისტორიულ რეალობას ასახავენ, რომლის მატარებლებსაც იდენტობის საერთო საშუალებები ჰქონდათ.;

13) გალატების თავდაპირველი განსახლების ადგილი საფრანგეთის ჩრდილოეთ და შვეიცარიის დასავლეთ ნაწილშია საძიებელი.

*****

ავტორის სტილი დაცულია

1) “პროტოგერმანული,” “პროტოკელტურისგან” განსხვავებით, “ფუძეენას” წარმოადგენდა, რომლის წიაღშიც უმნიშვნელო დიალექტური განსხვავებები არსებობდა;

2) “პროტოგერმანიკულის” უმთავარი ლინგვისტური მახასიათებლები ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, ან კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდში ჩამოყალიბდა;

3) გერმანიკულ ენებში დაცული არქაიზმები ლინგვისტებს ავარაუდებინებს, რომ ისინი (უფრო სწორედ მათი წინაპარი ენები და დიალექტები), დიდი ხნის განმავლობაში, სხვა ინდოევროპული ენებისგან იზოლირებულ გარემოში ვითარდებოდნენ;

4) “პროტოგერმანიკული” სლავურისა და სხვა “ძველევროპული” ენების მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა;

5) საკუთრივ გერმანულ ტოპონიმებს მდინარე ვეზერის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში ვხვდებით. მაშინ, როცა უფრო სამხრეთ რაიონებში შერეულ ჰიდრო- -ტოპონიმიკასთან გვაქვს საქმე;

6) არასოდეს არსებობდა „პროტოდასავლეთგერმანული“, ანუ ინგვეონური, ისტვეონური და ერმიონული დიალექტებისათვის არქეტიპული ენა. მათ შორის არსებული ენობრივი მსგავსებები მერმინდელი კონვერგაციის შედეგს წარმოადგენს;

7) არასოდეს არსებობდა “გოთურ-სკანდინავური”, ანუ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გერმანული მასივებისთვის არქეტიპული “პროტოენა”.

8) ინდო-ევროპული ენობრივი ოჯახის “პროტობალტიურ-სლავურ-გერმანიკული” ფრთის წარმომადგენლები, ანუ ის ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები, რომლების საფუძველზეც, მოგვიანებით, გერმანული, ბალტიური და სლავური ისტორიული ერთობები ჩამოყალიბდა ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში, საბრძოლო ცულების არქეოლოგიური კულტურის კვალდაკვალ გამოჩნდნენ;

9) ძველი გერმანელების კვალი ჩრდილოეთ ევროპის ე. წ. ლატენიზირებული კულტურების წიაღში უნდა ვეძებოთ;

10) არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულში მდ. რაინის აღმოსავლეთ ნაწილში მრავალი განსხვავებული წარმოშობის მქონე არქეოლოგიური კულტურა არსებობდა;

ავტორის სტილი დაცულია

11) ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ჩრდილოეთ ევროპაში ხალხთა მასიური მიგრაციები მიმდინარეობს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის ამ ნაწილის ეთნოსოციალურ სურათს.

12) იულიუს კეისრის ეპოქის გერმანია გეოგრაფიული შინაარსის ტერმინია; ამ პერიოდში სიტყვა "გერმანელი" არ წარმოადგენს რაინის აღმოსავლეთით მცხოვრები ხალხების ეთნიკური იდენტობის მარკერს;

13) ტაციტუსის ეპოქის გერმანია მკაფიოდ გამოკვეთილი ეთნო–კულტურულრეალობაა; ტერმინი გერმანელი კი – "ბარბარიკუმში" მცხოვრები ხალხების თვითიიდენტიფიკაციის საშუალებაა.

ნაშრომის <u>მეოთხე თავში</u> კი მწყობრადაა ჩამოყალიბებული ანტიკური ხანის კელტების ისტორიული სინამდვილის რაობისა და გენეზისის პრობლემის შესახებ ავტორისეული მოსაზრებები. ეს მოსაზრებები თანამედროვე კელტოლოგიაში პოპულარული კვლევის ტენდენციების ანალიზის ფონზეა წარმოდგენილი. კერძოდ, მოცემულია მცდელობა პასუხი გაეცეს კითხვას "ვინ იყვნენ ანტიკური ხანის კელტები?", რომელიც XX საუკუნის 70-იანი და შემდგომი პერიოდის კელტოლოგიაში აქტიურად განიხილება.

ავტორის აზრით, აქ საკითხის სხვაგვარად დასმაა საჭირო. მართებულია არა ჰოლისტური პასუხის ძიება კითხვაზე "ვინ იყვნენ კელტები?, არამედ - "რას წარმოადგენდა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ანტიკური ხანის კელტიკა ძვ.წ. VI-V; ძვ.წ. IV – III და კიდევ უფრო შემდგომ საუკუნეებში (რომლებიც გამოკვლევის ფარგლებს სცილდება). იგი თვლის, რომ იმ ტრანსფორმაციების ჩვენება, რომელიც ძვ.წ. VI – III საუკუნეების კელტურმა სამყარომ განიცადა კარგად წარმოაჩენს ანტიკური ხანის "ბარბარიკუმის" ეთნო-სოციალური ისტორიის თავისებურებებს.

ა) ძვ.წ. VI-V საუკუნეების ანტიკური ხანის ავტორების მიერ აღწერილი კელტიკა ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის დასავლეთ ზონასა და ე.წ. "პროტოკელტური" ენის ფორმირების არეალს ემთხვევა. ტერმინი კელტი, კელტური ენების ფონდიდან მომდინარეობს (სავარაუდოდ, იგი პირველად მასალიის სიახლოვეს მცხოვრებ ერთ-ერთ ჯგუფს აღნიშნავდა), თუმცა, ამ პერიოდში იგი ცალსახად გეოგრაფიული ტერმინია. ძვ.წ. VI-V საუკუნეებში არ არსებობს ზოგადკელტური (ენდოეთნონიმების მსგავსი) იდენტობის საშუალებები; არც კელტურ კულტურას აქვს იმდენად გამოკვეთილი სახე, რომ მის ორიგინალურ ჰაბიტუსზე ვიმსჯელოთ.

ავტორის სტილი დაცულია

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში მაინც შეიმჩნევა აქტიური ეთნო-სოციალური პროცესები, რომლებიც ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ახალი (ჩრდილოეთ შავიზღვისპირული) ელემენტის, კიმერიელების, გამოჩენამ გამოიწვია. სწორედ კიმერიელების წყალობით, ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის ფორმირების პარალელურ რეჟიმში, მოხდა ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში "კელტურ-იტალიურ-ილირიული ენების" გავრცელება. იგივე კიმერიელების მიგრაციებმა (რომლებიც ევროპას აგრესიული "სუპერსტრატის" სახით მოევლინენ) გამოწვივა დასავლეთ ჰალშტატურ ზონაში ახალი ტიპის საკომუნიკაციო კავშირების შექმნა, რამაც ლინგვისტური თვალსაზრისით "პროტოკელტური" ენის ჩამოყალიბებაში ჰპოვა ასახვა.

"პროტოკელტური" ენის უკან შეუძლებელია დავინახოთ გამოკვეთილი ისტორიული რეალობა, თუმცა, ასევე შეცდომაა ქრონოლოგიური და გეორაფიული თვალსაზრისით მისი ჩამოყალიბების მეტ-ნაკლებად ლოკალური არეალის არსებობის უარყოფა. ასეთ არეალს (ანუ კელტური ენების წინარესამშობლოს) ბოჰემია, შვეიცარია, სამხრეთ გერმანიის ტერიტორია წარმოადგენდა.

ბ) ძვ.წ. IV-III საუკუნეების ანტიკური ხანის ავტორების მიერ აღწერილი კელტიკა ლატენის არქეოლოგიურ კულტურას შეესაბამება. თავისი წინამორბედისგან (ანუ ძვ.წ. VI – V საუკუნეების კელტური სამყაროსგან) განსხვავებით, მის მცხოვრებლებს ჰქონდათ ერთიანობის განცდა. როგორც ჩანს, ისინი საკუთარ იდენტობას სიტყვით "გალატი" გამოხატავდნენ. შესაბამისად, ტერმინები "კელტი" და "გალატი", ერთმანეთისგან განსხვავებულ რეალობას წარმოადგენენ.

გალატების სამყაროსა და ლატენის არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, დასავლეთ ჰალშტატურ ზონაში მიმდინარე მწვავე ეთნო-სოციალურმა პროცესებმა გამოიწვია, რომელსაც ზოგჯერ არქეოლოგები "ლატენურ რევოლუციას" უწოდებენ. იგივე პროცესები უნდა გამხდარიყო ახალი ტიპის "სამხედრო არისტოკრატიის" ფორმირებისა და მისი ევროპის სხვადახვა მხარეებში (აპენინი, ბალკანეთი და სხვა) გავრცელების მიზეზი. გავრცელების ამ პროცესმა წერილობით წყაროებში კელტური აგრესიული მიგრაციების აღწერილობაში ჰპოვა ასახვა. არქეოლოგიური თვალსაზრისით კი მას ლატენის არქეოლოგიური კულტურის ფართოდ გავრცელება მოჰყვა.

ავტორის სტილი დაცულია

იდენტობის ზოგადკელტური საშუალებები, რომლებიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა, ძვ.წ. II და I საუკუნისთვის უკვე დაკარგული უნდა ყოფილიყო, თუმცა, ამ პერიოდის (ანუ ძვ.წ. II – I საუკუნეების) კელტურმა სამყარომ მაინც შეინარჩუნა კულტურის ორიგინალური ჰაბიტუსი, რაც შემდგომი პერიოდის ანტიკური ხანის ავტორებს (მაგალითად პოლიბიოსსა და პოსიდონიოსს) მკაფიოდ ხვდებოდათ თვალში.

*****

ძველი გერმანელების ეთნიკური ისტორია ჩრდილოეთ გერმანიასა და სამხრეთ სკანდინავიას უკავშირდება. ქვეყნის ამ ნაწილში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები პირველად ძვ.წ. III ათასწლეულში გამოჩნდნენ. ისინი ინდოევროპული ოჯახის ბალტიურ-სლავურ-გერმანიკულ ფრთას წარმოადგენდნენ. მათ სახელს ზონრიანი კერამიკის კულტურის შექმნა უკავშირდება, რომელიც აქ მრავალი ლოკალური ვარიანტის სახითაა წარმოდგენილი. თუმცა ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუღებლად ეჩვენება ასე შორეულ წარსულში ძველ გერმანელებზე ან „პროტოგერმანიკულ" ენაზე საუბარი. „პროტობალტიურ-სლავურ-გერმანიკული" ერთობა მისთვის მხოლოდ ფაქტების ლინგვისტური კონსტრუქციაა, რომელსაც ისტორიული შესატყვისობა არასოდეს გააჩნდა. ზონრიანი კერამიკის კულტურის ჩრდილოურ ვარიანტებში იგი მხოლოდ გეოგრაფიულ არეალს გულისხმობს, რომელშიც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა ენობრივი იზოგლასები, რომლებიც ისტორიულ პერიოდში ინდოევროპული ოჯახის გერმანიკულ-ბალტიურ-სლავურ ფრთას ახასიათებს; ანუ ეს ლინგვისტური თავისებურებები შემორჩა სხვადასხვა პერიოდის ენებსა და ეთნიკურ ჯგუფებს, რომლების გენეზისიც ჩრდილოეთ ევროპას უკავშირდება. ასეთ ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებად ავტორს ძველი გერმანელები, სლავები, ბალტიელები, თრაკიელები და დაკო-გეტები მიაჩნია. მაშინ როცა ილირიელებზე, ვენეტებსა და ე.წ. ჩრდილო-დასავლეთის ბლოკის წარმომადგენლებზე იგი უფრო მეტი თავშეკავებით საუბრობს.

საკუთრივ ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემაზე მსჯელობას ავტორი „პროტოგერმანიკული" ენის მახასიათებლების ანალიზით იწყებს. იგი თვლის, რომ „პროტოგერმანიკული" „პროტოინდოევროპულის," „პროტოიტალიურ-კელტურის" ან „პროტობალტიურ–გერმანიკულ-სლავურისგან" განსხვავებით სავსებით კონკრეტულ ენობრივ ერთობაა,

ავტორის სტილი დაცულია

რომლის წიაღშიც დიალექტური განსხვავებები არსებობდა. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა, ერთი მხრივ, სკანდინავიიდან მოსულ ელემენტს უნდა მიეღო, რომელშიც კარგად იქნებოდა შენარჩუნებული „პროტოინდოევროპული" არქაიზმები, მეორე მხრივ კი ენას, რომელიც ენათა „ძველევროპული" მასივის მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა. არქეოლოგიური თვალსაზრისით პირველ მათგანს ძვ. წ. III საუკუნეში სკანდინავიიდან შემოჭრილი ტომები წარმოადგენდნენ, მეორეს კი - იასტოფის კულტურის მატარებლები. ძველი გერმანელებისა და „პროტოგერმანიკული" ენის ფორმირება, შესაბამისად, იასტორფის არქეოლოგიური კულტურის რიპდორფის სტადიაში უნდა მომხდარიყო.

ავტორი თვლის, რომ არ შეიძლება "პროტოგერმანიკულის" ენის ანტიკური ხანის ძველ გერმანელებთან გაიგივება, რადგან ძვ.წ I – ახ.წ. I-II საუკუნეებში ანტიკური ხანის ავტორების თხზულებებში დამკვიდრებული ტერმინი "გერმანელი" ერთი სახელის ქვეშ სამ ერთმანეთისგან განსხვავებულ რეალობას აერთიანებს:

ა) ერთი მხრივ აქ იგულისხმება ე.წ. "კოსინას გერმანელები", რომლებიც "პროტოინდოევროპული" ფესვებიდან მომდინარეობენ; ისინი რაინ-ვეზერისპირეთიში ძვ.წ. II-I საუკუნეებში იწყებენ გავრცელებას;

ბ) მეორე მხრივ "ტომები", რომლებსაც კეისრის გავლენით გერმანელებს მხოლოდ იმიტომ უწოდებენ, რომ რაინის აღმოსავეთით ცხოვრობენ;

გ) ე.წ. დასავლეთგერმანიკულ ენებზე მოსაუბრე ტომები, რომლებმაც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომაელებთან სამხედრო დაპირისპირების პირობებში ძლიერი გაერთიანება შექმნეს და რომაული ტერმინი გერმანია თვითიდენტიფიკაციის საშუალებად მიიღეს.

ავტორი იზიარებს მოსაზრებას, რომ კეისრის ეპოქის გერმანია, რომელშიც, პირველ რიგში, რაინსა და ვეზერს შორის მდებარე ტერიტორია იგულისხმება, ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი ერთეულია; მასში „პროტოგერმანელებთან" ერთად სხვა ინდოევროპული (და, შესაძლოა, არაინდოევროპული) ტომებიც ცხოვრობდნენ. თუმცა მიიჩნევს, რომ გერმანიის მიმართ რომაელების აგრესიამ ეს მხარე მნიშვნელოვნად შეცვალა. ამის არგუმენტად მას ტაციტუსისა და პლინიუს უფროსის თხზულებები მიაჩნია, სადაც ძველ გერმანულ ერთობას უკვე გამოკვეთილი სახე აქვს. საერთო წარმომავლობის მითიც ახასიათებს და ჰომოგენური ტრადიციებიც.

ავტორის სტილი დაცულია

ავტორი ამ დასკვნებს მხოლოდ ენათა დასავლეთგერმანიკულ ჯგუფზე (ანუ ინგეონურ, ერმიონულ და ისტვეონირ ჯგუფებზე) ავრცელებს და არა ზოგადად "პროტოგერმანიკულზე". ამგვარი მსჯელობის ლინგვისტურ არგუმენტად ავტორი ერმიონული, ინგვეონური და ისტვეონური დიალექტების სიახლოვეს თვლის. იგი არ ცნობს დასავლეთგერმანიკული ფუძეენის არსებობის ფაქტს. ამ დიალექტების ერთმანეთთან დაახლოების მიზეზად კი ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე გერმანიკული კლანების შერწყმის შედეგად ახალი ერთობის წარმოქმნა მიაჩნია.

ავტორი იზიარებს ძველი გერმანელების შესახებ რ. ვენსკუსის, ჰ.ვოლფრამისა და ვ. პოლის შეხედულებებს. შესაბამისად, იგი ძველ გერმანულ სიანმდვილეში „სუპერსტრატულ" კლანებს გულისხმობს, რომლებიც ეთნიკური მახასიათებლების მთავარ მატარებლებს წარმოადგენდნენ.

დასკვნის სახით ავტორი აღნიშნავს, რომ ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემაზე მსჯელობა ორ ნაწილად უნდა გაიყოს:

1) როცა საქმე „პროტოგერმანიკული" ერთობის ჩამოყალიბებას ეხება;

2) როცა დასავლეთგერმანული ენობრივი სინამდვილის (ანუ ინგვეონური, ერმიონული და ისტვეონული დიალექტების) ბაზაზე ახალი ერთობა ჩამოყალიბდა, რომელმაც რომაული ტერმინი *გერმანია* იდენტობის საშუალებად მიიღო.

ახ. წ. III საუკუნიდან ტერმინმა „გერმანია" თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგა. მისი ადგილი „ბარბაროსულ" სამყაროში ფრანკმა, გოთმა, საქსმა, ალემანმა და სხვა „ეთნონიმებმა" დაიკავეს, რომლებსაც თვითიდენტიფიკაციის საერთო საშუალებები აღარ ჰქონდათ. თუმცა, რომაელები ამ ტერმინს შემდგომშიც იყენებდნენ.

*****

ვფიქრობთ აქვე, დასკვნის სახით, უნდა ითქვას თანამედროვე კელტოლოგიის, გერმანისტიკისა და "ეთნოგენეზოლოგიისთვის" წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობის შესახებ.

ნაშრომში განხილულია იმ სამეცნიერო პარადიგმების სუსტი მხარეები, რომლების საფუძველზეც სხვადასხვა პერიოდში ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა შეისწავლებოდა. ჩამოყალიბებულია ანტიკური ხანის "ბარბარუკუმში" მიმდინარე ეთნო-სოციალური პრობლემების

ავტორის სტილი დაცულია

შესწავლისთვის საჭირო მეტ-ნაკლებად ორიგინალური თეორიული მოდელი, რომლის ფარგლებშიც ახლებურად ხდება ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის საკითხების შესწავლა.

სადისერტაციო ნაშრომში საბოლოო დასკვნები იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ აქ აქტუალობას ინარჩუნებს როგორ XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელი საკვლევი შეკითხვები, ისე კვლევის თანამედროვე ტენდენციების საფუძველზე განვითარებული სამეცნიერო დისკურსები.

ვფიქრობთ, ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც უშუალოდ ანტიკური ხანის ეთნოსოციალური ისტორიის მკვლევრებს, ისე ზოგადად ეთნოგენეტიკური კვლევებით დაინტერესებულ მეცნიერებს.

ავტორის სტილი დაცულია

ბიბლიოგრაფია

<u>წყაროები[51]:</u>

1. Авиен Руф, Описание Морского берега. Пер. С. П. Кондратиева, ВДИ, 1939, №2;
2. Аппиан Александрийский, Римская история, Пер. с греч. и комментарии С.П. Кондратьева— М.: ООО "Издательство АСТ", "Ладомир" 2002;
3. Веллей Патеркул, «Римская история» Веллея Патеркула, Перевод и комментарии А.И. Немировского, А.И., Дашкова М.Ф. — Воронеж: Изд-во Воронеж. ун-та, 1985;
   ლათინური ტექსტი ხელმისაწვდომია საიტზე:

   http://www.thelatinlibrary.com/vell.html

4. Гай Валерий Катулл Веронски, Книга стихотворений, АН СССР (Литературные памятники). М., «Наука», 1986;

5. Геродот., История в девяти книгах, Книга II, Евтерпа, Перевод и примечания Г. А. Стратановского, под общей редакцией С. Л. Утченко. Редактор перевода Н. А. Мещерский Изд-во «Наука», Ленинград, 1972;
6. Гесиод, Каталог Женшин, Перевод О.П. Цыбенко по изданию: Hesiodea. Ed. R. Merkelbach et M.L. West, Oxford, 1967 «Эллинские поэты VIII—III вв. до н.э.», М., Ладомир, 1999;
7. Диодор Сицилийский, Историческая Библиотека, Книга IV, Перевод сдревнегреческого по изданию: Diodori Sicili Bibliotheca Historica, Recognovit Fr Vogel. Vol. I. Lipsiae, 1888, Перевод, статья, комментарии и указатель О. П. Цыбенко, Греческая мифология (Историческая библиотека). М., Лабиринт, 2000;

---

51 http://www.thelatinlibrary.com/
http://penelope.uchicago.edu/Thayer/E/Roman/Texts/home.html
http://www.forumromanum.org/literature/index.html

ავტორის სტილი დაცულია

8. Корнелий Тацит, Сочинения в двух томах, Том I. «Анналы. Малые произведения». Перевод и комментарий осуществлены А. С. Бобовичем (редакторы переводов — Я. М. Боровский и М. Е. Сергеенко). Общая редакция издания — С. Л. Утченко. Науч.-изд. центр «Ладомир», М., 1993;
ლათინური ტექსტი (ანალები) ხელმისაწვდომია საიტზე: http://www.thelatinlibrary.com/tac.html

ლათინური ტექსტი (გერმანია) ხელმისაწვდომია საიტზე: http://www.thelatinlibrary.com/tacitus/tac.ger.shtml

ლათინური ტექსტი (ისტორია) ხელმისაწვდომია საიტზე: http://www.thelatinlibrary.com/tac.html

9. Ксенофонт Афинский. Греческая история, Перевод, вступительная статья и комментарий С. Лурье, Отв. ред. О. Крюгер. Тех. ред. Л. Вакуленко Пер. С. Лурье. ОГИЗ Соцэкгиз — Ленинградское отделение, Ленинград, 1935

10. Ливий Тит, История Рима от основания города, Перевод М.Е. Сергеенко. Комментарий В.М. Смирина, Г.П. Чистякова. Редактор перевода и комментариев — В.М. Смирин. Ответственный редактор — Е.С. Голубцова, Изд-во «Наука» М., 1991;
ლათინური ტექსტი ხელმისაწვდომია საიტზე: http://www.thelatinlibrary.com/liv.html

11. Павсаний. Описание Эллады, Перевод С. П. Кондратьева под редакцией Е. В. Никитюк, Ответственный редактор проф. Э. Д. Фролов, СПб, Изд-во «Алетейя», 1996;

12. Плиний Старший, Эстественная история,Перевод с лат., комментарии и предисловие Б. А. СтаростинаВопросы истории естествознания и техники. № 3. Москва, 2007;
ლათინური ტექსტი (ნატურალისტიკა) ხელმისაწვდომია საიტზე: http://penelope.uchicago.edu/Thayer/E/Roman/Texts/Pliny_the_Elder/home.html

ავტორის სტილი დაცულია

13. Плутарх, Гай Марий, Сравнительные жизнеописания в двух томах, Перевод С.А. Ошерова, обработка перевода для настоящего переиздания С.С. Аверинцева, примечания М.Л. Гаспарова, Издание подготовили С.С. Аверинцев, М.Л. Гаспаров, С.П. Маркиш М.: Издательство «Наука», 1994;

14. Полибий, Всеобщая история в сороках книгах, Т III:Кн. XXVI – XL, Пер. с греч., предисл., примеч., указ., карты Ф. Г. Мищенко,СПб., Ювента, СПб., Наука, 1995

15. Саллюстий Крисп Гай, Сочинения, Пер., статья, коммент. В. О. Горенштейна, Наука 1981;
ლათინური ტექსტი (კატილინას შეთქმულება) ხელმისაწვდომია საიტზე:http://www.forumromanum.org/literature/sallust/catilina.html

16. Страбон, География:в 17 книгах, Пер., вступит. ст., коммент. Г. А. Стратановского, отв. ред. С. Л. Утченко, ред. перевода О. О. Крюгер, М., Ладомир,1994;

17. Флор Луций Анней, Вде книга эпитом римской истори обо всех Войнах за семьсот лет, - в кн. Луций Анней флор - историк древнего рима, Воронеж, 1977;
ლათინური ტექსტი ხელმისაწვდომია საიტზე:
http://penelope.uchicago.edu/Thayer/E/Roman/Texts/Florus/Epitome/home.html

18. Фронтин Юлий, Стратегемы, Военные хитрости, пер. А. Рановича, В.Д.И., 1946, №1;
ლათინური ტექსტი ხელმისაწვდომია საიტზე:
http://penelope.uchicago.edu/Thayer/E/Roman/Texts/Frontinus/Strategemata/home.html

19. Цезарь Гай Юлий, Записки Юлия Цезаря и его продолжателей о Галльской войне, Перевод и прим. М. М. Покровского, Научно-издательский центр «Ладомир» — «Наука», Москва, 1993;

ლათინური ტექსტი ხელმისაწვდომია საიტზე:
http://www.thelatinlibrary.com/caes.html

ავტორის სტილი დაცულია

20. Юстин, Эпитома Сочинений Потпея Трога "История Филиппа", пер. М. Рижского и А. Деконского - В.Д.И., - 1954, №2-4;
ლათინური ტექსტი ხელმისაწვდომია საიტზე: http://www.thelatinlibrary.com/justin.html

<u>ლიტერატურა:</u>

21. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი 2003;
22. ლოსაბერიძე დ., ქართველურ ენებზე მოქმედი უცხო ენობრივი გარემოს საკითხისათვის, თბილისი 1992;
23. მელიქიშვილი ბ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი 1965;
24. მელიქიშვილი ი., ენათა კონტაქტების თეორია და ქართველურ-ინდოევროპული გენეტიკური ნათესაობის საკითხი. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბილისი 2002;
25. ქურდიანი მ., საერთოქართველური თვითსახელწოდების შესახებ, მესხეთი ახალციხე 2000;
26. ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში, თბილისი 1998;
27. ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბილისი1994;
28. Albright W. F., Lambdin T.O., The Evidence of Language, The Cambridge Ancient History, Thierd Edition, Volume I, Part 1, Ed. I. Edvards E.S., Gand C.J., Hamond N. G. L., Cambridge, Cambridge University Press, 2008;
29. Alinei M., An alternative model for the origins of European peoples and languages: the continuity theory, «Quaderni di Semantica» 21 2000;
30. Aldhouse-Green M., An Archaeology of Images, Iconology and cosmology in Iron Age and Roman Europe, Routledge,London and New York, Routledge 2004;
31. Alfoldi G., Noricum, London 1974;
32. Allen S., Lords of Battle, The worlds of Celtic Warrior, Oxford, Osprey Publishing LTD 2007;

ავტორის სტილი დაცულია

33. Amory P., People and Identity in Ostrogothic Italy 489-554, Cambridge, Cambridge University Press 1997;
34. Ammerman, A.,Cavalli-Sforza L., The Neolithic Transition and the Genetics of Populations in Europe.N.J. 1984;
35. Anthony D. W., The Horse the Wheel and Language, Princeton University Press Princeton and Oxford 2007;
36. Ash R., Fission and fusion: shifting Roman identities in the *Histories,* The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;
37. Bailey D. W., Balkan Prehistory, Exclusion, incorporation and identity, London and New York, Routledge 2000;
38. Bancel P. J., The millennial persistence of Indo-European and Eurasiatic pronouns and the origin of nominal, In Hot Pursuit of Language in Prehistory, Essays in the four fields of anthropology In honor of Harold Crane Fleming, Ed. Bengtson J.D., Amsterdam / Philadelphia, John Benjamins Publishing Company 2008;
39. Bauschatz P. C., The well and the tree, World and Time in Early Germanic Culture, Amherst, The University of Massachusetts Press 1982;
40. Bazelmans J., The early-medieval use of ethnic names from classical antiquity. The case of the Frisians, Ethnic Constructs in Antiquity, Ed. Derks T. Roymans N., Amsterdam, Amsterdam University Press 2009;
41. Bomhard A. R., Indo-European and the Nostratic Hypothesis. Charleston 1996;
42. Bomhard A. R., Recent Trends in Nostratic Comparative Linguistics Charleston, SC, USA (Presented by Academy Member Th.V. Gamkrelidze). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტომი 2. #4;
43. Bomhard A. R., Some thoughts on the Proto-Indo-European cardinal numbers, In Hot Pursuit of Language in Prehistory, Essays in the four fields of anthropology In honor of Harold Crane Fleming, Ed. Bengtson J.D., Amsterdam / Philadelphia, John Benjamins Publishing Company 2008;
44. Bradley G., Ancient Umbria, State, culture, and identity in central Italy from the Iron Age to the Augustan era, Oxford , Oxford University Press 2000;
45. Bradley R., The Prehistory of Britain and Ireland, Cambridge, Cambridge University Press 2007;

ავტორის სტილი დაცულია

46. Brather S., Acculturation and Ethnogenesis Along the Frontier: Rome and the Ancient Germans in an Archaelogical Perspective, Borders, Barriers, and Ethnogenesis, Ed.By Curta F., Volume 12, Brepols, Brepols Publishers N.V., Turnhout 2005;
47. Briant E., The Quest for the Origins of Vedic Culture The Indo-Aryan Migration Debate, Oxford, Oxford University Press 2001;
48. Bridgman T. P., Hyperboreans Myth and History in Celtic-Hellenic Contacts, New York & London, Routledge 2005;
49. Brink S., People and *Land* in Early Scandinavia, Franks, Northmen, and Slavs: Identities and State Formation in Early Medieval Europeedited by Garipzanov I. H. Geary P. J. and Przemysław U., Brepols, Brepols Publishers n.v., Turnhout 2008;
50. Burroughs W. J., Climate Change in Prehistory, The End of the Reign of Chaos, Cambridge, Cambridge University Press 2005;
51. Cameron A.,, Remaking the Past, Interpreting Late Antiquity, Ed. Essays on the Postclassical World, Bowersock G. W., Brown P. Grabar O., Cambridge, Massachusetts, and London, England, The Belknap Press of Harvard University Press 2001;
52. Cavalli-Sforza L., Genes Peuples et Langues. Paris 1996;
53. Chadwick N.K., The Celts, London 1970;
54. Chapman M., The Construction of a Myth, London, St. Martin's Press 1992;
55. Child V. G., The Aryans, A Study of Indo-European Origins, London, Stephen Austin & Sone, LTD 1926;
56. Conte F., Les slaves, Paris, 1996,
57. Corcoran W.P., Preface - Chadwick N. The celts London, 1970,
58. Cossind G., Ursprund und verbeitung der Germanen in vor - und fruhgeschichtlichenzeit. Leipzig, 1929,
59. Courelle P., Histore litteraire des grandes invasions germaniques, Paris, 1964,
60. Croke B., Late Antique Historiography, 250–650 CE, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;
61. Crumley C.I., Celtic Secial structure. Michigan, 1974,
62. Cunliffe B., Introduction, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

ავტორის სტილი დაცულია

63. Cunliffe B., Iron Age Societies in Western Europe and Beyond, 800-140 BC, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;
64. Cunliffe B., The Ancient Celts, London, Penguin Books 1997;
65. Cunliffe B., The Impact of Rome on Barbarian Society, 140 BC-AD 300, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;
66. Curta F, Introduction, Borders, Barriers, and Ethnogenesis, Ed.By Curta F., Volume 12, Brepols, Brepols Publishers N.V., Turnhout 2005;
67. Curta F., The Making of the Slavs, History and Archaeology of the Lower Danube Region, c. 500–700, Cambridge, Cambridge University Press 2001;
68. Curta F., Frontier Ethnogenesis in Late Antiquity, The Danube, The Tervingi, And The Slavs, Borders, Barriers, and Ethnogenesis, Ed.By Curta F., Volume 12, Brepols, Brepols Publishers N.V., Turnhout 2005;
69. Darden B., On the question of the Anatolian origin of Indo-Hittite. Greater Anatolia and The Indo-Hittite Language Family. Ed. Drews R. 2001;
70. Davies J., The Celts, London, Cassell Go 2000;
71. Demoule J.-P., Realite des indo-europeens: Les diverses Apories du Modele Arborescent.Vol. 208. Paris 1991;
72. Dench E., Ethnography and History, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;
73. Derks T., Roymans N., Introduction, Ethnic Constructs in Antiquity, Ed. Derks T. Roymans N., Amsterdam, Amsterdam University Press 2009;
74. Derks T., Ethnic identity in the Roman frontier. The epigraphy of Batavi and other Lower Rhine tribes, Ethnic Constructs in Antiquity, Ed. Derks T. Roymans N., Amsterdam, Amsterdam University Press 2009;
75. Dillon M., Chadwick N.K., The Celtic Relms. New Your, 1967;
76. Dolgopolsky A., The Nostratic Hypothesis and Linguistic Paleontology. Cambridge 1989;
77. Drews R., The End of the Bronze Age, Changes in Warfare and the Catastrophe CA. 1200 B.C, Princeton, New Jersey, Princeton University Press 1993;
78. Dumezil G., Mythe et Epopee. Muthe et epopee, Paris, 1995;

ავტორის სტილი დაცულია

79. Dzino D., The Celts in Illyricum – Whoever they may Be: The Hybridization and Construction of Identities in Southeastern Europe in the Fourth and Third Centuries BC, Pregledni članak / Review paper Rukopis prihvaćen: 2008;
80. Dyson S. L., The Creation of the Roman Frontier, Princeton, NJ, 1985;
81. Encyclopedia of Indo-European culture Ed. Mallory J., Adams D. London Chicago 1997;
82. Engels J., Geography and History, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;
83. Eska J. F., Continental Celtic, Language in ancient Europe: an introduction, The Ancient Languages of Europe, Ed. Woodard R. D., Cambridge, Cambridge University Press 2008;
84. Eska J. F., Evans D. E., Continental Celtic, The Celtic Languages, *2nd edition,* Edited by Martin J. Ball and Nicole Müller, London and New York, Routledge 1993;
85. Eska J. F., The emergence of the Celtic languages, The Celtic Languages, *2nd edition,* Edited by Martin J. Ball and Nicole Müller, London and New York, Routledge 1993;
86. Faarlund J. T., Ancient Nordic, Language in ancient Europe: an introduction, The Ancient Languages of Europe, Ed. Woodard R. D., Cambridge, Cambridge University Press 2008;
87. Fife J., Typological aspects of the Celtic languages, The Celtic Languages, *2nd edition,* Edited by Martin J. Ball and Nicole Müller, London and New York, Routledge 1993;
88. Finkelberg M., Greeks and Pre-Greeks, Aegean Prehistory and Greek Heroic Tradition, Cambridge, Cambridge University Press 2005;
89. Forsythe G., A Critical History of Early Rome, From Prehistory to the First Punic War, Berkeley Los Angeles London, University of California Press 2005;
90. Friedrich P., Proto-Indo-European Trees, The Arboreal System of a Prehistoric People, Chicago and London, The University of Chicago Press 1970;
91. Funari P.P.A., Hall M., and Jones S., Introduction: archaeology in history, Historical Archaeology, Back from the edge, Edited by Funari P.P.A., Hall M., and Jones S., London and New York, Routledge 1999;

ავტორის სტილი დაცულია

92. Gajda A., Tacitus and political thought in early modern Europe, c. 1530–c. 1640, The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;
93. Galloway P., Material Culture and Text: Exploring the Spaces Within and Between, Historical Archaeology, Ed. By Martin Hall M., and Silliman S. W., Oxford, Blackwell Publishing 2006;
94. Gamble C., Origins and Revolutions, Human Identity in Earliest Prehistory, Cambridge University Press, Cambridge 2007;
95. Garipzanov I. H. Geary P. J. and Przemysław U., Introduction: Gentes, Gentile Identity, and State Formation in Early Medieval Europe, Franks, Northmen, and Slavs: Identities and State Formation in Early Medieval Europeedited by Garipzanov I. H. Geary P. J. and Przemysław U., Brepols, Brepols Publishers n.v., Turnhout 2008;
96. Gathercole P.,, Childe's Revolutions, Archaeology The Key Concepts, Ed. By RenfrewC. and Bahn P., London and New York, Routledge 2005;
97. Geary P. J., Barbarians and Ethnicity, Interpreting Late Antiquity, Ed. Essays on the Postclassical World, Bowersock G. W., Brown P. Grabar O., Cambridge, Massachusetts, and London, England, The Belknap Press of Harvard University Press 2001;
98. Gimbutas M., Bronze age Cultures in Central and Eastern Europe, Mouton, 1965,
99. Gimbutas M., The Balts, London, Tames and Hudson 1963;
100. Giot P.R., Stabilite au instabilite des populations dans le nord ouest de la Gaule Celtique. Les mouvements celtique du Ve au Ier Siecle avante notre ere, Paris, 1979 ;
101. Gofart W., Barbarians and Romans AD 418-584. The Technique of Accomodation, Princeston, NJ, 1980;
102. Goffart W., Does the distant past impinge on the invasion age Germans?, From Roman Provinces To Medieval Kingdoms, Edited byNoble T. F.X., London and New York, Routledge 2006;
103. Goffart W., The barbarians in late antiquity and how they were accommodated in the West, From Roman Provinces To Medieval Kingdoms, Edited byNoble T. F.X., London and New York, Routledge 2006;
104. Gowing A. M., The Imperial Republic of Velleius Paterculus, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;

ავტორის სტილი დაცულია

105. Gray R. D., Atkinson Q. D., Language-tree divergence times support the Anatolian theory

106. Greenberg J.H., Genetic Linguistics, Essays on Theory and Method, Ed. with an introduction and bibliography by Croft W., Oxford, Oxford University Press 2005;

107. Griffin M. T., Tacitus as a historian,The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;

108. Hachmann R., Kossack G., K**u**hn. V**o**lker zwischen Germanen und Kelten, Neumunster 1962 ;

109. Hachmann R., The Germanic Peoples, London 1974;

110. Halsall G., Warfare and Society in the Barbarian West, 450–900, London and New York Routledge 2003;

111. Harbert W., The Germanic Languages, Cambridge, Cambridge University Press 2007;

112. Harding A., Reformation in Barbarian Europe, 1300-600 BC, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

113. Harding D.W., The Iron Age in Northern Britain, Celts and Romans, natives and invaders, London and New York, Routledge 2004;

114. Harke H., Archaeologists and migrations: a problem of attitude? From Roman Provinces To Medieval Kingdoms, Edited byNoble T. F.X., London and New York, Routledge 2006;

115. Harmand J., Les Celtes du second age du Fer, Paris, 1970 ;

116. Haywood J., The Celts Bronze Age to New Age, Harlow, Pearson Education limited 2004;

117. Heather P. J., Ethnicity, Group Identity, and Social Status in the Migration Period, Franks, Northmen, and Slavs: Identities and State Formation in Early Medieval Europeedited by Garipzanov I. H. Geary P. J. and Przemysław U., Brepols, Brepols Publishers n.v., Turnhout 2008;

118. Henderson J. C., The Atlantic Iron Age Settlement and identity in the first millennium BC, London and New York Routledge 2007;

119. Henning J., Civilization Versus Barbarians? Fortifications Techniques and Politics in Carolingian and Ottonian Borderlands, Borders, Barriers, and

ავტორის სტილი დაცულია

Ethnogenesis, Ed.By Curta F., Volume 12, Brepols, Brepols Publishers N.V., Turnhout 2005;

120. Hubert H., Les Celtes et l'Expansion Celtique Jusqua l'epoque de la Tene, Paris, 1932 ;

121. Janhunen J.A., Some Old World experience of linguistic dating, In Hot Pursuit of Language in Prehistory, Essays in the four fields of anthropology In honor of Harold Crane Fleming, Ed. Bengtson J.D., Amsterdam / Philadelphia, John Benjamins Publishing Company 2008;

122. Jasanoff J. H., Gothic, Language in ancient Europe: an introduction, The Ancient Languages of Europe, Ed. Woodard R. D., Cambridge, Cambridge University Press 2008;

123. Johnson M. H., Rethinking historical archaeology, Historical Archaeology, Back from the edge, Edited by Funari P.P.A., Hall M., and Jones S., London and New York, Routledge 1999;

124. Jones S., The Archaeology of Ethnicity, Constructing identities in the past and present, London and New York, Routledge 1997;

125. Kerns J., Indo-European Prehistory. Cambridge 1985;

126. Kilian L., De l'origine des Indo-Européens. Paris 2000;

127. King J., Kingdoms of the Celts, A History and the Guide, Blandford, Cassell &Co 2000;

128. Kortlandt F., Italo-Celtic origins and prehistoric development of the Irish language, Amsterdam - New York, Rodopi 2007;

129. koryakova L., Epimakhov A. V., The Ureals and Western Siberia in the Bronze and Iron Ages, Cambridge, Cambridge University Press 2007;

130. Kos M. S., Peoples on The Northern Fringes of The Greek World: Illyria As Seeb By Strabo, L'Illyrie Meridionale et L'Epire dans L'Antiquite - V, Par Lamboley J. L., Castiglioni M., P., Paris, le CRHIPA 2008;

131. Kraus, C. S., Caesar's Account of the Battle of Massilia (BC 1.34–2.22): Some Historiographical and Narratological Approaches, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;

ავტორის სტილი დაცულია

132. Krebs C. B., A dangerous book: the reception of the *Germania,* The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;

133. Kulikowski M., Rome's Gothic Wars, from the third century to Alaric, Cambridge, Cambridge University Press 2007;

134. Kulikowsky M., Ethnicity, Rulership, and Early Medieval Frontiers, Borders, Barriers, and Ethnogenesis, Ed.By Curta F., Volume 12, Brepols, Brepols Publishers N.V., Turnhout 2005;

135. Kuzmina E. E., Origins of Pastoralism in the Eurasian Steppes, Prehistoric steppe adaptation and the horse, Ed. Levine M., Renfrew C., Boyle K., Cambridge, McDonald Institute for Archaeological Research 2003;

136. Kuzmina E. E., The Origin of the Indo-Iranians, Leiden – Boston, Brill 2007;

137. Lass R. , Historical linguistics and language changes, Cambridge university press, 1997 ;

138. Levene D. S., Roman Historiography in the Late Republic, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;

139. Lindow J., Norse Mythology: A Guide to the Gods, Heroes, Rituals, and Beliefs, Oxford New York, Oxford University Press 2002;

140. Lot F., la Gaule: les fondements ethniques, Sociadux et politiques de la nation fransaise, Paris, 1947;

141. Mallory J. P., Adams D. Q., Encyclopedia of Indo-European Culture, London and Chicago, Fitzroy Dearborn Publishers 1997;

142. Mallory J. P., Adams D. Q., The Oxford Introduction to Proto-Indo-European and the Proto-Indo-European World, Oxford, Oxford University Press 2006;

143. Mallory J.P., In search of the Indo – Europeans, Language, Archaeology and myth, London, Thames and Hudson 1989;

144. Martin R. H., From manuscript to print, The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;

145. Mashkour M., Equids in the Northern Part of the Iranian Central Plateau from the Neolithic to Iron Age: New Zoogeographic Evidence, Prehistoric steppe adaptation and the horse, Ed. Levine M., Renfrew C., Boyle K., Cambridge, McDonald Institute for Archaeological Research 2003;

ავტორის სტილი დაცულია

146. Matasović R., A Reader in Comparative Indo-European Mythology, Zagreb, University of Zagreb 2009;

147. Matyushin G. Problems of Inhabiting Central Eurasia: Mesolithic–Eneolithic Exploitation of the Central Eurasian Steppes . Prehistoric steppe adaptation and the horse. Ed.by Levine M., Renfrew C., Boyle K, 2003;

148. Maurer F., Nordgermanen und Alemanen , München, 1972;

149. Megow J.V.S., Art of the European Age. A Study of the Elusive image. Somepset, 1970;

150. Meier-Brugger M., Indo-European Linguistics, In cooperation with Matthias Fritz M.and Mayrhofer M., Translated by Gertmenian C.. Waiter, Berlin' New York, Waiter de Gruyter 2003;

151. Melyukova A.I., Nomads of the Eurasian Steppes in the Early Iron Age, Ed. By Davis-Kimball J., Bashilov V.A., Yablonsky L.T., Zinat Press Berkeley, CA 1995;

152. Melyukova A.I., Scythians of Southeastern Europe, Nomads of the Eurasian Steppes in the Early Iron Age, Ed. By Davis-Kimball J., Bashilov V.A., Yablonsky L.T., Zinat Press Berkeley, CA 1995;

153. Mithen S. J., The Mesolitic Age, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

154. Moshkova M. G., A Brief Review of the History of the Sauromatian and Sarmatian Tribes, Nomads of the Eurasian Steppes in the Early Iron Age, Ed. By Davis-Kimball J., Bashilov V.A., Yablonsky L.T., Zinat Press Berkeley, CA 1995;

155. Moshkova M. G., History of the Studies of the Sauromatian and Sarmatian Tribes, Nomads of the Eurasian Steppes in the Early Iron Age, Ed. By Davis-Kimball J., Bashilov V.A., Yablonsky L.T., Zinat Press Berkeley, CA 1995;

156. Murray A. C.,Germanic Kinship Structure, Studies in Law and Society in Antiquity and the Early Middle Ages, Pontifical Institute ofMediaev Al Atudies 1983;

157. Musset L., Les invasions: Les vagues germanique Paris, 1969 ;

158. Neckel G., Germanen und Kelten Heidelberg, 1929;

159. Nichols J., The Epicentre of the Indo-European Linguistic Spread. Archaeology and Language. Ed. R. Blench and M. Spriggs. London. 1997;

ავტორის სტილი დაცულია

160. Noble T. F. X., Introduction: Romans, barbarians, and the transformation of the Roman impire, To From Roman Provinces To Medieval Kingdoms, Edited by Noble T. F.X., London and New York, Routledge 2006;

161. Norton Taylor D., Die kelten: Von der vorgeschichtebis zum Normanneneinfall. Munchen, 1983;

162. Palus M. M., Leone M. P., and Cochran M. D., Critical Archaeology: Politics Past and Present, Historical Archaeology, Ed. By Martin Hall M., and Silliman S. W., Oxford, Blackwell Publishing 2006;

163. Patton M., Islands in Time, Island sociogeography and Mediterranean prehistory, London and New York, Routledge 1996;

164. Piggott S., The Druids. New York, 1968;

165. Pitcher L. V., Characterization in Ancient Historiography, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;

166. Pohl W., Frontiers and Ethnic Identities: Some Final Considerations, Borders, Barriers, and Ethnogenesis, Ed.By Curta F., Volume 12, Brepols, Brepols Publishers N.V., Turnhout 2005;

167. Pohl W., Gender and ethnicity in the early middle ages, From Roman Provinces To Medieval Kingdoms, Edited by Noble T. F.X., London and New York, Routledge 2006;

168. Pohl W., Telling the difference: signs of ethnic identity, From Roman Provinces Medieval Kingdoms, Edited byNoble T. F.X., London and New York, Routledge 2006;

169. Pohl W., Conceptions of Ethnicity in Early Medieval Studies, Debating the Middle Ages: Issues and Readings, Ed. Lester K. Little and Barbara H. Rosenwein, Blackwell Publishers, 1998;

170. Popman M., The Collapse of Aegean Civilization at the End of the Late Bronze Age, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

171. Powell T. G.E., The Celts. London, 1958;

172. Rankin D., Celts and the Classical World, London and New York, Routledge 2003;

173. Renfrew C., Archaelogy and language. The puzzle of indo - European origins. 1989;

ავტორის სტილი დაცულია

174. Renfrew C., Archaeogenetics, Archaeology The Key Concepts, Ed. By RenfrewC. and Bahn P., London and New York, Routledge 2005;

175. Renfrew C., Before Civilizaiton. New York, 1973;

176. Renfrew C., Cognitive Archaeology, Archaeology The Key Concepts, Ed. By RenfrewC. and Bahn P., London and New York, Routledge 2005;

177. Ringe D., From Proto-Indo-European to Proto-Germanic, Oxford, Oxford University Press 2006;

178. Robiou F., Histoire des Caulois d'orinet par Frlix Robiou. Paris, 1946 ;

179. Roymans N., Hercules and the construction of a Batavian identity in the context of the Roman empire, Ethnic Constructs in Antiquity, Ed. Derks T. Roymans N., Amsterdam, Amsterdam University Press 2009;

180. Roymans N., Tribal Societies in Northern Gaul, Amsterdam 1990;

181. Rundkvist M., Barshalder 2, Studies of Late Iron Age Gotland, Stockholm, Elanders Gotab 2003;

182. Schmidt L., Geschichte der deutschen Stammen bis zum Ausgang der Volker wanderung. Munchen, 1934,

183. Schwantes G., Jastorf und Latene, Berlin, 1955,

184. Schwarz E., Coten Nordgermanen, Angelsachsen. Studien zur Ausgliederung der germanischen sprachen. Bern - Munchen, 1951;

185. Schwarz E., Germanische Sprachgeshichte und Sprachgeographie - "Zeitschrift fur Mundartforshung" jhg 21, 1953;

186. Schwarz E., Germanische stammeskunde, Heidelberg, 1956;

187. Shennan S., Cultural Evolution, Archaeology The Key Concepts, Ed. By RenfrewC. and Bahn P., London and New York, Routledge 2005;

188. Sherratt A., The Horse and the Wheel: the Dialectics of Change in the Circum-Pontic Region and Adjacent Areas, 4500–1500 BC 233, Prehistoric steppe adaptation and the horse, Ed. Levine M., Renfrew C., Boyle K., Cambridge, McDonald Institute for Archaeological Research 2003;

189. Sherratt A., The Emergence of Elites: Earlier Bronze Age Europe, 2500-1300 BC, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

ავტორის სტილი დაცულია

190. Sherratt A., The Transformation of Early Agrarian Europe: The Later Neolithic and Copper Ages, 4500 – 2500 BC, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

191. Small D. B., The tyranny of the text: lost social strategies in current historical period archaeology in the classical Mediterranean, Historical Archaeology, Back from the edge, Edited by Funari P.P.A., Hall M., and Jones S., London and New York, Routledge 1999;

192. Speidel M. P., Ancient Germanic Warriors, London and New York, Routledge 2004;

193. Stifter D., Early Irish, The Celtic Languages, *2nd edition,* Edited by Martin J. Ball and Nicole Müller, London and New York, Routledge 1993;

194. Stone L., F. Lurquin P. F., A Genetic and Cultural Odyssey, New York, Colimbia University Press, 2005;

195. Strobel K., The Galatians in the Roman Empire. Historical tradition and ethnic identity in Hellenistic and Roman Asia Minor, Ethnic Constructs in Antiquity, Ed. Derks T. Roymans N., Amsterdam, Amsterdam University Press 2009;

196. Stroheker K.F., Germanentum und Spätantike, Zurich, 1965;

197. Tainter J. A., "Dark Ages" in Archaeology / Systems Collapse, Archaeology The Key Concepts, Ed. By RenfrewC. and Bahn P., London and New York, Routledge 2005;

198. Taylor T., Thracians, Scythians, and Dacians, 800 BC – AD 300, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

199. Theuws F., Grave goods, ethnicity, and the rhetoric of burial rites in Late Antique Northern Gaul, Ethnic Constructs in Antiquity, Ed. Derks T. Roymans N., Amsterdam, Amsterdam University Press 2009;

200. Thomas R. F., The Germania as literary text, The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;

201. Thompson E.A., Romans and Barbarians, Madison, Wisc, 1982;

202. Thompson E.A., The Early Germans, oxford 1965;

203. Tierney J.J., Celtic Ethnography of Posidonius - proccedings of the royal Irish academy. Vol 60. N4 - 5, Dublin 1965;

204. Todd M., Barbarian Europe, AD 300 – 700, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

ავტორის სტილი დაცულია

205. Todd M., The Early Germans, Second Edition, Blackwell, Blackwell Publishing 2004;

206. Turner D., Making Prehistory, Historical Science and the Scientific Realism Debate, Cambridge, Cambridge University Press 2007;

207. Vattuone R., Western Greek Historiography, A Companion to Greek and Roman Historiography, Volume I, Edited by Marincola J., Blackwell Publishing 2007;

208. Wallace R. E., Sabellian languages, Language in ancient Europe: an introduction, The Ancient Languages of Europe, Ed. Woodard R. D., Cambridge, Cambridge University Press 2008;

209. Wallace R. E., Venetic, Language in ancient Europe: an introduction, The Ancient Languages of Europe, Ed. Woodard R. D., Cambridge, Cambridge University Press 2008;

210. Wells P.S., The Barbarian Speak, How the Conquered Peoples Shaped Roman Europe, Prineton and Oxford, Prineton University Press 1999;

211. Wenskus R., Stammesbildung und verfassung, Koln-graz, 1961;

212. Werner K.F., Des Origines a la Gaule romaine., Paris, 1984 ;

213. West M. L., Indo-European Poetry and Myth, Oxford, Oxford University Press 2007;

214. Whittle A., The First Farmers, The oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. Cunliffe B., Oxford New York, Oxford University Press 1994;

215. Williams J. H. C., Beyond the Rubicon Romans and Gauls in Republican Italy, Oxford New York, Oxford University Press 2001;

216. Willis D., Old and Middle Welsh, The Celtic Languages, *2nd edition,* Edited by Martin J. Ball and Nicole Müller, London and New York, Routledge 1993;

217. Winter H. E., A History of the Celts, Sussex, The Book Guild LTD 2004;

218. Wolfram H., Origo et religio: ethnic traditions and literature in early medieval texts, From Roman Provinces To Medieval Kingdoms, Edited byNoble T. F.X., London and New York, Routledge 2006;

219. Wolfraum H., Geschichte der Goten., Munchen, 1979;

220. Wood I., Defining the Franks: Frankish origins in early medieval historiography, From Roman Provinces To Medieval Kingdoms, Edited byNoble T. F.X., London and New York, Routledge 2006;

ავტორის სტილი დაცულია

221. Woodard R. D., Language in ancient Europe: an introduction, Language in ancient Europe: an introduction, The Ancient Languages of Europe, Ed. Woodard R. D., Cambridge, Cambridge University Press 2008;

222. Woodman A. J., Introduction of The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;

223. Woodman A. J., Tacitus and the contemporary scene, The Cambridge Companion to Tacitus, Ed. Woodman A. J., Cambridge, Cambridge university press 2009;

224. Woolf G., Cruptorix and his kind. Talking ethnicity on the middle ground, Ethnic Constructs in Antiquity, Ed. Derks T. Roymans N., Amsterdam, Amsterdam University Press 2009;

225. Wurst L., A Class All Its Own: Explorations of Class Formation and Conflict, Historical Archaeology, Ed. By Martin Hall M., and Silliman S. W., Oxford, Blackwell Publishing 2006;

226. Zvelebil M., Indo-European origins and the agricultural transition in Europe.Journal of European Archaeology 2002;

227. Аврусин Д.А., Археология СССР, Москва 1977;

228. Алексеев В.П., Историческая Антропология и этногенез, Москва 1989;

229. Алексеев В.П., Этногенез, Москва 1986;

230. Алёкшин В.А., Культурные контакты друвных племен средней Азии, - Взаимодействие кочевых культур и древных цивилизации, отв. ред. В.А. Массон, Алма-Ата 1989;

231. Арутинов С.А., Народы и культуры, Москва 1989;

232. Бикова О.И., Сафонова О.Е., Ушакова Ю.В. История германских языков и письменности, Воронеж 1982;

233. Будагов Р.А., Борьба идей и направлений в языковании нашего времени, Москва 1978;

234. Буданова В.П., Готы в эпоху великого пересселения народов, Москва, 1990;

235. Вайнраих У., О Совместимости генеалогического родства и конвергентного развития, Перевод Шеглова Ю.К. – «Новая в лингвистике», Москва, 1978;

236. Вессен Э., Скандинавские языки, Перевод со шведского С.С. Масловой – Лашанской, Москва, 1949;

ავტორის სტილი დაცულია

237. Вильсон Д.М., Англосаксы, Покорители кельтской братании, пер. с английского П.В. Тимофеева, Москва, 2004;

238. Гавранек Б., К проблематике смещения языков, пер. Зенина Р.В. – Новое в лингвистике, Москва, 1978;

239. Гамкрелидзе Т.,Иванов В., Индоевропейский язык и индоевропейцы. Тбилиси 1984;

240. Георгиев В., Исследования по сравнительно – историческому языкознанию, Москва, 1958;

241. Горнунг Б.В., Вопросу ояразований индоевропейской языковой общности, Москва, 1954;

242. Гордезиани Р., Кавказ и проблемы древнейших среднеземноморсих языковых и культурных взаимоотношений. Тбилиси. 1975;

243. Грагов Б.Н., Ранний жедезный век, Москва, 1977;

244. Грагов Б.Н., Моравский С.П. Неусыхин И.А. Древные германцы, Москва, 1937;

245. Десницкая А.В., К изучению исторических проблем кельтологии – Теория языка Англистика кельтология, Отв. ред. М.П. Алексеев, Москва, 1976;

246. Дьяконов И. М., Языковые контакты на кавказе и ближнем востоке, Орджоникидзе, 1989;

247. Жирмкнский В.М., Введение в сравнительно – историческое изучение германских языков, Москва, 1964;

248. Жирмкнский В.М., Сушествовал ли “Протогерманский” Язик, Вопросы Язикознания 1971;

249. Исмагилов Р. Б., О некоторых тенденциях развития современной отечественной скифологии, - «Взаимодействие кочевых культур и древных цивилизаций» Отв. ред. В.М. Массон, Алма – Ата, 1989;

250. Калыгин В.П., Язык древнейшей ирландской поэзии, Москва, 1985;

251. Калыгин В.П., Королев А.А. Ввеление в культскую филологию, Москва, 1989;

252. Климов Г.А., О праязыковой реальности, - «Актульные вопросы сравнительного языкознания», под. ред. А.В. Десницкая, Ленинград, 1989;

253. Королев А.А., Древнейшие памятники ирландского языка, Москва, 1984;

ავტორის სტილი დაცულია

254. Корсунский А.Р., Гюнтер Р. У., Упадок и гибель западной Римской империи и возникновение германских королевств (до середине VI в), Москва, 1984,

255. Кузьменко Ю.К., Фонологическая эволюция германских языков, Ленинград, 1991;

256. Кухаренко Ю.В., Археология Польши, Москва, 1969;

257. Люис Г., Педерсен Х., Краткая сравнительная граматика кельтских языков, Пер. с английского А.А. Смирнова, Москва, 1954;

258. Макаев Э.А., Структуры слова в индо-европейских и германских языках, Москва, 1970;

259. Макаев Э.А., Язык древнейших рунических надписей, Москва, 1965;

260. Мартине А., Распрастранение языка и структурная лингвистика, пер. Зенина Р.В. – Новое в лингвистике, Москва, 1978;

261. Мартынов А.И., Археология СССР. Москва, 1982;

262. Мартынов В.В., Славяно германское лексическое взаимодействие древнейшей поры, Минск, 1963;

263. Мартынов В.В., Лингвистические методы обоснования гипотезы о Висло – Одрской прародине славян, Минск, 1963;

264. Мачинский А.Д., Кельты на землях к востоку от карпат, - Кельты и кельтские языки. отв. ред. В.Н. Ярцева, Москва, 1974;

265. Массон В., Средняя Азия и древный восток, Москва и Ленинград 1964;

266. Массон В., Поселение Джеитун, Ленинград 1971;

267. Мейе А., Основные особенности германской группы языков, Москва, 1952;

268. Монгайт А.А., Археология западной европы. Бронзовий и железний век, Москва, 1974;

269. Несыхин А.И., Обшественный строй древных германсцев, Москва, 1929;

270. Низе Б., Очерк римской истории и источниковедения, пер. с немецкого под. ред. М.И. Ростовцова, Санкт – Перербург, 1910;

271. Никонов И.Е., Культуры эпохи раннего железа, Москва, 1977;

272. Новиков М.Н., Ранные этапы этнической истории швеицарии, - Романия и барбария, отв. ред. С.А. Арутинов, Москва, 1989;

273. Порциг В., Членение индоевровейской языковой облости, Москва, 1964;

ავტორის სტილი დაცულია

274. Ременников А.М., Борьба племена северного причерноморья с Римом в III веке, Москва, 1954;

275. Решина М.И., Происхождение и расселение фризов, - Романия и барбария под. ред. С.А. Арутинов, Москва, 1989;

276. Сафронов В.А., Индоевропейские прародины, Горкий 1989,

277. Стеблин – Каменский М.И., История скандинавских языков, Москва – Ленинград, 1953,

278. Титов В.С., Древнейшие земледельцы в Европе, - Археология старого и нового света, под. ред. Н.Я. Мерперт, П.М. Кожин, Москва, 1966;

279. Тиханова М.А., Кельтская проблема в современной археологии – Кельты и кельсткие языки, отв. ред. Ярцева В.Н., Москва, 1974;

280. Филип Я., Кельтская цивилизация и ее наследие, Перевод с чешского Можанской Л.П. и Тарабрина Е.В., Прага, Издательство Чехословацкой Наук и АРТИЯ 1961;

281. Фисенко В.А., Племена ямной культуры юго – восточной Европы, Саратов, 1970;

282. Хлебникова И.Б., Введение в германскую филологию и историю английского языка, Калинин, 1975;

283. Хлопин И., Энеолит южных областей Средней Азии. часть 1, Москва – Ленинград 1963;

284. Цалкин В., Древнейшие домашние животные Восточной Европы. Москва 1970;

285. Широкова Н.С., Древные кельты на рубеже старой и новой эры, Ленинград, 1989;

286. Шкунаев С.В., Обшина и обшество западных культов, Москва, 1989;

287. Чайлд Г., Прогресс и археология. Москва 1949;

288. Эккерт Р., К вопросу германо – балто – славянских соответствий – «Проблемы общего и германского языкознания», ред. кол. Медникова Э.М., Филичева Н.И., Широкова А.Г. Москва, 1978;

289. Энеолит СССР. отв. ред. Массон В.М., Мерперт Н.Я., Москва, 1982;

ავტორის სტილი დაცულია

290. Эпоха бронзы лесной полосы СССР. отв. ред. Бадер О.Н., Крайнов Д.А., Косарев, Москва, 1987;

291. Юсупов Х., Страницы истории Туркменистана. С древнеиших времен до арабского завоевания, Москва 1997.